

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

მაკა ფარცვანია

განახლებადი ენერჯის ბაზარზე
სახელმწიფო კონტროლის
სამართლებრივი ფარგლები

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტის გამომცემლობა

UDC(უაკ)338.45:620:351.8(479.22)

ფ-307

მაკა ფარცვანია

**განახლებადი ენერჯის ბაზარზე სახელმწიფო კონტროლის
სამართლებრივი ფარგლები**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დავით ბატონიშვილის
სამართლის ინსტიტუტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

Maka Partsvania

STATE CONTROL LEGAL FRAMEWORKS IN THE RENEWABLE ENERGY MARKET

Prince David Institute for Law of Sulkhvan-Saba Orbeliani University

Sulkhvan-Saba Orbeliani University Press, 2025

© მაკა ფარცვანია, 2025

© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2025

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2025

ISBN 978-9941-8-7498-7

მეუღლეს,
ამ ნაშრომის უდიდეს
გულშემატკივარს

სარჩევი

I. შესავალი	1
II. განახლებადი ენერჯია და ევროკავშირის სამართალი	10
1. განახლებადი ენერჯიის ევროპული სამართლებრივი ჩარჩო	10
2. „განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ დირექტივა	13
3. ენერგეტიკული გაერთიანება	16
4. ენერგეტიკული პაკეტი	19
5. კლიმატი და ენერგეტიკა	25
6. ევროპასთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები	33
6.1. ენერგეტიკული ქარტია, როგორც ასოცირების ხელშეკრულების განმსაზღვრელი	36
6.2. 1994 წლის ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება	38
7. ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების ოქმი	41
III. განახლებადი ენერჯიის ბაზარი	44
1. განახლებადი ენერჯიის ქართული ბაზრის სამართლებრივი გამოცდილება და არსებული სინამდვილე	44
2. განახლებადი ენერჯიის ქართული ბაზარი და შესაძლებლობები	50
2.1. განახლებადი ენერჯიის წყაროები	52
2.1.1. ჰიდროენერჯია	53
2.1.2. მზის ენერჯია	53
2.1.3. ქარის ენერჯია	54
2.1.4. გეოთერმული ენერჯია	55
2.1.5. ბიომასის ენერჯია	55
2.2. ენერგოეფექტურობა	55
3. განახლებადი ენერჯიის წყაროების განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშვნელობა	56
3.1. ნეტო აღრიცხვა	58
3.2. ელექტროენერჯიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება	64
3.3. ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულება (CfD მექანიზმი)	69
3.3.1. ევროკავშირის მიდგომები ფასთა შორის სხვაობის (CfD) მექანიზმთან დაკავშირებით	69
3.3.2. საქართველოს გამოცდილება	74
4. განახლებადი ენერჯიის ქართული ბაზრის სამართლებრივი რეფორმა	82
4.1. ელექტროენერჯიის ბაზრის ახალი მოდელი	88
4.2. საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა	97
4.2.1. ენერგეტიკული ბირჟის მოდელი და ევროპასთან ასოცირების შეთანხმება	97
4.2.2. სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ შექმნა და მისი ფუნქციები	100

4.2.3. ბირჟის ამოქმედების გადავადების მიზეზები და ამოქმედების პერსპექტივა	102
4.2.4. ბირჟის ამოქმედების გამონვევები	110
4.3. ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგი	112

**IV. ადამიანის უფლებების დაცვა და სახელმწიფოს როლი.
განახლებადი ენერჯის ბაზრის სამართლებრივი ზედამხედველობა** 125

1. სარგებლის განაწილება	125
1.1. სარგებლის განაწილების დანიშნულება და სახეები	125
1.2. სარგებლის გაზიარების სამართლებრივი საფუძველი	129
1.3. სარგებლის გაზიარების წინაპირობა საქართველოში: სამართლებრივი მოწესრიგება და სოციალური ასპექტები	132
1.4. სარგებლის გაზიარების საერთაშორისო პრაქტიკა	137
1.5. საუკეთესო პრაქტიკა განახლებადი ენერჯის პროექტებიდან	141
1.6. სარგებლის გაზიარება, როგორც შესაძლებლობა	144
1.7. ძირითადი მოსაზრებები და მიდგომები	148
1.8. სარგებლის გაზიარების ინსტიტუციონალიზაცია: მიდგომა, გამაძლიერებლები და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობა	154
1.9. განახლებადი ენერჯის პროექტების ზემოქმედების არეალში მცხოვრები ადგილობრივ თემებთან გრძელვადიანი სარგებლის განაწილების შესახებ საქართველოს კანონის აუცილებლობა	161
1.10. ინვესტიციების დაცულობის სამართლებრივი გარანტიები ენერგეტიკის მიმართულებით	168
1.10.1. ინვესტიციების მნიშვნელობა განახლებადი ენერჯის პროექტებში	168
1.10.2. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები	174
1.10.3. მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები	181
2. წარმოშობის სერტიფიკატი	190
2.1. ევროკავშირის მიდგომები წარმოშობის სერტიფიკატთან დაკავშირებით	190
2.2. საქართველოს გამოცდილება	192

V. მომხმარებლის უფლებები და განახლებადი ენერჯის ბაზრის რეგულირება-დერეგულირება 204

1. ელექტროენერჯის მომხმარებლის უფლება ევროკავშირის სამართალში	204
2. ელექტროენერჯის მომხმარებლის უფლების დაცვა ქართულ სამართალში	209
2.1. საქართველოს ენერგეტიკის სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მარეგულირებელი კომისიის როლი	209
2.2. ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება და კომუნალური მომსახურება	214
2.3. მომხმარებელთა უფლებების დაცვა და კონკურენციის ზრდა საქართველოში	217

3. მომსახურების ხარისხის სამართლებრივი რეგულირება	219
4. ელექტროენერჯის მომხმარებლის კლასიფიკაცია	221
4.1. ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებლის კლასიფიკაცია და რეგულირების მნიშვნელობა	221
4.2. სპეციალური მიწოდების რეჟიმი	225
5. სატარიფო რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები	228
5.1. ენერგეტიკის სექტორში ტარიფების რეგულირების და გამჭვირვალობის პრინციპები	228
5.2. ენერგეტიკის სექტორის დერეგულირება და მისი თანაზომიერების შეფასების მნიშვნელობა	232
6. ენერგეტიკული სიღარიბე და სოციალური პასუხისმგებლობა (სუბსიდირება)	236
VI. დასკვნა	240
ბიბლიოგრაფია	254

I

შესავალი

ენერგეტიკის სექტორი უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური ზრდისთვის, ისე გარემოს დაცვისთვის.¹ მისი განვითარებისას აუცილებელია სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა და გაძლიერება, რათა უზრუნველყოს განახლებადი ენერჯის წყაროების ეფექტური გამოყენება და ხელსაყრელი პირობების შექმნა ინვესტორებისთვის.² განახლებადი ენერჯია და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი მონესრიგება საქართველოსთვის აქტუალური გამოწვევაა, თუმცა საკითხი პრობლემურია ევროკავშირშიც, რომლის სამართლებრივი ჩარჩო განსაზღვრავს არა მხოლოდ განახლებადი ენერჯის ბაზრის წესებს, არამედ ადგენს ევროკავშირის მიზნებს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში და მდგრადი ენერჯის განვითარებაში³. ევროკავშირის პოლიტიკა ენერგეტიკის მიმართულებით ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა, რომელიც მოიცავს ენერგეტიკული უსაფრთხოების, ენერგოეფექტურობის, ენერჯის დაზოგვისა და განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას.⁴

განახლებადი ენერჯის სამართლებრივ რეგულირებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ევროკავშირის წევრობისკენ მიმავალ გზაზე ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები და მოთხოვნები, რომელთაგან განახლებადი ენერჯის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.⁵ ეს გულისხმობს განახლებადი ენერჯის წყა-

¹ Hafner M., Raimondi P.P., Energy and the Economy in Europe, In: The Palgrave Handbook of International Energy Economics, Edited by M. Hafner and G. Luciani, Springer, 2022, 732-733.

² Strengthening Europe's Energy Infrastructure, European Round Table for Industry, Boston Consulting Group (BCG), 2024, 12-13.

³ The Revision of the Renewable Energy Directive, An Opportunity to Boost Ambition and Accelerate Deployment of Renewable Energy, <<https://caneurope.org/revision-renewable-directive-boost-ambition/>> [25.06.2024].

⁴ Wolfram H., Ulatowski R., Introduction, in: Energy Policy in Europe Internal Dimensions and External Perspectives, Edited by W. Hilz and R. Ulatowski, Baden-Baden, 2019, 8-11.

⁵ ასოცირების შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, მუხლი 298 (I); ნონოვი ი., შატკიშვილი ლ., ხელიძე გ., მირცხულავა ა., უსაფრთხოება

როებიდან ენერჯის წარმოების წახალისებას და შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას. განახლებადი ენერჯის წილის ზრდა საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან განახლებადი ენერჯის გამოყენების ხელშეწყობას და წახალისებას, რაც უზრუნველყოფს ენერჯოსაფრთხოებას, მდგრადი ენერჯის ხელმისაწვდომ ფასს და ხელს უწყობს ტექნოლოგიურ განვითარებას.⁶ ენერჯოსაფრთხოება საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რაც განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისებასა და გამოყენებას აუცილებელს ხდის.⁷ ენერჯის ადგილობრივი წარმოების ზრდა ხელს შეუწყობს იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას და ენერჯეტიკული დამოუკიდებლობის გაზრდას.⁸ ამ მხრივ, განახლებადი ენერჯია შეიძლება გახდეს საქართველოს ენერჯეტიკული პოლიტიკის ძირითადი ნაწილი, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ენერჯომომარაგების საფრთხეებს და უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას.

საქართველოს ენერჯოპოლიტიკა მიზნად ისახავს ენერჯის ეფექტიანი გამოყენების, განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების და სათბურის გაზების ემისიების შემცირებას. ეს პოლიტიკა შეესაბამება ევროკავშირის გარემოსდაცვით სტანდარტებსა და მიზნებს. ევროკავშირის პოლიტიკა, ხელი შეუწყობს განახლებადი ენერჯის წილის ზრდას, მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც და შეესაბამება ქვეყნის ენერჯოპოლიტიკის მიზნებს. ენერჯეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება, რომლის წევრიც არის საქართველო, წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნების ინტეგრირებულ ენერჯეტიკულ ბაზარს. ნაშრომი მიმოიხილავს ენერჯეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების მიზნებსა და მექანიზმებს, რომლებიც ხელს უწყობს განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებას და ენერჯეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას⁹. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განახლებადი ენერ-

ჰიდროენერჯეტიკაში და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საკითხები, „ენერჯეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, N4(96), 2020, 75.

⁶ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის N403 დადგენილებით დამტკიცებული განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა.

⁷ „საქართველოს სახელმწიფოს ენერჯეტიკული პოლიტიკის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამეტის 2024 წლის 27 ივნისის N4349-XIVმს-Xმპ დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფოს ენერჯეტიკული პოლიტიკა“.

⁸ გაბისონია ი., ნარმანია დ., გლოველი ც., ტეტელოშვილი ბ., დარსანია თ., ხარაძე ნ., ენერჯეტიკის სამართალი, თბილისი, 2024, 165, 253, 704.

⁹ Samkharadze I., The Regional Energy and Climate Governance: Prospects for Energy Community Contracting Parties in the Aftermath of the European Green Deal, Journal for European Environmental & Planning Law, Vol. 20, No. 3-4, 2023, 236-259.

გის ქართული ბაზრის სამართლებრივ გამოცდილებასა და არსებული სინამდვილეს. განხილული იქნება საქართველოს შესაძლებლობები განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებაში და მათი მნიშვნელობა ქვეყნის ენერჯეტიკული დამოუკიდებლობისთვის.¹⁰

საქართველოში მიმდინარე ენერჯეტიკული რეფორმა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ენერჯეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას, ენერჯოეფექტურობის გაუმჯობესებას, განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას და ინვესტიციების მოზიდვას ენერჯეტიკის სექტორში¹¹, განსაკუთრებით განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება, რაც ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკის დივერსიფიკაციას. ენერჯოეფექტურობის გაუმჯობესება არის ენერჯეტიკული რეფორმის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი. ეს პროცესი მოიცავს ენერჯის მოხმარების ოპტიმიზაციას როგორც ინდუსტრიულ, ასევე საცხოვრებელ სექტორებში. ენერჯოეფექტურობის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად ამცირებს ენერჯის ხარჯებს, ზრდის საწარმოების კონკურენტუნარიანობას და ამავდროულად ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას.¹² ამასთან, ენერჯის ეფექტურ გამოყენებასა და მოხმარების შემცირებას, რაც არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნის ენერჯეტიკული ხარჯების შემცირებისა და გარემოს დაცვისთვის.¹³ მიმდინარე რეფორმა არა მხოლოდ ეროვნული ენერჯეტიკული პოლიტიკის განვითარებას ემსახურება, არამედ შესაბამისობაში მოჰყავს საქართველოს კანონმდებლობა და სტანდარტები საერთაშორისო პრაქტიკასთან და ევროკავშირის ნორმებთან.

საქართველოს ენერჯეტიკული სისტემა დაკავშირებულია გარე რესურსებზე, რაც ზრდის რისკებს ენერჯის მიწოდების სტაბილურობის თვალსაზრისით¹⁴, შესაბამისად, ენერჯის წყაროების დივერსიფიკაცია და ადგილობრივი ენერჯორესურსების განვითარება და წახალისება, რაც მნიშვნელოვნად შეამ-

¹⁰ გაბისონია ი., ნარმანია დ., გლოველი ც., ტეტელოშვილი ბ., დარსანია თ., ხარაძე ნ., ენერჯეტიკის სამართალი, თბილისი, 2024, 171-172, 630-631.

¹¹ კვარაცხელია თ., ენერჯოეფექტურობა შენობებში ევროდირექტივების ძირითადი მოთხოვნები და საქართველოში არსებული ვითარება, წიგნში: ევროპის ენერჯეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერჯეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, თბილისი, 2017, 41-46.

¹² ოპერმანი თ., კლასენი კ. დ., ნეთესჰაიმი მ., ევროპული სამართალი, თ. ერქვანიას და ირ. ჯაფარაშვილის თარგმანი, თბილისი, 2021, 572

¹³ Chen W., Alharthi M., Zhang J., Khan I., The Need for Energy Efficiency and Economic Prosperity in a Sustainable Environment, Gondwana Research, Vol. 127, 2024, 22-35.

¹⁴ Georgia's Energy Dependency Review, The Economic Policy Research Center (EPRC), USAID, 2023, 7.

ცირებს იმპორტზე დამოკიდებულებას და უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

საქართველო, როგორც გარემოსდაცვითი საერთაშორისო ვალდებულებების მქონე ქვეყანა, ვალდებულია შეამციროს ნახშირბადის გამოფრქვევა და განახორციელოს მდგრადი ენერგეტიკული პროექტები, რაც, თავის მხრივ, განავითარებს ენერგეტიკულ სექტორს და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში.¹⁵ საქართველოს აქვს უზარმაზარი პოტენციალი ჰიდროენერგეტიკის, ასევე, მზის და ქარის ენერჯის მიმართულებით.¹⁶ განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება ხელს უწყობს არა მხოლოდ გარემოს დაცვას და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას.¹⁷ შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოების შექმნა უზრუნველყოფს განახლებადი ენერჯის პროექტების მხარდაჭერას და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.¹⁸

განახლებადი ენერჯის განვითარება დაკავშირებულია ინვესტიციების ზრდასთან, რაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.¹⁹ ინვესტიციების მოზიდვა და მათი დაცვა უმნიშვნელოვანესია ენერ-

¹⁵ „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის – ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტზე რეკომენდაციების გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 19 აპრილის N208/ს ბრძანება.

¹⁶ კვაშილავა დ., განახლებადი ენერჯის გამოყენების პოტენციალი საქართველოში და მისი მაკროეკონომიკური შინაარსი, წიგნი: ეკონომიკა XXI საუკუნე, თბილისი, 2017; განახლებადი ენერჯის ათვისება, <<https://gnerc.org/ge/sector-participants/informatsia-seqtorebis-monatsileebistvis/ganakhlebad-energiebi/56>> [16.07.2024]; ნონოვი ი., შატკივილი ლ., ხელიძე გ., მირცხულავა ა., უსაფრთხოება ჰიდროენერგეტიკაში და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საკითხები, „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, N4(96)/2020, თბილისი, 2020, 75.

¹⁷ სამხარაძე ი., ჭითანავა მ., ჯანაშია ნ., ვარდოსანიძე ქ., კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკის გავლენა შრომის ბაზარზე, კონტექსტი, სამომავლო განვითარების შესაძლო სცენარები და რეკომენდაციები, საქართველოს მაგალითი, თბილისი, 2021, 19; მარგველაშვილი მ., ინაშვილი მ., მაღალაშვილი ა., ჯანელიძე პ., მუხიგულიშვილი გ., ლაზრიევი გ., სიხარულიძე ა., შვანგირაძე მ., ელაშვილი მ., კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება, თბილისი, 2016, 37, 40-41.

¹⁸ Kunze R., Schreiber S., Model Coupling Approach for the Analysis of the Future European Energy System, in: The Future European Energy System Renewable Energy, Flexibility Options and Technological Progress, Edited by D. Möst, S. Schreiber, A. Herbst, M. Jakob, A. Martino, W.-R. Pogonietz, Springer, 2021, 30.

¹⁹ სოციალური და სამართლიანი ბრძოლა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ, არგუმენტების სახელმძღვანელო სამართლიანი და ეკოლოგიური საზოგადოებისთვის, კ. უელჩის რედაქტორობით, თბილისი, 2020, 103, 137; სამხარაძე ი., ჭითანავა მ., ჯანაშია ნ., ვარდოსანიძე ქ., კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკის გავლენა შრომის

გეტიკის სექტორში, შესაბამისად სახელმწიფოს მხრიდან პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა განსაკუთრებულ ყურადღებას და რეგულირებას საჭიროებს, რამდენადაც მსოფლიო და რეგიონულ დონეზე მოთხოვნა განახლებად ენერჯიაზე მზარდია და რაც დამატებით არგუმენტია საქართველოსთვის ამ მიმართულების განვითარების აუცილებლობაზე. განახლებადი ენერჯიის სამართლებრივი რეგულირება უზრუნველყოფს ენერგეტიკული პროექტების მდგრად და გამჭვირვალე განვითარებას. სახელმწიფო ზედამხედველობის ფარგლებში რეგულაციების დანერგვა და მათი შესრულების მონიტორინგი ხელს უწყობს განახლებადი ენერჯიის წყაროების ეფექტიანად გამოყენებას. განახლებადი ენერჯიის ბაზარზე სახელმწიფოს სამართლებრივი ზედამხედველობის სტანდარტები და რეგულაციის მექანიზმები ზრდის ბაზრის ეფექტურობას და მდგრადობას.²⁰ განახლებადი ენერჯიის სამართლებრივი რეგულირება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური თემაა, რომელიც ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების შესრულებას, ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფას, ენერგოპოლიტიკის მიზნების მიღწევას, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ასევე ინვესტიციების მოზიდვას და დაცვას ითვალისწინებს.

ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს და შეაფასოს საქართველოს განახლებადი ენერჯიის ბაზარზე სახელმწიფოს სამართლებრივი ზედამხედველობის როლი და ეფექტიანობა, როგორ უნდა განხორციელდეს განახლებადი ენერჯიის ბაზარზე სახელმწიფოს სამართლებრივი ზედამხედველობა და რა შედეგები ექნება მას. კვლევის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდება ენერგეტიკული ბაზრის სამართლებრივი და საკანონმდებლო ჩარჩოების გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებაზე, განიხილება ბაზრის რეგულირების სტანდარტები, სახელმწიფოს როლი და გავლენა ბაზრის მდგომარეობაზე და განვითარების პერსპექტივები, ასევე, განახლებადი ენერჯიის ბაზარზე სახელმწიფო ზედამხედველობის უკეთესი მონესრიგებისა და მექანიზმების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაცია გულისხმობს ენერგეტიკული მონოპოლიების შემცირებას და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას.²¹ იგი ხელს

ბაზარზე, კონტექსტი, სამომავლო განვითარების შესაძლო სცენარები და რეკომენდაციები, საქართველოს მაგალითი, მოკლე კვლევითი ნაშრომი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი, 2021, 17, 47.

²⁰ განახლებადი ენერჯიის ეროვნული სამოქმედო გეგმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2019.

²¹ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონი საქართველო: საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის დაფინანსების ალტერნატიული ვარიანტები, მსოფლიო ბანკი, 2016, 15-16.

უნყოფს ენერჯის ფასების გამჭვირვალობას და მომხმარებლის უფლებების დაცვას.²² ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილდება საქართველოს განახლებადი ენერჯის ბაზარზე სახელმწიფოს სამართლებრივი ზედამხედველობის ეფექტიანობის აუცილებლობაზე ენერჯის ხელმისაწვდომობის, ენერჯოუსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონტექსტში.

ნაშრომში განალიზდება განახლებადი ენერჯის ბაზრის სამართლებრივი ჩარჩოები, შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდით გამოკვლეული იქნება ევროკავშირისა და საქართველოს შესაბამისი რეგულაციები, არსებული ეროვნული კანონმდებლობის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის. სამართლებრივი ბარიერებისა და გამოწვევების კრიტიკული ანალიზით, გამოვლინდება ის ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის ბაზრის სრულყოფილ ფუნქციონირებას, რამდენადაც განახლებადი ენერჯის პროექტების განვითარება, ენერჯოეფექტურობის გაუმჯობესება და ენერჯეტიკული ბაზრის ლიბერალიზაცია ქმნის ინვესტორებისთვის ხელსაყრელ გარემოს.²³ ეს ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივი ბიზნესის განვითარების წახალისებას.²⁴

ნაშრომში განიხილება საქართველოს განახლებადი ენერჯის ბაზრის არსებული მდგომარეობა, შეფასდება ბაზრის განვითარების პოტენციალი და არსებული გამოწვევები. ამ მიზნის მისაღწევად გამოკვლეული იქნება არსებული სინამდვილე, ბაზრის განვითარების წინაპირობები და გამოწვევები ბაზრის უფრო სწრაფი და ეფექტური განვითარებისთვის. კვლევაში შემოთავაზებულია განახლებადი ენერჯის სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესების რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერჯეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას და მდგრადი ენერჯის განვითარებას.

კვლევის მიზანია, გამოვლინდეს განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს ბაზრის მდგრად ზრდას და ენერჯის წარმოების დივერსიფიკაციას. ამ მიზნით, განისაზღვრება სახელმწიფოს როლი განახლებადი ენერჯის განვითარების პროცესში და მისი გავლენა ბაზარზე. გამოკვლეული იქნება, თუ რა სტანდარტები უნდა დაანესოს

²² Pepermans, G., European Energy Market Liberalization: Experiences and Challenges, International Journal of Economic Policy Studies, Vol. 13, No. 1, 2019, 6.

²³ Márquez-Sobrinó P., Díaz-Cuevas P., Pérez-Pérez B., Gálvez-Ruiz D., Twenty Years of Energy Policy in Europe: Achievement of Targets and Lessons for the Future, Clean Technologies and Environmental Policy, Vol. 25, No. 2, 2023, 2516–2519.

²⁴ იქვე.

სახელმწიფომ განახლებადი ენერჯის ბაზრის რეგულირებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბაზრის მდგრადობა და ეფექტურობა. ასევე შეფასდება სახელმწიფოს რეგულირების სტანდარტები და მათი განხორციელების მექანიზმები²⁵, სამართლებრივად გაანალიზდება სახელმწიფოს და კერძო სექტორის ურთიერთქმედება, რათა დადგინდეს, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტიანობა და ბაზრის დინამიკა. შესწავლილი იქნება განახლებადი ენერჯის ბაზრის განვითარების ეკონომიკური სარგებელი, ეს კი, თავის მხრივ, მოიცავს განახლებადი ენერჯის პროექტების ეკონომიკური ეფექტების შეფასებას.

ადამიანის უფლებების დაცვა და სახელმწიფოს როლი განახლებადი ენერჯის ბაზრის სამართლებრივ ზედამხედველობაში ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ამ მიმართულებით განხილულია სარგებლის განაწილების სამართლებრივი საფუძვლები და საერთაშორისო პრაქტიკა. ნაშრომი მიმოიხილავს საუკეთესო პრაქტიკას განახლებადი ენერჯის პროექტებიდან, სარგებლის განაწილების ინსტიტუციონალიზაციას და ინვესტიციების დაცულობის სამართლებრივ გარანტიებს ენერჯეტიკის მიმართულებით²⁶. შემუშავებული იქნება შესაბამისი რეკომენდაციები, განახლებადი ენერჯის პროექტების განვითარების სამართლებრივი რეგულირებისა და შესაბამისად, ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. ეკონომიკურ თემატიკასთან ერთად კვლევა ეხება გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხებისა და სოციალური ასპექტების სამართლებრივი მხარეს.

მომხმარებლის უფლებების დაცვა განახლებადი ენერჯის ბაზარზე ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მომხმარებლის უფლებების დაცვა მოიცავს ელექტროენერჯის ტარიფების გამჭვირვალობას, ხარისხიანი და უწყვეტი ენერჯის მიწოდებას, ასევე მომხმარებლის ინფორმირების და განათლების მექანიზმების შექმნას²⁷, რაც უზრუნველყოფს ენერჯეტიკული სილარბის შემცირებას და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდას. ნაშრომში

²⁵ იბ., Samkharadze I., Changing Architecture of Georgian Renewable Energy Normative System: The Dos and Don'ts from the European Union, *European Energy and Environmental Law Review*, Vol. 30, No. 3, 2021, 94-103.

²⁶ Enabling Foreign Direct Investment in the Renewable Energy Sector Reducing Regulatory Risks and Preventing Investor-State Conflicts, The World Bank, Energy Charter Secretariat, Washington, DC, 2023, 18-20; Mobilising Institutional Capital for Renewable Energy, International Renewable Energy Agency (IRENA), Abu Dhabi, 2020, 15-19, 43-51.

²⁷ Pototschnig A., Glachant J. M., Meeus L., Conti I., Policy Brief, Consumer Protection Mechanisms During the Current and Future Periods of High and Volatile Energy Prices, Florence School of Regulation (FSR), Robert Schuman Center (RSC), European University Institute (EUI), 2022.

განხილულია ევროკავშირის და საქართველოს კანონმდებლობა ელექტროენერჯის მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ, ასევე ტარიფების რეგულირებისა და დერეგულირების პრინციპები. ამ მიზნით გაანალიზდება, თუ როგორ შეიძლება სამართლებრივი ჩარჩოების გაუმჯობესება განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებისთვის და ინვესტიციების მოზიდვა, ასევე საქართველოს გამოცდილებისა და ევროკავშირის მიდგომების ერთმანეთთან დაკავშირება და მათი გამოყენება ქვეყნის ენერჯეტიკული უსაფრთხოების გასაძლიერებლად.

კვლევის ფარგლებში გაანალიზდება საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკა, ასევე, მართლმსაჯულების საერთაშორისო სამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები, ასევე განხილული იქნება განახლებადი ენერჯის ბაზართან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების აღსრულება და ინტერპრეტაცია როგორც აღმასრულებელი ორგანოების, ისე სამართალშემფარდებლის მიერ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო და სხვა სახელმწიფოების, განსაკუთრებით ევროკავშირის წევრი ქვეყნების იურისდიქციებში, რათა შედარებითსამართალლებრივი ანალიზის შედეგად უკეთ იქნეს გაგებული როგორც არსებული პრაქტიკა, ისე მართებულად განისაზღვროს საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების მექანიზმები და ძირითადი მიმართულებები. ისტორიულ-გენეტიკური კვლევის მეთოდის გამოყენებით გაანალიზდა განახლებადი ენერჯის ბაზართან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების დინამიკა და პროცესები საქართველოში. ამ მეთოდით შესწავლილ იქნა განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების ისტორიული განვითარება, რათა გამოკვეთილიყო მათი ევოლუცია და შინაარსობრივი ცვლილებები, რამაც განაპირობა თანამედროვე მონქსრიგება.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამართლის პირველადი და მეორეული წყაროების კრიტიკულ ანალიზს, დეტალურად იქნა შესწავლილი სამართლებრივი დოკუმენტები, კანონები, დირექტივები და რეგულაციები, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო და სხვა სახელმწიფოების მართლწესრიგებიდან, რათა გამოკვლეულიყო მათი გავლენა და პრაქტიკული გამოყენების თავისებურებები. ანალიზი მოიცავდა კანონთა ტექსტების, სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული აქტების განხილვას. ამასთან, განახლებადი ენერჯის ბაზრის რეგულაციების და პრაქტიკის აღწერისთვის გამოყენებულ იქნა დესკრიფციული მეთოდი, რათა უკეთ გამოვლენ

ნილიყო არსებული მდგომარეობა და მისი თავისებურებები. ზემოაღნიშნული მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და კვლევის შედეგების მეტი სანდოობის უზრუნველყოფას ემსახურება.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება ექვსი ნაწილისგან. პირველი ნაწილი შესავალს ეთმობა. მეორე ნაწილი განიხილავს განახლებადი ენერჯის ევროპულ სამართლებრივ ჩარჩოს, „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ დირექტივას, ენერგეტიკულ გაერთიანებას, კლიმატთან და ენერგეტიკასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხს, ევროპასთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, ენერგეტიკულ ქარტიას და ვაჭრობისა და ტარიფების გენერალურ შეთანხმებას, ასევე საქართველოს ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შეერთების ოქმს. მესამე ნაწილი მოიცავს განახლებადი ენერჯის ქართული ბაზრის სამართლებრივ გამოცდილებას და არსებულ სინამდვილეს, განახლებადი ენერჯის წყაროებს (ჰიდროენერჯია, მზის ენერჯია, ქარის ენერჯია, გეოთერმული ენერჯია, ბიომასის ენერჯია), ენერგოეფექტურობას და სახელმწიფო მხარდაჭერას, ნეტო აღრიცხვას, ელექტროენერჯის გარანტირებულ შესყიდვის ხელშეკრულებას და ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულებებს, ენერგეტიკული ბირჟის მოდელს და ფუნქციებს და მონიტორინგს. მეოთხე ნაწილი ეხება სარგებლის განაწილებას და სამართლებრივ საფუძვლებს, საერთაშორისო და საქართველოს პრაქტიკას, ინვესტიციების დაცულობის სამართლებრივ გარანტიებს და წარმოშობის სერტიფიკატს. მეხუთე ნაწილი განიხილავს მომხმარებლის უფლებების დაცვას ევროკავშირსა და საქართველოში, მომსახურების ხარისხის სამართლებრივ რეგულირებას და სატარიფო რეგულირების საფუძვლებს, ენერგეტიკულ სიღარიბეს და სოციალურ პასუხისმგებლობას. მეექვსე ნაწილი სადისერტაციო ნაშრომის დასკვნაა, რომელშიც შეჯამებულია ნაშრომის ძირითადი მიგნებები, მოცემულია რეკომენდაციები და განვითარების პერსპექტივები.

II

განახლებადი ენერჯია და ევროკავშირის სამართალი

1. განახლებადი ენერჯიის ევროპული სამართლებრივი ჩარჩო

ევროკავშირი ეფუძნება კანონის უზენაესობას, რაც გულისხმობს მისი ქმედებების ხელშეკრულებასთან შესაბამისობას. ევროკავშირი არის ყველა წევრი ქვეყნის ნებაყოფლობითი კავშირი დემოკრატიულ საწყისებზე.²⁸ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება (TFEU)²⁹ აყალიბებს ევროკავშირის მიზნებს და განსაზღვრავს ევროკავშირის ინსტიტუტებისთვის გადანყვეტილებების მიღების წესს. ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებული კანონმდებლობის განხორციელება სავალდებულოა მისი წევრი ქვეყნებისთვის.³⁰

ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება განსაზღვრავს კონკრეტული პოლიტიკის სფეროებს და ენერგეტიკა იმ პოლიტიკურ სფეროს მიეკუთვნება, რომელსაც ევროკავშირი პრიორიტეტულად მიიჩნევს და გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების აუცილებლობიდან გამომდინარე მიზნად ისახავს: (ა) უზრუნველყოს ენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირება; (ბ) უზრუნველყოს კავშირის ენერგომომარაგების უსაფრთხოება; (გ) ენერგოეფექტურობისა და ენერჯიის დაზოგვის ხელშეწყობა და ენერჯიის ახალი და განახლებადი ფორმების განვითარება; ასევე, (დ) ენერგეტიკული ქსელების ურთიერთდაკავშირების ხელშეწყობა.³¹

²⁸ Founding Agreements <https://european-union.europa.eu/principles-countries-history/principles-and-values/founding-agreements_en> [01.06.2024]

²⁹ Treaty on European Union and the Treaty on the Functioning of the European Union; Official Journal C 326, 26/10/2012 P. 0001 – 0390.

³⁰ კაპანაძე ს., ევროკომისია, წიგნში: ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები, კ. გოგოლაშვილის და ს. კაპანაძის რედაქტორობით, თბილისი, 2006, 54.

³¹ Treaty on European Union and the Treaty on the Functioning of the European Union; Official Journal C 326, 26/10/2012 P. 0001 – 0390, Art. 194.

განახლებადი ენერჯიის ხელშეწყობა ევროკავშირის ენერჯეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია³² და სწორედ ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება 2018 წლის 11 დეკემბრის დირექტივა „განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“³³. აღნიშნულ დირექტივაში გათვალისწინებულია ევროკავშირის მიერ 2015 წლის პარიზის შეთანხმების³⁴ ფარგლებში აღებული ვალდებულებები კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, ასევე 2030 წლის სამიზნეები და წევრი სახელმწიფოების წვლილი ამ მიზნების მისაღწევად. დირექტივაში³⁵ ხაზგასმულია განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის გაზრდილი გამოყენების აუცილებლობა, რაც ზრდის ენერგოუსაფრთხოებას, ასევე განაპირობებს მდგრადი ენერჯიის ხელმისაწვდომ ფასს და ხელს უწყობს ტექნოლოგიურ განვითარებას.³⁶ განახლებადი ენერჯიის გამოყენების ხელშეწყობა ელექტროენერჯიის, გათბობისა და გაგრილების, ტრანსპორტის სექტორებში არის ეფექტური ინსტრუმენტი, ენერგოეფექტურობის ღონისძიებებთან ერთად, ევროკავშირში სათბურის გაზების ემისიებისა და ენერჯეტიკული დამოუკიდებლობის გასაზრდელად.³⁷ ასევე, გასათვალისწინებელია ენერჯიის მოხმარების შემცირება, ტექნოლოგიური გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებისა და გაფართოების სტიმულირება ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით.³⁸

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირის სათბურის გაზების ემისიის შემცირებას 2030 წლისთვის – 55%-მდე (1990 წელთან შედარებით).³⁹ ევროკომისიის შეთავაზებით, 2030 წლისთვის

³² იქვე, Art. 194(1).

³³ Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Promotion of the Use of Energy from Renewable Sources.

³⁴ The Paris Agreement, <<https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement/what-is-the-paris-agreement>> [02.02.2022]

³⁵ Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Promotion of the Use of Energy from Renewable Sources.

³⁶ Renewable Energy a Global Review of Technologies, Policies and Markets, Edited by D. Assmann, U. Laumanns and D. Uh, London, 2006, 9.

³⁷ Bruns E., Ohlhorst D., Wenzel B., Köppel J., Renewable Energies in Germany's Electricity Market A Biography of the Innovation Process, Springer, 2011, 39-40.

³⁸ Glachant J.-M., Generation Technology Mix in Competitive Electricity Markets, in: Competitive Electricity Markets and Sustainability, Edited by F. Lévêque, Edward Elgar Publishing, 2006, 54-55.

³⁹ Treaty on European Union and the Treaty on the Functioning of the European Union; Official Journal C 326, 26/10/2012 P. 0001 – 0390, Art. 292.

მოხმარებული განახლებადი ენერჯიის წილი უნდა იყოს მინიმუმ 27%,⁴⁰ რაც აისახა კიდევ ევროპული საბჭოს 2014 წლის 23 და 24 ოქტომბრის დასკვნებში, სადაც ნათქვამია, რომ ნევრ სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ დასახონ საკუთარი, უფრო ამბიციური ეროვნული მიზნები, რათა თავიანთი დაგეგმილი წვლილი შეიტანონ კავშირის 2030 წლის მიზნებში და გადააჭარბონ მათ.⁴¹ 2018 წლის რეგულაციის თანახმად, ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმების შეფასებისას გამოვლენილი ხარვეზისას, კომისია უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს მიზნის მიღწევა⁴².

„განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის გამოყენების ხელშეწყობის“ შესახებ დირექტივას⁴³ წინ უსწრებდა ენერგეტიკული კავშირის მმართველობისა და კლიმატის მოქმედების შესახებ რეგულაცია⁴⁴. რაც გამონვეული იყო თავად რეგულაციაში არსებული ჩანანერით, რომ გარემოს შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ ბუნებრივი რესურსების გონივრული და რაციონალური გამოყენების ხელშეწყობით განსაკუთრებით ენერგოეფექტურობისა და ენერჯიის დაზოგვის ხელშეწყობითა და განახლებადი ენერჯიის განვითარების გზით, ხოლო ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ კოორდინირებული ქმედებებითაა შესაძლებელი როგორც საკანონმდებლო ისე არასაკანონმდებლო აქტების მეშვეობით საკავშირო, რეგიონულ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

ევროკავშირის პოლიტიკის უმთავრესი ამბიციია, მთლიანად ევროპის კონტინენტი და არა მხოლოდ ევროკავშირი აქციოს მსოფლიოს პირველ კლიმატ-

⁴⁰ Houtman A., The Energy Union: A Union in Diversity, European Energy Journal, Vol. 5, No. 3, 2015, 18.

⁴¹ იხ., European Council Conclusions 23 and 24 October 2014 <<https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-169-2014-INIT/en/pdf>> [02.02.2022]

⁴² Regulation (EU) 2018/1999 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Governance of the Energy Union and Climate Action, Amending Regulations (EC) No 663/2009 and (EC) No 715/2009 of the European Parliament and of the Council, Directives 94/22/EC, 98/70/EC, 2009/31/EC, 2009/73/EC, 2010/31/EU, 2012/27/EU and 2013/30/EU of the European Parliament and of the Council, Council Directives 2009/119/EC and (EU) 2015/652 and Repealing Regulation (EU) No 525/2013 of the European Parliament and of the Council.

⁴³ Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Promotion of the Use of Energy from Renewable Sources.

⁴⁴ Regulation (EU) 2018/1999 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Governance of the Energy Union and Climate Action, Amending Regulations (EC) No 663/2009 and (EC) No 715/2009 of the European Parliament and of the Council, Directives 94/22/EC, 98/70/EC, 2009/31/EC, 2009/73/EC, 2010/31/EU, 2012/27/EU and 2013/30/EU of the European Parliament and of the Council, Council Directives 2009/119/EC and (EU) 2015/652 and Repealing Regulation (EU) No 525/2013 of the European Parliament and of the Council.

ნეიტრალურ კონტინენტად,⁴⁵ რაც ეფუძნება ევროპულ მწვანე შეთანხმებას (A European Green Deal)⁴⁶. ბუნებრივია, ეს გამოწვევაა საქართველოსთვისაც.

2. „განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ დირექტივა

განახლებადი ენერჯიის გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე.⁴⁷ განახლებადი ენერჯია ეს არის წვდომა იაფ და საიმედო ენერჯიაზე, როგორც ბიზნესისთვის ასევე, საყოფაცხოვრობო მომხმარებლისთვის და ნაკლებ ზიანს აყენებს გარემოს.⁴⁸ პარიზის შეთანხმება⁴⁹ ითვალისწინებს წყაროებიდან ანთროპოგენური ემისიებისა და სათბურის გაზების შთანთქმელებს შორის წონასწორობის მიღწევას ამ საუკუნის მეორე ნახევარში“ (მუხლი 4.1) (UNFCCC, 2015)⁵⁰ და ამ შედეგის მისაღწევად 44 ქვეყანამ და ევროკავშირმა კლიმატურიტრალობა დაისახეს მიზნად, რაც გულისხმობს სათბურის გაზებისგან თავისუფალი ელექტროენერჯიის მიწოდებას⁵¹. ემისიების შემცირება სხვადასხვა მეთოდით მიიღწევა, მათ შორის წიაღისეულისგან მიღებული საწვავის განახლებადი ენერჯიის წყაროებით ჩანაცვლება⁵² შესაბამისად, ევროკავშირის განაცხადი სათბურის გაზებისგან თავისუფალი ელექტროენერჯიის მიწოდებაზე 2050 წლისათვის წარმოუდგენელია განახლებადი ენერჯიის გამოყენების გარეშე.

„განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ დირექტივა ემსახურება განახლებადი ენერჯიის წილის გაზრდას ენერჯიის სა-

⁴⁵ The European Green Deal, Striving to Be the First Climate-Neutral Continent, <https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en> [23.06.2024]

⁴⁶ Communication from the Commission to the European Parliament, the European Council, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions The European Green Deal COM/2019/640 Final.

⁴⁷ Zervos A., Lins C., Integration of Renewable Energy Sources, in: Renewable Energy in Europe Markets, Trends and Technologies, London, Washington, DC, 2010, 3-4.

⁴⁸ სოციალური და სამართლიანი ბრძოლა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი, 2020, 80-81.

⁴⁹ The Paris Agreement on Climate Change, 12 December 2015.

⁵⁰ Maljean-Dubois S., The Paris Agreement: A New Step in the Gradual Evolution of Differential Treatment in the Climate Regime?. Review of European, Comparative & International Environmental Law, Vol. 25, No. 2, 2016, 151- 160.

⁵¹ Net Zero by 2050: A Roadmap for the Global Energy Sector, IEA, 2021, 3, 32-33, 47.

⁵² არცივაძე კ., მალაშხია ნ., ნიკაგოსიანი ი., კლიმატის ცვლილება გამოწვევები და პრობლემების დაძლევის გზები ფაქტები და ციფრები მედიისთვის, თბილისი, 2021, 40.

ერთო წარმოებაში.⁵³ „განახლებადი ენერჯიის წყაროებიდან ენერჯიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ 2009/28/EC დირექტივით ცვლილებები შევიდა და მოგვიანებით გაუქმდა დირექტივა 2001/77/EC და დირექტივა 2003/30/EC. აღნიშნული დირექტივის დანერგვა განსაზღვრულია როგორც ასოცირების შეთანხმებით, ასევე, „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების ოქმით.⁵⁴ მისი მიზანია ენერჯიის განახლებადი წყაროების ხელშეწყობა და განახლებადი ენერჯიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ხელშეწყობა.⁵⁵ გარდა ამისა, განსაზღვრულია მოთხოვნები, რაც სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისათვის და მათ შორისაა, განახლებადი ენერჯიის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება⁵⁶, ენერჯიის წარმომავლობის შესახებ სერტიფიცირების სისტემის დანერგვა, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება და ქსელზე დაშვება.⁵⁷

დირექტივა, ასევე, განსაზღვრავს განახლებადი ენერჯიის ხელშეწყობის მექანიზმის დანესებას და ხელშემკვრელ მხარეს უტოვებს თავისუფლებას თავად განსაზღვროს ხელშეწყობის პოლიტიკა და მექანიზმი.⁵⁸ საბაზრო მექანიზმის დანერგვა დამოკიდებულია თავად ბაზრის განვითარებაზე. ძირითადად გამოიყენება განახლებადი ენერჯიის ხელშეწყობის ორი სახის მექანიზმი: გენერაციაზე დაფუძნებული და ინვესტიციაზე დაფუძნებული.⁵⁹ გენერაციაზე დაფუძნებული

⁵³ Directive 2009/28/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2009 on the Promotion of the Use of Energy from Renewable Sources and Amending and Subsequently Repealing Directives 2001/77/EC and 2003/30/EC.

⁵⁴ 2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, დანართი XXV; Protocol Concerning the Accession of Georgia to the Treaty Establishing the Energy Community Georgia's Accession to the Energy Community Founding Agreement, 14.10.2016, Art. 2.

⁵⁵ European Directive 2009/28/EC, <<https://ppp.worldbank.org/public-private-partnership/library/european-directive-2009-28-ec>> [04.02.2022]

⁵⁶ 2019 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებულ და მიღებულ იქნა განახლებადი ენერჯიის ეროვნული სამოქმედო გეგმა. <http://www.economy.ge/uploads/files/2017/energy/samoqmedo_gegma/ganakhlebadi_energiis_erovnuli_samoqmedo_gegma_2020.pdf> [16.01.2022]

⁵⁷ მალრაძე ნ., დირექტივა განახლებადი ენერჯიის წყაროებიდან ენერჯიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ ძირითადი მოთხოვნები და გამონვევები საქართველოსთვის, წიგნში: ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბილისი, 2017, 47-48.

⁵⁸ Bruns E., Ohlhorst D., Wenzel B., Köppel J., Renewable Energies in Germany's Electricity Market: A Biography of the Innovation Process, Springer, 2011, 39-40.

⁵⁹ მალრაძე ნ., დირექტივა განახლებადი ენერჯიის წყაროებიდან ენერჯიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ ძირითადი მოთხოვნები და გამონვევები საქართველოსთვის,

ხელშეწყობის მექანიზმი, ფასის მიხედვით შესაძლოა იყოს ე.წ. სპეციალური მწვანე ტარიფი (Feed-in-Tariff), პრემიალური ტარიფი (Feed-in Premium), გრძელვადიანი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება, ასევე, ფიქსირებული პრემირების სისტემა; ხოლო კვოტების მიხედვით, მწვანე სერტიფიკატები, ტენდერი და ა.შ.⁶⁰ ინვესტიციაზე დაფუძნებული ხელშეწყობის მექანიზმი ფასის მიხედვით, შესაძლოა იყოს საინვესტიციო სუბსიდირება, საგადასახადო შეღავათები; ხოლო კვოტების მიხედვით ტენდერი.⁶¹ დირექტივის შესაბამისად, წახალისების მექანიზმია ასევე, განახლებადი ენერჯიის წარმოების წარმოშობის სერტიფიკატები.⁶² სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და ობიექტური კრიტერიუმის გათვალისწინებით.⁶³ წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა ხდება მწარმოებლის მოთხოვნის საფუძველზე.⁶⁴

დირექტივა ქსელზე დაშვების ვალდებულებასაც აწესებს და შეიცავს ქსელის ოპერირებისადმი და მასზე მიერთების მიმართ მოთხოვნებს. კერძოდ, ქსელზე პრიორიტეტული ან გარანტირებული დაშვება უნდა განხორციელდეს გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პროცედურების შესაბამისად, ამასთან მნიშვნელოვანია გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც სისტემის უსაფრთხო ოპერირებას განაპირობებს.⁶⁵ რეგიონული ელექტროენერჯიის ბაზარი მოითხოვს გადამცემი სისტემის ფიზიკურ ურთიერთკავშირს ქვეყნებს შორის, ხოლო ეროვნულ დონეზე ფუნქციონალური გადამცემი ხაზები ძალიან მნიშვნელოვანია საზღვრისპირა ვაჭრობის განვითარებისა და ქვეყნებს შორის ელექტროენერჯიის მიწოდებისთვის.⁶⁶ განვითარებული ინფრასტრუქტურა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს განახლებადი ენერჯიების წარმოების განვითარებას და ტრანსსაზღვრო ვაჭრობის გაძლიერებას.

ნიგნში: ევროპის ენერჯეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერჯეტიკაში, თბილისი, 2017, 47-48.

⁶⁰ Thomas D., Gammal A., El, Despotou E., Latour M., Limet F., Fraile D., Lenoir S., Philbin P., Vitali G., Photovoltaic, in: Renewable Energy in Europe Markets, Trends and Technologies, London, Washington, DC, 2010, 129-130.

⁶¹ იქვე, 130-131.

⁶² იქვე, 131.

⁶³ Kasmioui O. El., Verbruggen A., Ceulemans, R., The 2013 reforms of the Flemish Renewable Electricity Support: Missed Opportunities, Journal of Renewable Energy, Vol. 83, 2015, 905-917.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ Bruns E., Ohlhorst D., Wenzel B., Köppel J., Renewable Energies in Germany's Electricity Market: A Biography of the Innovation Process, 2011, 75-76.

⁶⁶ Karova R., Energy Community for South East Europe: Rationale Behind and Implementation to Date, Florence School of Regulation, Energy, Cadmus, EUI Research Repository, 2009, 23-24.

2019 წლის 20 დეკემბერს მიღებულ იქნა „განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია შექმნას განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯიის ხელშეწყობის, წახალისებისა და გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები.⁶⁷ ადგილობრივი რესურსის ათვისებით მოხდება იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერჯოუსაფრთხოების გაძლიერებას.⁶⁸

3. ენერგეტიკული გაერთიანება

2006 წლის 29 მაისს ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 1 ივლისს და თავდაპირველად დაიდო ათი წლის ვადით.⁶⁹ მინისტრთა საბჭოს 2013 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მისი განაცხადი გაგრძელდა ათი წლის ვადით.⁷⁰

ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულება ქმნის ელექტროენერჯიისა და ბუნებრივი აირის შიდა ბაზარს, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის 28 წევრ სახელმწიფოს (EU) და 6 ევროპულ სახელმწიფოსა და ტერიტორიას ბალკანეთში.⁷¹ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულება ითვალისწინებს ევროკავშირსა და ხელშემკვრელ მხარეებს შორის ინტეგრირებული ენერგეტიკული ბაზრის (ელექტროენერჯია და გაზი) შექმნას.⁷² მისი წევრები არიან ევროკავშირი, ალბანეთის რესპუბლიკა, ბულგარეთის რესპუბლიკა, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატიის რესპუბლიკა, ყოფილი იუგოსლავიის მაკედონიის რესპუბლიკა, მონტენეგროს რესპუბლიკა, რუმინეთი, სერბეთის რესპუბლიკა

⁶⁷ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი.

⁶⁸ The Advantages and Disadvantages of Renewable Energy, <<https://www.energysage.com/about-clean-energy/advantages-and-disadvantages-of-renewable-energy/>> [23.06.2024] 2022]

⁶⁹ Council Decision 2006/500/EC of 29 May 2006 on the Conclusion by the European Community of the Energy Community Treaty.

⁷⁰ Decision D/2013/03/MC-EnC of the Ministerial Council of the Energy Community on Extending the Duration of the Energy Community Treaty.

⁷¹ Council Decision 2006/500/EC of 29 May 2006 on the Conclusion by the European Community of the Energy Community Treaty.

⁷² Renner S., The Energy Community of Southeast Europe: A Neo-Functionalist Project of Regional Integration, European Integration Online Papers (EIoP), 2009, 4-5.

და გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მისია კოსოვოში^{73,74} დამკვირვებლად შეიძლება მიღებულ იქნეს მესამე ქვეყნები.⁷⁵

ენერგეტიკული გაერთიანების მიზანია ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სტაბილურობისათვის, ენერჯიის მდგრადი და უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად შექმნას სტაბილური მარეგულირებელი და საბაზრო ჩარჩო ელექტროენერჯიის წარმოებასა და გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებში ინვესტიციების მოსაზიდად.⁷⁶ აღნიშნული მოიცავს ენერგეტიკის, გარემოს, კონკურენციისა და განახლებადი ენერჯიის შესახებ გაერთიანების კანონმდებლობის ხელშემკვრელი მხარეების მიერ იმპლემენტაციას.⁷⁷

ენერგეტიკული გაერთიანების საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების მიერ ენერგეტიკის, გარემოს დაცვის, კონკურენციისა და განახლებადი ენერჯიების შესახებ კანონმდებლობის ნაწილის ან *acquis communautaire*-ის იმპლემენტაციას და აგრეთვე, ზოგად ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას.⁷⁸ ხელშეკრულება, ასევე, ადგენს რეგიონული ენერგეტიკული ბაზრების ფუნქციონირების მექანიზმს ხელშეკრულების მხარეთა და ევროკავშირის მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე, რაც გულისხმობს ქსელის ენერჯიის შორ მანძილზე ტრანსპორტირებას, მიწოდების უსაფრთხოებას, ენერჯიის მიწოდებას მოქალაქეებისთვის, ჰარმონიზაციას, განახლებადი ენერჯიის წყაროების ხელშეწყობას და ენერგოეფექტურობას.⁷⁹ ბუნებრივია, ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის დაახლოება ხდება წევრი ქვეყნების ბაზრების ინტეგრირების შესაძლებლობების გათვალისწინებით.⁸⁰

⁷³ UN Security Council Resolution 1244 (1999) on the Situation relating Kosovo.

⁷⁴ Buzek J., Boltz W., Borozan V., Ferretti F., Svilanovic G., Makukha, V., An Energy Community for the Future: Report by the High Level Reflection Group of the Energy Community. European Energy Journal, Vol. 5, No. 1, 2015, 16.

⁷⁵ Council Decision 2006/500/EC of 29 May 2006 on the Conclusion by the European Community of the Energy Community Treaty.

⁷⁶ Buzek J., Boltz W., Borozan V., Ferretti F., Svilanovic G., Makukha, V., An Energy Community for the Future: Report by the High Level Reflection Group of the Energy Community. European Energy Journal, Vol. 5, No. 1, 2015, 17-18.

⁷⁷ იქვე, 18.

⁷⁸ Samkharadze I., Europeanization of energy law and policy beyond the Member States: The Case of Georgia, Energy Policy Journal, Vol. 130, 2019, 1-6.

⁷⁹ ვახანია თ., საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში განხორციელების ანალიზი, კვლევითი დოკუმენტი, 2016, 4.

⁸⁰ წურნუშია თ., ჯანელიძე ს., „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების ოქმით განსაზღვრული ვალდებულებები ენერგეტიკის დარგში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, 2019, 6.

ხელშეკრულების ფარგლებში მუდმივად ხდება ახალი სექტორების ჩართვა, ძველი დირექტივებისა თუ რეგულაციების განახლება ან შეცვლა, ევროკომისიის ახალი დადგენილებებით. ევროკავშირის კანონმდებლობა ვითარდება და მასთან ერთად ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულება მუდმივად განიცდის ცვლილებებს⁸¹, თუმცა თითოეული ცვლილება ითვალისწინებს ხელშემკვრელი მხარის სპეციფიურ მდგომარეობას ენერგეტიკის სექტორებში. კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე გადაწყვეტილებები მიიღება ევროკომისიის წინადადების საფუძველზე, ენერგეტიკული გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მინისტრთა საბჭოს ხმათა უმრავლესობით.⁸² ხელშეკრულება ქმნის ერთიან ენერგეტიკულ ბაზარს ხელშემკვრელ მხარეებს შორის შიდა საზღვრების გარეშე, რომელშიც მხარეებს შორის აკრძალულია საბაჟო გადასახადები და ენერჯის რაოდენობრივი იმპორტისა და ექსპორტის შეზღუდვები, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა.⁸³ ხელშეკრულება, ასევე, ითვალისწინებს დებულებებს მესამე ქვეყნებთან ურთიერთობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.⁸⁴

ენერგეტიკული გაერთიანების ინსტიტუტებია მინისტრთა საბჭო, მუდმივმოქმედი მაღალი დონის ჯგუფი, მარეგულირებელი საბჭო, ფორუმი და სამდივნო.⁸⁵ მინისტრთა საბჭო უზრუნველყოფს ხელშეკრულებით დადგენილი მიზნების მიღწევას და ამტკიცებს საპროცესო აქტებს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს კონკრეტული ამოცანების, უფლებამოსილების ან ვალდებულებების მინიჭებას.⁸⁶ მუდმივმოქმედი მაღალი დონის ჯგუფის მთავარი მიზანია მინისტრთა საბჭოს მუშაობის მომზადება⁸⁷, ხოლო მარეგულირებელი საბჭო კონსულტაციას უწევს მინისტრთა საბჭოს ან მუდმივმოქმედ მაღალი დონის ჯგუფს ნორმატიული, ტექნიკური და მარეგულირებელი ნესების დეტალებზე

⁸¹ Energy Community Treaty, Chapter VII – The Adaptation and Evolution of the Acquis, Arts. 24-25.

⁸² იქვე, Title V – Institutions of the Energy Community Chapter I – The Ministerial Council.

⁸³ გაბრიჩიძე გ., ევროპული კავშირის სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2012.

⁸⁴ Buzek J., Boltz W., Borozan V., Ferretti F., Svilanovic G., Makukha, V., An Energy Community for the Future: Report by the High Level Reflection Group of the Energy Community. European Energy Journal, Vol. 5, No. 1, 2015, 20.

⁸⁵ Energy Community Treaty, Title V – Institutions of the Energy Community.

⁸⁶ ქოჩლაძე მ., გოჩიტაშვილი თ., ჭიაბრიშვილი ი., მაღრაძე ნ., კვარაცხელია თ., საქართველო და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება ევროინტეგრაციის გამოწვევები, მწვანე ალტერნატივა, 2015, 15.

⁸⁷ Energy Community Treaty, Title V – Institutions of the Energy Community Chapter II – The Permanent High Level Group.

და გაცემს რეკომენდაციებს ტრანსსასაზღვრო დავების შესახებ, რომელშიც ჩართულია ორი ან მეტი მარეგულირებელი ორგანო.⁸⁸ ენერგეტიკულ თანამეგობრობას კონსულტაციას უწევს ორი ფორუმი, რომელიც დაკომპლექტებულია ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლების, მათ შორის, სამრეწველო სექტორის, მარეგულირებელი ორგანოების, მრეწველობის წარმომადგენელი ჯგუფებისა და მომხმარებლების მიერ.⁸⁹ სამდივნო განიხილავს მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას⁹⁰ და მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სერიოზული და მუდმივი დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილია შეუჩეროს მათ ხელშეკრულებით მინიჭებული ზოგიერთი უფლებით სარგებლობა, რომელიც მოიცავს ხმის მიცემის უფლების შეჩერებასა და შეხვედრებზე დასწრების აკრძალვას ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ მექანიზმებს.⁹¹ კომპეტენციების განსახორციელებლად ინსტიტუტები ღებულობენ რეგულაციებს, დირექტივებს, გადაწყვეტილებებს, რეკომენდაციებს და მოსაზრებებს.⁹²

„ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ საქართველოს განწევრიანების თაობაზე თანხმობის შესახებ“ ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრთა საბჭოს 2016 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით 2017 წლის 1 ივლისს საქართველო გახდა ენერგეტიკული გაერთიანების წევრი.

4. ენერგეტიკული პაკეტი

პირველი ენერგეტიკული პაკეტი შეიცავდა ორ დირექტივას, კერძოდ, პირველ ელექტროენერჯის დირექტივას, მიღებულს 1996 წელს⁹³ და პირველ ბუნებრივი გაზის დირექტივას, მიღებულს 1998 წელს⁹⁴. პირველ ენერგეტიკულ პაკეტში შემავალი დირექტივების მოქმედების სფერო შემოიფარგლებოდა

⁸⁸ Rules of Procedure of 16 October 2015 of the Permanent High Level Group of the Energy Community.

⁸⁹ Energy Community Treaty, Title V – Institutions of the Energy Community Chapter IV – The Fora.

⁹⁰ იქვე, Title V – Institutions of the Energy Community Chapter VI – The Secretariat.

⁹¹ Energy Community Treaty, Art. 92.

⁹² Treaty on European Union and the Treaty on the Functioning of the European Union, Art. 288.

⁹³ Directive 96/92/EC of the European Parliament and of the Council of 19 December 1996 concerning Common Rules for the Internal Market in Electricity.

⁹⁴ Directive 98/30/EC of the European Parliament and of the Council of 22 June 1998 concerning Common Rules for the Internal Market in Natural Gas.

ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის საკითხებით.⁹⁵ ასევე, ითვალისწინებდა გადამცემი სისტემის ოპერატორების (TSOs) მართვისა და აღრიცხვის განცალკევებას. ნევრ სახელმწიფოებს ეს დირექტივები ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა აესახათ 1998 წლამდე ელექტროენერჯიის ნაწილში, ხოლო 2000 წლამდე ბუნებრივი გაზის ნაწილში⁹⁶.

მეორე ენერგეტიკული პაკეტი მიღებულ იქნა 2003 წელს და მოიცავდა ორ დირექტივას⁹⁷ და რეგულაციას „ელექტროენერჯიის ტრანსსასაზღვრო ქსელზე წვდომის პირობების შესახებ“.⁹⁸ მეორე ენერგეტიკული პაკეტი მიზნად ისახავდა ელექტროენერჯიის და გაზის შიდა ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესში ნევრ ქვეყნებს შორის ეროვნული ენერგეტიკული ბაზრების დერეგულაციის ხარისხში არსებული განსხვავებების შერბილებას, რაც, საშუალებას მისცემდა სამრეწველო და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს თავისუფლად აერჩიათ გაზისა და ელექტროენერჯიის მიმწოდებელი.⁹⁹ ასევე, პაკეტი ითვალისწინებდა გადამცემი სისტემის ოპერატორების (TSO) სამართლებრივ განცალკევებას¹⁰⁰ და მოითხოვდა ნევრ სახელმწიფოებისაგან შეექმნათ ეროვნული მარეგულირებელი კომისიები (NRAs), რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებოდნენ ელექტროენერჯიის ინდუსტრიისგან.¹⁰¹ მეორე ენერგეტიკული პაკეტის დირექტივების

⁹⁵ Kovács P., Szczerski K., Binhack P., Farkas M., Jaroš J., Kołaczowski M., Ruszel M., Szlagowski P., Szolnoki E., Ševce P., Albrycht I., Energy security of the V4 countries. How do energy relations change in Europe, Edited by Joanna Świątkowska, The Kosciusko Institute, Krakow, 2011, 89-90.

⁹⁶ Directive 96/92/EC of the European Parliament and of the Council of 19 December 1996 concerning Common Rules for the Internal Market in Electricity; Directive 98/30/EC of the European Parliament and of the Council of 22 June 1998 concerning Common Rules for the Internal Market in Natural Gas.

⁹⁷ Directive 2003/55/EC of the European Parliament and of the Council of 26 June 2003 concerning Common Rules for the Internal Market in Natural Gas, L 176, 15.7.2003; Directive 2003/54/EC of the European Parliament and of the Council of 26 June 2003 concerning Common Rules for the Internal Market in Electricity, L 176, 15.7.2003.

⁹⁸ Regulation (EC) No 1228/2003 of the European Parliament and of the Council of 26 June 2003 on Conditions for Access to the Network for Cross-border Exchanges in Electricity.

⁹⁹ Kovács P., Szczerski K., Binhack P., Farkas M., Jaroš J., Kołaczowski M., Ruszel M., Szlagowski P., Szolnoki E., Ševce P., Albrycht I., Energy Security of the V4 Countries, How Do Energy Relations Change in Europe, Edited by J. Świątkowska, The Kosciusko Institute, Krakow, 2011, 90.

¹⁰⁰ Joode J., Kingma D., Lijesen M., Mulder M., Shestalova V., Energy Policies and Risks on Energy Markets, A Cost-benefit Analysis, Netherlands Bureau for Economic Policy Analysis, 2004, 118.

¹⁰¹ Joode J., Oostvoorn F., European Energy Market Liberalisation and Integration: An Assessment of the New EU Energy Package, Energy Research Centre of the Netherlands ECN, Petten, 2008.

ეროვნულ დონეზე გადმოტანასთან დაკავშირებით ვადად განისაზღვრა 2004 წელი, ხოლო ზოგიერთი დებულებისთვის 2007 წელი.¹⁰²

მესამე ენერგეტიკული პაკეტი მოიცავდა ორ დირექტივას¹⁰³ და სამ რეგულაციას¹⁰⁴. პაკეტი მიზნად ისახავდა ენერგეტიკული შიდა ბაზრების შემდგომ ლიბერალიზაციასა და ინტეგრაციას. ის მოიცავს, დებულებებს, რომლებიც მოითხოვდნენ ქსელის ოპერატორების შემდგომ განცალკევებას და ენერგეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტოს (ACER) დაარსებას. მესამე პაკეტმა გააძლიერა ეროვნული მარეგულირებელი კომისიების (NRA) დამოუკიდებლობა.¹⁰⁵ მნიშვნელოვანია, რომ ასევე, შეიქმნა ელექტროენერჯისა და გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორების ევროპული ქსელები (ENTSO-E და ENTSO-G), ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით.¹⁰⁶ მესამე ენერგეტიკული პაკეტი ადგენს საცალო ბაზრებზე კონკურენციის გაზრდისა და გაუმჯობესების წესებს.¹⁰⁷ საბოლოოდ, მესამე ენერგეტიკულმა პაკეტმა გამოიწვია ელექტროენერჯის და გაზის ქსელის წესების შექმნა, რომლის შესაბამისად იმართება დღეს ბაზარი.¹⁰⁸ პაკეტის გადმოტანა

¹⁰² Directive 2003/55/EC of the European Parliament and of the Council of 26 June 2003 concerning Common Rules for the Internal Market in Natural Gas, L 176, 15.7.2003, Art. 23; Directive 2003/54/EC of the European Parliament and of the Council of 26 June 2003 concerning Common Rules for the Internal Market in Electricity, L 176, 15.7.2003, Art. 21.

¹⁰³ Directive 2009/72/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Electricity and Repealing Directive 2003/54/EC; Directive 2009/73/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Natural Gas and Repealing Directive 2003/55/EC.

¹⁰⁴ Regulation (EC) No 713/2009 of the European parliament and of the Council of 13 July 2009 Establishing an Agency for the Cooperation of Energy Regulators; Regulation (EC) No 714/2009 of the European parliament and of the Council of 13 July 2009 on Conditions for Access to the Network for Cross-border Exchanges in Electricity and Repealing Regulation (EC) No 1228/2003; Regulation (EC) No 715/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on Conditions for Access to the Natural Gas Transmission Networks and Repealing Regulation (EC) No 1775/2005.

¹⁰⁵ ონაშვილი ა., ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნები ენერგეტიკის რეგულირების სფეროში – საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოს როლო და ფუნქციები, წიგნში: ევროპის „ენერგეტიკული გაერთიანება“ და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბილისი, 2017, 63-67.

¹⁰⁶ Joode J., Oostvoorn F., European Energy Market Liberalisation and Integration: An Assessment of the New EU Energy Package, Energy Research Centre of the Netherlands ECN, Petten, 2008.

¹⁰⁷ მარგველაშვილი მ., წურნუშია თ., თოდრაძე გ., მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., ინფორმაციის მონაცემების გამჭვირვალობა ენერგეტიკაში, წიგნში: ევროპის „ენერგეტიკული გაერთიანება“ და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბილისი, 2017, 5, 24.

¹⁰⁸ Nouicer A., Meeus L., The EU Clean Energy Package, Florence School of Regulation, 2019, 35-37.

ეროვნულ კანონმდებლობაში ნევრ სახელმწიფოებს უნდა უზრუნველყოთ 2011 წლის მარტამდე¹⁰⁹.

მესამე ენერგეტიკული პაკეტი ეფუძნება ევროკავშირის ძირითად ენერგეტიკულ კანონმდებლობას, მათ შორის ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებას. მესამე პაკეტი არის ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ძალაშია 2009 წლიდან და ემსახურება ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურულ პრობლემებს და ხელს უწყობს ბაზრის ლიბერალიზაციას. კონკურენციის მიზნით ბაზრის გახსნის პირველი ლიბერალიზაციის დირექტივები იყო სწორედ პირველი ენერგეტიკული პაკეტი და მეორე ენერგეტიკული პაკეტი, რამაც განაპირობა მომხმარებლის მიერ ბაზარზე, მიმწოდებლის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა. თუმცა ჯანსაღი კონკურენციისთვის ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების მხოლოდ სამართლებრივი განცალკევება არ აღმოჩნდა საკმარისი და შესაბამისად მესამე პაკეტმა განსაზღვრა, კონკურენტული საქმიანობების, მიწოდების და გენერაციის გამიჯვნა ქსელის ოპერატორების, გადამცემი სისტემის, საქმიანობისგან, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ მონოპოლიურ საქმიანობას.¹¹⁰ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (ECJ) არსებული მონოპოლიური უფლებების კონკურენციის კანონის წესებით სამართლებრივი შეფასებისას, აღნიშნა, რომ სანარმოსთვის სპეციალური უფლებების მინიჭება კანონიერია, მაგრამ ამ უფლებების განხორციელება შეიძლება დაექვემდებაროს კონკურენციის წესებს, კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად ნევრი სახელმწიფოების უფლებისა, კონკრეტული სერვისები განახორციელონ უნივერსალური მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად, თუმცა ეს უფლება უნდა იყოს შეზღუდული, რამდენადაც აღნიშნული შეზღუდვა აუცი-

¹⁰⁹ Directive 2009/72/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Electricity and Repealing Directive 2003/54/EC; Directive 2009/73/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Natural Gas and Repealing Directive 2003/55/EC; Regulation (EC) No 713/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 Establishing an Agency for the Cooperation of Energy Regulators; Regulation (EC) No 714/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on Conditions for Access to the Network for Cross-border Exchanges in Electricity and Repealing Regulation (EC) No 1228/2003; Regulation (EC) No 715/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on Conditions for Access to the Natural Gas Transmission Networks and Repealing Regulation (EC) No 1775/2005.

¹¹⁰ Joode J., Kingma D., Lijesen M., Mulder M., Shestalova V., Energy Policies and Risks on Energy Markets; A Cost-benefit Analysis, Netherlands Bureau for Economic Policy Analysis, 2004, 67-68, 94.

ლებელია საჯარო მომსახურების მისიისთვის.¹¹¹ ეს გადანყვეტილება განმარტავდა სახელმწიფო მონოპოლიების საზღვრებს კონკურენციის სამართლის კონტექსტში და ხაზს უსვამდა ბალანსის მნიშვნელობას საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულებებსა და ევროკავშირის შიგნით თავისუფალი ბაზრის კონკურენციის პრინციპებს შორის.

მესამე ენერგეტიკული პაკეტის (რომელიც ცნობილია როგორც ევროკავშირის ენერგეტიკული ბაზრის კანონმდებლობის წინა რაუნდი) მიზანია შიდა ენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესება და გარკვეული სტრუქტურული პრობლემების მოგვარება. პაკეტი მოიცავს ხუთ მნიშვნელოვან სფეროს, კერძოდ, განცალკევებას, დამოუკიდებელ მარეგულირებლის გაძლიერებას, ენერგეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტოს დაარსებას, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას და ღია და სამართლიან საცალო ბაზრების ჩამოყალიბებას.¹¹² მესამე ენერგეტიკული პაკეტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომელიც ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების ძირითადი შემადგენელი ნაწილია და მისი ხუთი სფეროდან სავალდებულოა მხოლოდ ოთხი ხელშეკრულების ხელშემკვრელი მხარეებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის; ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულება არ ავალდებულებს მხარეებს ენერგეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტოში განეწიანებას.¹¹³ საქართველოს ვალდებულება კანონმდებლობაში ასახოს ქსელის ოპერატორების განცალკევება მიწოდება, გენერაციის საქმიანობისგან, ასევე, მარეგულირებლის როლის და მისი დამოუკიდებლობის გაძლიერება, ტრანსსასაზღვრო სისტემის ოპერატორებს შორის თანამშრომლობა და გადამცემი სისტემის ოპერატორებისათვის ევროპული ქსელების შექმნა, ასევე, მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით საცალო ბაზრების გამჭვირვალობა ასახულია ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ საქართველოს კანონში.¹¹⁴

¹¹¹ Judgment of the Court of 19 May 1993, Criminal proceedings against Paul Corbeau, Reference for a Preliminary Ruling: Tribunal correctionnel de Liège – Belgium, Competition, Postal monopoly, Scope, Case C-320/91.

¹¹² Third Energy Package, <https://ec.europa.eu/energy/topics/markets-and-consumers/market-legislation/third-energy-package_en> [24.06.2024]

¹¹³ წურნუშია თ., ჯანელიძე ს., „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების ოქმით განსაზღვრული ვალდებულებები ენერგეტიკის დარგში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, 2019, 7.

¹¹⁴ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის VI თავი, XI თავი, XXVIII თავი, XXX თავი.

სუფთა ენერჯია ყველა ევროპელის პაკეტი, მოხსენიებული, როგორც სუფთა ენერჯის პაკეტი (CEP), არის რვა საკანონმდებლო აქტი¹¹⁵ შენობების ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერჯის, ენერგოეფექტურობის, მმართველობისა და ელექტროენერჯის ბაზრის დიზაინის შესახებ. ევროკომისიამ პაკეტის პირველადი წინადადება 2016 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა და მას იმ დროს მეტსახელად ზამთრის პაკეტიც ეწოდა. პაკეტი დასრულდა მისი საბოლოო ტექსტების გამოქვეყნებით ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში 2019 წლის ივნისში. სუფთა ენერჯის პაკეტი არის მეოთხე პაკეტი და წინა ენერგეტიკული პაკეტებისგან განსხვავებით, ის არ შეიცავს კონკრეტულ კანონმდებ-

¹¹⁵ ენერგოეფექტურობის შესახებ დირექტივა შენობებში (EU) 2018/844: დირექტივა ადგენს კონკრეტულ დებულებებს უკეთესი და ენერგოეფექტური შენობებისთვის. ის განაახლებს და ცვლის 2010/31/EC დირექტივის ბევრ დებულებას; განახლებადი ენერჯის დირექტივა (EU) 2018/2001: დირექტივა ადგენს სავალდებულო სამიზნე 32%-ს განახლებადი ენერჯის წყაროებისთვის (RES) ევროკავშირის ენერგეტიკულ ნარევიში 2030 წლისთვის, 2023 წლისთვის შესაძლო გადახედვით. იგი ასევე მოიცავს დებულებებს განახლებადი ენერჯის წყაროების განახლების შესახებ ტრანსპორტის და გათბობა-გაგრილების სექტორებში; ენერგოეფექტურობის დირექტივა (EU) 2018/2002: დირექტივა ადგენს ენერგოეფექტურობის მიზნად 32.5%-ს 2030 წლისთვის, 2007 წლის საბაზისო სცენართან შედარებით, 2023 წელს შესაძლო გადასინჯვით. ის ასევე მოიცავს დებულებებს, რომლებიც აფართოებენ ენერჯის დაზოგვის ვალდებულებას და სითბოს მრიცხველების დისტანციური კითხვა; ენერგეტიკული გაერთიანების რეგულაციის მართვა (EU) 2018/1999: რეგულაცია ადგენს ენერგეტიკული გაერთიანების მართვის ახალ სისტემას. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ინტეგრირებული 10-წლიანი ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმა (NECP) 2021-2030 წლების გრძელვადიანი პერსპექტივით 2050 წლამდე. გეგმაში აისახება თუ როგორ მიაღწევს წევრი სახელმწიფო თავის შესაბამის მიზნებს; ელექტროენერჯის რეგულაცია (EU) 2019/943: რეგულაცია ადგენს ევროკავშირის ელექტროენერჯის შიდა ბაზრის პრინციპებს. ძირითადი აქცენტი კეთდება როგორც საბითუმო ბაზარზე, ასევე ქსელის ოპერირებაზე. რეგულაცია მოიცავს დებულებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ელექტროენერგეტიკული ქსელის წესებზე. ის ადგენს, მაგალითად, ახალი სატენდერო ტერიტორიის განხილვის პროცესს და აყალიბებს რეგიონულ საკოორდინაციო ცენტრებს და ანაცვლებს უსაფრთხოების რეგიონულ კოორდინატორებს; ელექტროენერჯის დირექტივა (EU) 2019/944: დირექტივა ადგენს ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდებისა და შენახვის წესებს. ის ასევე მოიცავს მომხმარებელთა გაძლიერებისა და დაცვის ასპექტებს. გარდა ამისა, ბაზრის დიზაინის დირექტივა ადგენს დებულებებს სადისტრიბუციო სისტემის ოპერატორების მიერ შესყიდვების მოქნილობის უზრუნველსაყოფად; რისკისთვის მზადყოფნის რეგულაცია (EU) 2019/941: რეგულაცია წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს მოამზადონ სამოქმედო გეგმები მომავალი პოტენციური ენერგეტიკული კრიზისებისთვის. მათ უნდა გამოიყენონ საერთო მეთოდები და გამოავლინონ ენერგეტიკული კრიზისის შესაძლო სცენარები როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე. რისკისთვის მზადყოფნის გეგმები უნდა ეფუძნებოდეს ამ სცენარებს; ACER რეგულაცია (EU) 2019/942: რეგულაცია განაახლებს ევროკავშირის ენერგეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტოს (ACER) როლს და ფუნქციონირებას. სუფთა ენერჯის პაკეტი ასევე აძლიერებს ACER-ის კომპეტენციას ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობაში. გარდა ამისა, ის ადაპტირებს ACER-ის მიზნებს სუფთა ენერჯის მიერ დადგენილ ახალ მარეგულირებელ ჩარჩოსთან.

ლობას გაზის სექტორისთვის. სუფთა ენერჯიის პაკეტი აგრძელებს ენერგეტიკული პოლიტიკის ჩარჩოს, რომელიც ჩამოყალიბებულია მესამე ენერგეტიკული პაკეტით და გზას უხსნის წიაღისეული სანვავიდან ნახშირბადის ნეიტრალურ ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლას,¹¹⁶ კერძოდ, აახლებს ევროკავშირის მიზნებს 2030 წლისთვის. ამ პაკეტით ევროკავშირი მიზნად ისახავს სათბური გაზების (GHG) ემისიების 40%-ით შემცირებას 1990 წელთან შედარებით; ევროკავშირის ენერგეტიკულ ბალანსში 32% განახლებადი ენერჯიის წყაროების არსებობას (RES) და ენერგოეფექტურობის 32.5% გაზრდას 2007 წლის საბაზისო სცენართან შედარებით.¹¹⁷

„ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შეერთების ოქმზე“ ხელმოწერით საქართველომ კიდევ ერთხელ გადადგა ნაბიჯი ევროპული ინტეგრაციისკენ და გამოთქვა მზაობა, ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობა დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობას. ენერგეტიკული რეფორმა რთული, შრომატევადი პროცესია, თუმცა ამ პროცესით საძირკველი ეყრება საქართველოს ადგილს ევროპულ გაერთიანებაში.

5. კლიმატი და ენერგეტიკა

ევროკავშირი 21-ე საუკუნეში დგას უმნიშვნელოვანესი გამოწვევის წინაშე, როგორცაა, ერთი მხრივ, გლობალური გამოწვევა კლიმატის ცვლილება და მეორე მხრივ, ენერგოუსაფრთხოება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირი დაახლოებით 61% დამოკიდებულია ენერგოიმპორტზე¹¹⁸, რაც თავის მხრივ დიდი რისკია და ეს დადასტურდა კიდევ 2021-2022 წლის ზამთრის პერიოდში¹¹⁹.

¹¹⁶ Nouicer A., Meeus L., The EU Clean Energy Package, Florence School of Regulation, 2019, 34-35.

¹¹⁷ Regulation (EU) 2018/1999 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Governance of the Energy Union and Climate Action, amending Regulations (EC) No 663/2009 and (EC) No 715/2009 of the European Parliament and of the Council, Directives 94/22/EC, 98/70/EC, 2009/31/EC, 2009/73/EC, 2010/31/EU, 2012/27/EU and 2013/30/EU of the European Parliament and of the Council, Council Directives 2009/119/EC and (EU) 2015/652 and repealing Regulation (EU) No 525/2013 of the European Parliament and of the Council (Text with EEA relevance.), (6), Art. 2 (11).

¹¹⁸ Database Eurostat, <https://ec.europa.eu/eurostat/data/database?node_code=nrg_ind_id> [10.01.2022]

¹¹⁹ Russia is Orchestrating Europe's Gas Crisis, Says Energy Agency Boss, Fatih Birol Says Low Gas Flows to Continent Coincide with Escalating Rift over Ukraine, <<https://www.theguardian.com/business/2022/jan/12/russia-europe-gas-crisis-international-energy-agency-boss>> [14.01.2020]

მაღალი ენერგოდამოკიდებლობის საპასუხოდ იყო სწორედ 2010 წელს მიღებული „2020 წლის კონკურენტუნარიანი, მდგრადი და უსაფრთხო ენერჯიის სტრატეგია“, რომელიც განსაზღვრავდა ენერგეტიკულ პრიორიტეტებს მომდევნო ათი წლისთვის და ადგენდა, თუ რა ქმედებები უნდა განხორციელებულიყო ენერჯიის დაზოგვის გამონწვევების დასაძლევად, კონკურენტული ფასებით და უსაფრთხო მიწოდებით.¹²⁰ სათბურის გაზების ემისიის 20%-ით შემცირებით (პრეინდუსტრიულ დონესთან (1990 წელი) შედარებით), ენერგოეფექტურობის 20 %-ით გაუმჯობესებითა და განახლებადი ენერჯიის ხვედრითი წილის 20%-ით გაზრდით ევროკავშირი გეგმავდა ხელი შეეწყო დაბალნახშირბადიანი ენერგეტიკული ეკონომიკის განვითარებისთვის.¹²¹ ამ დოკუმენტით ევროკავშირმა გამოკვეთა კონკურენციის აუცილებლობა, მდგრადი განვითარება და ენერგოუსაფრთხოება, რაც მიწოდების უსაფრთხოებას მოიცავს და ეს უმნიშვნელოვანესი სამი მიზანი, დღემდე აქტუალურია და პოლიტიკურ ხასიათს ატარებს.

2014 წელს ევროკავშირმა ახალი პოლიტიკის დოკუმენტი მიიღო, რომელიც აერთიანებს ენერგეტიკასა და კლიმატს და მისი მიზნები 2020 წლიდან 2030 წლამდე პერიოდზე განსაზღვრა და მთავარ მიზნად კი დეკარბონიზაცია დაისახა.¹²² მთავარი მიზნები 2030 წლისთვის ევროკავშირის მდგრადი განვითარების მიღწევისთვის სათბური გაზების ემისიის 40 %-ით შემცირება (პრეინდუსტრიულ დონესთან (1990 წელი) შედარებით), ენერგოეფექტურობის 32%-ით გაუმჯობესება და განახლებადი ენერჯიის ხვედრითი წილის 32%-ით ზრდა განისაზღვრა.¹²³

ევროპის მწვანე შეთანხმება¹²⁴ ასევე, მიმართულია დაბალნახშირბადიან ეკონომიკისკენ 2030 წლისთვის ემისიების 50%-ით შემცირებით (1990 წელთან შედარებით), თუმცა არ ითვალისწინებს განახლებადი ენერჯიებისა და ენერგოეფექტურობაში მზარდი ინვესტირების განხორციელების გზით ეკონომიკის ზრდასა და ემისიების შემცირებას შორის კავშირის განყვეტას

¹²⁰ Communication from the Commission to the European Council, the European Parliament, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, Energy 2020 A Strategy for Competitive, Sustainable and Secure Energy, COM(2010)639, 10.11.2010.

¹²¹ იქვე.

¹²² Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, A Policy Framework for Climate and Energy in the Period from 2020 to 2030, COM(2014)15 Final, 22.01.2014.

¹²³ იქვე.

¹²⁴ European Commission, Green Paper A 2030 Framework for Climate and Energy Policies Brussels, COM(2013)169 final, 27.3.2013.

(Decoupling)¹²⁵. ევროპის კავშირის კლიმატ-ენერგეტიკული სამართალი ეფუძნება განახლებად ენერჯიას, რომელიც მუდმივად ვითარდება. ევროპის მწვანე შეთანხმება მართვის მთავარი იარაღია, რამაც გავლენა მოახდინა მმართველობის არაერთ რეგულაციაზე. მუდმივი განვითარების ეტაპზე შემშავებულ იქნა ე.წ. „ევროპის კლიმატის კანონი“¹²⁶, რომელიც აუცილებელია ნულოვანი ნეტო ემისიების მიზნის მიღწევისთვის და ამ პროცესში თითოეული სექტორის მონაწილეობა გადამწყვეტია.¹²⁷ კანონი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ევროკავშირის გრძელვადიანი კლიმატური სტრატეგიისთვის, რადგან უზრუნველყოფს საერთო სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს საბუნების გაზების ნეტო გაფრქვევების ნულოვან დონეს 2050 წლისთვის. კლიმატის კანონი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აკისრებს ვალდებულებას, შეასრულონ კონკრეტული კლიმატური მიზნები, რითაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის გამჭვირვალობას და პროგრესის უწყვეტ მონიტორინგს.¹²⁸ კანონით დაწესებული 2030 წლისთვის 55%-იანი ემისიების შემცირების და 2050 წლისთვის კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევის კონკრეტული მაჩვენებლები ხელს უწყობს კლიმატური მოქმედებების განრიგის მკაფიოდ განსაზღვრას და მოითხოვს, რომ ეკონომიკის ყველა სექტორმა, მათ შორის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის სფეროებმა, შეიტანოს წვლილი საერთო მიზნის მიღწევაში.¹²⁹ კლიმატის კანონი ქმნის სტაბილურ და პროგნოზირებად სამართლებრივ გარემოს, რაც ხელს უწყობს მწვანე ტექნოლოგიების განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვას და ევროკავშირის საშუალებას აძლევს, იყოს კლიმატური პოლიტიკის გლობალური ლიდერი და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის მოდელი. საბოლოო ჯამში, კლიმატის კანონი არა მხოლოდ ეკოლოგიური მდგრადობისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ ის ახალ შესაძლებლობებს ქმნის ეკონომიკური ზრდისთვის, სამუშაო ადგილების შესაქმნელად და საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

¹²⁵ მიქაქე ე., ევროპის მწვანე შეთანხმება და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2021.

¹²⁶ Regulation (EU) 2021/1119 of the European Parliament and of the Council of 30 June 2021 Establishing the Framework for Achieving Climate Neutrality and Amending Regulations (EC) No. 401/2009 and (EU) 2018/1999 ('European Climate Law').

¹²⁷ European Climate Law <https://climate.ec.europa.eu/eu-action/european-climate-law_en> [29.01.2025]

¹²⁸ მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., შათირიშვილი ნ., ინაშვილი მ., ურგებაშვილი ი., საქართველოს მზაობის შეფასება ევროპის მწვანე შეთანხმების მიმართ, EU/UNDP, EU4Climate, თბილისი, 2022, 10.

¹²⁹ იქვე.

მწვანე შეთანხმების მიზნების შესრულების ე.წ. “Fit for 55” პაკეტი აღწერს, თუ როგორ აპირებს ევროკავშირი კლიმატის მიზნების მიღწევას ევროკავშირის მწვანე შეთანხმების ფარგლებში. “Fit for 55” აწესებს სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლებს განახლებადი ენერჯიის სფეროში და კონკრეტული დირექტივის განახლების მესამე ფაზას (RED III). პაკეტის მიზანია 2030 წლისათვის და შემდეგ პერიოდში მწვანე გარდაქმნის საკანონმდებლო ჩარჩოს დადგენა.¹³⁰ მწვანე შეთანხმების მიზნების შესრულებისათვის წამოაყენებს არსებულ რვა სამართლებრივ აქტში ცვლილებისა და ხუთი ახალი იურიდიული თუ პოლიტიკის დოკუმენტის მიღებას.¹³¹ განსაკუთრებით საყურადღებოა განახლებადი ენერჯიის წილის 40%-მდე ზრდა, ენერგოეფექტურობის ჯამური სამიზნე მაჩვენებლის შესამჩნევი მატება (36-39%), ემისიებით ვაჭრობის სქემა (ETS) და ძალისხმევის გაზიარების რეგულაციის (ESR) მიღება; ნოვაციათა შორისაა ნახშირბადის ფასის მექანიზმების შემუშავება (ე.წ. ნახშირბადის საზღვრის კორექტირების მექანიზმის რეგულაცია (CBAM)) და მწვანე წყალბადის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.¹³²

აღნიშნული ინიციატივების გადმოტანა საქართველოს კანონმდებლობაში ჯერჯერობით სავალდებულო არ არის. თუმცა მათი გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნება ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მაღალი დამაბინძურებლობით (ცემენტი, რკინა და ფოლადი, ალუმინი, სასუქები, ელექტროენერჯია) ვაჭრობისას. საქართველოში მიმდინარეობს დისკუსია ემისიებით ვაჭრობის სქემის შემოღებასთან დაკავშირებით. ქვეყანას ასევე გადმოტანილი აქვს განახლებადი ენერჯიის შესახებ და ენერგოეფექტიანობის შესახებ დირექტივების წინა ვერსიები. მიუხედავად იმისა, რომ “Fit for 55” პაკეტის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა ჯერ არ არის სავალდებულო საქართველოსთვის, მას ექნება გავლენა ევროკავშირთან ვაჭრობაზე. საქართველომ წარადგინა განახლებადი NDC (ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი) 2021 წლის 5 მაისს, რითაც აიღო უპირობო ვალდებულება, 2030 წლისთვის შეამციროს სათბურის გაზების გაფრქვევები 35%-ით 1990 წელთან შედარებით და გაზარდოს ეს სამიზნე მაჩვენებელი 50-57%-მდე საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაში.¹³³ ენერჯე-

¹³⁰ Fit for 55 <<https://www.consilium.europa.eu/en/policies/fit-for-55/>> [29.01.2025]

¹³¹ Timeline – European Green Deal and Fit for 55 <<https://www.consilium.europa.eu/en/policies/green-deal/timeline-european-green-deal-and-fit-for-55/>> [29.01.2025]

¹³² მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., შათირიშვილი ნ., ინაშვილი მ., ურგებაშვილი ი., საქართველოს მზაობის შეფასება ევროპის მწვანე შეთანხმების მიმართ, EU/UNDP, EU4Climate, თბილისი, 2022, 19.

¹³³ „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციის „პარიზის შეთანხმებით“ გათვა-

ტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმა (NECP) არის ევროკავშირის ახალი ინიციატივა და ენერგეტიკული კავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის ასევე არის რეკომენდირებული, შეიმუშავონ ერთიანი ინტეგრირებული პოლიტიკა და ღონისძიებები ენერგეტიკისა და კლიმატის საკითხების გადასაჭრელად ეროვნულ დონეზე.¹³⁴ NECP მუშავდება 2021-2030 პერიოდზე და ასევე მოიცავს ხედვას 2050 წლისთვის ევროკავშირის, ენერგეტიკული გაერთიანების ან UNFCCC-ის პოლიტიკის მიზნებთან შესაბამისობაში.¹³⁵

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით გამოწვეული სირთულეებისა და გლობალური ენერგეტიკული ბაზრის შეფერხების საპასუხოდ, ევროკომისიამ წარმოადგინა REPowerEU გეგმა¹³⁶. “Fit for 55” შემოთავაზებების პაკეტზე დაყრდნობით და მიწოდებისა და შენახვის ენერგეტიკული უსაფრთხოების შესახებ მოქმედებების დასრულებისას, REPowerEU-ის ეს გეგმა სთავაზობს დამატებით ქმედებებს ენერჯის დაზოგვის, მარაგების დივერსიფიკაციისა და წიაღისეული სანავის ევროპის სუფთა ენერჯით სწრაფად ჩანაცვლებას გარდამავალი პროცესის დაჩქარებით, ასევე, ინვესტიციების და რეფორმების შეთავსებას.

მწვანე შეთანხმების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ითვალისწინებს არა ეკონომიკური ზრდის შეფერხება/შეჩერებას (Degrowth), არამედ ეკონომიკის ზრდასა და ემისიების შემცირებას შორის კავშირის განწყვეტას (Decoupling), განახლებადი ენერჯიებისა და ენერგოეფექტურობაში მზარდი ინვესტირების განხორციელების გზით.¹³⁷ მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მწვანე შეთანხმება მისი ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური პროექტია და უწოდეს კიდევ „ევროპის ადამიანი მთვარეზე“; ზოგიერთი ექ-

ლისწინებული – „საქართველოს განახლებადი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC)“, საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა და საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის 2021 – 2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 აპრილის №167 დადგენილებით დამტკიცებული გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციის „პარიზის შეთანხმებით“ გათვალისწინებული, საქართველოს განახლებადი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC)“.

¹³⁴ National Energy and Climate Plans <https://commission.europa.eu/energy-climate-change-environment/implementation-eu-countries/energy-and-climate-governance-and-reporting/national-energy-and-climate-plans_en> [30.01.2025].

¹³⁵ იქვე.

¹³⁶ REPowerEU Affordable, Secure and Sustainable Energy for Europe <https://commission.europa.eu/strategy-and-policy/priorities-2019-2024/european-green-deal/repowereu-affordable-secure-and-sustainable-energy-europe_en> [14.01.2025].

¹³⁷ იხ., Samkharadze I., The Regional Energy and Climate Governance: Prospects for Energy Community Contracting Parties in the Aftermath of the European Green Deal, Journal for European Environmental & Planning Law, Vol. 20, Nos. 3-4, 2023, 236-259.

სპერტის აზრით, ის რამდენიმე გამონწვევის წინაშე დგას, როგორც თვითონ ევროკავშირის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მწვანე შეთანხმებას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე ფინანსური სირთულეები.¹³⁸ “Decoupling” ნიშნავს ეკონომიკური ზრდის და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა თუ გარემოზე ზემოქმედების ურთიერთდამოუკიდებლობას.¹³⁹ ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება გარემოსდაცვით და ენერგეტიკულ კონტექსტში, რათა აღწეროს ის პროცესი, რომლის დროსაც ეკონომიკა აგრძელებს ზრდას და განვითარებას, მაგრამ, ამავდროულად, ამ ზრდასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ზიანი ან რესურსების მოხმარება შემცირებულია ან სტაბილურად შენარჩუნებულია. “Decoupling”-ის მიზანი არის ისეთი განვითარება, რომელიც ეკონომიკურ სარგებელს მოიტანს, მაგრამ გარემოსდაცვით ზიანს მინიმუმამდე შეამცირებს ან სრულად აიცილებს.¹⁴⁰

ემისიების შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთდამოუკიდებლობის პროცესში ენერგეტიკის სამართალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ წინსვლას ისე, რომ პარალელურად შემცირდეს ნახშირბადის ემისიები და მინიმუმამდე დავიდეს გარემოზე ზემოქმედება. ეს პროცესი მიზნად ისახავს გლობალურ კლიმატურ და ენერგეტიკულ გამონწვევებზე საპასუხოდ მდგრადი და ინკლუზიური პოლიტიკის განვითარებას. ენერგეტიკის სამართალი ამ პროცესში ორიენტირებულია სხვადასხვა სამართლებრივ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ მექანიზმზე, რათა ხელი შეუწყოს “Decoupling”-ის წარმატებით განხორციელებას.

ნახშირბადის ვაჭრობის სქემები (ETS), ნახშირბადის გადასახადები, სუფთა ენერჯიის სუბსიდიები და ენერგოეფექტურობის სტანდარტები “Decouplin”-ის მხარდამჭერი სამართლებრივი მექანიზმებია.¹⁴¹ ETS-ის ფარგლებში კომპანიებს ევალებათ შეამცირონ ემისიები ან შეიძინონ ემისიების უფლებები, რაც ფინანსურ მოტივაციას ქმნის.¹⁴² ნახშირბადის გადასახადები

¹³⁸ იხ., Almeida D.V., Kolinjivadi V., Ferrando T., Roy B., Herrera H., Gonçalves M. V., Hecken G. V., The “Greening” of Empire: The European Green Deal as the EU First Agenda, Political Geography, Vol. 105, 2023.

¹³⁹ Sanyé-Mengual E., Secchi M., Corrado S., Beylot A., Sala S., Assessing the Decoupling of Economic Growth from Environmental Impacts in the European Union: A Consumption-based Approach, Journal of Cleaner Production, Vol. 236, 2019.

¹⁴⁰ იქვე.

¹⁴¹ Schäfer S., Decoupling the EU ETS from Subsidised Enewables and Other Demand-side Effects: Lessons from the Impact of the EU ETS on CO2 Emissions in the German Electricity Sector, Energy Policy, Vol. 133, 2019.

¹⁴² იქვე.

აიძულებს მათ შეამცირონ გამონახობლქვი, რათა თავიდან აიცილონ დამატებითი გადასახადები.¹⁴³ სუფთა ენერჯიის სუბსიდიები და ფინანსური სტიმულატორები ხელს უწყობენ განახლებადი ენერჯიის წყაროების განვითარებას და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, ხოლო ენერგოეფექტურობის სტანდარტები უზრუნველყოფენ ენერჯიის დაზოგვას და ნაკლებად ენერგოინტენსიური ტექნოლოგიების გავრცელებას ინდუსტრიისა და სამომხმარებლო სექტორებში. ენერგეტიკის სამართალი “Decoupling”-ის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან იგი ქმნის სამართლებრივ ჩარჩოებს, რომლებიც უზრუნველყოფს ემისიების შემცირებას ისე, რომ ეკონომიკური განვითარება არ შეფერხდეს. მისი მთავარი მიზანია გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევა, რაც ხელს შეუწყობს როგორც ეკონომიკური, ისე გარემოსდაცვითი მიზნების ერთდროულად მიღწევას. სამართლებრივი ინსტრუმენტები, როგორცაა, ნახშირბადის ვაჭრობა, გადასახადები და ენერგოეფექტურობის სტანდარტები, უზრუნველყოფენ, რომ ეკონომიკური ზრდა და ეკოლოგიური კეთილდღეობა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვითარდეს, რაც “Decoupling”-ის არსებითი საფუძველია.¹⁴⁴

RED III (Renewable Energy Directive III) არის კრიტიკული ინსტრუმენტი “Fit for 55”-ისა და სხვა კლიმატური პოლიტიკების შესრულებისთვის, რაც ევროკავშირის 2050 წლისთვის ნახშირბადნიტრალურობის მიღწევაში დაეხმარება.¹⁴⁵ RED III არის ევროკავშირის განახლებული განახლებადი ენერჯიის დირექტივა, რომელიც განახლებადი ენერჯიის წყაროების გამოყენებასთან დაკავშირებულ ახალ მიზნებსა და მოთხოვნებს ადგენს. ეს დოკუმენტი მესამე ვერსიისა და მიზნად ისახავს წინა დირექტივების გაუმჯობესებას, რათა ევროკავშირმა შეასრულოს თავისი ამბიციური კლიმატური მიზნები და განახლებადი ენერჯიის წილი ენერგეტიკულ სისტემაში გაზარდოს.¹⁴⁶ RED III

¹⁴³ Naef A., *The Impossible Love of Fossil Fuel Companies for Carbon Taxes*, *Ecological Economics*, Vol. 217, 2024.

¹⁴⁴ *Economic Instruments for Energy Efficiency and the Environment*, CCICED Policy Research Report, 2009, 12.

¹⁴⁵ იბ., Samkharadze I., *The Regional Energy and Climate Governance: Prospects for Energy Community Contracting Parties in the Aftermath of the European Green Deal*, *Journal for European Environmental & Planning Law*, Vol. 20, Nos. 3-4, 2023, 236-259.

¹⁴⁶ *Directive of the European Parliament and of the Council amending Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council, Regulation (EU) 2018/1999 of the European Parliament and of the Council and Directive 98/70/EC of the European Parliament and of the Council as Regards the Promotion of Energy from Renewable Sources, and Repealing Council Directive (EU) 2015/652*, Brussels, 2021.

ითვალისწინებს ენერჯიის განახლებადი წყაროების წილის ზრდას, ცალკეულ მიზნებს სხვადასხვა სექტორისთვის (მათ შორის, ტრანსპორტისთვის, გათბობისა და გაგრილების სექტორისთვის, რათა მათშიც გაიზარდოს განახლებადი ენერჯიის წილი; დეკარბონიზაციას და ენერგოეფექტურობას და ასევე, საზოგადოების მონაწილეობასა და ჩართულობას. RED III ადგენს, რომ 2030 წლისთვის ევროკავშირმა ენერჯიის მოხმარების მინიმუმ 42.5% განახლებადი წყაროებიდან უნდა მიიღოს.¹⁴⁷ ასევე, ითვალისწინებს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააუმჯობესონ ენერგოეფექტურობა და ჩართონ განახლებადი ენერჯიის მეტი წყარო, განსაკუთრებით, წარმოებასა და სამრეწველო სექტორში. RED III მხარს უჭერს მოქალაქეთა და ადგილობრივი საზოგადოებების ჩართულობას ენერჯიის წარმოებაში, რაც ამაღლებს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და მდგრადობას.

სამართლიან ენერგორეგულირებასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის ზღვარი ხშირად რთული და დინამიკურია, რადგან ორივე მიზანი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მათი დაბალანსება საჭიროებს გრძელვადიან და ინტეგრირებულ მიდგომას. ენერგორეგულირების მექანიზმები უნდა უზრუნველყოფდეს ეკონომიკის მდგრად განვითარებას, ხოლო ეკონომიკური ზრდა უნდა ემყარებოდეს ეკოლოგიურად და სოციალური თვალსაზრისით სამართლიან ენერგეტიკულ პოლიტიკას. სამართლიანი ენერგორეგულირება და ეკონომიკური განვითარება ყოველთვის მოითხოვს ბალანსს კონკურენტულ ინტერესებს შორის. ზღვარი გადის ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს ენერგეტიკულ მდგრადობას, ეკონომიკურ განვითარებას და სოციალური სამართლიანობის დაცვას. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, განახლებადი ენერჯიის პოლიტიკის ამბიციური ხედვა საქართველოსთვის გრძელვადიან პერსპექტივაში რეალისტურად შეიძლება ჩაითვალოს, თუ დაიგეგმება სათანადო ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. საერთაშორისო პარტნიორებთან (მაგალითად, ევროკავშირთან და სხვა დონორ ორგანიზაციებთან) თანამშრომლობა, შეუძლია დაეხმაროს საქართველოს ამ მიზნების მისაღწევად. განახლებადი ენერჯიის ამბიციური პოლიტიკა საქართველოსთვის რელევანტურია, მაგრამ მისი რეალიზაცია მნიშვნელოვან გამოწვევებს მოიცავს. მიზანშეწონილია გრძელვადიანი და ეტაპობრივი სტრატეგიების შემუშავება, საერთაშორისო მხარდაჭერის მაქსიმალურად გამოყენება და საზოგადოებრივი ჩართულობის გაძლიერება, რათა ამ პოლიტიკის პოტენ-

¹⁴⁷ Renewable Energy Targets <https://energy.ec.europa.eu/topics/renewable-energy/renewable-energy-directive-targets-and-rules/renewable-energy-targets_en> [31.01.2025]

ციალი მაქსიმალურად განხორციელდეს. ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ შეუძლებელია კლიმატის ცვლილების გლობალური პრობლემების ენერგეტიკის გარეშე დაძლევა და გადაწყვეტა. პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი მიმართულია სათბურის გაზების ემისიების შემცირებისკენ, ტექნოლოგიების განვითარებისა და მწვანე პოლიტიკის გატარებისკენ, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ მდგრადობას და გარემოს დაცვას. ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის სწორი დაგეგმვით საქართველოს თავისი პოტენციალის გამოყენებით შეუძლია წვლილი შეიტანოს არა მხოლოდ საკუთარი დაბალნახშირბადიანი ეკონომიკის განვითარებაში, არამედ სათბურის გაზების ემისიის შემცირებით ევროკავშირის უსაფრთხოებაშიც. თავის მხრივ, განახლებადი ენერჯის გამოყენება და წარმოებული ელექტროენერჯის ევროპულ ბაზარზე გატანა ქვეყნის უსაფრთხოების წინაპირობაა.

6. ევროპასთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს და ძალაში შევიდა 2016 წლის თებერვალს. ასოცირების შეთანხმება უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომლითაც საქართველო იღებს ვალდებულებას მისი კანონმდებლობა დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას და განახორციელოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია.¹⁴⁸ კონსტიტუციური ორგანოები, თავის მხრივ, ვალდებული არიან მიიღონ ყველა ზომა ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.¹⁴⁹ ასოცირების შეთანხმების დანართებში მითითებულია ევროკავშირის შესაბამისი დირექტივები და ასევე, მითითებული კონკრეტული ვადები თითოეული ვალდებულების შესასრულებლად.

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მოიცავს პოლიტიკური თანამშრომლობის (პრეამბულა; კარი I-III) დარგობრივი თანამშრომლობის (კარი V-VII); ღრმა

¹⁴⁸ Margvelashvili M., Georgia's Intergration with the EU in Energy Sector, in: Georgian Energy Sector in the Context of EU Association, Tbilisi, 2015, 10.

¹⁴⁹ საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი.

და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) (კარი IV); და ინსტიტუციურ და სამართლებრივ საკითხებს (VIII).¹⁵⁰

ენერგეტიკა, ის სფეროა, სადაც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს კონკრეტული რეფორმები. ენერგეტიკის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასოცირების შეთანხმებაში მასზე განსაკუთრებული ყურადღებაა განახილვებული.¹⁵¹ ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია მითითება ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების წევრობაზე და კონფლიქტის შემთხვევაში ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების დებულებებსა ან ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების ძალით ევროკავშირის კანონმდებლობაში შესულ დებულებების უპირატესობაზე.¹⁵²

ასოცირების შეთანხმების ვაჭრობას და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების კარში განხილულია ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში,¹⁵³ კერძოდ, ტრანზიტთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად, მხარეები ვალდებული არიან უზრუნველყონ ტრანზიტის განხორციელება მათ მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად¹⁵⁴, რომელსაც ითვალისწინებს 1994 წლის ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება¹⁵⁵ და ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების დებულებები¹⁵⁶. 1994 წლის ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების მიზანია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობისთვის სავაჭრო ბარიერების გაუქმება, არადისკრიმინაციული, კერძოდ, წვერი ქვეყნებისათვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფა, ყველა წვერისათვის უპირობო თანამშრომლობა და წვერი ქვეყნებისთვის სავაჭრო ბარიერების შემცირებით ვაჭრობის გაზრდა.¹⁵⁷

¹⁵⁰ დევიძე ა., მირიანაშვილი გ., ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2019, 117.

¹⁵¹ 2014 წლის 27 ივნისის „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“, მე-4 კარის მე-11 თავი და მე-6 კარის მე-2 თავი, დამატებით ოქმი.

¹⁵² 2014 წლის 27 ივნისის „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“, 218-ე მუხლი.

¹⁵³ იქვე, მე-11 თავი.

¹⁵⁴ იქვე, 211-ე მუხლი.

¹⁵⁵ იხ., The General Agreement on Tariffs and Trade (GATT), 1 January 1948.

¹⁵⁶ The Energy Charter Treaty, 17 December 1991.

¹⁵⁷ მარგველაშვილი მ., წურნუშია თ., თოდრაძე გ., მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., ინფორმაციის მონაცემების გამჭვირვალობა ენერგეტიკაში, ნიგნში: ევროპის „ენერგეტიკული გაერთიანება“ და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბილისი, 2017, 10.

ენერგეტიკული ქარტიის 1994 წლის ხელშეკრულება¹⁵⁸ განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს, კერძოდ, ენერგეტიკაში უცხოური ინვესტიციების დაცვას და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას; ენერგეტიკული რესურსებით ვაჭრობისას არადისკრიმინაციულ მოპყრობას, მათ შორის „მესამე მხარის დაშვებას“ და ურთიერთობების ჩამოყალიბებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესდების დაცვით და ბოლოს, ენერგოეფექტური ღონისძიებების ხელშეწყობას, რითაც შემცირდება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება.¹⁵⁹

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) დებულებები ვრცელდება ენერგეტიკის სფეროზეც, კერძოდ, ენერჯის ტრანსპორტირების საშუალებებზე, ელექტროენერგიაზე, ნედლი ნავთობზე და ბუნებრივ გაზზე.¹⁶⁰ ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა მოიცავს ენერგეტიკულ თანამეგობრობაში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ დებულებებს,¹⁶¹ რომელსაც საქართველო 2016 წელს მიუერთდა „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების ოქმით. ევროკავშირისა და საქართველოს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვან მიმართულებებს შორისაა განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება¹⁶². გარდა ამისა, საქართველო იღებს ვალდებულებას კანონმდებლობის ევროკავშირის ენერგეტიკის კანონმდებლობასთან დაახლოების შესახებ, რაც განსაზღვრულია ასოცირების შეთანხმების XXV დანართში და ასევე, „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების ოქმში. კანონმდებლობა მოიცავს ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციას, განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების ხელშეწყობას და ენერჯის დაზოგვისა და ეფექტურად გამოყენების ხელშეწყობას.

ასოცირების შეთანხმება უზრუნველყოფს განსაკუთრებულ, უპირატეს ურთიერთობებს არანევრ ქვეყანასთან.¹⁶³ ევროკავშირის სამართლის მიხედვით, ასოცირების ხელშეკრულება შესასრულებლად სავალდებულოა და საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები მოიცავს ყველა იმ სფეროს,

¹⁵⁸ The Energy Charter Treaty, 17 December 1991.

¹⁵⁹ Renner S., *The Energy Community of Southeast Europe: A Neo Functionalist Project of Regional Integration*, European Integration Online Papers, 2009, 2-3.

¹⁶⁰ 2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, მე-4 კარი.

¹⁶¹ იქვე,ს მე-2 თავი.

¹⁶² იქვე, 298-ე მუხლის (i) პუნქტი.

¹⁶³ Demirel v Stadt Schwäbisch Gmünd [CJEU], C-12/86, 30 September 1987.

სადაც შესაძლებელია თანამშრომლობა ევროკავშირისა და საქართველოს შორის. ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების დროული შესრულება მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან სწორი პრიორიტეტების დასახვას და დაუზოგავ მუშაობას, თუმცა აღნიშვნის ღირსია თავად ევროკავშირის მხარდაჭერა რეფორმის განხორციელებისას, რის გარეშეც წარმოდგენელი იქნებოდა თავად რეფორმა.

6.1. ენერგეტიკული ქარტია, როგორც ასოცირების ხელშეკრულების განმსაზღვრელი

საქართველო ენერგეტიკული ქარტიის ნევერი 1995 წლიდანაა და 2015 წელს ის იყო მისი თავმჯდომარე ქვეყანა. ასოცირების შეთანხმების მე-11 თავი მოიცავს ენერგორესურსებით ვაჭრობის დებულებებს და მათ შეუფერხებელ ტრანზიტს, რასაც საფუძვლად უდევს სწორედ ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების დებულებები.

ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების შესაბამისად¹⁶⁴ ვაჭრობის ყველა შესაძლო სფეროში, კერძოდ, ენერჯიის წარმოების, მოხმარების, ექსპორტის, იმპორტის თუ ტრანზიტისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ღიაობა და გამჭვირვალობა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.¹⁶⁵ თუმცა საქართველოს რეალობაში ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია მხოლოდ ვინრო საზოგადოებისათვის არის ხელმისაწვდომი ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს. აღნიშნული ბუნებრივია ეხება სახელმწიფო პოლიტიკის ღიაობას განახლებადი ენერჯიის წყაროების განვითარების ხელშეწყობის მიმართ ისევე, როგორც ბაზრის ლიბერალიზაციასთან მიმართებით გამჭვირვალე და კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.¹⁶⁶

ენერგეტიკული ქარტიის ნევერობის მნიშვნელობას განსაზღვრავს ენერგეტიკული ვაჭრობის შესახებ დებულებები, რომელიც სავალდებულოა საქართველოს მეზობელი ქვეყნებისთვის.¹⁶⁷ სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი ასევე არიან ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების ხელშემკვრელი მხარეები. მნიშვნელოვანია რეგიონში ტრანსსასაზღვრო ვაჭრობაზე არსებობდეს

¹⁶⁴ The Energy Charter Treaty, 17 December 1991.

¹⁶⁵ მარგველაშვილი მ., წურწუშია თ., თოდრაძე გ., მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., ინფორმაციის მონაცემების გამჭვირვალობა ენერგეტიკაში, წიგნში: ევროპის „ენერგეტიკული გაერთიანება“ და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბილისი, 2017, 3, 10.

¹⁶⁶ იქვე.

¹⁶⁷ Tsursumia T., Electricity Cooperation Opportunities in the South Caucasus: The Role of Georgia, Brussels, 2015, 3.

ერთიანი მიდგომები და თანამშრომლობა ქვეყნებს შორის ენერგეტიკული საკანონმდებლო ჩარჩოების დაახლოების მიზნით.¹⁶⁸ შესაბამისად, მიდგომები, რომელიც გაზიარებული და გათვალისწინებულია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მიერ, მათ შორის თურქეთის მიერ, არის ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების დებულებები ტრანსსასაზღვრო ვაჭრობასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა უცხოური ენერგეტიკული ინვესტიციების დაცვა, ენერგეტიკული მასალებით, ენერგეტიკული პროდუქტებით და ენერგეტიკასთან დაკავშირებული აღჭურვილობის თავისუფალი ვაჭრობა, ენერჯიის ტრანზიტთან დაკავშირებული საკითხები და დავების გადაწყვეტა არბიტრაჟის მეშვეობით.¹⁶⁹ ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტრანსსასაზღვრო ენერგეტიკის სამართლებრივი და ნორმატიული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და ამას მოწმობს ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტები¹⁷⁰.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ 2018 წელს *Achmea*-ს გადაწყვეტილებაში¹⁷¹ განმარტა, რომ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის შემთხვევაში (*Investor-state dispute settlement (ISDS)*) ორმხრივი ევროკავშირის საინვესტიციო ხელშეკრულებები არ არის თავსებადი ევროკავშირის კანონმდებლობასთან.¹⁷² ვნებათაღელვა გამოიწვია, ასევე, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ 2021 წელს მოლდოვასა და *Komstroy Investment*-ს შორის ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავისას¹⁷³ გაკეთებულმა განმარტებამ ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების გამოყენების შესახებ, როდესაც სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროკავშირის ენერგეტიკულ კომპანიებს აღარ ექნებათ უფლება უჩივლონ ევროკავშირის მთავრობებს ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების გამოყენებით. კერძოდ, ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების 26-ე მუხლი, რომელიც ე.წ. კორპორატიული სასამართლოს არბიტრაჟს უშვებს, არ მოქმედებს ევროკავშირის შიგნით. ამავე,

¹⁶⁸ იქვე, 5.

¹⁶⁹ Leal-Arcas R., Peykova M., *Energy Transit Activities: Collection of Intergovernmental Agreements on Oil and Gas Transit Pipelines and Commentary*, London, 2014, 6-8.

¹⁷⁰ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი (BTC) და სამხრეთ კავკასიური მილსადენი *South Caucasus Gas pipeline (SCP)*.

¹⁷¹ *Slowakische Republik v Achmea BV [CJEU]*, C-287/16, 6 March 2018.

¹⁷² *Kochenov D. V., Lavranos N., Achmea versus the Rule of Law: CJEU's Dogmatic Dismissal of Investors' Rights in Backsliding Member States of the European Union*. *Hague Journal on the Rule of Law*, Vol. 14, 2022, 198–199.

¹⁷³ *Republic of Moldova v Komstroy LLC [CJEU]*, C-741/19, 3 March 2021.

გადაწყვეტილებაში სასამართლომ ელექტროენერჯის მიწოდების ხელშეკრულება არ ჩათვალა „ინვესტიციად“ ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით. ორივე გადაწყვეტილებამ, თავის მხრივ, ბევრი კითხვები გააჩინა ენერგეტიკული ქარტიის წევრობასთან დაკავშირებით.

6.2. 1994 წლის ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება

1994 წლის ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება (**General Agreement on Tariffs and Trade, GATT**) 1947 წელს დადებული საერთაშორისო შეთანხმებაა, რომლის მიზანი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკის აღდგენა და განვითარება.¹⁷⁴ იგი ფაქტობრივად ასრულებდა საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნქციებს და ჩამოყალიბდა, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (**World Trade Organization – WTO**)¹⁷⁵, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციაა დაარსებული ქ. ჟენევაში 1995 წელს GATT-ის საფუძველზე, ურუგვაის რაუნდის რვანლიანი მოლაპარაკებების შედეგად და მან ფაქტიურად შეცვალა GATT.¹⁷⁶ ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების მიზანია ტარიფების შემცირებით, საიმპორტო რაოდენობრივი შეზღუდვების და სუბსიდიების მეშვეობით განავითაროს საერთაშორისო ვაჭრობა და აღმოფხვრას ბარიერები.¹⁷⁷ WTO არის საერთაშორისო ორგანიზაცია, განსხვავებით GATT-ისგან, რომელიც მხოლოდ მხარეებს შორის შეთანხმებას არეგულირებდა.¹⁷⁸ WTO-ს სამართლებრივი ნორმები სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისათვის და ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია თავისი შიდამართლწესრიგი შესაბამისობაში მოიყვანოს ორგანიზაციის ვალდებულებებთან.¹⁷⁹

¹⁷⁴ Nichols, P. M., GATT Doctrine, Virginia Journal of International Law, Vol. 36, No. 2, 1996, 380-381.

¹⁷⁵ Nuffel P. V., WTO-Agreement, Columbia Journal of European Law, Vol.1, No.2, 1995, 338-339.

¹⁷⁶ იქვე.22,

¹⁷⁷ Ikejiaku B., Dayao C., Competition Law as an Instrument of Protectionist Policy: Comparative Analysis of the EU and the US., Utrecht Journal of International and European Law, Vol. 36, No. 1, 2021, 80.

¹⁷⁸ Thilini P., Dalma D., A Balancing Act: Retaining Investor-State Dispute Settlement Provisions in Investment Agreements and Balancing Stakeholder Interests, Australian Yearbook of International Law, Vol. 31, 2013, 98-99.

¹⁷⁹ Nuffel P. V., WTO-Agreement, Columbia Journal of European Law, Vol.1, No.2, 1995, 351-352.

საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარების შედეგად მიღებულ იქნა ვაჭრობის ხელშეწყობის რეგულაციები და სწორედ მათი დადებითი ეფექტები გახდა საფუძველი DCFTA-ს შეთანხმების დადებისა.¹⁸⁰ საქართველოს სავაჭრო პოლიტიკისა და პრაქტიკის მესამე მიმოხილვაზე, რომელიც ჩატარდა 2022 წლის 12 და 14 იანვარს, WTO-ს სამდივნოს ანგარიში და საქართველოს მთავრობის ანგარიში იქნა განხილული. სამდივნოს ანგარიშის შესაბამისად საქართველო კვლავ დამოკიდებულია ენერჯიის იმპორტზე, ძირითადად ბუნებრივ აირზე, რაც არის მისი ენერგომომარაგების ძირითადი წყარო. ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველომ დაიწყო ფართო რეფორმა ენერგეტიკის სექტორში, განსაკუთრებით ელექტროენერჯიის და გაზის სფეროებში.¹⁸¹ კანონმდებლობის დაახლოვებამ ევროკავშირის ენერგეტიკის კანონმდებლობასთან და რეფორმამ განაპირობა 2019 წელს კანონის მიღება ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ. ასევე, საუბარია ბაზრის გახსნაზე, მიწოდების და გადაცემის საქმიანობის განცალკევებაზე როგორც ელექტროენერჯიის ასევე, ბუნებრივი აირის, რომელიც უკიდურესად კონცენტრირებულია, ყიდვა-გაყიდვისთვის ბირჟის შექმნაზე. საზღვასმულია საქართველოს მდებარეობიდან გამომდინარე, მისი სატრანზიტო როლი.¹⁸² საქართველოს ტყეების ბუნებრივი სიმრავლის მიუხედავად, მისი გამოყენება, ადგილობრივ სოფლის მოსახლეობის მხრიდან, შუშის სახით, ენერგეტიკაში ისევ ხდება, თუმცა განხორციელდა სექტორის რეფორმა და 2020 წელს მიღებულ იქნა ახალი ტყის კოდექსი.¹⁸³

თავად, საქართველოს 2021 წლის 1 დეკემბრის სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვის დოკუმენტში, საქართველოსთვის ენერგეტიკის სექტორი კვლავ რჩება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან სექტორად, ანგარიშში მე-3 ქვეთავი ენერგეტიკას ეთმობა და საუბარია სექტორის მნიშვნელობაზე და მიღწევებზე, რაც ქვეყანაში განხორციელდა.¹⁸⁴ განსაკუთრებული ყურადღება ბოლო წლებში მიღებულ საკანონმდებლო აქტებზეა გამახვილებული, რამაც ხელი უნდა შეუწყოს განახლებადი ენერჯიისა და ენერგოეფექტურობის

¹⁸⁰ მიქაბერიძე თ., საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში, საადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2016, 91-93.

¹⁸¹ WT/TPR/S/420 • Georgia, <https://www.wto.org/english/tratop_e/tptr_e/s420_sum_e.pdf> [01.02.2022]

¹⁸² იქვე.

¹⁸³ იქვე.

¹⁸⁴ Trade Policy Review Report by Georgia. <https://www.wto.org/english/tratop_e/tptr_e/g420_e.pdf> [01.02.2022]

განვითარებას, ასევე საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირთან. პოლიტიკის დოკუმენტში, ასევე საუბარია 2019 წლის 20 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონზე განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ, განახლებადი ენერჯიის, რომლის მიზანია შექმნას განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯიის ხელშეწყობის, წახალისებისა და გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები და დაადგინოს ენერჯიის მთლიან საბოლოო მოხმარებასა და ენერჯიის ტრანსპორტის მიერ მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯიის საერთო წილის სავალდებულო ეროვნული საერთო სამიზნე 2030 წლისთვის მთლიანი საბოლოო მოხმარების 35%-ს, ასევე იძლევა მხარდაჭერის სქემების არჩევის შესაძლებლობას ზემოაღნიშნული ეროვნული მიზნის მისაღწევად. „განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის N403 დადგენილებით დამტკიცდა განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა, რაც ხელს შეუწყობს მზის, ქარის და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

ანაგარიშის დასასრულს, პოლიტიკის მიმოხილვის დოკუმენტში საქართველოს უმთავრეს პრიორიტეტებს შორის იყო საექსპორტო ბაზრებისა და პროდუქციის დივერსიფიკაციაა მითითებული, რამაც მნიშვნელოვნად უნდა წახალისოს ადგილობრივი მენარმეობა, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესი. ასევე, ქვეყნის მისწრაფება იყოს სატრანსპორტო, ლოგისტიკის, კომუნიკაციების, ენერჯეტიკის, ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და ფინანსური ჰაბი, რისთვისაც საქართველომ არსებითად განავითარა თავისი ინფრასტრუქტურა.¹⁸⁵ საერთაშორისო ვაჭრობაში საქართველოს ჩართულობამ განაპირობა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდა და კანონმდებლობის ჰარმონიზაციით განხორციელდა ეროვნული სავაჭრო სტანდარტების დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან. საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზანია ევროინტეგრაცია და ამას მოწმობს ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, რამაც გზა გაუხსნა ქართულ პროდუქტს, ნულოვანი ტარიფით გავიდეს ევროკავშირის ბაზარზე, საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

¹⁸⁵ იქვე, 2.3.

7. ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების ოქმი

2016 წელს, სარაევოში, საქართველომ ხელი მოაწერა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების ოქმს, რითაც კიდევ ერთხელ გამოთქვა საქართველომ მზაობა კანონმდებლობის ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან დაახლოების შესახებ მათ შორის ბუნებრივი გაზის და ელექტროენერგეტიკის სფეროში. 2017 წლის 21 აპრილის დადგენილებით პარლამენტმა აღნიშნული ოქმის რატიფიკაცია მოახდინა.¹⁸⁶

ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შეერთების ოქმი წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას¹⁸⁷ და განსაზღვრავს „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელი ხელშეკრულების II კარსა და მასთან დაკავშირებულ დანართებთან თანხვედრაში მოყვანის მიზნით, „ენერგეტიკული გაერთიანების“ კანონმდებლობის (*acquis communautaire*) იმპლემენტაციას შესაბამის ვადებში. მესამე ენერგეტიკული პაკეტის ფარგლებში, განსაზღვრულია რეგულაციები ელექტროენერჯიის შიდა ბაზრების ორგანიზების¹⁸⁸ და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესახებ¹⁸⁹. გარდა ამისა, ოქმი ითვალისწინებს ელექტროენერგეტიკის სფეროებში მინოდების უსაფრთხოების დირექტივასთან¹⁹⁰ კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას.

საქართველო არის იზოლირებული ბაზარი, რომელსაც არ გააჩნია „ენერგეტიკული გაერთიანების“ ან/და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინფრასტრუქტურასთან დამაკავშირებელი ქსელი, შესაბამისად საქართველო სრულად გა-

¹⁸⁶ „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმთან შეერთების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 21 აპრილის N 716-III დადგენილება.

¹⁸⁷ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლი მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁸⁸ Directive 2009/72/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Electricity and Repealing Directive 2003/54/EC.

¹⁸⁹ Regulation (EC) No 714/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on Conditions for Access to the Network for Cross-border Exchanges in Electricity and Repealing Regulation (EC) No 1228/2003.

¹⁹⁰ Directive 2005/89/EC of the European Parliament and of the Council of 18 January 2006 concerning Measures to Safeguard Security of Electricity Supply and Infrastructure Investment.

თავისუფლებულია მესამე ენერგეტიკული პაკეტის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესახებ რეგულაციების¹⁹¹ მოთხოვნების შესრულებისგან.

ოქმის შესრულების შესახებ ერთობლივი განცხადების მე-5 პუნქტის შესაბამისად ასევე, განსაზღვრულია განახლებადი ენერჯიის წყაროების გამოყენების ხელშეწყობის შესახებ 2009/28/EC დირექტივის იმპლემენტაცია, რაც გულისხმობს საქართველოსთვის განახლებადი ენერჯიის სამიზნე დონის განსაზღვრას.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები რაც უნდა განხორციელდეს საქართველოს მიერ ელექტროენერგეტიკის სექტორში, ეს არის გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის სამართლებრივი და ფუნქციური განცალკევება, ასევე, ბაზრის ლიბერალიზაცია.¹⁹² ევროპული ენერგოპოლიტიკის მთავარი პრინციპებია კონკურენტური ბაზარი სახელმწიფოს ნაკლები ჩართულობით.¹⁹³ დერეგულირება, პრივატიზაცია და კონკურენცია არის ენერგოსექტორის ბაზრის ლიბერალიზაციის მთავარი განმსაზღვრელი პრინციპები.¹⁹⁴ საქართველოში ენერგობაზრის ლიბერალიზაცია განლენას ახდენს განახლებადი ენერჯიის წარმოებასა და განვითარებაზე, რაც გულისხმობს განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის მიღების წახალისებას.¹⁹⁵ თავის მხრივ ბაზრის მოდელის დაწესება დაკავშირებულია მთელი რიგი პრობლემატურ საკითხების მოწესრიგებასთან, როგორცაა გენერაციის ტარიფებთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ ელექტროენერჯიის გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით უკვე აღებული ვალდებულებები; ასევე, ენერგურჰესის და ვარდნილჰესების კასკადის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯიით აფხაზეთის მომარაგება.¹⁹⁶ დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის როლი წინ არის წამო-

¹⁹¹ სამხრეთ კავკასიის მილსადენი და ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური მილსადენი გათავისუფლებულია ევროკომისიის 2009/73/EC დირექტივისა და (EC) No 715/2009 რეგულაციის მოთხოვნების შესრულებისაგან 2026 წლის 31 აგვისტომდე, „ენერგეტიკული გაერთიანების“ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

¹⁹² Magradze N., Reforms in the Electricity Market, in: Georgian Energy Sector in the Context of EU Association, Tbilisi, 2015, 21-22.

¹⁹³ Karova R., Energy Community for South East Europe: Rationale Behind and Implementation to Date, Florence School of Regulation, Energy, Cadmus, EUI Research Repository, 2009, 3-5.

¹⁹⁴ იქვე, 5-6.

¹⁹⁵ Council Directive 2009/28/EC of the European Parliament And Of The Council of 23 April 2009 on the promotion of the Use of Energy from Renewable Sources and Amending and Subsequently Repealing Directives 2001/77/EC and 2003/30/EC, OJ L 140, (5.6.2009)

¹⁹⁶ Magradze N., Reforms in the Electricity Market, in: Georgian Energy Sector in the Context of EU Association, Tbilisi, 2015, 24-25.

წეული და სექტორის რეგულირებაში მისი კომპეტენციები საკმაოდ ფართოა. გარდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა, რაც ცალსახად საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაა, მარეგულირებელი კომისია ამტკიცებს ბაზრის წესებს, რითაც განისაზღვრება ბაზრის დიზაინი, მისი ორგანიზება და ოპერირება, ბალანსირების წესები და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები.¹⁹⁷

აღსანიშნავია, რომ შეერთების ოქმით ნაკისრის ვალდებულებების უმრავლესობა გათვალისწინებულია ასოცირების ხელშეკრულებით და ფაქტობრივად გადმოტანილია შეერთების ოქმში. თუმცა მათ შორის კოლიზიის არსებობის შემთხვევაში უპერატესობა მიენიჭება შეერთების ოქმს, როგორც უფრო ახალ და სპეციალურ კანონს მიენიჭებოდა.

ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა დიდი პასუხისმგებლობაა და საქართველოს შესაძლებლობას აძლევს ენერგეტიკის სფეროში სოციალურ უფლებებზე დააფუძნოს თანამედროვე შრომითი ურთიერთობები, შექმნას ღია, გამჭვირვალე კონკურენტული ბაზარი რეგიონში.

¹⁹⁷ ონაშვილი ა., ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნები ენერგეტიკის რეგულირების სფეროში – საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოს როლო და ფუნქციები, წიგნში: ევროპის „ენერგეტიკული გაერთიანება“ და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბილისი, 2017, 63-67.

III

განახლებადი ენერჯის ბაზარი

1. განახლებადი ენერჯის ქართული ბაზრის სამართლებრივი გამოცდილება და არსებული სინამდვილე

განახლებადი ენერჯის გამოყენებისადმი ინტერესი ჯერ კიდევ 1997 წელს იკვეთება¹⁹⁸ და მიზანი საქართველოს მდგრადი განვითარება და ენერჯის არატრადიციული წყაროების გამოყენების განვითარება და ხელშეწყობა იყო.¹⁹⁹ ამას მოჰყვა საქართველოში განახლებადი ენერჯების განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება²⁰⁰, თუმცა მაშინ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავებას²⁰¹, თუმცა თავად პოლიტიკა ითვალისწინებდა ენერჯეტიკის დარგის განვითარების ერთიანი, გრძელვადიანი სახელმწიფოებრივი ხედვის ჩამოყალიბებას სწორედ დარგის განვითარების მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავებით.²⁰² ენერჯეტიკული სტრატეგია, რომელიც იქნა შემუშავებული დარჩა პროექტის სახით²⁰³, შესაბამისად საკანონმდებლო

¹⁹⁸ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარების მიმართულებით, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2008. <<https://www.transparency.ge/sites/default/files/Renewables%20potential-Geo.pdf>> [15.06.2022]

¹⁹⁹ „საქართველოში განახლებადი ენერჯების განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 15 სექტემბრის №520 ბრძანებულება.

²⁰⁰ „საქართველოში ენერჯეტიკის არატრადიციული წყაროების გამოყენების განვითარების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 3 მარტის №120 ბრძანებულება.

²⁰¹ „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. (ძალადაკარგულია 20.12.2019, N5646)

²⁰² „საქართველოს ენერჯეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 24 ივნისის N3758-სს დადგენილება.

²⁰³ კვარაცხელია თ., მარგველაშვილი მ., ენერჯეტიკული სტრატეგია-ენერჯეტიკული სექტორის ყველაზე მომგებიანი პროექტი, <<http://weg.ge/sites/default/files/statia4.pdf>> [15.06.2022]

საფუძვლის არ არსებობის გამო ვერ მოხერხდა სახელმწიფო სტრატეგიის და დეტალური სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება და ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით არ განხორციელებულა.

განახლებადი ენერჯია განაპირობებს დაბალნახშირბადიან განვითარებას.²⁰⁴ საქართველო კიოტოს ოქმს²⁰⁵ 1999 წელს შეუერთდა.²⁰⁶ განახლებადი ენერჯია მუდმივად ხელმისაწვდომი რესურსია და თვითგანახლებადია.²⁰⁷ 2019 წლისთვის დაახლოებით 11% განახლებადი ტექნოლოგიებიდან მოდის და ემისიებისა და ადგილობრივი ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად, მსოფლიომ სწრაფად უნდა გადაინაცვლოს ენერჯიის დაბალი ნახშირბადის წყაროებისკენ.²⁰⁸ განახლებადი ენერჯიის წყაროების განვითარება იცავს გარემოს და ასევე, ხელს უწყობს კიოტოს ოქმით განსაზღვრული მიზნების შესრულებას. კიოტოს ოქმი ითვალისწინებდა რაოდენობრივ სამიზნე ჯგუფს გაზის ემისიების შესამცირებლად ყველა იმ ქვეყნისთვის, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება.²⁰⁹

მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა გარემოსდაცვით საკითხებში. საქართველოში მოქმედებს ორჰუსის კონვენცია²¹⁰, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოებს საზოგადოების მონაწილეობის განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს გარემოსთან დაკავშირებით გადანყვეტილებათა მომზადებისას.²¹¹ საგულისხმოა საქართველოს მთავრობის მიერ ფართო საზოგადოებისადმი მიმართული გარემოსდაცვითი გადანყვეტილებების საჯარო განხილვები, ვინაიდან 2000 წლის 9 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა

²⁰⁴ Kopsakangas-Savolainen M., Svent R., *Modern Energy Markets Real-Time Pricing, Renewable Resources and Efficient Distribution*, London, 2012, 56.

²⁰⁵ Kyoto Protocol to the United Nations Framework Convention on Climate Change, 11 December 1997.

²⁰⁶ „გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის“ კიოტოს ოქმის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 28 მაისის N1995 დადგენილება.

²⁰⁷ მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., ენერჯიის განახლებადი წყაროები და ენერჯო-ფექტურობა, თბილისი, 2013, 4-5.

²⁰⁸ Ritchie H., Roser M., Rosado P., 2020, *Renewable Energy*, <<https://ourworldindata.org/renewable-energy>> [02.04.2022]

²⁰⁹ Park P., *International Law for Energy and the Environment*, 2nd Ed., CRC Press, 2013, 55-56; What is the Kyoto Protocol? <https://unfccc.int/kyoto_protocol> [02.04.2022]

²¹⁰ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ 1998 წლის 23-25 ივნისის კონვენცია.

²¹¹ თოდუა ლ., მურღლია შ., მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები, <http://weg.ge/sites/default/files/lia_shota_geo.pdf> [02.04.2022]

ორჭუსის 1998 წლის კონვენციას, რაც უფლებას აძლევს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს სარჩელით მიმართონ სასამართლოს²¹². ეროვნული კანონმდებლობა შესაძლებელია ითვალისწინებდეს გარემოსადაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვებს, თუმცა ეს არ უნდა იყოს გაუმართლებელად შეზღუდული.²¹³

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წელს იქნა მიღებული²¹⁴ და მიზანი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა იყო, მათ შორის, განახლებადი ენერჯის განვითარების ხელშეწყობა და სექტორისთვის კომერციულად მომგებიანი ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბება²¹⁵ ხელშეწყობი სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბებას ემსახურებოდა, ასევე, მცირე ჰესების წახალისებისთვის სხვადასხვა მექანიზმის დანერგვა²¹⁶, რაც მიზნად ისახავდა ახლად აშენებული ელექტროსადგურის მიერ წარმოებული ელექტროენერჯის რეალიზაციას, ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო ინვესტიციების მოზიდვისთვის. თუმცა რომელი ელექტროსადგური მიიჩნეოდა „ახლად“ და რა მოცულობის ელექტროენერჯის სავალდებულო შესყიდვაზე იყო საუბარი კანონი ღიად ტოვებდა. მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს მხრიდან დარგის განვითარებისთვის დაცული ყოფილიყო გამჭირვალობა და სიცხადე, რაც გამოიხატებოდა მეტ ინფორმირებულო-

²¹² ვაჩაძე მ. თოდრია ი., ტურავა პ., წკეპლაძე ნ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005, 133-134.

²¹³ Opinion of Advocate General Sharpston delivered on 16 December 2010. Bund für Umwelt und Naturschutz Deutschland, Landesverband Nordrhein-Westfalen eV v Bezirksregierung Arnsberg. Reference for a preliminary ruling: l'Oberverwaltungsgericht für das Land Nordrhein-Westfalen – Germany. Directive 85/337/EEC – Environmental impact assessment – Aarhus Convention – Directive 2003/35/EC – Access to justice – Non-governmental organisations for the protection of the environment. Case C-115/09; Handbook on Access to Justice Under the Aarhus Convention, Edited by Stephen Stec, Szentendre, 2003, 25.

²¹⁴ „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 9 ივნისის N3259-IX დადგენილება.

²¹⁵ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი.

²¹⁶ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების მე-8 მუხლი, 36¹ მუხლი; „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეთანხმების თაობაზე“ საქართველოს 2007 წლის 8 ივნისის კანონის პირველი მუხლი.

ბაში და ერთიანი მიდგომის და მეთოდის შემუშავებაში. ასევე, აღსანიშნავია, რომ განახლებადი ენერჯის განვითარებასთან დაკავშირებული ხელშემწყობი მექანიზმები კოორდინირებული უნდა ყოფილიყო ენერგეტიკის სახელმწიფო სტრატეგიის და ენერგეტიკული სექტორის განვითარების ერთიან გეგმასთან.

სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი იყო შემუშავებულიყო შესაბამისი წესი განახლებადი ენერჯის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფისთვის²¹⁷, რაც ხელს შეუწყობდა ინვესტიციების მოზიდვას და ახალი განახლებადი ენერჯის წყაროების მშენებლობას. საქართველოს მთავრობის დადგენილება ითვალისწინებდა განახლებადი ენერჯის პოტენციური წყაროების ნუსხაში შემავალი ელექტროსადგურების მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის შედეგად დაინტერესებული პირის მიერ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში წარსადგენი განაცხადის წესსა და შესაბამისად ურთიერთგაგების მემორანდუმის დადების წესს და პირობებს.²¹⁸ მოგვიანებით საქართველოს მთავრობასთან დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმებით გათვალისწინებული პირობები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის დადგენილებით და ახლებურად მონესრიგდა ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესი.²¹⁹

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ შეცვალა არსებული რეალობა, კანონის ფარგლებში მოაქცია საჯარო ინფრასტრუქტურა და საჯარო მომსახურება.²²⁰ დღეის მდგომარეობით „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე დადებულ ხელშეკრულებების მიმართ ვრცელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებები²²¹. ამასთან, ელექტროსადგურებზე, რომლებიც არ არის სა-

²¹⁷ „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ – საქართველოში განახლებადი ენერჯის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილება.

²¹⁸ იქვე.

²¹⁹ „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილება.

²²⁰ „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

²²¹ „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ – საქართველოში განახლებადი ენერჯის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილება; „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკი-

ჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტი²²², ვრცელდება განსხვავებული წესი და პირობები.²²³ საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ კანონმა გაზარდა ენერგეტიკული პროექტების განხორციელების რისკები, რაც თავის მხრივ გულისხმობს პირდაპირი მოლაპარაკებების წარმართვას კრიტერიუმების გარეშე, რომელიც ქმნის განუსაზღვრელობის შეგრძნებას. ენერგეტიკული პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა პროცედურების გაადვილება და ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვა, სადაც უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებული თანამშრომლობა, ინფორმაციის გაზიარება და ურთიერთშეთანხმება.

განახლებადი ენერჯია ამოუწურავია და მისი მოპოვება ნაკლებ ზიანს აყენებს გარემოს.²²⁴ ამასთან, მოსახლეობის და ეკონომიკის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნა ელექტროენერჯიაზე და ელექტრომომწობილობების მოხმარება, ინტერნეტი თუ სატრანსპორტო საშუალებები მუდმივად საჭიროებენ ელექტროენერჯიას. მზარდი მოთხოვნა შესაძლებელია დაკმაყოფილდეს ენერჯიის განახლებადი წყაროების ათვისებით²²⁵ თუმცა, საყურადღებოა თავად ენერჯიის ეფექტურად გამოყენება. განახლებადი ენერჯიის ათვისება საშუალებას იძლევა დავაკმაყოფილოთ გაზრდილი მოთხოვნა ენერჯიაზე ისე, რომ გარემოს მინიმალური ზიანი მივაყენოთ.

„განახლებადი ენერჯიის წყაროებიდან ენერჯიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ ვეროკავშირის დირექტივის²²⁶ შესაბამისად, საქართველო ვა-

ცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილება.

²²² მსგავსი პროექტების მახასიათებლების შესახებ დაწვრილებით იხ. უსტიაშვილი გ., საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები, წიგნში: ლადო ანტურია 55, დ. გეგენევას რედაქტორობით, თბილისი, 2018. Ustiazhvili G., Public-Private Partnership in Georgia in Comparison with Germany, Tbilisi, 2021.

²²³ „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბერის №515 დადგენილება.

²²⁴ Zervos A., Lins Ch, Integration of Renewable Energy Sources, in: Renewable Energy in Europe, Markets, Trends and Technologies, Edited by European Renewable Energy Council, Earthscan, London, New York, 2010, 3.

²²⁵ იქვე, 3-4.

²²⁶ Directive 2009/28/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2009 on the Promotion of the Use of Energy from Renewable Sources and Amending and Subsequently Repealing Directives 2001/77/EC and 2003/30/EC; Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Promotion of the Use of Energy from Renewable Sources.

ლდებულია მოამზადოს და დაამტკიცოს განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილი წესით²²⁷, რომლის ამოცანაა აღწეროს განახლებადი ენერჯის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს არსებული მდგომარეობა, ევროკავშირის განახლებადი ენერჯის დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად და რიგი პოლიტიკური და საინვესტიციო ღონისძიებების შეთავაზება (მათი სავარაუდო საინვესტიციო ღირებულების მითითებით). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადდა განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა და მიმდინარეობს მისი განხილვა.²²⁸

ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის მომზადების ვალდებულება ეკისრება ევროპული გაერთიანების ყველა სახელმწიფოს მათ შორის საქართველოს²²⁹, რომელშიც ასახული იქნება ხუთი ძირითადი მიმართულება კლიმატ-ნეიტრალური პოლიტიკის მისაღწევად, კერძოდ, დეკარბონიზაცია, ენერგოეფექტურობა, ენერგოუსაფრთხოება, შიდა ენერჯეტიკული ბაზარი და კვლევა, ინოვაცია და კონკურენტულობა. ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის საფუძველია ასევე „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი²³⁰ და საქართველოს ენერჯეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები²³¹.

საქართველო ძირითადად დამოკიდებულია წიაღისეული ენერგორესურსების იმპორტზე.²³² მუდმივად ენერჯიაზე ფასების ზრდა, ასევე, წიაღისეული

²²⁷ „ენერჯეტიკული გაერთიანების“ მინისტრთა საბჭოს 2016 წლის 14 ოქტომბრის ოქმის მე-2 მუხლი.

²²⁸ განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა, <<http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=63>> [06.04.2022]

²²⁹ „ენერჯეტიკული გაერთიანების“ მინისტრთა საბჭოს 2021 წლის ნოემბრის გადაწყვეტილების პირველი მუხლი გულისხმობს ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის მომზადების ვალდებულებას ევროპული გაერთიანების ყველა სახელმწიფოს მათ შორის საქართველოსთვის, რომელიც მოიცავს 2025-2030 წლების პერიოდს და განსაზღვრავს ხუთ მიმართულებას კლიმატ-ნეიტრალური პოლიტიკის მისაღწევად. აღნიშნული გეგმის სამუშაო ვერსია ენერჯეტიკული გაერთიანების სამდივნოს წარედგინა 2023 წლის 23 ივნისამდე, ხოლო დასრულებული გეგმა – 2024 წლის ივნისამდე.

²³⁰ „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

²³¹ „საქართველოს ენერჯეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 24 ივნისის N3758-III დადგენილება.

²³² საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში; საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში;

ენერგორესურსების გამოყენების გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება, აუცილებელს ხდის სახელმწიფოს მხრიდან განახლებადი ენერჯის გამოყენების წახალისებას და შესაბამისი ხელშეწყობი მექანიზმების დანერგვას. საქართველოს ალბერტი აქვს სათბური გაზის ემისიის შემცირების ვალდებულება საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ქვეყნის ვალდებულება მოიცავს განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას და ხელშეწყობას, სადაც მთავარი აქცენტი გაკეთდება ჰიდრო რესურსებზე, და ამ სფეროში ორმხრივი და რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობაზე. ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე რეფორმები იძლევა თანამედროვე და ეფექტიანი მექანიზმების დანერგვის, ასევე, ენერგორესურსების ათვისების ხელშეწყობის, სტრატეგიული ინვესტირების მოზიდვისა და სამომავლოდ ერთიანი ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ნაწილად გახდომის შესაძლებლობას. საქართველოს შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესია, ადგილობრივი, განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების ყოველმხრივი ხელშეწყობა. ამასთან, მნიშვნელოვანია განახლებადი ენერჯის განვითარების პოლიტიკის თანმიმდევრული შემუშავება და განხორციელება.

2. განახლებადი ენერჯის ქართული ბაზარი და შესაძლებლობები

განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისება და ინტეგრირება ენერგეტიკული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და ემსახურება ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას მათ შორის სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით. საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი მუდმივად იყო დამატებითი გენერაციის, ენერჯის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისებაში გამოიხატებოდა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების, ასევე, მზის, ქარის, გეოთერმული და სხვა სახის განახლებადი ენერგოპოტენციალის გამოყენებაში, რაც, თავის მხრივ, ეკოლოგიურ, სოციალურ, დემოგრაფიულ და სხვა შესაძლო რისკებს ამცირებს.²³³ თუმცა სამწუხაროდ, კონკურენტულ გარემოში შეუძლებელია განახლებადი ენერჯის ათვისება და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურ ხელშეწყობას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში.

²³³ „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 9 ივნისის 3259-ლ დადგენილება.

საქართველოში მუდმივად იკვეთებოდა განახლებადი ენერჯის განვითარებისადმი სახელმწიფო ინტერესი,²³⁴ ასევე, სახელმწიფოს მხრიდან ინვესტირების დაინტერესება ენერჯეტიკის სექტორით, მათ შორის 2006 წელს, როდესაც შეფასდა და განისაზღვრა სახელმწიფოს პოლიტიკა ენერჯეტიკის სფეროში.²³⁵ პოლიტიკის დოკუმენტში სულ ორჯერ იქნა ცვლილება შეტანილი და ბოლო, 2015 წლის ცვლილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 2006 წელს განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკა და 2015 წელს დამტკიცდა საქართველოს ენერჯეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.²³⁶ 2008 წლის ცვლილებით შეიცვალა სახელმწიფო პოლიტიკა ელექტროენერჯის მყიდველთა მიმართ, კერძოდ, მათ გაუუმჯობესდათ მდგომარეობა და მიენიჭათ უფლებამოსილება, ელექტროენერჯია შეესყიდათ ელექტროენერჯის ნებისმიერი გამყიდველისგან, თუ შესაბამის წელს, მათი წლიური მოხმარება შეადგენდა კანონით დაწესებულ მოთხოვნებს.²³⁷ ცვლილება ითვალისწინებდა 2023 წლის ნაცვლად უკვე 2017 წელს შესაძლებლობას ელექტროენერჯის მყიდველისთვის ელექტროენერჯია შეესყიდათ ელექტროენერჯის ნებისმიერი გამყიდველისგან.²³⁸ ამავე ცვლილებით, დაზუსტდა სატარიფო მეთოდოლოგიის მიდგომები სხვადასხვა ტიპის მომხმარებლისთვის, კერძოდ, ტარიფის სახეები შესაძლებელი გახდა გამოყენებულიყო ცალ-ცალკე ან მათი ნებისმიერი ერთობლიობით, რაც მიმართული უნდა ყოფილიყო მომხმარებლის მონოპოლიური ფასების დაცვისკენ და იმავდროულად, ენერჯოსისტემის მდგრადი ფინანსური და ტექნიკური განვითარებისკენ.²³⁹

საქართველოს ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარებას აქვს დიდი პოტენციალი, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია დღემდე ათვისებული.²⁴⁰

²³⁴ კვაშილავა დ., განახლებადი ენერჯის გამოყენების პოტენციალი საქართველოში და მისი მაკროეკონომიკური შინაარსი, წიგნში: ეკონომიკა XXI საუკუნე, თბილისი, 2017.

²³⁵ „საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებების“ თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 9 ივნისის N3259- II დადგენილება.

²³⁶ „საქართველოს ენერჯეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 24 ივნისის N3758-III დადგენილება.

²³⁷ „საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 9 ივნისის №3259-II დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 18 ნოემბრის N498 დადგენილება.

²³⁸ იქვე.

²³⁹ იქვე.

²⁴⁰ განახლებადი ენერჯის ათვისება, <<https://gnerc.org/ge/sector-participants/informatsia-seqtorebis-monatsileebistvis/ganakhlebad-i-energiebi/56>> [15.04.2022].

საკუთარი რესურსის არ არსებობა იწვევს ენერგოდეფიციტს, ქვეყანაში მოხმარებული ენერჯის დაახლოებით 60% იმპორტი ხორციელდებოდა²⁴¹. ქვეყანაში ენერჯის წარმოების დიდი დანაკარგები²⁴², არაენერგოეფექტური მოხმარება²⁴³ და გაუმართავი ინფრასტრუქტურა დიდ ზიანს აყენებდა ეკონომიკას. იმ პერიოდისთვის არ არსებობდა კანონი „განახლებადი წყაროების გამოყენების შესახებ“, ხოლო ენერგეტიკის სექტორის კანონმდებლობაში განახლებადი ენერჯის წყაროები განმარტებული იყო როგორც „არანიალისეული, მდგრადი ენერჯის ყველა წყარო, რომელიც წარმოიშობა, მაგრამ არ შემოიფარგლება: ბიო- და ჰიდროენერჯიებით, გეოთერმული, მზის, ქარისა და ზღვის (მათ შორის, დინებების, ტალღების და თერმული) ენერჯიებით“.²⁴⁴ კანონის მიზანი იყო ჰიდროენერგეტიკული, სხვა განახლებადი, ალტერნატიული და ბუნებრივი გაზის ადგილობრივი რესურსების უპირატესი გამოყენების ხელშეწყობა,²⁴⁵ რაც კიდევ ერთხელ მოწმობს განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისების უპირატესობას.

2.1. განახლებადი ენერჯის წყაროები

საქართველოს განახლებადი ენერჯის წყაროების პოტენციალი არ არის ბოლომდე შესწავლილი და გამოყენებული.²⁴⁶ თუმცა არსებული შეფასებით, გამოვლენილია განახლებადი ენერჯის წყაროების მაღალი, განსაკუთრებით

²⁴¹ ჯერვალდიე ლ. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარების მიმართულებით, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, თბილისი, 2008, 1. საქართველოს ფაქტიური ენერგობალანსები 1995-2024 წწ., <<https://www.gse.com.ge/momkhmareblebistvis/monatsemebi-elektroenergetikuli-sistemidan/faktiuri-balansi>> [04.06.2024]

²⁴² ნოზაძე ვ., მუსელიანი გ., იარალაშვილი დ., თანამედროვე ტექნიკა და ენერგოეფექტურობა, თბილისი, 2010, 392-394.

²⁴³ ჯანელიძე პ., მუხიგულიშვილი გ., კლიმატის ცვლილების შერბილება, ნიგნში: კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება, თბილისი, 2016, 79-80.; მუხიგულიშვილი გ., მარგველაშვილი მ., ფიორტფორტი დ., ენერგეტიკული სუბსიდიები საქართველოში, ნიგნში: ენერგეტიკული სუბსიდიების ინვენტარიზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საქართველო, თბილისი, 2016, 43; Sustainable Infrastructure for Low-carbon Development in the EU Eastern Partnership: Hotspot Analysis and Needs Assessment, Green Finance and Investment, OECD Publishing, Paris, 2021.

²⁴⁴ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ³²²“ ქვეპუნქტი. (ძალადაკარგულია 20.12.2019, N5646)

²⁴⁵ იქვე, პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი. (ძალადაკარგულია 20.12.2019, N5646)

²⁴⁶ Chomakhidze, D., Tskhakaia, K., Zivzivadze, L., Moseshvili, T., Shamaevi, D., Electricity Balance of Georgia: Trends and Prospects, Energy Procedia, Vol. 147, 2018, 582-583.

ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი,²⁴⁷ რაც სამართლიანად მიჩნეულია სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.

2.1.1. ჰიდროენერგია

დაახლოებით 100 წლის წინ დაიწეს წყლის ენერჯის გამოყენება ელექტროენერჯის მისაღებად რაც უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.²⁴⁸ საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსით²⁴⁹ და სწორედ საქართველოში მდებარეობს ინჟინერიის ბრწყინვალე მაგალითი, უნიკალური ტექნიკური და საინჟინრო ნაგებობების ურთულესი კომპლექსი, ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია და 2010 წლამდე იყო ყველაზე დიდი თაღვანი კაშხალი.²⁵⁰ ჰიდროელექტროსადგურები საქართველოს ელექტროენერგეტიკის ხერხემალია და მათი წლიური გამომუშავება მთლიანი ადგილობრივი გამომუშავების 80%-ია.²⁵¹

2.1.2. მზის ენერგია

მზის ენერგია ეს არის მზის მიერ გამოსხივებული ენერგია, გარდაქმნილი სხვა ფორმის ენერჯად.²⁵² დედამიწაზე მზე ამოუნურავი წყაროა და ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლებელია მისი ეფექტური გამოყენება.²⁵³ საქართვე-

²⁴⁷ ნონოვი ი., შატკიშვილი ლ., ხელიძე გ., მირცხულავა ა., უსაფრთხოება ჰიდროენერგეტიკაში და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საკითხები, „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, N4(96)/2020, თბილისი, 2020, 75.

²⁴⁸ მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., ენერჯის განახლებადი წყაროები და ენერგოეფექტურობა, თბილისი, 2013, 6.

²⁴⁹ ნონოვი ი., შატკიშვილი ლ., ხელიძე გ., მირცხულავა ა., უსაფრთხოება ჰიდროენერგეტიკაში და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საკითხები, „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, N4(96)/2020, თბილისი, 2020, 75.

²⁵⁰ მშენებლობა, <<https://www.engurhesi.ge/ka/page/24-%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90>> [15.04.2022].

²⁵¹ მუხიგულიშვილი გ., მარგველაშვილი მ., ფიორტფორტი დ., ენერგეტიკული სუბსიდიები საქართველოში, წიგნში: ენერგეტიკული სუბსიდიების ინვენტარიზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საქართველო, თბილისი, 2016, 2; ესკო, <<https://esco.ge/>> [15.04.2022].

²⁵² ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯის წყაროები, თბილისი, 5. <<https://ieec.gov.ge/Home.aspx/Documents/ViewFile/536>> [15.06.2022]; Lin Luo F., Ye H., Renewable Energy System Advanced Conversion Technologies and Applications, Routledge 2013, 813, 826.

²⁵³ Rosentale L., Lauka D., Blumberga D., Acceleration Power Generation with Solar Panels, Case in Latvia, Energy Procedia, Vol. 147, 2018, 600-60; Chomakhidze D., Tskhakaia K., Zivzivadze L., Moseshvili T., Shamaevi D., Electricity Balance of Georgia: Trends and Prospects, Energy Procedia, Vol. 147, 2018, 585.

ლოს უმეტეს რაიონებში მზიანი დღეების წლიური ხანგრძლიობა 250-დან 280 დღემდე მერყეობს, რაც დაახლოებით 1900-2200 კვტ. სთ. ელექტროენერჯის გამომუშავების შესაძლებლობაა.²⁵⁴ მზის ენერჯია განახლებადი ენერჯის წყაროა და საქართველოსთვის განსაკუთრებულად საინტერესოა.²⁵⁵ მისი განვითარების კუთხით საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ნეტო აღრიცხვის დანერგვით.²⁵⁶

2.1.3. ქარის ენერჯია

საქართველოს აქვს ქარის ენერჯის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის მეშვეობით ელექტროენერჯის გამომუშავება წლიურად 1300 მლრდ კვტ.სთ.-ს შეადგენს.²⁵⁷ ქარის ენერჯის გამომუშავების თვალსაზრისით, საქართველო დაყოფილია მაღალ, საშუალო და დაბალ სიჩქარიან ზონებად.²⁵⁸ შერჩეულია ქარის ელექტროსადგურების განთავსების საუკეთესო ადგილები, რომლებიც საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას მოიცავს.²⁵⁹ დღეის მდგომარეობით საქართველოში, გორში განხორციელდა ქართლის ქარის ელექტროსადგურის პროექტი, სიმძლავრით 20,7 მგვტ.²⁶⁰ გასათვალისწინებელია, რომ ქარის ენერჯის ძირითადი წილი მოდის მაშინ, როდესაც ჰიდროელექტროსადგურები განიცდიან წყლის დეფიციტს²⁶¹.

²⁵⁴ დევიძე მ., მზის ენერჯეტიკა საქართველოში: პრობლემები, გამოწვევები და საჭირო ღონისძიებები, თბილისი, 2020, 17.

²⁵⁵ მზის ენერჯის პოტენციალის შესწავლა, <<https://sunhouse.ge/ka/mzis-potenciali/>> [24.06.2024.]

²⁵⁶ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს №47 დადგენილებით დამტკიცებული «ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების» 31-ე მუხლი; Legal Frameworks for Renewable Energy, Policy Analysis for 15 Developing and Emerging Countries, Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH, 2012, 20.

²⁵⁷ ჩხაიძე ბ., ენერჯეტიკა და ენერგოუსაფრთხოება (განახლებადი ენერჯის გამოყენების არსებული დონისა და მისი გაუმჯობესების სტრატეგია), წიგნში: გამოწვევები საქართველოს ენერჯო სექტორში და მდგრადი განვითარება, თბილისი, 2014, 42.

²⁵⁸ ზარიძე მ., საქართველოს ენერჯეტიკული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების მიმართულებები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2018, 32.

²⁵⁹ ჯერვალდიძე ლ., საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარების მიმართულებით, თბილისი, 2008, 8.

²⁶⁰ ქარელის ქარის ელექტროსადგური <<https://gedf.com.ge/project/4-qartlis-qaris-electro-sadguri>> [15.04.2022].

²⁶¹ Renewable Energy Market & Policy Trends in EIA Countries, International Energy Agency, Paris, France, Organisation for Economic Co-Operation and Development (OECD), 2004, 83-84.

2.1.4. გეოთერმული ენერჯია

გეოთერმული ენერჯია დედამიწის წიაღიდან მოდის და განახლებადი ენერჯის ერთ-ერთ წყაროა.²⁶² ის არ არის დამოკიდებული ამინდის ცვლილებაზე და იაფია ტრადიციულ სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებთან შედარებით.

ქვეყნის ტერიტორიაზე აღრიცხულია ბუნებრივი (წყაროები) და ხელოვნური (ჭაბურღილები) თერმული წყლის 250-მდე საბადო.²⁶³ არსებული გეოთერმული რესურსების თანამედროვე ტექნოლოგიებით ათვისების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად დავზოგოთ სანვაგი, რასაც, თავის მხრივ, დიდი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტი ექნება.

2.1.5. ბიომასის ენერჯია

ბიომასა ეს არის მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ორგანული ნივთიერებების ერთობლიობა.²⁶⁴ ბიომასიდან შეიძლება გამოიყოს შეშა, ხე-ტყის ინდუსტრიის ნარჩენები, სოფლის მეურნეობის მოსავლის ნარჩენები, მეცხოველეობის ნარჩენები და სხვა.²⁶⁵ ბიომასის გამოყენება ენერგეტიკაში მნიშვნელოვნად შეამცირებს სათბური ეფექტის მქონე აირების ემისიას, ამასთან, ის არის ენერჯის განახლებადი წყარო და გავრცელებული თითქმის მთელ ტერიტორიაზე. ბიომასის როლი სათანადოდ არ არის შეფასებული, თუმცა 2014 წელს ენერჯიაზე მოთხოვნილების 16% სანვაგ შეშაზე მოდიოდა²⁶⁶, რაც ძალიან სამწუხარო სტატისტიკაა.

2.2. ენერგოეფექტურობა

მსოფლიო ენერგობალანსში დამატებითი ენერჯის გენერირების პარალელურად, უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია უკვე არსებული ენერჯის მოხმა-

²⁶² მელიქიძე გ., საქართველოს გეოთერმული პოტენციალის ათვისების პერსპექტივები და არსებული პრობლემები, წიგნში: გამონვევები საქართველოს ენერგო სექტორში და მდგრადი განვითარება, თბილისი, 2014, 58-59; Heffron R.J., *Energy Law: An Introduction*, Springer, 2015, 51.

²⁶³ ჩხაიძე ბ., ენერგეტიკა და ენერგოუსაფრთხოება (განახლებადი ენერჯის გამოყენების არსებული დონისა და მისი გაუმჯობესების სტრატეგია), წიგნში: გამონვევები საქართველოს ენერგო სექტორში და მდგრადი განვითარება, თბილისი, 2014, 44.

²⁶⁴ იქვე, 42; *Legal Frameworks for Renewable Energy, Policy Analysis for 15 Developing and Emerging Countries*, Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH, 2012, 25.

²⁶⁵ იქვე; კლიმატის ცვლილებასთან ზემო სვანეთის ადაპტაციის სტრატეგია, თბილისი, 2014, 129-133.

²⁶⁶ მუხიგულიშვილი გ., მარგველაშვილი მ., ფიორტფორტი დ., ენერგეტიკული სუბსიდიები საქართველოში, წიგნში: ენერგეტიკული სუბსიდიების ინვენტარიზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საქართველო, თბილისი, 2016, 10.

რების კულტურის ამაღლებას და რაციონალურ ხარჯვას.²⁶⁷ ენერგოეფექტურობის აქტუალურობა განაპირობა ენერგომატარებლების (ნახშირწყალბადების) მარაგების შემცირებამ და ენერგომატარებლებზე, თბურ და ელექტროენერჯიებზე ფასების პერმანენტულმა ზრდამ, ასევე, თავად ენერგომატარებლებზე მოთხოვნილების ზრდამ.²⁶⁸

საქართველოში არსებული განახლებადი ენერჯის წყაროების შესწავლა და მათი განვითარება სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი წილი ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, რაც ამცირებს იმპორტირებულ საწვავზე დამოკიდებულებას და ადგილობრივი რესურსის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება, რადგან ამ ენერჯიების განვითარება მძიმე ფინანსური ტვირთია და კონკურენციას ვერ უწევს ნახშირწყალბადებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მიერ დაინერგოს რიგი წამახალისებელი მექანიზმები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და შესაძლებელს გახდის იმპორტირებული ენერჯის საკუთარი, განახლებადი ენერჯით ჩანაცვლებას.

3. განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშვნელობა

განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება საერთაშორისო დონეზე მხარდაჭერილია სხვადასხვა წამახალისებელი პოლიტიკით, რომლის მიზანია წიაღისეული საწვავის გამოყენებით წარმოებულ ელექტროენერჯიაზე დამოკიდებულების შემცირება და განახლებადი ენერჯის წილის გაზრდა.²⁶⁹ წახალისების პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ გამარტივებული წესით სახელმწიფომ უზრუნველყოს გარკვეული შეღავათიანი პირობები, ასევე, საკუ-

²⁶⁷ მუხიგულიშვილი გ., ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის შესახებ საქართველოს ნორმატიული გარემოსა და სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისობა საერთაშორისო მოთხოვნებთან, წიგნში: გამოწვევები საქართველოს ენერგო სექტორში და მდგრადი განვითარება, თბილისი, 2014, 5-6.

²⁶⁸ კვარაცხელია თ., მარგველაშვილი მ., ენერგოეფექტურობა – ევროპული დირექტივები და საქართველოს კანონმდებლობა, წიგნში: საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში, თბილისი, 2015, 111.

²⁶⁹ Verde S. F., Rossetto N., The Future of Renewable Energy Communities in the EU: An Investigation at the Time of the Clean Energy Package, Florence School of Regulation, Energy, Climate, 2020, 15, 85-86.

თარი სახსრებით განავითარონ საკუთარი ენერჯის წყაროები და სრულად ან ნაწილობრივ დაიკმაყოფილონ საკუთარი ენერჯომოთხოვნილება.²⁷⁰

განახლებადი ენერჯის წყაროების სარგებელი და მათი გამოყენება, აუცილებელია მომავალი თაობისთვის გარემოს შესანარჩუნებლად²⁷¹, რადგან ის არ იწვევს გარემოს სერიოზულ დაბინძურებას და აქვს დაბალი ან ნულოვანი ნახშირბადის და სათბურის ემისია.²⁷² განახლებადი ენერჯის გამოყენება მკვეთრად ამცირებს წიაღისეულ საწვავზე, როგორც ენერჯის წყაროზე დამოკიდებულებას, შესაბამისად, ამცირებს ჰაერის დაბინძურებას.²⁷³ განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება ეხმარება განვითარებად ქვეყნებს ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული წიაღისეული საწვავზე.²⁷⁴ ძლიერმა ქარმა, დედამიწის ქვემოდან გამომავალმა სიცხემ, მზემ და მოძრავმა წყალმა შეიძლება უზრუნველყოს ქვეყნის უზარმაზარი და სტაბილური ენერჯომომარაგება მრავალი წლის განმავლობაში. საქართველო, რომელსაც გააჩნია განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების უდიდესი პოტენციალი, შესაძლებლობა აქვს ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა საკუთარი მწვანე ენერჯის ხარჯზე დააკმაყოფილოს და შეამციროს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულება. განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა ადგილობრივი ენერჯის წარმოებით იქნეს დაკმაყოფილებული ელექტროენერჯის მოთხოვნა და მით უფრო ნაკლებად იყო დამოკიდებული იმპორტირებულ ენერჯიაზე, რაც, თავის მხრივ, ზრდის ქვეყნის ენერჯოუსაფრთხოებას.²⁷⁵

განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისების ერთ-ერთი უარყოფითი მხარე გამოიხატება კომერციული თვალსაზრისით მის ნაკლებად მომგებიანო-

²⁷⁰ Iliopoulos T. G., Fermeglia M., Vanheusden B., *The EU's 2030 Climate and Energy Policy Framework: How Net Metering Slips through Its Net*, *Review of European Comparative & International Environmental Law*, Vol. 29, No. 2, 2020, 1-2.

²⁷¹ რაც თანამედროვე სამართლის ერთ-ერთი გამორჩეული ფუნქციაა. სამართლის ეკოლოგიურ ფუნქციასთან დაკავშირებით იხ., ყალიჩავა კ., გარემოს დაცვის სამართალი, თბილისი, 2018, 100; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №2/1/524 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; მიქაძე ი., ადამიანი და ეკოლოგია ბუნებრივი რესურსების ეკონომიკა ეკოლოგიის სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2010, 264-266.

²⁷² Zervos A., Lins Ch, *Integration of Renewable Energy Sources*, in: *Renewable Energy in Europe, Markets, Trends and Technologies*, Edited by European Renewable Energy Council, Earthscan, London, New York, 2010, 3-4.

²⁷³ იქვე, 5.

²⁷⁴ *Renewable Energy Market & Policy Trends in IEA Countries*, International Energy Agency, Paris, France, Organisation for Economic Co-Operation and Development (OECD), 2004, 199-200, 437, 447.

²⁷⁵ იქვე, 10-11.

ბაში.²⁷⁶ თუ განახლებად ენერჯიას არ მიენიჭება პოლიტიკური პრიორიტეტი, მაშინ ინოვაციები შემცირდება არაგანახლებადი შესაძლებლობის სასარგებლოდ, შესაბამისად, მიზანშეწონილია სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ღონისძიებების გატარება განახლებადი ენერჯიის წყაროების განვითარების ხელშეწყობისთვის. საქართველოც არ არის ამ მხრივ გამონაკლისი.

3.1. ნეტო აღრიცხვა

განახლებადი ენერჯიის წყაროების ათვისების ხელშეწყობის ერთ-ერთი ღონისძიება შეიძლება იყოს მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის რეგულირება (ე.წ. ნეტო აღრიცხვა). ნეტო აღრიცხვა არის მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის²⁷⁷ მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯიის ქსელში გადადინებისა და ქსელიდან მიღებული ელექტროენერჯიის ორმხრივად (რევერსულად) აღრიცხვის პროცესი, რა დროსაც წარმოებული და მოხმარებული ელექტროენერჯია ერთმანეთს ქვითავს.²⁷⁸ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული ელექტროენერჯიის და გამანაწილებელ ქსელში მიწოდება განისაზღვრება ელექტროენერჯიის გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერჯიის გამანაწილებელი ქსელის წესებითა და მიწოდების წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად.²⁷⁹

ნეტო აღრიცხვა პირველად 2016 წელს დაინერგა და კანონით განისაზღვრა მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის სტატუსი, რაც გულისხმობს საცალო მომხმარებლის მფლობელობაში არსებულ განახლებადი ენერჯიის წყაროს, მის მაქსიმალურ სიმძლავრეს და აგრეთვე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ განაწილების ქსელში ელექტროენერჯიის მიწოდების პრინციპებს.²⁸⁰

²⁷⁶ Electricity Market Reform: An International Perspective, Edited by F.P. Sioshansi and W. Pfaffenberger, Oxford University Press, 2004, 291.

²⁷⁷ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „3³¹“ პუნქტი.

²⁷⁸ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის რეგულირება (ე.წ. ნეტო აღრიცხვა), <<https://gnerc.org/ge/user-page/useful-information-for-customers/netoaghritskhva/59>> [01.05.2022]

²⁷⁹ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტი. „ელექტროენერჯიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის N20 დადგენილების 25-ე, 25¹, 25² მუხლები. (ძალადაკარგულია 13.08.20, N47)

²⁸⁰ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2016 წლის 2 მარტის N4797-III საქართველოს კანონი. (ძალადაკარგულია 20.12.2019, N5646)

ამასთან, მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთება, მისი მიერთების საფასური, აღრიცხვა-ანგარიშების წესი და სხვა განისაზღვრა საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებით²⁸¹. პირველ ეტაპზე ნეტო აღრიცხვით სარგებლობა შეზღუდული იყო და მხოლოდ 100 კილოვატი სიმძლავრის სადგურებს შეეძლოთ ქსელში ჩართვა²⁸², რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ მზის ენერჯით სარგებლობის შესაძლებლობა მხოლოდ საყოფაცხოვრებო სადგურებს ენიჭებოდათ.

ნეტო აღრიცხვის თავდაპირველი რეგულაციით, საქართველოში ნებისმიერ აბონენტს, ფიზიკურ, თუ იურიდიულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა დაემონტაჟებინა განახლებად ენერჯიაზე მომუშავე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური და გამომუშავებული ენერჯია საკუთარი საჭიროებისთვის მოეხმარა, ხოლო ჭარბი ენერჯის შემთხვევაში განეხორციელებინა ქსელში მიწოდება.²⁸³ კონკრეტულ საანგარიშსწორებო პერიოდზე მომხმარებლის მიერ ჭარბი ენერჯის წარმოების შემთხვევაში, განაწილების ლიცენზიატს მომხმარებლის სასარგებლოდ მართებს ჭარბი კვტ.სთ-ები, რომლის გაქვითვის ან ანაზღაურების სხვადასხვა ხერხი არსებობს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ჭარბი კვტ.სთ-ების მომდევნო საანგარიშსწორებო პერიოდის ქვითარში კრედიტად ასახვა.²⁸⁴ სემეკის დადგენილების შესაბამისად თუ გაყიდული ენერჯია მოხმარებულს აჭარბებს, ის მომდევნო თვეზე გადავა, ერთი წლის თავზე კი, დადებითი ბალანსის შემთხვევაში, გამანაწილებელი კომპანია ვალდებული იქნება აბონენტს გადაუხადოს თანხა სემეკის მიერ დადგენილი საბითუმო ფასის შესაბამისად.²⁸⁵

მზის ენერჯიას დადებითმა გავლენამ ეკონომიკასა და გარემოზე, ასევე, ტექნოლოგიურმა წინსვლამ ხელმისაწვდომი გახადა მზის პანელების შექმნა და შესა-

²⁸¹ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის N20 დადგენილება. (ძალადაკარგულია 13.08.20, N47); „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილება.

²⁸² „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის N20 დადგენილების 25-ე მუხლი. (ძალადაკარგულია 13.08.20, N47)

²⁸³ Barraco J. V., *Distributed Energy and Net Metering: Adopting Rules to Promote a Bright Future*, *Journal of Land Use & Environmental Law*, Vol. 29, No. 2, 2014, 368.

²⁸⁴ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის ანგარიში, 2017, 31.

²⁸⁵ „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ბამისად გააფართოვა მზის ენერჯის მომხმარებელი.²⁸⁶ 2020 წელს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, მწვანე ენერჯიაზე მომუშავე მიკროსიმძლავრის სადგურის 100 კილოვატიანი შეზღუდვა 500 კილოვატამდე გაზარდა,²⁸⁷ რამაც საშუალება მისცა მცირე და საშუალო ბიზნესს, ქსელში ჩართულიყო. სიახლე შეეხო როგორც ინდივიდუალურ მომხმარებლებს, ასევე მომხმარებელთა ჯგუფს, რომლებსაც სურდათ განახლება ენერჯიებზე მომუშავე ელექტროენერჯის გამომუშავების საკუთარი წყარო ჰქონოდათ საყოფაცხოვრებო ან არასაყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. ამასთან, გაუქმდა მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის ელექტროენერჯის მოხმარების ადგილას მიერთების აუცილებლობა, რაც გულისხმობს, მომხმარებლისა და მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის ერთი გამანაწილებელი კომპანიის ქსელით სარგებლობის შემთხვევაში შესაძლებლობას, ელექტროენერჯის წარმოება და მოხმარება სხვადასხვა ადგილას განხორციელდეს;²⁸⁸ ახალი რეგულაციით, ენერჯის გამომუშავება და მოხმარება სხვადასხვა ლოკაციაზე გახდა შესაძლებელი.²⁸⁹ კერძოდ, ამოქმედდა ვირტუალური ნეტო აღრიცხვის პროგრამა.²⁹⁰ ვირტუალური ნეტო აღრიცხვა გულისხმობს, რომ აღარ არის აუცილებელი, გენერაციის ობიექტი და მოხმარების ობიექტი ერთსა და იმავე ადგილას მდებარეობდეს, კერძოდ, შესაძლებელია მზის ელექტროსადგური იყოს განსხვავებულ ადგილას, თუმცა მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია ჩაითვალოს მოხმარების სხვა ობიექტზე, ოღონდ ორივე ობიექტი, გენერაცია და მოხმარებაც, ერთი გამანაწილებელი კომპანიის არეალში უნდა მდებარეობდეს²⁹¹.

²⁸⁶ Miller D., *Selling Solar, The Diffusion of Renewable Energy in Emerging Markets*, London, 2009, 38.

²⁸⁷ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის N20 დადგენილების 25-ე მუხლი. (ძალადაკარგულია 13.08.20, N47); „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტი.

²⁸⁸ Iliopoulos T. G., Fermaglia M., Vanheusden B., *The EU's 2030 Climate and Energy Policy Framework: How Net Metering Slips through Its Net, Review of European Comparative & International Environmental Law*, Vol. 29, No. 2, 2020, 247.

²⁸⁹ „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

²⁹⁰ Iliopoulos T. G., Fermaglia M., Vanheusden B., *The EU's 2030 Climate and Energy Policy Framework: How Net Metering Slips through Its Net, Review of European Comparative & International Environmental Law*, Vol. 29, No. 2, 2020, 247.

²⁹¹ იქვე.

ნეტო აღრიცხვის სისტემა უფრო საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის გამოიყენება, ვიდრე კერძო მეურნეობებში. ამ სისტემაში მონაწილეობა შეუძლია ყველას, ვინც ფლობს მზის, ქარის, ჰიდრო ან/და სხვა განახლებადი ენერჯის წყაროზე მომუშავე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურს, რომლის სიმძლავრე არ აღემატება 500 კილოვატს.²⁹² მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობა არაა სამენარმეო საქმიანობა.²⁹³ ასევე, არ არის სავალდებულო ელექტროსადგური იყოს მომხმარებლის საკუთრებაში, ელექტროსადგურით სარგებლობა შესაძლებელია იჯარით, ლიზინგით ან სხვა ფორმით ფლობის შემთხვევაშიც.²⁹⁴ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის სტატუსით სარგებლობა შეუძლიათ 500 კვტ-მდე სიმძლავრის მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებსაც.²⁹⁵

ნეტო აღრიცხვისას ქსელში ჩართულ ელექტროენერჯის მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა საკუთარი ენერჯის წყაროთი დაიკმაყოფილოს საკუთარი ენერგომოთხოვნილება, ხოლო ჭარბი ენერჯია გასცეს ქსელში, რაც აღრიცხება სპეციალური მრიცხველით, რომელსაც შეუძლია მოხმარებული და წარმოებული ელექტროენერჯის სალდოს გამოყვანა, რის მიხედვითაც ხდება შემდგომი ანგარიშსწორება მომხმარებელსა და ელექტროენერჯის მიმწოდებელს შორის.²⁹⁶

ნეტო აღრიცხვის დანერგვამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა განახლებადი ენერჯის წყაროს გამოყენების ხელშეწყობაში, კერძოდ, საკუთარი ენერჯის გამომუშავებამ, როგორც საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის, ასევე ბიზნესისთვის, შესაძლებლობა შექმნა, მომხმარებელს დაეზოგა კომუნალური

²⁹² „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტი.

²⁹³ Renewable Energy Market & Policy Trends in IEA Countries, International Energy Agency, Paris, France, Organisation for Economic Co-Operation and Development (OECD), 2004, 76, 89, 94.

²⁹⁴ Iliopoulos T. G., Fermeglia M., Vanheusden B., The EU's 2030 Climate and Energy Policy Framework: How Net Metering Slips through Its Net, Review of European Comparative & International Environmental Law, Vol. 29, No. 2, 2020, 248.

²⁹⁵ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის რეგულირება (ე.წ. ნეტო აღრიცხვა), <<https://gnerc.org/ge/user-page/useful-information-for-customers/netoaghrtskhva/59>> [15.06.2022]

²⁹⁶ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის N20 დადგენილების 25²-ე მუხლი. (ძალადაკარგულია 13.08.20, N47); „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილების 31-ე მუხლი.

გადასახადი და შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეემცირებინა წლიური ხარჯები. მომხმარებელს გაუჩნდა დამატებითი შესაძლებლობა, დაზოგოს ფინანსები ენერჯის შესყიდვაზე ან სულაც თავად გახდეს ენერჯის მიმწოდებელი. ეს არის სუფთა ენერჯია და დადებითად აისახება გარემოზე. ნეტო აღრიცხვის დანერგვა წინ გადადგმული ნაბიჯია და ინტერესი კომერციული სექტორიდან მზარდია, რაც გულისხმობს საკუთარი ენერჯის გამომუშავებით ტარიფების სამომავლო ზრდისგან დაცვასაც.

ნეტალრიცხვა და ნეტბილინგი (Net Billing) განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის პოლიტიკის ორი ძირითადი მექანიზმია, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია მზის ენერჯის მომხმარებლებისთვის. მათი მნიშვნელობა ენერჯეტიკული სისტემების განვითარებასა და მომხმარებლების ფინანსურ სარგებელზე მორგებულ მიდგომებში გამოიხატება. ნეტოლრიცხვისგან განსხვავებით, ნეტბილინგი გულისხმობს, რომ ქსელში გადაცემული ენერჯია ფასდება საბაზრო ღირებულებით და მომხმარებელი იღებს შესაბამის კომპენსაციას.²⁹⁷ იგი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ზედმეტი გენერაცია გაყიდოს ბაზრის პირობებზე დაფუძნებული ტარიფებით, რაც ქსელის ფინანსურ მდგრადობას ზრდის. ნეტბილინგზე გადასვლისას მომხმარებელი უკეთ აცნობიერებს ენერჯეტიკულ ბაზარზე მოქმედი ფასების ცვლილებებს და უფრო მარტივია ენერჯეტიკული რესურსების მართვა. ის ხელს უწყობს ენერჯეტიკული სისტემის მდგრადობას, რადგან ელექტროენერჯის ღირებულება იცვლება ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების მიხედვით; ასევე, ნეტბილინგისას ენერჯის გადაცემული და მოხმარებული ნაწილები დამოუკიდებლად ფასდება, რაც უზრუნველყოფს სამართლიან მიდგომას როგორც მომხმარებლებისთვის, ისე ენერჯოკომპანიებისთვის.²⁹⁸

ბევრ ქვეყანაში ნეტალრიცხვა დროთა განმავლობაში ჩანაცვლდა ნეტბილინგით, რადგან ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ბაზრის უფრო გამჭვირვალე და სამართლიან ფუნქციონირებას. ევროკავშირის ქვეყნები ნეტოლრიცხვიდან ნელ-ნელა გადადიან ნეტბილინგზე, რათა შეესაბამებოდნენ ბაზრის დერეგულაციისა და საბაზრო მექანიზმების გამჭვირვალობის მოთხოვნებს.²⁹⁹ საერთა-

²⁹⁷ Net Metering vs. Net Billing Explained <<https://www.energysage.com/solar/net-metering-vs-net-billing/>> [30.01.2025].

²⁹⁸ იბ., Ordóñez Á., Sánchez E., Rozas L., García R., Parra-Domínguez J., Net-metering and Net-billing in Photovoltaic Self-Consumption: The Cases of Ecuador and Spain, Sustainable Energy Technologies and Assessments, Vol. 53, Part A, 2022.

²⁹⁹ მაგალითად, საბერძნეთი 2023 წლიდან აქტიურად გადადის ნეტბილინგის მოდელზე, რათა შეამციროს ქსელის დატვირთვა და გაზარდოს კერძო ინვესტიციები განახლებად

შორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ნეტბილინგი უფრო ფართოდ ვრცელდება იმ ქვეყნებში, სადაც ენერგეტიკული ბაზრები განვითარებულია და ელექტროენერჯის ვაჭრობის სისტემები სრულყოფილად ფუნქციონირებს.³⁰⁰

საქართველოში განახლებადი ენერჯის განვითარება მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, თუმცა ენერგეტიკული ბირჟის ფუნქციონირება ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა. საქართველოში ამჟამად ნეტალრიცხვის სისტემა მოქმედებს, რაც ხელს უწყობს მცირე და საშუალო მასშტაბის მზის ენერჯის სისტემების განვითარებას. თუმცა არსებული მოდელით ნეტალრიცხვა არ ითვალისწინებს ქსელის მოვლის ხარჯების გადანაწილებას, რაც ზრდის ფინანსურ ზეწოლას ენერგომომარაგებაზე პასუხისმგებელ კომპანიებზე. ბაზრის გამჭვირვალობის თვალსაზრისით არსებული სისტემა არ ასახავს ბაზრის რეალურ ფასებს და არ უწყობს ხელს მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების თანაბრად დაცვას. შესაბამისად, ნეტალრიცხვა არ უზრუნველყოფს ქსელში ზედმეტი ენერჯის ეფექტიან მართვას, რაც ზღუდავს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების პოტენციალს.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება მოითხოვს ენერგეტიკის სექტორში ისეთი რეგულაციების დანერგვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ბაზრის გამჭვირვალობას და ეფექტიანობას. ნეტბილინგი უკეთ პასუხობს ბაზრის მექანიზმების მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, გაყიდოს ან გამოიყენოს საკუთარი წარმოებული ენერჯია ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით. მომხმარებლები, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა ენერჯია გაყიდონ ბაზარზე, უფრო მეტად დაინტერესდებიან განახლებადი ენერჯის სისტემების დანერგვით. ნეტბილინგი უფრო ეფექტიანია სუბსიდირების პოლიტიკისთვის, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს ფინანსურ მდგრადობას ენერგეტიკულ სექტორში. ენერგეტიკული ბირჟის სრულფასოვანი ფუნქციონირება ნეტბილინგის წარმატებისთვის აუცილებელია. ნეტალრიცხვიდან ნეტბილინგზე გადასვლა უნდა მოხდეს ეტაპობრივად, რათა

ენერჯიაში. გერმანიაში ნეტბილინგის მოდელი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მიიღონ დამატებითი შემოსავალი ბაზარზე ენერჯის გაყიდვით. მისი წარმატება განპირობებულია დანვრილებითი რეგულაციებით, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც მწარმოებელთა, ისე მომხმარებელთა ინტერესების დაცვას. აშშ-ში ნეტბილინგი პოპულარული ხდება ისეთ შტატებში, სადაც ენერგეტიკული ქსელი დატვირთულია, იგი უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის მოქნილობას და სისტემის მდგრადობას, რათა გათვალისწინებულიყო ქსელის მოვლის ხარჯები და უზრუნველყო ენერჯის მწარმოებლებისა და მომხმარებლების ინტერესების ბალანსი.

³⁰⁰ Adapting Market Design to High Shapes of Variable Renewable Energy, International Renewable Energy Agency (IRENA), Abu Dhabi, 2017, 114-115.

მომხმარებლებს ჰქონდეთ ადაპტაციის საშუალება. აუცილებელია სამართლიანი ტარიფების განსაზღვრა, რომლებიც ასახავენ როგორც ენერჯის მწარმოებლობის, ისე ქსელის მოვლის ხარჯებს. აუცილებელია დეტალური ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლებისთვის, რათა ისინი უკეთ გაერკვნენ სისტემის პრინციპებში და სარგებელში. ნეტბილინგის სისტემისთვის საჭიროა ინვესტირება თანამედროვე საზომ სისტემებში, რომლებიც უზრუნველყოფს ზუსტ აღრიცხვას. ნეტბილინგზე გადასვლა საქართველოს ენერგეტიკული ბაზრისთვის გარდაუვალი ნაბიჯია, რომელიც ხელს შეუწყობს ბაზრის გამჭვირვალობას, მომხმარებლების ეკონომიკურ მოტივაციას და განახლებადი ენერჯის განვითარებას. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს მოდელი მდგრადი და ეფექტიანია, რაც ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგიის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ნეტბილინგზე გადასვლა საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მოდერნიზაციის მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მისი სწორი დაგეგმვა და განხორციელება ხელს შეუწყობს როგორც ბაზრის ეფექტიანობას, ისე ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას.

3.2. ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება

ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება არის ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულება ელექტროსადგურისგან, რომელიც პროექტის შემოსავლის ძირითადი წყაროა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა ძირითადად დამოკიდებულია ტექნოლოგიასა და დაფინანსების ხანგრძლივობაზე.³⁰¹ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება ინვესტიციის მხარდაჭერის მექანიზმია და ევროპაში ცნობილია როგორც პრემიალური ტარიფი (Feed-in-Tariff – FIT), რაც განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიებში ინვესტიციების დაჩქარების წარმატებული მექანიზმია.³⁰² 2008 წელს საქართველოს მხრიდან განახლებადი ენერჯის ათვისების მხარდაჭერის მექანიზმის შემუშავებას საფუძვლად დაედო იმ დროს მოქმედი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც, თავის მხრივ, მიზნად ისახავდა ინვესტიციების მოზიდვასა და ენერგეტიკის განვითარებას.³⁰³ პოლიტიკის საფუძველზე შეიქმნა საქართვე-

³⁰¹ Thomson Reuters Practical Law, Glossary; Power Purchase Agreement (PPA), <[https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/4-622-8759?transitionType=Default&contextData=\(sc.Default\)&firstPage=true](https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/4-622-8759?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true)> [05.06.2022]

³⁰² Larson A., Types of Power Purchase Agreements and Why Each PPA Might Be Used, Power, Vol. 165, No. 9, 2021, 36-37.

³⁰³ „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ – საქართველოში განახლებადი

ლოს მთავრობის დადგენილებები³⁰⁴, რომლებიც ეტაპობრივად ხელს უწყობდა განახლებადი ენერჯის ათვისებისათვის შესაბამისი კანონმდებლობის შექმნას. ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების დანერგვა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ქართული ენერჯეტიკის განვითარებისა და ინვესტიციების შემოდინებისთვის, რაც დადებითად აისახა ქართულ ეკონომიკაზე.³⁰⁵ საქართველოს მთავრობასა და ინვესტორს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმები ითვალისწინებდა ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორთან ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების დადებას. სახელმწიფოს მხრიდან ამ ხელშეწყობის მექანიზმით 2007-2019 წლებში არაერთი მემორანდუმი დაიდო.³⁰⁶ მემორანდუმები ითვალისწინებდა კონკრეტულ ფასად, კონკრეტულ პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან ელექტროენერჯის შესყიდვას, ხშირ შემთხვევაში ეს იყო 8 თვე, რომელიც განსაკუთრებით კრიტიკული იყო ქვეყნისთვის.³⁰⁷ აღნიშნული ხელშეკრულებები თავსდებოდა ენერჯეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისათვის (გარდა კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული მემორანდუმებისა). ამ ეტაპისთვის ენერჯეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდი აღარ ფუნქციონირებს, ხოლო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე აღნიშნული მემორანდუმები არ არის ხელმისაწვდომი³⁰⁸.

ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება ფინანსური რისკების შემცირების წარმატებული მექანიზმია და კარგადაა აპრობირე-

ენერჯის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის N107 დადგენილება.

³⁰⁴ „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილება; „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №515 დადგენილება.

³⁰⁵ თოდუა ა., დარბაიძე ა., ჯეჯელავა ა., ჩადუნელი გ., იაშვილი გ., კვერნაძე მ., ებრაღიძე ნ., ჩხეტიანი ხ., ადგილობრივი განახლებადი ენერჯეტიკული რესურსების განვითარების ეკონომიკური გავლენის ანალიზი და მისი როლი ენერჯეტიკულ უსაფრთხოებაში, თბილისი, 2020, 92-98.

³⁰⁶ MOUs_geo, <https://esco.ge/files/data/Electricity/Memorandums/MOUs_geo.pdf> [05.06.2022]

³⁰⁷ სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ 2013-2018 წლების ანგარიშები; <<https://esco.ge/chvens-shesakheb/reports/annual-reports>> [05.06.2022]

³⁰⁸ იხ., <<https://www.economy.ge/index.php?page=projects&s=49>> [05.06.2022]

ბული განვითარებულ ქვეყნებში.³⁰⁹ იგი ინვესტორების მიერ გამოიყენება განახლებადი ენერჯის პროექტის ფინანსირების მიზნებისთვის და უზრუნველყოფს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან მხარდაჭერას.³¹⁰ ევროკავშირის ნევრ-სახელმწიფოებში წახალისების მექანიზმები გრძელვადიანია³¹¹ და ამ ქვეყნებში ბაზრის სრული ლიბერალიზაციის შემდეგ გახდა შესაძლებელი, თუმცა გარდამავალი პერიოდი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა³¹². ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში თანხა იფარება საბოლოო მომხმარებლის მიერ და არა საბიუჯეტოს სახსრებით, ხოლო ფასის დადგენა სხვადასხვა ტექნოლოგიისთვის განსხვავებულია³¹³. ევროპაში ფიქსირებული წახალისების მექანიზმის ფასი ქვეყნებისა და ტექნოლოგიების მიხედვით სახესხვაობს, ის არ არის ბაზრის სიგნალებზე დაფუძნებული მექანიზმი.³¹⁴

ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების ხარჯებისა და ტარიფების ფისკალური თვალსაზრისით განხილვისას მსოფლიო ბანკის მიერ პოტენციური ზემოქმედების ანალიზისას უარყოფითად იქნა შეფასებული მის ანგრიშში³¹⁵, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული მექანიზმის გამოყენების შეჩერება და ახალი კანონის მიღება³¹⁶, თუმცა კანონქვემდებარე აქტების გამოცემა და ასევე, ამავე კანონის საფუძველზე ახალი კერძოდ, საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს შექმნა დაგვიანდა. ამ დრომდე კანონის ფარგლებში არც ერთი პროექტი არაა გადასული განხორციელების ფაზაზე³¹⁷, რაც მეტყველებს მექანიზმის ნაკლებად ეფექტურ მუშა-

³⁰⁹ Larson A., Types of Power Purchase Agreements and Why Each PPA Might Be Used, Power, Vol. 165, No. 9, 2021, 36-37.

³¹⁰ IRENA, Power Purchase Agreements for Variable Renewable Energy, 2018, <<https://www.irena.org/-/media/Files/IRENA/Agency/Events/2018/Aug/Variable-Renewable-Energy-PPAs.pdf?la=en&hash=C365D5D08EBFF26A1F7A29A13D721C5B3C4390D9>> [05.06.2022]

³¹¹ Pricing to Support Development of the Variable Renewable Energy in Georgia, USAID/Deloitte, 2019.

³¹² იქვე. კვლევის შესაბამისად, ნიდერლანდები – 4 წელი; გაერთიანებული სამეფო – 15 წელი; პოლონეთი – 10 წელი, საფრანგეთი – 9 წელი, იტალია – 11 წელი, გერმანია – 7 წელი, ესპანეთი – 11 წელი, თურქეთი – 5 წელი.

³¹³ Funabashi T., Integration of Distributed Energy Resources in Power Systems: Implementation, Operation and Control, Nagoya, 2016, 12-14.

³¹⁴ Bruck M., Sandborn P., Goudarzi N., A Levelized Cost of Energy (LCOE) Model for Wind Farms That Include Power Purchase Agreements (PPAs), Renewable Energy, Vol. 122, 2018, 131-139.

³¹⁵ Assessment of Fiscal Costs and Tariff Impacts of Power Purchase Agreements Final Note, The World Bank, February 22, 2018, 9.

³¹⁶ იხ., „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

³¹⁷ საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, <<https://ppp.gov.ge/ppp-procesi/ppp-procesi/>> [05.06.2022]

ობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ერთადერთ გამონაკლისს ითვალისწინებს და უშვებს მხოლოდ ენერგეტიკის სექტორისთვის კერძო პარტნიორის შერჩევას პირდაპირი მოლაპარაკების გზით,³¹⁸ აღნიშვნის ღირსია, რომ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის პირობა იყო საქართველოში ახალი ელექტროსადგურის მშენებლობის ნახალისების რეალური მექანიზმი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა განახლებადი წყაროებიდან ენერჯის მიღების მიზნით ასზე მეტი მემორანდუმის დადებასა და განახლებადი ენერჯის პროექტის ინიცირებას. თუმცა პროცესს თან ახლდა ნაკლოვანებებიც, რაც გამოიხატებოდა ელექტროენერჯის გარანტირებულად შესყიდვის გადაწყვეტილებების მიღებისთვის გაუმჭირვალე და არაპროგნოზირებადი გარემოს შექმნაში, ეს კი ზრდიდა მიკერძობული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებისა და ნახალისების მიზნით კანონმდებლობა ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმს,³¹⁹ თუმცა ნახალისებისა და მხარდაჭერის სქემებს თავად კანონი არ ადგენს და საქართველოს საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად განისაზღვრება.³²⁰ თავდაპირველად დადგენილი იყო საქართველოში 5 მეგავატზე მეტი დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ოპერირების ხელშემწყობი ღონისძიებები³²¹, ხოლო მოგვიანებით მოწესრიგება გავრცელდა განახლებადი ენერჯის სხვა წყაროებზეც³²². „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების ნახალისების შესახებ“ საქართველოს კანონი განიხილავს მხარდაჭერის პრემიალურ ტარიფს, სპეციალურ მწვანე ტარიფს, ფასთა სხვაობის ხელშეკრულებასა

³¹⁸ „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი.

³¹⁹ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი.

³²⁰ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების ნახალისების შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონი; „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის (ჰიდროელექტროსადგურები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის N403 დადგენილება.

³²¹ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების ნახალისების შესახებ საქართველოს კანონი. კანონი“; „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის (ჰიდროელექტროსადგურები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის N403 დადგენილება. დადგენილება (29.01.2021 წლის 29 იანვრის მდგომარეობითრედაქცია).

³²² „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის (ჰიდროელექტროსადგურები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის N403 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის N36 დადგენილება.

და მწვანე სერტიფიკატს პრემიალური ტარიფი სატარიფო პოლიტიკის ინსტრუმენტია, რომელიც განახლებადი ენერჯის მწარმოებლების მიერ გამოიმუშავებულ ელექტროენერჯიას, საბითუმო ფასზე დამატებით, უზრუნველყოფს ფიქსირებული პრემიალური ანაზღაურებით, რომელიც შეიძლება იყოს ცვალებადი და გამოითვლება, როგორც სხვაობა საშუალო საბითუმო ფასსა და წინასწარ განსაზღვრულ გარანტირებულ ფასს შორის.³²³ პრემიალური ტარიფის შემთხვევაში მხარდაჭერის პერიოდია 8 თვე, ხოლო ტარიფი შეადგენს 1 კვტ.სთ-ისთვის 0.015 აშშ დოლარს.³²⁴ სპეციალურ მწვანე ტარიფიც ასევე, სატარიფო პოლიტიკის ინსტრუმენტია, რომელიც განახლებადი ენერჯის მწარმოებლების მიერ გამოიმუშავებულ ელექტროენერჯიას, საბითუმო ფასის გარდა, უზრუნველყოფს ფიქსირებული ანაზღაურებით.³²⁵ ფასთა სხვაობის ხელშეკრულება მხარეს ავალდებულებს განახლებადი ენერჯის მწარმოებელს აუნაზღაუროს სხვაობა გარანტირებულ ფასსა და საბითუმო ფასს შორის, თუ გარანტირებული ფასი მაღალია საბითუმო ფასზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საბითუმო ფასი მაღალია გარანტირებულ ფასზე, განახლებადი ენერჯის მწარმოებელი ხელშეკრულების მხარეს აუნაზღაურებს საბითუმო ფასსა და გარანტირებულ ფასს შორის არსებულ სხვაობას.³²⁶ მწვანე სერტიფიკატი არის გაყიდვადი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ ენერჯის მოცემული წილი ან რაოდენობა წარმოებულია განახლებადი წყაროებიდან და მისი ფასი შესაძლოა განისაზღვროს გარანტირებული მინიმალური ფასით.³²⁷ სპეციალური მწვანე ტარიფი, ფასთა სხვაობის ხელშეკრულება და მწვანე სერტიფიკატი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით უნდა მოწესრიგდეს. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რეალობაში ისინი სრულიად ახალი მექანიზმებია, პრაქტიკაში მათი დანერგვისას გასათვალისწინებელია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს ბაზრის თავისებურებანი.

განახლებადი წყაროების გამოყენებისა და ნახალისების მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს ძლიერი და ქმედითი ნახალისების

³²³ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების ნახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი.

³²⁴ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის N403 დადგენილებით დამტკიცებული განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის მე-4 და მე-5 მუხლები.

³²⁵ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების ნახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი.

³²⁶ იქვე, „ტ“ ქვეპუნქტი.

³²⁷ იქვე, „ნ“ ქვეპუნქტი.

მექანიზმზე, რომელიც განახლებადი ენერჯის განვითარების და ხელშეწყობის მთავარი ინსტრუმენტია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან დაინერგოს საქართველოს რეალობაზე მორგებული ნამახალისებელი მექანიზმი ენერჯეტიკის დარგში ინვესტიციების განხორციელების მოსაზიდად, ასევე, განახლებადი წყაროების გენერაციის გაზრდის მიზნით აუცილებელია კოორდინირებული მუშაობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან და დროული და გამჭირვალე გადაწყვეტილებების მიღება.

3.3. ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულება (CfD მექანიზმი)

3.3.1. ევროკავშირის მიდგომები ფასთა შორის სხვაობის (CfD) მექანიზმთან დაკავშირებით

განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი შესაძლებლობაა გარემოს დაცვის გასაუმჯობესებლად და სახელმწიფო, არასახელმწიფო და ეკონომიკური აქტორები, მათ შორის, მეცნიერები, შესაბამისი მხარდამჭერი პოლიტიკის მეშვეობით, დაინტერესებულნი არიან, გააძლიერონ მათი ინტეგრაცია ენერჯეტიკულ ნაკადებში, სადაც ამჟამად დომინირებს ნავთობი, გაზი და ქვანახშირი.³²⁸ მექანიზმების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი³²⁹ და განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის სქემების ეფექტიანობა დამოკიდებულია ცალკეული ინსტიტუტების მხარდაჭერის უნარზე, რომლებიც ავითარებენ და აფინანსებენ პროექტებს და ასევე, იმაზე, თუ თავად რომელი განახლებადი ენერჯის წყაროების ნახალისებას ისახავს მიზნად სახელმწიფო,³³⁰ რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში თავად ირჩევს, რომელი მხარდამჭერი მექანიზმი იქნება უფრო წარმატებული განახლებადი ენერჯის წყაროების გასავითარებლად.

განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიის ღირებულება ბოლო წლებში დაეცა, მაგრამ რამდენად შეუძლიათ ელექტროენერჯის მომხმარებლებს ისარგებლონ შემცირებული ფასით, დამოკიდებულია განახლებადი ენერჯის ნამახალისებელი მექანიზმების დიზაინზე.³³¹ ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულება (CfD) შესაძლოა იყოს ნახალისების ერთ-ერთი წარმატებული მექანიზმი, რამდენადაც

³²⁸ Onifade T.T., Hybrid Renewable Energy Support Policy in the Power Sector: The Contracts for Difference and Capacity Market Case Study, Energy Policy, Vol. 95, 2016, 390-391.

³²⁹ იქვე.

³³⁰ Butler L., Neuhoﬀ K., Comparison of Feed-in Tariff, Quota and Auction Mechanisms to Support Wind Power Development, Renewable Energy, Vol. 33, No. 8, 2008, 1844.

³³¹ May N., Neuhoﬀ K., Richstein J.C., Affordable Electricity Supply via Contracts for Difference for Renewable Energy, DIW Weekly Report, Berlin, 2018, 252-253.

მისთვის დამახასიათებელია დაფინანსების დაბალი ხარჯები, რაც ამცირებს განახლებადი ელექტროენერჯის მიწოდების საერთო ხარჯებს და ასევე, ამცირებს მოსალოდნელ წლიურ ხარჯებს საბოლოო მომხმარებლებისთვის, ეს კი იცავს მათ განახლებადი ელექტროენერჯის მაღალი გადასახადისგან ელექტროენერჯის მაღალი ფასების შემთხვევაში.³³²

ევროკავშირი განახლებადი ენერჯის განვითარების ერთ-ერთი წამყვანი აქტორია და ევროპული ქვეყნების უმეტესობის ენერჯეტიკული პოლიტიკა მოიცავდა სხვადასხვა წამახალისებელ მექანიზმს, მათ შორის, პრემიალურ ტარიფს (**feed-in tariff**) პორტუგალიაში, რეგულირებულ ტარიფსა (**regulated tariff**) და საბაზრო ფასს პლუს პრემიას (**market price plus premium**) ესპანეთში; გაერთიანებულ სამეფოში 2002 წლიდან მოქმედებდა განახლებადების ვალდებულება (**Renewables Obligation**), რეფორმების შემდეგ კი დაიწყო **CfD** მექანიზმის, როგორც ენერჯეტიკული პოლიტიკის ძირითადი ელემენტის, განხილვა.³³³ 2015-2023 წლებში სხვადასხვა განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიებისთვის გაერთიანებულ სამეფოში ხუთი აუქციონი ჩატარდა; აუქციონში გამარჯვებული კომპანიები უფლებამოსილები არიან დადონ ხელშეკრულება **The Low Carbon Contracts Company (LCCC)**-თან და მას შემდეგ, რაც დეველოპერები განახორციელებენ თავიანთ პროექტს და დაიწყებენ ელექტროენერჯის გამომუშავებას, იხდიან ინდექსირებულ განაკვეთს იმ ელექტროენერჯისთვის, რომელსაც ისინი აწარმოებენ 15 წლის განმავლობაში – განსხვავებას ფიქსირებულ ფასს "**strike price**" (რომელიც განისაზღვრება კონკურენტული აუქციონით) და საბაზისო ფასს ("**reference price**") (ბრიტანეთის ბაზარზე ელექტროენერჯის საშუალო საბაზრო ფასი) შორის გამომუშავებული მწვანე ენერჯის თითოეული ერთეულისთვის; მწარმოებლებისთვის გადასახდელი თანხა **CfD** სქემის მიხედვით, ფინანსდება ელექტროენერჯის მიმწოდებლებისგან წინასწარ **CfD** მიმწოდებლის ვალდებულების გადასახადიდან. მწარმოებლების მიერ **LCCC**-სთვის გადახდილი უბრუნდება ელექტროენერჯის მიმწოდებლებს (**suppliers**) გადასახადის შეჯერების გზით, საბოლოოდ კი, ელექტროენერჯის მიმწოდებელთან მომხმარებლის მიერ გადახდილ თანხაში შედის **CfD**-ის თანხა.³³⁴ სოციალური

³³² იქვე.

³³³ Algarvio H., Fernando Lopes F., Santana J., Renewable Energy Support Policy Based on Contracts for Difference and Bilateral Negotiation, in: Highlights in Practical Applications of Agents, Multi-Agent Systems, and Trust-worthiness, Springer, 2020, 294-295.

³³⁴ Contracts for Difference, <<https://www.cfdallocationround.uk/about>> [05.01.2024]; Decarbonisation of the power sector, House of Commons, Business, Energy and Industrial Strategy Committee, Eleventh Report of Session 2022-23, UK Parliament, 2023, 25.

სამართლიანობის კუთხით CfD მექანიზმი გავლენას ახდენს მცირე შემოსავლიან მოსახლეობაზე, კერძოდ, სამუშაო ადგილების შექმნის, ენერჯის ხარჯების შემცირების და განახლებადი ენერჯის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის გზით. ამ ფინანსურმა ინსტრუმენტმა ხელი შეუწყო განახლებადი ენერჯის პროექტების ზრდას და უფრო მწვანე და ინკლუზიური ენერჯეტიკული სექტორის ჩამოყალიბებას. წარმატებული ქვეყნები აგრძელებენ CfD-ების გამოყენებას განახლებადი ენერჯის ინვესტიციების სტიმულირებისთვის, CfD-ებს შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს ენერჯეტიკული სიღარიბის დაძლევისა და მონყვლადი მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობაში.

სახელმწიფო, თავის მხრივ, ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე.³³⁵ სოციალური სახელმწიფოს პრინციპია, უზრუნველყოს სოციალური თანასწორობა და ღირსეული ცხოვრების პირობები.³³⁶ სახელმწიფოები იყენებენ CfD მექანიზმს მსხვილი ენერჯეტიკული პროექტებისთვის, რაც ასევე მომგებიანია ბანკებისთვის, თუმცა მძიმე ტვირთად აწევა მოსახლეობას, რამდენადაც პროექტთან დაკავშირებული ხარჯები აისახება ელექტროენერჯის განაწილების ტარიფებში.³³⁷ სოციალურის სახელმწიფოს იდეაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფომ, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად, უზრუნველყოს სოციალური სახელმწიფოს მიზნის მისაღწევად, ერთი, გარემოს დაცვა და მეორე მხრივ, ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა ისე, რომ, ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის ღირსეული არსებობა და საყოველთაო კეთილდღეობა.³³⁸ დემოკრატიულ საზოგადოებაში სწორი, სამართლიანი ბალანსის დადგენის მიზნით კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვა ბუნებრივი პროცესია.³³⁹ კერძოდ

³³⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი.

³³⁶ შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, მე-2 გამოცემა, დ. გეგენავას და გ. გორაძის რედაქტორობით, თბილისი, 2021, 22.

³³⁷ Nelson T., Dodd T., *Contracts-for-Difference: An Assessment of Social Equity Considerations in the Renewable Energy Transition*, Energy Policy, Vol. 183, 2023.

³³⁸ შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, მე-2 გამოცემა, დ. გეგენავას და გ. გორაძის რედაქტორობით, თბილისი, 2021, 23-24.

³³⁹ *Baka v. Hungary* [ECtHR], App. No. 20261/12, 23 June 2016, par. 162; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის №1/2/1475 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „ბეჟანასი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილებაზე; Consultative Council of European Judges (CCJE) Collection of Opinions Nos. 1 to 25 (2001–2022), Strassburg, 2022, 26, 70; Isiksel

და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის დადგენის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დემოკრატიული კონსენსუსის მიღწევა და ამ მხრივ, სახელმწიფოს მიერ ძირითადი უფლებების შეზღუდვა მისი გაძლიერებისათვის საჭირო აუცილებელი მექანიზმია.³⁴⁰ ამავე მიზნით განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციები განსაზღვრავს შეზღუდვის საფუძვლებს, ადგენს შეზღუდვის ფორმებს, დასაშვებობის ფარგლებს და უფლების შეზღუდვის ფორმალურ კრიტერიუმებს³⁴¹, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციაშიც განსაზღვრულია არა მხოლოდ ძირითადი შინაარსი და ფარგლები, არამედ მასში ჩარევის საფუძვლები, მიზნები, ფარგლები და პირობები.³⁴² თუმცა უფლების გარკვეულ შეზღუდვებს კანონმდებელი ვერ გაამართლებს, მათ შორის, უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური სიკეთეების დაცვის ინტერესებითაც კი.³⁴³ თითოეული კონკრეტული შეზღუდვა სახელმწიფოს სოციალური ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის გათვალისწინებით. ეროვნული ხელისუფლება უკეთესად ხვდება, თუ რა არის ადგილობრივი გარემოებები და მოთხოვნები და ამ შემთხვევაში სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს შეფასების ფართო ფარგლები უფლების შეზღუდვის თანაზომიერების შეფასებისას.³⁴⁴ პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის უფლების შეზღუდვის

T., *The Trilemma of Constitutional Authority, Europe's Functional Constitution: A Theory of Constitutionalism Beyond the State*, Oxford University Press, 2016, 31-56; Porat I., *Balancing Constitutional Rights: The Origins and Meanings of Postwar Legal Discourse* By Jacco Bomhoff, *International Journal of Law in Context*, Vol.14, No. 10, 2013, 291-292.

³⁴⁰ Harris W. F., *The Architectonics of a Well-Founded Constitutional Order*, in: *The Limits of Constitutional Democracy*, edited by J. K. Tulis, S. Macedo, Princeton University Press, 2010, 67-68; Ely J. H., *Democracy and Distrust: A Theory of Judicial Review*, Harvard University Press, 1980, 135-136; O'Brien D. M., Silverstein G., *Constitutional Law and Politics: Civil Rights and Civil Liberties*, Vol. 2), New York, 2020; Klatt M., Meister M., *The Constitutional Structure of Proportionality*, Oxford University Press, 2012, 108.

³⁴¹ Gunatilleke G., *Justifying Limitations on the Freedom of Expression*, *Human Rights Review*, Vol. 22, No. 1-18, 2021, 95; Udombana, N., Quadri, K. M., *Institutional Framework on the Right to Information in Selected Jurisdictions*, *Beijing Law Review*, Vol. 11, No.1, 2020, 249.

³⁴² შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, მე-2 გამოცემა, დ. გეგენავას და გ. გორაძის რედაქტორობით, თბილისი, 2021, 15-16; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის №3/5/1502,1503 გადაწყვეტილება საქმეზე, „ზაურ შერმაზანაშვილი და თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-8; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის №3/4/1483 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-65.

³⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის №3/5/1502,1503 გადაწყვეტილება საქმეზე, „ზაურ შერმაზანაშვილი და თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-149.

³⁴⁴ *Hatton and Others v. UK [ECtHR]*, App. No. 36022/97, 8 July 2003, paras. 100-101.

თანაზომიერების შეფასებისას ორი ასპექტია მნიშვნელოვანი: პირველი, მთავრობის გადანყვეტილების შინაარსი ევროკონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობის კუთხით, და მეორე, გადანყვეტილების მიღების პროცესი, რათა დაადგინოს, რამდენად სათანადოდ აისახა ამ პროცესში ინდივიდის ინტერესები.³⁴⁵ სასამართლოს მიერ სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისთვის „საკონსულტაციო ფურცლის“ დარიგება მიიჩნეულ იქნა მოსახლეობის ინფორმირებულობად და გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩართვად და ევროსასამართლომ სახელმწიფოს მხრიდან პროცესუალური ხარვეზი არ დაადგინა.³⁴⁶ აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან გადანყვეტილების მიღების პროცესში სათანადოდ აისახოს მოსახლეობის ინტერესები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადანყვეტილება ვერ მიიჩნევა თანაზომიერად.³⁴⁷

განახლებადი ენერჯის დეველოპერებისა და ინვესტორებისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფისთვის ევროკავშირი ცდილობდა წევრ სახელმწიფოებში CfD მექანიზმის განხორციელების ჰარმონიზაციას მექანიზმების დიზაინისა და გაიდლაინების შემუშავებით; გარდა ამისა, იგი მუშაობდა CfD მექანიზმისთვის დასაშვებობის კრიტერიუმებისა და აუქციონის პროცესების სტანდარტიზაციაზე, განაცხადის და განაწილების პროცესის გამარტივების მიზნით.³⁴⁸ უფრო მეტიც, ევროკომისია აქტიურად იყო ჩართული დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირის მიღებით მიდგომების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. ერთობლივი მიდგომა მიზნად ისახავდა CfD მექანიზმის დანერგვის ყველა გამოწვევისა და ხარვეზის გადაჭრას, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობდა ევროკავშირის კლიმატისა და ენერჯეტიკის ყოვლისმომცველ მიზნებს,³⁴⁹ განახლებადი ენერჯის CfD მექანიზმის მეშვეობით კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მდგრადი და დაბალ ნახშირბადის მომავლისკენ გადასვლას.

³⁴⁵ იქვე, par. 99.

³⁴⁶ Council of Europe, Manual on Human Rights and the Environment, Strasbourg, 2006, 57.

³⁴⁷ Taşkın and Others v. Turkey [ECTHR], App. No. 46117/99, 10 November 2004, par. 117.

³⁴⁸ Hinrichs-Rahlwes R., Renewable Energy: Paving the Way towards Sustainable Energy Security: Lessons Learnt from Germany, Renewable Energy, Vol. 49, 2013, 10-14.

³⁴⁹ Commission Staff Working Document, Reform of Electricity Market Design, Accompanying the Documents Proposal for a Regulation (EU) of the European Parliament and of the Council amending Regulations (EU) 2019/943 and (EU) 2019/942 as well as Directives (EU) 2018/2001 and (EU) 2019/944 to improve the Union's electricity market design Proposal for a Regulation (EU) of the European Parliament and of the Council amending Regulations (EU) No 1227/2011 and (EU) 2019/942 to improve the Union's protection against market manipulation in the wholesale energy market, European Commission, Strasbourg, 2023, 23-34.

3.3.2. საქართველოს გამოცდილება

2024 წლის მდგომარეობით, განახლებადი ენერჯის ათვისების მხარდაჭერის სქემის ფარგლებში უკვე ორჯერ გამოცხადდა სიმძლავრის აუქციონი, რომელიც წარმოადგენს კონკურენტულ, საბაზრო პრინციპებზე, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამართლიანი ფასის მიღებას როგორც ქვეყნისთვის, ასევე ბიზნესისთვის.³⁵⁰ თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბების არსებითი წინაპირობაა თავისუფალი მენარმეობის დაცვა და კონკურენციის განვითარება; აღნიშნულის მისაღწევად სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სათანადო საკანონმდებლო მოწესრიგება³⁵¹, თუმცა სახელმწიფოს მხარდაჭერა არ გულისხმობს მარტო ინსტიტუციურად ამ საქმიანობის ნორმატიულ აღიარებას, რაც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს, ამასთან, მნიშვნელოვანია მენარმისადმი შეთავაზებული გარანტიები.³⁵²

მხარდაჭერის სქემა მნიშვნელოვანია ადგილობრივი რესურსების ათვისებისთვის, ინვესტიციების მოზიდვისა და საბოლოოდ ქვეყნის ენერჯეტიკული დამოუკიდებლობისთვის. სიმძლავრის პირველი აუქციონი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცებისა და აუქციონის წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის N556 დადგენილების შესაბამისად, გამოაცხადა და იგი მოიცავდა ჰიდროელექტროსადგურებს (მოდინებაზე), ქარის, მზის და სხვა განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურებს.³⁵³ აუქციონში, რომელიც 300 მგვტ. სიმძლავრეზე იყო გამოცხადებული, 78 განაცხადი შევიდა და ჯამურად 900 მგვტ. შეადგინა.³⁵⁴ აუქციონის კომისიამ, რომელშიც

³⁵⁰ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცებისა და აუქციონის წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის N556 დადგენილება.

³⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/11/747 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს გიგანტი სექიურიტი“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-2.

³⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაქის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-3.

³⁵³ განახლებადი წყაროებიდან ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოების სიმძლავრის აუქციონი, <https://energyplatform.ge/show_news.php?id_news=360> [07.01.2024]

³⁵⁴ განახლებადი წყაროებიდან ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმო-

ეკონომიკის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის წარმომადგენლები შედიან³⁵⁵, განიხილა და შეისწავლა დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები, მასალები და განაცხადები და დაადგინა მედიანური ტარიფი³⁵⁶ თითოეული ტიპის ელექტროსადგურისთვის (ჰიდრო, ქარი და მზე) და სიმძლავრის აუქციონის კომისიამ შეარჩია ის განაცხადები, რომელთა შემოთავაზებული ტარიფიც მოხვდა მედიანური ტარიფის ქვეშ და გამოაცხადა გამარჯვებული ელექტროსადგურები.³⁵⁷ სიმძლავრის აუქციონში გამარჯვებული კომპანიების ენერგეტიკული პროექტები და მათთან დასაბუთებული ხელშეკრულებები საბოლოოდ საქართველოს მთავრობას წარედგინება.³⁵⁸ აუქციონის შედეგები ადასტურებს, რომ განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა წარმატებით მუშაობს, რაც, საბოლოოდ, ენერგოსექტორში მეტი ინვესტიციის მოზიდვის შესაძლებლობებს შექმნის. ბიზნესსექტორის მაღალი აქტივობა მხარდაჭერის მექანიზმის აუცილებლობაზე მეტყველებს და სახელმწიფო, თავის მხრივ, ვალდებულია სწორი კომუნიკაცია აწარმოოს ბიზნესთან და სამართლიანი და კონკურენტული გარემო შეუქმნას განახლებადი ენერჯის პროექტების განმახორციელებელ პოტენციურ ინვესტორებს, რამდენადაც მხარდაჭერის ახალი სქემა შეეხებათ იმ ენერგეტიკულ პროექტებს, რომლებიც ვერ ვითარდება და ამისთვის დამატებითი სტიმული ესაჭიროება. სახელმწიფო ვალდებულია, თავი შეიკავოს არათანაბარი პირობების შექმნისაგან და მიმართოს მექანიზმებს კონკურენტული ეკონომიკური გარემოს, თავისუფალი

ების სიმძლავრის პირველ აუქციონში 24-მა კომპანიამ გაიმარჯვა, <<https://www.economy.ge/?page=news&nw=2222&s=ganaxlebad-wyaroebidan-eleqtrosadguris-mier-eleqtroenergiis-warmoebis-simdzlavris-pirvel-auqcionshi-24ma-kompaniam-gaimarjva>> [07.01.2024]

³⁵⁵ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცებისა და აუქციონის წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის N556 დადგენილების მე-5 მუხლი.

³⁵⁶ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცებისა და აუქციონის წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის N556 დადგენილებით დამტკიცებული განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა და სიმძლავრის აუქციონის წესების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები.

³⁵⁷ განახლებადი წყაროებიდან ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოების სიმძლავრის პირველ აუქციონში 24-მა კომპანიამ გაიმარჯვა, <<https://www.economy.ge/?page=news&nw=2222>> [02.04.2024].

³⁵⁸ იქვე.

ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისთვის.³⁵⁹ აღნიშნული მნიშვნელოვანია როგორც ლოკალურად, ისე საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით, ვინაიდან, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, „სამეწარმეო თავისუფლება და ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა ხელს უწყობს თავისუფალი ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებას და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ახალისებს უკეთესი ხარისხის საქონლის/მომსახურების კონკურენტულ ფასად წარმოებას/მიწოდებას“³⁶⁰.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ რიგით მეორე სიმძლავრის აუქციონი 800 მგვტ. ჯამური დადგმული სიმძლავრით გამოაცხადა, რაც პირველი აუქციონის ოდენობას თითქმის სამჯერ აღემატება.³⁶¹ პირველი აუქციონისგან განსხვავებით, მეორე აუქციონი გამოცხადდა ჰიდროელექტროსადგურებზე (მარეგულირებელი/მოდინებაზე), ქარის და მზის ელექტროსადგურებზე, ქარის და მზის ელექტროსადგურებზე (ენერჯის შემნახველი მოწყობილობებით) და სხვა განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურებზე.³⁶² მარეგულირებელი ჰიდროსადგურები, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გაზრდას, ასევე, მზისა და ქარის სადგურები ენერჯის შემნახველი მოწყობილობებით, დარგში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გარანტიაა, რაც, საბოლოოდ, როგორც დარგის, ისე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. სიმძლავრის აუქციონი განახლებადი ენერჯის პროექტების მხარდაჭერის სქემაა, რომელიც საბაზრო პრინციპებს ეფუძნება და კონკურენტულ გარემოში მიმდინარეობს. ეს მექანიზმი კარგი შესაძლებლობაა განახლებადი ენერჯის წყაროების და ტექნოლოგიების განვითარებისთვის, რაც ამცირებს ფისკალურ რისკებს და ხელი-სუფლებას საუკეთესო გარიგების მიღების საშუალებას აძლევს.

³⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/11/747 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს გიგანტი სექიურითი“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-51.

³⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N1/6/1424, 1490 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლაშა ჯანიბეგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

³⁶¹ რომეო მიქაუტაძე: განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერჯის წარმოების რიგით მეორე სიმძლავრის აუქციონი 800 მგვტ სიმძლავრეზე გამოცხადდა, <<https://www.economy.ge/?page=news&nw=2437&s=romeo-miqautadze-ganaxlebad-i-wyaroebidan-eleqtroenergiis-warmoebis-rigit-meore-simdzlavris-auqcioni-800-mgvt-simdzlavreze-gamocxadda>> [07.01.2024]

³⁶² იქვე.

2022 წელს ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 3.3%-ით გაიზარდა და გაზრდილი მოთხოვნა ძირითადად ჰიდრო და თბოგენერაციის ზრდით დაკმაყოფილდა, საიდანაც თბოსადგურების შედარებით დაბალი ფასი და მოცულობა სოციალურ გაზზე ხელმისაწვდომობის გამო იყო შესაძლებელი.³⁶³ ერთი მხრივ, ენერგეტიკულმა კრიზისმა და მსოფლიოში ენერგომატარებლებზე გაზრდილმა ფასებმა გავლენა მოახდინა საქართველოსთვის მთავარ საექსპორტო ქვეყანაზე – თურქეთზე, სადაც ფასები გასამმაგდა.³⁶⁴ მეორე მხრივ, საქართველოში ელექტროენერჯის ფასები ბევრად ნაკლებად გაიზარდა, ვიდრე ექსპორტის, რისი მთავარი მიზეზი ელექტროენერჯის მიწოდებაში ჰიდროგენერაციის მაღალი წილი და იმპორტის ფასების შედარებით ზომიერი ზრდა სახელდება.³⁶⁵ კრიზისი და მეზობელ ქვეყნებში არასტაბილური მდგომარეობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს შიდა გენერაციის განვითარების აუცილებლობას და ქვეყნის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას. სქემის მიხედვით, სახელმწიფო 15 წლის განმავლობაში იღებს ვალდებულებას, რომ აუქციონში გამარჯვებულ ფასად, გარანტირებულად შეისყიდოს ელექტროენერჯი და ამით ხელი შეუწყობს ადგილობრივი გენერაციის განვითარებას.³⁶⁶

ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებისგან (PPA) განსხვავებით, CFD მოდელში სახელმწიფო არ შევა ინვესტორებთან პირდაპირ მოლაპარაკებებში და ამის ნაცვლად, CFD ხელშეკრულებები აუქციონის პრინციპით დაიდება; მთავრობას საკუთარ ფასებს ინვესტორები წარუდგენენ, ხოლო საუკეთესო ფასების მქონე ენერგობიექტები კი შესაბამის დაფინანსებებს მიიღებენ.³⁶⁷ ენერგეტიკის დარგის ინვესტორებისთვის CFD სქემის ძირითადი პრინციპები შეესაბამება ევროპულ ღირებულებებს და სქემა იძლევა ინვესტიციების წახალისების შესაძლებლობას, თუმცა არსებობს გარკვეული მოლოდინები, რომლებმაც შესაძლოა ინვესტორი არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააგდოს. კერძოდ, CFD სქემის თანახმად, გამარჯვებული გამოსავლე-

³⁶³ ბოჭორიშვილი ე., ჩახვაშვილი მ., ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა 2022 წლის შეჯამება, გალტ & თავარტი, 2022, 1.

³⁶⁴ Ugrebashvili I., Kvakhadze I., Tvaliashvili A., Electricity Market 2023 Overview, TBC Capital, 2024, 7.

³⁶⁵ ბოჭორიშვილი ე., ჩახვაშვილი მ., ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა 2022 წლის შეჯამება, გალტ & თავარტი, 2022, 1.

³⁶⁶ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცებისა და აუქციონის წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის N556 დადგენილებით დამტკიცებული განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა და სიმძლავრის აუქციონის წესების მე-3 მუხლი.

³⁶⁷ იქვე, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

ნად მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის შეთავაზებული ფასი³⁶⁸, ეს კი ზრდის რისკს, რომ აუქციონში გამოუცდელმა კომპანიებმა არარელევანტური ფასით მიიღონ მონაწილეობა, რაც საბოლოოდ ალებული ვალდებულების შეუსრულებლობას გამოიწვევს, ხოლო რეალური ინვესტორი დაკარგავს დროს და პროექტის განხორციელების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან დადგენილ და მოთხოვნილ იქნეს კვალიფიკაციის წინაპირობები, რაც შესაძლოა იყოს ბარიერი ახალი კომპანიებისთვის, არ შექმნან ცრუ მოლოდინი და არაადეკვატური ფასით არ მიიღონ აუქციონში მონაწილეობა. შესაბამისად, აუქციონში მონაწილე კომპანიებისთვის გარკვეული გამოცდილების მოთხოვნის წინაპირობა უნდა არსებობდეს. სახელმწიფო უფლებამოსილია, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რაციონალიზაციის მიზნით, გამოიყენოს განსხვავებული მეთოდები და ღონისძიებები, ასევე, მას აქვს ლეგიტიმური ინტერესი და ძალაუფლება, დაადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში, მიმართოს პასუხისმგებლობისა და სანქციის სხვადასხვა სახესა და ზომას, ასევე, ეფექტური რეაგირების მიზნით, სახელმწიფო უფლებამოსილია, განსაზღვროს სანქციის შესაბამისი სახეები და ზომები, შეიმუშაოს აღნიშნული სანქციების შეფარდების პირობები და *inter alia* დაადგინოს პასუხისმგებლობის იმგვარი ფორმები, რომლებიც ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით განმტკიცებულ საკუთრების უფლებას.³⁶⁹ კანონმდებლობის შესაბამისად, ერთსა და იმავე საპროექტო არეალში ორი ან მეტი ალტერნატიული განაცხადების არსებობისას, უპირატესობა მიენიჭება იმ კომპანიას, რომლის შემოთავაზებული ტარიფიც უფრო დაბალი იქნება,³⁷⁰ თუმცა დადგენილება არ ითვალისწინებს მდინარის პოტენციალის ათვისებას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტიც კი უნდა იყოს პროექტის შერჩევისას, რამდენადაც იმ მდინარის რესურსი ქვეყნისთვის სამუდამოდ იკარგება 15 წლიანი შედარებით

³⁶⁸ „სიმძლავრის აუქციონის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 9 თებერვალის №1-1/40 ბრძანებით დამტკიცებული სიმძლავრის აუქციონის წესების მე-5 მუხლი.

³⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის №1/2/1475 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „ბექანასი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

³⁷⁰ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცებისა და აუქციონის წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის N556 დადგენილებით დამტკიცებული განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა და სიმძლავრის აუქციონის წესების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი.

იაფიანი დენის სანაცვლოდ. საჭიროა, კონკურენციის პირობებში ისეთი ფასები განისაზღვროს, რომლებიც სამართლიანი იქნებოდა როგორც ინვესტორებისთვის, ისე სახელმწიფოსთვის და ე.წ. CFD მექანიზმი – ეს არის კონკრეტულად ფასის სხვაობის კომპენსირება სახელმწიფოს მხრიდან პროექტებისთვის, თუმცა ენერგეტიკული თვალსაზრისით, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია რესურსის გონივრული ათვისება და არა მხოლოდ ფასზე ორიენტირება.

საქართველოს კანონმდებლობით, რაც უფრო დიდი იქნება სხვაობა აუქციონზე წარდგენილ განაცხადსა და ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში მოცემულ ელექტროენერჯის საშუალო წლიურ გამომუშავებას შორის, მით მეტად შეუმცირდება კომპანიას ტარიფი.³⁷¹ აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ კომპანიებს, რომლებიც ჯერ არ არიან სამშენებლო ეტაპზე გადასულები და აწარმოებენ პროექტის წინარე კვლევის საფუძველზე ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევას³⁷² და იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ აუქციონის განაცხადით წარდგენილ წინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში წარმოდგენილ საშუალო წლიურ გამომუშავებასა და სრულ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაში მიღებულ საშუალო წლიურ გამომუშავებას შორის სხვაობა არის 10%-ზე მეტი, მაგრამ 15%-ზე ნაკლები, დაინტერესებულ პირს, მშენებლობის ფაზის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, შემოთავაზებული ტარიფი შეუმცირდება 10%-ით და ა.შ., რაც ინვესტორისთვის არასახარბიელო პირობაა, – იდეურად ჩადებულია საჯარიმო სანქცია წინარე კვლევისა და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებს შორის სხვაობის შემთხვევაში, რამდენადაც წინარე კვლევა და შემდეგ უკვე სიღრმისეული კვლევის ჩატარების მიზანი, სწორედ მონაცემების დაზუსტებაა და ამ შემთხვევაში ინვესტორი ამ უფლებას კარგავს. მეორე მხრივ, ასევე, სარისკოა, რამდენად ეცდება მონაცემების მანიპულირებას ინვესტორი, რა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდება მისთვის – საჯარიმო სანქცია თუ სწორი მონაცემის დაფიქსირება.

მნიშვნელოვანია, აუქციონი ითვალისწინებდეს დამაგროვებელი, შემნახველის (აკუმულატორების) წახალისებასაც,³⁷³ თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ განმარტავს, თუ რა არის დამაგროვებელი და შემნახველი და

³⁷¹ „სიმძლავრის აუქციონის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 9 თებერვალის №1-1/40 ბრძანებით დამტკიცებული სიმძლავრის აუქციონის წესების მე-8 მუხლი.

³⁷² იქვე, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

³⁷³ Liu J., Wang J., Xu Ch., Jiang H., Li Ch., Zhang L., Lin J., Shen Ze X., Advanced Energy Storage Devices: Basic Principles, Analytical Methods, and Rational Materials Design, Advanced Science, Vol. 5, No. 1, 2017.

როგორია მათი რეგულირება. კლიმატის ცვლილება მსოფლიოს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება³⁷⁴ და ენერგეტიკული სექტორი პასუხისმგებელია სათბურის გაზების ემისიის დაახლოებით სამ მეოთხედზე.³⁷⁵ 2050 წლისთვის წმინდა ნულოვანი ემისიების მისაღწევად აუცილებელია ენერგეტიკული ტრანზიციის ხელშეწყობა და წიაღისეული საწვავის განახლებადი ენერჯის წყაროებით ჩანაცვლება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მათ განვითარებასა და ხელშეწყობას გულისხმობს.³⁷⁶ ევროპის ენერგეტიკულმა კრიზისმა და ბუნებრივი გაზის მაღალმა ფასებმა მსოფლიოში კიდევ უფრო დააჩქარა განახლებადი ენერჯების ათვისება და 2028 წლისთვის მოსალოდნელია განახლებადი ენერჯების წარმოების დადგმული სიმძლავრის გაორმაგება,³⁷⁷ თუმცა ელექტროენერგეტიკული სისტემისთვის გამოწვევად რჩება სრულად მეტეოროლოგიური გარემოებებით განპირობებული განახლებადი ენერჯის (მზისა და ქარის) ინტეგრირება, შესაბამისად, ელექტროსისტემის დაბალანსების მიზნით, ნახშირსა და ბუნებრივ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურების ალტერნატივაა ელექტროენერჯის შემნახველი ტექნოლოგიები, რომლებსაც შეუძლია ელექტროენერჯის წარმოების დეფიციტის დროს ქსელში დამატებითი ენერჯის მიწოდება და ელექტროსისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.³⁷⁸ ენერჯის შენახვის ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ნახშირბადნიტრალურობის მიღწევაში და ხელს შეუწყობს ელექტრულ ქსელში მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსებას და უზრუნველყოფს

³⁷⁴ Abbasi K., Ali P., Barbour V., Benfield T., Bibbins-Domingo K., Hancocks S., Horton R., Laybourn-Langton L., Mash R., Sahni P., Sharief W. M., Yonga P., Zielinski C., Time to Treat the Climate and Nature Crisis as One Indivisible Global Health Rmergency, Oxford Open Climate Change, Vol. 3, No. 1, 2023, 1-2; Oxford Climate Scientists: No doubt about Climate Change, 2021, <<https://www.ox.ac.uk/news/2021-08-09-oxford-climate-scientists-no-doubt-about-climate-change>> [02.04.2024]; Climate Change the Greatest Threat the World Has Ever Faced, UN Expert Warns, 2022, <<https://www.ohchr.org/en/press-releases/2022/10/climate-change-greatest-threat-world-has-ever-faced-un-expert-warns>> [02.04.2024].

³⁷⁵ ჩომახიძე დ., ნარმანია დ., ეკოლოგიური გამოწვევები საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაში, ჟურნ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N5, 2018, 15; საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა, 2022, 189.

³⁷⁶ UN Framework Convention on Climate Change (Paris Agreement), Paris, 2016, Art. 4; Net Zero by 2050, IEA, Paris, 2021. <<https://www.iea.org/reports/net-zero-by-2050>> [02.04.2024]

³⁷⁷ World Energy Outlook 2023, International Energy Agency, 2023, 1-2.

³⁷⁸ Kebede A.A., Kalogiannis T., Mierlo J.V., Berceibar M., A Comprehensive Review of Stationary Energy Storage Devices for Large Scale Renewable Energy Sources Grid Integration, Renewable and Sustainable Energy Reviews, Vol. 159, 2022, 3-4.

სისტემის საიმედოობას, შესაბამისად, დაეხმარება ელექტროსისტემაში განახლებადი ენერჯების ინტეგრაციას და ენერჯეტიკის ნახშირბადნიტრალურ სექტორად გარდაქმნას.

საქართველოში ადგილობრივი გენერაციის ძირითადი წყარო ჰიდროელექტროსადგურებია, მათგან ძირითადი დატვირთვა მარეგულირებელ ჰესებზე მოდის და მთლიანი კალათის დაახლოებით 40%-ს შეადგენს;³⁷⁹ ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება, შესაბამისად, სახელმწიფოს პოლიტიკაა, მინიმუმამდე დაიყვანოს იმპორტის ხარჯზე მოთხოვნის ზრდა და მაქსიმალურად განავითაროს ადგილობრივი გენერაცია.³⁸⁰ სახელმწიფომ განსაკუთრებული აქცენტი სწორედ სექტორში ინვესტიციების მოზიდვაზე უნდა გააკეთოს და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიმუშავოს კონკურენციისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული განახლებადი ენერჯების მხარდაჭერის სქემები, რომელთა მიზანიც სწორედ განახლებადი ენერჯების ათვისებისათვის ინვესტიციების მოზიდვაა. მხარდაჭერის სქემა კარგი შესაძლებლობაა ფინანსურ ინსტიტუტებთან მოლაპარაკებებისა და თანამშრომლობისათვისაც, რაც ასევე დაეხმარება პოტენციურ ინვესტორებს დაფინანსების მოზიდვაში. განახლებადი ენერჯის პროექტების ნახალისება სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ პრიორიტეტადაა გამოცხადებული.³⁸¹ სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის ენერჯეტიკული სექტორის მოდერნიზებისა და მოსახლეობის საიმედო ენერგომომარაგებისკენ, რის შესაძლებლობასაც განახლებადი ენერჯის ინვესტირების ხელშეწყობა იძლევა; თავის მხრივ, წარმატებული და ქმედითი ხელშეწყობის მექანიზმი ქვეყანას საშუალებას მისცემს შეამციროს იმპორტირებულ ენერჯიაზე დამოკიდებულება, შეძლოს გენერაციის გაზრდა, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, დაუახლოვდეს ევროპას და წვლილი შეიტანოს კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ გლობალურ ძალისხმევაში.

³⁷⁹ ჩომახიძე დ., მელიქიძე მ., საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური საფუძვლები, თბილისი, 2019, 54; ჩომახიძე დ., ტარიფები ენერჯეტიკაში: მოქმედი ფაქტორები და ცვლილების კონცეფცია, „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N11, 2021, 89.

³⁸⁰ რომეო მიქაუტაძემ USAID-ის და საქართველოს პარლამენტის მიერ ორგანიზებული სემინარის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა, <<https://www.economy.ge/?page=news&nw=2398>> [07.01.2024]

³⁸¹ 2023 წლის 26 სექტემბრის მთავრობის სხდომა, <https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=586&info_id=85342> [07.01.2024]

4. განახლებადი ენერჯის ქართული ბაზრის სამართლებრივი რეფორმა

განახლებადი ენერჯის სამართლებრივი ბაზრის რეფორმის საფუძველია ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა³⁸², რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართული ენერგეტიკული სექტორის რეგულირების ცვლილებას. კერძოდ, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე ენერგეტიკული სექტორისთვის დამახასიათებელი იყო სისტემის მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების ცენტრალიზებული მოდელი.³⁸³ ენერგეტიკული სანარმოები ერთდროულად ფლობდნენ გენერაციის ობიექტებს, გადაცემა/განაწილების ქსელს და/ან ამავდროულად იყვნენ მიწოდების ობიექტები.³⁸⁴ კანონი არ კრძალავდა სანარმოს მფლობელობაში ყოფილიყო რამოდენიმე გენერაციის ობიექტი ან გადაცემა/განაწილების ქსელი ან მიწოდების ობიექტი, თუმცა მონოპოლიური ენერგეტიკული სანარმოების შემოსავლები ექვემდებარებოდა მარეგულირებელი კომისიის მიერ დაწესებულ მარეგულირებელ ნორმებს, რაც ეფუძნებოდა სანარმოს მიერ განეული კაპიტალური დანახარჯისა და საოპერაციო ხარჯის სამართლიან დაანგარიშებას³⁸⁵, რაც, თავის მხრივ, გამოწვევა იყო მარეგულირებელი ეროვნული კომისიისთვის. კომისიის მხრიდან დაწესებული იყო გარკვეული შეზღუდვები აქტივების მოცულობასა და ამონაგების განაკვეთზე, რათა თავიდან აცილებულიყო მონოპოლიური სანარმოს მხრიდან მეტი მოგების მიზნით გაუმართლებელი კაპიტალური აქტივის ზრდა,³⁸⁶ თუმცა აღნიშნული ვერ უზრუნველყოფდა ენერგეტიკულ სანარმოების მოტივაციას, შეემცირებინა დანახარჯები. 90-იანი წლების ენერგეტიკულ სექტორს ჰქონდა დადებითი მხარეებიც, კერძოდ, ბუნებრივი მონოპოლიები

³⁸² „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმთან შეერთების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 21 აპრილის N716-III დადგენილება.

³⁸³ Matchavariani M., Key Challenges of Georgia's Electricity Market, Energyonline, N1(14), 2020, 16-17.

³⁸⁴ ნურნუშია თ., ჯანელიძე ს., „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების ოქმით განსაზღვრული ვალდებულებები ენერგეტიკის დარგში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, 2019, 19-20, 27-28; Janelidze S., Opening of the Electricity Markets in Georgia, OGEL Special Issue on “Energy Market Creation: Liberalisations and Transformations”, 2023. <www.ogel.org> [24.06.2024]

³⁸⁵ ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლიეშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., მაცვალაძე მ., მიკროეკონომიკა, ნაწ. II, თბილისი, 2021, 377.

³⁸⁶ მარგველაშვილი მ., მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., ენერგეტიკის სექტორის რეგულირება საქართველოში – პრობლემები და გამონევევები, წიგნში: ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბილისი, 2017, 71.

იყო კანონით რეგულირებული, ტარიფები განისაზღვრებოდა მარეგულირებელი კომისიის მიერ და დაცული იყო მომხმარებელთა უფლებები, რაც იმ პერიოდში განაპირობებდა სისტემის სტაბილურობას, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან აბსოლუტური კონტროლი აღარ შეესაბამებოდა ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს და საჭიროებდა შემდგომ განვითარებას.

თანამედროვე, განვითარებული ენერგეტიკული ბაზარი ეფუძნება კონკურენტუნარიანი ბაზრის ჩამოყალიბებას³⁸⁷, შესაბამისად, შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო პრივატიზაცია და მარეგულირებელი სისტემის დახვეწა, ენერგეტიკული სანარმოების საქმიანობის განმხოლოება, კერძოდ, გადამცემი და განაწილების ქსელის გამოყოფა ნარმოების და მიწოდების სექტორისაგან.³⁸⁸ საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაცია უნდა დაფუძნებულიყო ქართული ბაზრის სტრუქტურას, რაც ასევე დამახასიათებელია ევროპის ქვეყნებისთვის, რომლებმაც ლიბერალიზაციის პროცესში საკუთარი ბაზრის სტრუქტურიდან გამომდინარე, სხვადასხვა მიდგომა გამოიყენეს შესაბამისი გამონაკლისებით.³⁸⁹ ელექტროენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესი ევროპაში ეტაპობრივად მიმდინარეობდა³⁹⁰. ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, საქართველოსთვის სავალდებულოა ე.წ. მესამე დირექტივების პაკეტი,³⁹¹ რომელიც განმარტავს კონკურენციის მოთხოვნებს, მომხმარებელთა უფლებებს და ადგენს საჯარო მომსახურების ვალდებულებებს³⁹².

³⁸⁷ Czuba M., Krasniewski M., Pytkowski M., Security, Regulation and Competition of the Energy Market, Yearbook of Antitrust and Regulatory Studies, N11(18), 2018, 331.

³⁸⁸ Boumedhel Z., Donne A., The Role of Competition in the Construction of the EU Internal Energy Market from the Prism of the Power Exchange, International In-House Counsel Journal, Vol. 12, No. 49, 2019, 3.

³⁸⁹ Goldberg S. M., Security of Supply in the Context of European Energy Market Liberalisation – A Brief Overview, International Business Law Journal, Vol. 4, 2011, 435-436; Maric M., Liberalisation of the Energy Market in Montenegro due to the Process of European Integration, European Competition and Regulatory Law Review, Vol. 3, No. 1, 2019, 37-39; Talus K., Aalto P., Competences in EU energy policy, in: Research Handbook on EU Energy Law and Policy, Edited by R. Leal-Archas and J. Wouters, Edward Elgar Publishing, 2017, 15-30.

³⁹⁰ Leautier T. O., Crampes C., Liberalisation of the European Electricity Markets: A Glass Half Full, 201, <<https://fsr.eu.eu/liberalisation-european-electricity-markets-glass-half-full/>> [03.01.2023]

³⁹¹ ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 წლის 27 ივნისი, XXV დანართი.

³⁹² Eikeland P. O., The Third Internal Energy Market Package: New Power Relations among Member States, EU Institutions and Non-State Actors." Journal of Common Market Studies, Vol. 49, No. 2, 2011, 244-264.

კონკურენცია ყოველთვის არ არის გამართლებული³⁹³ და ამას მოწმობს ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა ბაზარზე.³⁹⁴ ენერგეტიკის სფეროში გადაცემისა და განაწილების ქსელური საქმიანობა ბუნებრივი მონოპოლიებია, ვინაიდან პარალელური ქსელის არსებობა ტექნიკურად და ეკონომიკურად გაუმართლებელია.³⁹⁵ რაც შეეხება ელექტროენერჯის გენერაციისა და მიწოდების საქმიანობას, სწორი რეგულირებისა და კონკურენტული ბაზრის პირობებში გამართლებულია და მეტი სოციალური სარგებლისკენ არის ორიენტირებული.³⁹⁶ კონკურენციისთვის აუცილებელია ოპერირებისთვის შესაბამისი ბაზრის არსებობა, ანუ სულ მცირე ორი ეკონომიკური აგენტი, რომლებიც ერთმანეთთან ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში არიან და ესწრაფიან ერთმანეთის ხარჯზე საკუთარი საბაზრო პოზიციების განმტკიცებას.³⁹⁷ კონკურენციის კანონმდებლობა კრძალავს დომინანტური მდგომარეობის³⁹⁸ ბოროტად გამოყენებას³⁹⁹. დომინანტური მდგომარეობის არსებობა კი შეიძლება განპირობებული იყოს რამდენიმე ფაქტორით, რომლებიც ინდივიდუალურად სულაც არაა გამაძმვეტი, მაგრამ ერთობლიობაში ძალიან მნიშვნელოვანია ბაზრის ძალაუფლების განსაზღვრისთვის⁴⁰⁰. კანონმდებლობა კრძალავს ისეთი ხელშეკრულების

³⁹³ Arnsperger C., De Villé P., Can Competition Ever be Fair? Challenging the Standard Prejudice. *Ethic Theory Moral Practice*, Vol. 7, No. 4, 2004, 433–434. Farah P. D., Otvos T., *Competition Law and Trade in Energy vs. Sustainable Development: A Clash of Individualism and Cooperative Partnerships?*, *Arizona State Law Journal*, Vol. 50, No. 2, 2018, 511.

³⁹⁴ ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., მაცვალაძე მ., მიკროეკონომიკა, ნაწ. II, თბილისი, 2021, 375; „ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 თებერვლის N95 ბრძანებულება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის №1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“.

³⁹⁵ კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, თბილისი, 2012, 5-6.

³⁹⁶ მარგველაშვილი მ., მუხიგულიშვილი გ., კონკურენცია და მონოპოლია შიდა ენერგეტიკულ ბაზარზე, თბილისი, 2011, 8-10.

³⁹⁷ ადამია გ., ეკონომიკური კონკურენციის კონსტიტუციური ასპექტები, ნიგში: კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 2018, 93.

³⁹⁸ „კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-2 მუხლი „ი“ ქვეპუნქტი.

³⁹⁹ იქვე, მე-6 მუხლი.

⁴⁰⁰ Hoffmann-La Roche & Co. AG v Commission of the European Communities [CJEU], C-85/76, 13 February 1979.

დადებას, რომლის მიზანი ან შედეგია კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა⁴⁰¹ და კონკურენციის კონცენტრაცია⁴⁰², რაც აუცილებელი და დამახასიათებელია თავისუფალი მენარმეობის განვითარებისთვის. თავის მხრივ, რეგულირებული მენარმეობა ხასიათდება ბაზარზე შესვლის მაღალი ბარიერებით, ფასების რეგულირებითა და მიწოდების ვალდებულებით⁴⁰³.

კონკურენციის კანონმდებლობა ვრცელდება ენერგეტიკულ სექტორზეც და ამას მოწმობს თავისუფალი და კონკურენტული მენარმეობის განვითარების სამართლებრივი საფუძვლები.⁴⁰⁴ კონკურენციის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების უფლებამოსილ პირად განსაზღვრულია საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო.⁴⁰⁵ თუმცა კანონი ასევე ითვალისწინებს სააგენტოს თანამშრომლობას ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოებთან და განსაზღვრავს კონკურენციის დარღვევის შემთხვევაში მათი თანამშრომლობის ფორმებს.⁴⁰⁶ ერთი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ეკონომიკის რეგულირებადი სფეროები ეკონომიკის ერთ რეგულირებად სფეროდ მიიჩნევა.⁴⁰⁷ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის კომპეტენცია ენერგეტიკულ ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფისთვის⁴⁰⁸, ამასთან, კონკურენციის კანონმდებლობა ითვალისწინებს ენერგეტიკის სექტორში კონკურენტული ბაზრის შემზღუდველი ფაქტების დროულად გამოვლენას, განხილვას და აღმოფხვრას⁴⁰⁹, რომლის განხორციელების უფლებამოსილებაც, ამავე კანონით, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მა-

⁴⁰¹ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

⁴⁰² იქვე, მე-11 მუხლი.

⁴⁰³ ხადური ნ., მურღულია თ, ნარმანია დ., მურღულია შ., კონკურენციის პოლიტიკა და ბაზრის რეგულირების პრაქტიკა, თბილისი, 2012, 61-63.

⁴⁰⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი; ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის 2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შესახებ შეთანხმების 203-ე მუხლი; *The Treaty on the Functioning of the European Union*, Art. 18.

⁴⁰⁵ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

⁴⁰⁶ იქვე, 30-ე მუხლი.

⁴⁰⁷ იქვე, მე-11² მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁰⁸ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი; Elzanowski F. M., *The Duties of the President of the Polish Energy Regulatory Office in the Context of Implementing the Third Energy Package*, *Yearbook of Antitrust and Regulatory Studies*, Vol. 4, 2011, 136-150.

⁴⁰⁹ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი.

რეგულირებელ ეროვნულ კომისიას მიენიჭა. კანონით განსაზღვრული ჯარიმის დაკისრებასთან ერთად, იგი უფლებამოსილია გამოიყენოს ეკონომიკის შესაბამისი რეგულირებადი სფეროს მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სხვა სანქცია ან/და საზედამხედველო ზომა⁴¹⁰. კონკურენციის სააგენტოსა და ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შორის კომპეტენციის აღრევის თავიდან აცილებისა და უფლებამოსილების გამიჯვნის მიზნით ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა, რომ ენერგეტიკის სფეროში ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს, მათ შორის, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისია, კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის თაობაზე საჩივარს/განცხადებას ან კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინებას, განიხილავს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების გამოყენებით, კანონით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევების გარდა⁴¹¹.

ენერგეტიკის სფეროს სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია კონკურენციის სამართლის აღსრულებისათვის აუცილებელი დამატებითი კანონქვემდებარე აქტები, რომელშიც ასახული იქნება ენერგეტიკის სექტორის და მასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობა. ამასთან, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ კანონით დაკისრებული კომისიის ფუნქციების სრულყოფილად შესრულების მიზნით⁴¹² და ენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების შემუშავება⁴¹³. აღნიშნული წესების დამტკიცების ვალდებულებას ითვალისწინებს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონიც, შესაბამისად, აღნიშნული კანონის და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესი, რომლითაც მოწესრიგდა ყველა ის საკითხი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენტული, თავისუფალი, გამჭვირვალე და სამართლიანი ვაჭრობის ჩამოყალიბებას.⁴¹⁴ ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესი განსაზღვრავს

⁴¹⁰ იქვე, 33-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

⁴¹¹ იქვე, 31-ე მუხლი.

⁴¹² „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი.

⁴¹³ „ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტი N7 დადგენილება.

⁴¹⁴ „ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების დამტკიცების შე-

ბაზრის მონიტორინგის ღონისძიებებსა და კომისიის უფლებამოსილებებს; ენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს და საბითუმო ენერგეტიკული ბაზრის მთლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. მასში თავმოყრილია შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისა და ბაზრის ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლები, დომინანტური მდგომარეობის განსაზღვრის წესი და კრიტერიუმები, ასევე, ბაზრის კვლევასთან, თანამშრომლობის პროგრამასთან, კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენასა და განხილვასთან დაკავშირებული მიდგომები, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დანაწესებთან და ემსახურება მათ აღსრულებას, შესაბამისად, აღნიშნული ნორმები განხილული და გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ კონკურენციის შესახებ კანონთან ერთად⁴¹⁵.

აღსანიშნავია, რომ ბაზარზე საწარმოს ან საწარმოთა ჯგუფის დომინანტური მდგომარეობის განსაზღვრის⁴¹⁶ და კონცენტრაციის დონესთან მიმართებით გაზიარებულია კონკურენციის შესახებ კანონის მიდგომები. კერძოდ, ენერგეტიკის სექტორშიც, თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, საწარმო ან საწარმოთა ჯგუფი არ ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მათი წილი არ აღემატება 40 პროცენტს⁴¹⁷. ხოლო რაც შეეხება კონცენტრაციების კონტროლს, კომისიისთვის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე საწარმოების ლიცენზიანტების ერთობლივი წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე ან/და ენერგეტიკული გაერთიანების რომელიმე მხარის ტერიტორიაზე აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი საწარმოდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს.⁴¹⁸ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების, ისევე როგორც კონკურენციის კანონმდებლობის სხვა შესაძლო დარღვევის თაობაზე საჩივრის/განცხადების განხილვისას, კომისია ვალდებულია ჩაატაროს ბაზრის კვლევა, რომლის დანყების საფუძველი შესაძლოა იყოს საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, სააგენტოსა და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის მოთხოვნა ან საწარმოს განცხადება,

სახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტი N7 დადგენილებით დამტკიცებული ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესის პირველი მუხლი.

⁴¹⁵ იქვე, მე-2 მუხლი.

⁴¹⁶ იქვე, მე-19 მუხლი.

⁴¹⁷ იქვე, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴¹⁸ იქვე, 39-ე მუხლის პირველი პუნქტი.

თუ ამ უკანასკნელს ბაზრის შემზღვეველი ქმედების შედეგად ადგება უშუალო ქონებრივი ზიანი და აღნიშნულს ადასტურებს შესაბამისი მტკიცებულებებით.⁴¹⁹

ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე ენერგეტიკული ბაზრის რეფორმის პარალელურად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულება, რომელიც, თავის მხრივ, ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის საფუძველია და მიზნად ისახავს კონკურენციის გაზრდას და მომხმარებლების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელება, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუშალოს დომინანტი სანარმოების არსებობას, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია კონკურენციის შედეგი, რომელიც ყველა შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ენერგეტიკული ბაზრის ეფექტურობას.

4.1. ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელი

ელექტროენერჯის ბაზრის რეფორმა 2019 წლიდან ხორციელდება.⁴²⁰ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდებისა და ვაჭრობის ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს გამართული, გამჭვირვალე და კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრის შექმნის, გახსნის, განვითარებისა და ინტეგრირებისათვის⁴²¹, აყალიბებს სამართლებრივ საფუძველს ევროკავშირის დირექტივებისა და რეგულაციების შემდგომი განხორციელებისთვის. ამასთან, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, ასევე განსაზღვრავს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის არამართლზომიერად შემზღვეველ ქმედებებს, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის დარღვევის თავიდან აცილებისა და აღკვეთის სამართლებრივი საფუძველებს.⁴²² „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ კანონის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს ელექტროენერჯის საბითუმო

⁴¹⁹ იქვე, მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.

⁴²⁰ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის №1-1/605 ბრძანება.

⁴²¹ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი.

⁴²² „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

ვაჭრობის ბაზრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს⁴²³ და რომელიც 2020 წელს დამტკიცდა⁴²⁴. კონცეფციის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის სქემების არსებობა⁴²⁵, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს სახელმწიფოს მხრიდან განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების ხელშეწყობის მზაობას.

ელექტროენერჯის ორგანიზებული ბაზრების ჩამოყალიბება მოიცავს ელექტროენერჯის კონკურენტულ ბაზრებს, როგორცაა, დღით ადრე (**Day Ahead Market**), დღიური (**Intraday Market**), საბალანსო და დამხმარე ბაზრები,⁴²⁶ ასევე, ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი⁴²⁷, რომელიც საქართველოში ორგანიზებული ბაზრის სეგმენტი არაა⁴²⁸. ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობა წესრიგდება „ელექტროენერჯის ბაზრის წესებით“ და მოიცავს როგორც ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრის წესებს, ისე ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესებს, რომლებსაც შესაბამისი ბაზრის ოპერატორის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.⁴²⁹ ელექტროენერჯის ბაზრის წესებით განისაზღვრება საბითუმო ვაჭრობის ძირითადი წესები და პროცედურები, ასევე, დეტალურადაა მოწესრიგებული დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ვაჭრობა და ამ სეგმენტებზე ფინანსური ანგარიშსწორება.⁴³⁰ დღით ადრე ბაზრის და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრები მნიშვნელოვნად ცვლიან საბითუმო ბაზარზე თამაშის წესებს და სავარაუდოდ,

⁴²³ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილების პირველი მუხლი.

⁴²⁴ იქვე.

⁴²⁵ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის“ მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი.

⁴²⁶ განერელია ა., ელექტროენერჯის ქართული ბაზრის ევროპეიზაციის საკანონმდებლო ტენდენციები, „სამართლის ჟურნალი“ N1, 2020, 40-41.

⁴²⁷ იქვე, 46-47; „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

⁴²⁸ მაჭავარიანი მ., საქართველოს ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ფორმირება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2021, 100.

⁴²⁹ „ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილება.

⁴³⁰ „ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილებაით დამტკიცებული „ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრის წესები“.

დიდი გავლენა ექნებათ საბაზრო ფასზე. დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორია სს „საქართველოს ენერჯეტიკული ბირჟა“, რომლის თანაბარი წილის მფლობელები არიან სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“.⁴³¹ საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერირების ლიცენზიის მფლობელია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.⁴³² საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარზე მონაწილეობა რეგულირდება შესაბამისი წესებით.⁴³³ რაც შეეხება ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარს, ის არის საბითუმო ბაზრის ერთ-ერთი სეგმენტი, სადაც ელექტროენერჯით ვაჭრობა მიმდინარეობს ბაზრის მონაწილეებს შორის მათ მიერ დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე და ორმხრივი ხელშეკრულების ბაზრის ზოგად ჩარჩოს განსაზღვრავს კომისიის მიერ დამტკიცებული წესები.⁴³⁴ საცალო ბაზრის წესები არეგულირებს ურთიერთობებს ბაზრის მონაწილეებსა და საცალო საბოლოო მომხმარებლებს შორის საცალო ბაზარზე ელექტროენერჯის მიწოდების, განაწილების ან/და მოხმარებისას.⁴³⁵ აღსანიშნავია, რომ როგორც საბითუმო, ისე საცალო ბაზარზე ელექტროენერჯით ვაჭრობის პროცესში ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ, როგორცაა, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი და უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი, ტრეიდერი.⁴³⁶

ბაზრის მოდელის კონცეფცია აყალიბებს ელექტროენერჯის ბაზრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების სახელმძღვანელო პრინციპებს, მათ შორის, ბაზრის მონაწილეების უფლება-მოვალეობებისა და ბაზრის სტრუქტურის ზოგად მონახაზს; კონცეფციით განისაზღვრება საჯარო მომსახურებების ორგა-

⁴³¹ სენბის შესახებ, <<https://genex.ge/ka/page/senbi>> [26.09.2022]; ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, საიდენტიფიკაციო ნომერი: 404589432, რეგისტრაციის თარიღი 04/12/2019.

<[https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFLYZmXp3\]0lfKxbFOksPW3CLfx7ttWM8m9\[n3Eq0F\]3A](https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFLYZmXp3]0lfKxbFOksPW3CLfx7ttWM8m9[n3Eq0F]3A)> [03.01.2023]

⁴³² საბალანსო ბაზარი, <<https://www.gse.com.ge/sabalanso-bazari>> [26.09.2022]

⁴³³ „ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილებით დამტკიცებული „ენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესები“.

⁴³⁴ იქვე.

⁴³⁵ „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს №47 დადგენილება.

⁴³⁶ ბოჭორიშვილი ე., ჩახვაშვილი მ., ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა, თბილისი, 2019, 10.

ნიზების ზოგადი მონახაზი და ბაზრის გახსნის ეტაპები.⁴³⁷ საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაცია (WPSO) არის საქართველოს მთავრობის მიერ შერჩეული სანარმო, რომლის საჯარო მომსახურების ვალდებულებებია: განახლებადი ენერჯისა და გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მონაწილე მწარმოებლების მხარდაჭერა და მათ მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ორგანიზებულ ბაზარზე ინტეგრირების ხელშეწყობა; უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მხარდაჭერა, შესასყიდი ელექტროენერჯის სტაბილური ფასით უზრუნველყოფითა და ორგანიზებულ ბაზარზე ინტეგრირების ხელშეწყობით და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა) არსებული მომხმარებლების მიწოდების უსაფრთხოება, ორგანიზებულ ბაზარზე ელექტროენერჯის შესყიდვით.⁴³⁸

ელექტროენერჯის ბაზრის რეფორმის ძირითადი არსი მდგომარეობს მონოპოლისტური და კონკურენტული საქმიანობების გამიჯვნაში და მისი საბოლოო მიზანია, ბაზარზე გაჩნდეს ერთზე მეტი მიმწოდებელი და საბოლოო სამომხმარებლო ტარიფი აღარ დადგინდეს მარეგულირებელი კომისიის მიერ.⁴³⁹ ელექტროენერჯის ორგანიზებული ბაზრის კონცეფცია ითვალისწინებს რამდენიმე კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებას, სადაც მონაწილეებს შეეძლება შეიძინონ და გაყიდონ ელექტროენერჯია დღით ადრე შეთანხმებულ ფასში (დღით ადრე ბაზარი), ან/და იმავე ვაჭრობის დღეს (დღიური ბაზარი) შეთანხმებულ ფასში.⁴⁴⁰ ამასთან, საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზარი შედგება სერვისებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ მიწოდების უსაფრთხოებას.⁴⁴¹ ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარზე მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად მო-

⁴³⁷ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილება.

⁴³⁸ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

⁴³⁹ Policy Guidelines by the Energy Community Secretariat on Increasing Competition and Liquidity of Wholesale Electricity Markets, Including Power Exchanges, Energy Community Secretariat, 2019.

⁴⁴⁰ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილება.

⁴⁴¹ „ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესები“.

ილაპარაკონ ფასზე.⁴⁴² მნიშვნელოვანია ამ ბაზრებზე კონკურენციის განვითარება და კონკურენტული ფასის ჩამოყალიბება, რაც ბაზარს უფრო ლიკვიდურს გახდის, ეს კი, თავის მხრივ, მოიზიდავს ინვესტიციებს განახლებადი ენერჯის განვითარებისთვის.⁴⁴³ ბაზრის ეფექტიანი და მდგრადი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ფინანსური მექანიზმების დანერგვა, რაც წაახალისებს საქართველოში არსებულ განახლებადი ენერჯის გენერაციის ობიექტებს, გახდნენ ელექტროენერჯის მყიდველი და გამყიდველი;⁴⁴⁴ განვითარებს მასთან დაკავშირებულ ბიზნესს, მაგალითად, როგორცაა, მზის პანელების წარმოება. რეფორმამ ხარისხობრივად უნდა შეცვალოს არსებული საბაზრო მოდელი და ჩამოაყალიბოს ისეთი, რომელიც გამჭირვალე და კონკურენტულ ფასს დაუდგენს როგორც ინვესტორებს, ასევე მომხმარებლებს და ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკის განვითარებას, მწვანე დაფინანსების ხელმისაწვდომობას.

ბაზრის მოდელის კონცეფცია ქმნის საფუძველს, პირველად საქართველოს ისტორიაში ელექტროენერჯის ფასი დადგინდეს თავისუფალ, კონკურენტულ საბაზრო პირობებში. კონცეფციის შესაბამისად, გენერაციის ობიექტების ნაწილს წარმოეშობა ვალდებულება, ივაჭროს სავალდებულო წესით, ხოლო ნაწილს – საკუთარი ნებით.⁴⁴⁵ დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ვაჭრობა მიმდინარეობს სავაჭრო პლატფორმის მეშვეობით, რომლის მთავარი უპერატესობა მდგომარეობს ბაზრის მონაწილეების მხრიდან მანიპულაციების მინიმიზაციაში.⁴⁴⁶ ბაზრის ყველა მონაწილე იმყოფება თანაბარ პირობებში და ელექტროენერჯის ფასის განსაზღვრა უნდა მოხდეს გამჭირვალე და არადისკრიმინაციულ პირობებში. გამჭირვალე ფასი კი ევროპასთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და შესაბამისად, ევროპულ ბაზრებზე ვაჭრობის შესაძლებლობის წინაპირობაა.

განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმის ამოქმედება დაკავშირებულია ელექტროენერჯის ორგანიზებული ბაზა-

⁴⁴² იქვე.

⁴⁴³ Electricity Market Functions, Short Overview and Description Online Capacity-Building Material, EU4Energy, 2020, 6.

⁴⁴⁴ Policy Guidelines by the Energy Community Secretariat on Increasing Competition and Liquidity of Wholesale Electricity Markets, Including Power Exchanges, Energy Community Secretariat, 2019.

⁴⁴⁵ Recommendation of the Energy Community Regulatory Board on Regulatory Measures Supporting Early Implementation of Day-ahead Market Coupling in the Energy Community Contracting Parties, ECRB, 2019.

⁴⁴⁶ Kirkegaard A., Would Power Exchanges Be Exempt from Competition Regulations, European Energy Journal, Vol. 4, No. 2, 2014, 64-65.

რის ამოქმედებასთან, კერძოდ, სწორედ საქართველოს მთავრობა ინვესტორს სთავაზობს ორგანიზებულ ბაზარზე შესაბამისი საათისთვის დაფიქსირებული საბითუმო ფასზე დამატებას ყოველ კვტ. სთ ელექტროენერჯისთვის 0.015 აშშ დოლარს, იმ შემთხვევაში, თუ სადგურის მიერ მხარდაჭერის პერიოდის განმავლობაში მოცემულ საათში გამომუშავებული და ელექტროენერჯის ორგანიზებულ ბაზარზე რეალიზებული 1 კვტ. სთ ელექტროენერჯისათვის დაფიქსირებული საბითუმო (ნონასწორული) ფასი ნაკლებია 0.055 აშშ დოლარზე.⁴⁴⁷ აღნიშნული მექანიზმი 2020 წლიდან არსებობს და ინვესტორისთვის ელექტროენერჯის ფასის განსაზღვრის ერთ-ერთი მექანიზმია, თუმცა არ მოქმედებს, ვინაიდან ორგანიზებული ბაზარი ჯერ არ ამოქმედებულა, რაც ინვესტორისთვის დამაბნეველია და ხელს უშლის ინვესტიციების შემოღინებას. რამდენად კარგი მექანიზმია და იქნება თუ არა მიმზიდველი ინვესტორისთვის, ასევე, ძნელი სათქმელია, თუმცა, ინვესტორებისთვის ზედა ზღვრის დადგენა (0,055 აშშ დოლარი) შესაძლოა არ იყოს საკმარისად მიმზიდველი და სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმის ამოქმედება გახდეს საჭირო, შესაძლოა გარკვეულ კატეგორიებს მიეცეთ განსხვავებული მხარდაჭერის მექანიზმები, რათა უფრო მეტად ნახალისდეს განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება.

ბაზრის მოდელის კონცეფციით არაერთი სიახლეა გათვალისწინებული, თუმცა განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებისთვის და ინვესტორისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად რჩება ე.წ. საბაზისო ფასის (Reference price) განსაზღვრა, რაც მნიშვნელოვანია ბაზრის სეგმენტებისთვის.⁴⁴⁸ ბუნებრივია, ფასი უნდა განისაზღვროს გამჭირვალედ და იყოს ეკონომიკურად დასაბუთებული. ამასთან, მნიშვნელოვანია ბაზრის მონაწილეებს ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია და ცოდნა ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობისთვის. კვალიფიციური სავაჭრო წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს თითოეულ მონაწილეს, რომელსაც ექნება შესაბამისი ცოდნა, ანუ გავლილი ექნება სერთიფიცირება⁴⁴⁹, თუმ-

⁴⁴⁷ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის №403 დადგენილებით დამტკიცებული „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის“ მე-5 მუხლი.

⁴⁴⁸ Božić Z., Dobromirov D., Arsić J., Radišić M., Slusarczyk B., Power Exchange Prices: Comparison of Volatility in European Markets, Journal Energies, Vol. 13, No. 21, 2020, 3-15; Methodology on Calculation of Reference Price for Energy Generated from RES, Methodology ERO/NO. 01/2020, 2020.

⁴⁴⁹ „ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11

ცა რამდენად მზად იქნებიან ივაჭრონ ბაზარზე და იმოქმედონ კონკრეტული მანიპულაციისას, ეს ცნობილი მხოლოდ ბირჟის ამოქმედების შემდეგ გახდება ცნობილი და შესაძლებელი, რომ შეფასდეს. ენერგეტიკული ბირჟა სატესტო რეჟიმში 2020 წლის 1 ივლისიდან მუშაობს.⁴⁵⁰ სრულყოფილად ამოქმედების გაჭიანურებამ გამოიწვია ინვეტიციების შეფერხება და განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების ტემპის საგრძნობლად შემცირება. გენერაციის ახალი ობიექტის, მათ შორის, ქარისა და მზის სადგურების მშენებლობით დაინტერესებულმა პირებმა ასევე არსებული გენერაციის ობიექტებს, რომლებსაც სახელმწიფოსთან ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება არ დაუდიათ, უჭირთ ელექტროენერჯის ფასის პროგნოზირება: იქნება თუ არა ფასი კონკურენტული და შეძლებენ თუ არა მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციების ამოღებას.⁴⁵¹

ბაზრის მოდელის კონცეფციით გათვალისწინებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, თვითდისპეტჩირება, რაც გულისხმობს ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების საათობრივი გრაფიკების, ასევე, ელექტროენერჯის წარმოების/მოხმარების საშუალებებისა და მათი დატვირთვის განსაზღვრას მათ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ.⁴⁵² დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ვაჭრობის წესების შესაბამისად, ბირჟაზე ვაჭრობა შეეძლება მხოლოდ იმ პირს, რომელიც განწვრიანებულია დაბალანსების ჯგუფში და რეგისტრირებულია მონაწილედ.⁴⁵³ უბალანსობაზე პასუხისმგებლობა განსაკუთრებით აქტუალურია განახლებადი ენერჯის წყაროებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, მაქსიმალური სიზუსტით გააკეთონ მათ მიერ გამომუშავებული

ავისტოს №46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრების წესების“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტი.

⁴⁵⁰ ენერგეტიკული ბირჟის მომავალი და საჭიროება საქართველოში – ინტერვიუ ირინა მილორავასთან, <<https://bm.ge/news/energetikuli-birjis-momavali-da-sachiroeba-saqartveloshi--interview-irina-miloravastan-/45341>> [24.06.2024]

⁴⁵¹ ინტერვიუ ირინა მილორავასთან, ენერგეტიკული ბირჟის, როგორც ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმი – რა „შიშები“ აქვთ ინვესტორებს?, 2021, <<https://bm.ge/ka/article/energetikuli-birja-rogorc-investiciebis-mozidvis-meqanizmi--ra-quotshishebiquot-aqvt-investorebs/95900>> [26.09.2022].

⁴⁵² „ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 ავისტოს №46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

⁴⁵³ იქვე, მე-11 მუხლი.

ელექტროენერჯის პროგნოზი.⁴⁵⁴ ისინი ვალდებულნი არიან განევიწყონ დაბალანსების ჯგუფში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ ივაჭრებენ ბირჟაზე.⁴⁵⁵ ბაზრის მონაწილე სუბიექტი თავად უნდა დარეგისტრირდეს დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირად ან გაერთიანდეს დაბალანსების ჯგუფში, რომლის დაბალანსებაზე პასუხისმგებლობას სხვა პირი აიღებს თავის თავზე.⁴⁵⁶ განახლებადი ენერჯის წყაროებს, როგორცაა, მზე, ქარი, მოდინებაზე მომუშავე ჰესი, აქვთ ცვალებადი გენერაცია და შესაბამისად, რთულია დღით ადრე მაღალი სიზუსტით განისაზღვროს მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის პროგნოზი.⁴⁵⁷ მათ აქვთ უბალანსობის მაღალი რისკი ფაქტიურ გამომუშავებასთან მიმართებით, რაც უზრდის ხარჯს და უმცირებს შემოსავალს. თუ ეს ხარჯი დიდია, ისინი შესაძლოა ნაკლებ კონკურენტული იყვნენ ენერჯის ტრადიციული წყაროებთან შედარებით და ინვესტიციები შემცირდეს. სახელმწიფოს მხრიდან განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ასევე, გასათვალისწინებელია მომხმარებლის ინტერესი. სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს სამართლიანი მექანიზმი, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მიზანშეწონილია უბალანსობის ხარჯის მომხმარებლის ტარიფში ასახვა. ენერგეტიკული გაერთიანების ანგარიშის მიხედვით, ცალკეული ხელშემკვრელ ქვეყნებში განსხვავებული მიდგომებია.⁴⁵⁸ მაგალითად, უკრაინაში ბაზრის ყველა მონაწილე არის დაბალანსებაზე პასუხისმგებელი და მათ აქვთ შესაძლებლობა, შევიდნენ დაბალანსების ჯგუფში ფინანსური პასუხისმგებლობის შესამცირებლად;⁴⁵⁹ ალბანეთში ყველა არსებული განახლებადი ელექტროსადგური გათავისუფლებულია დაბალანსებაზე პასუხისმგებლობისგან 2022 წლამდე ან საბალანსო ბაზრის გაშვებამდე და დაბალანსების ხარჯები ასახულია განაწილების ტარიფში;⁴⁶⁰ სერბეთში ბაზრის ყველა მონაწილე არის დაბალანსებაზე პასუხისმგებელი⁴⁶¹.

⁴⁵⁴ Božić Z., Dobromirov D., Arsić J., Radišić M., Slusarczyk B., Power Exchange Prices: Comparison of Volatility in European Markets, Journal Energies, Vol. 13, No. 21, 2020, 3-15.

⁴⁵⁵ Madlener R., Kaufmann M., Power Exchange Spot Market Trading in Europe: Theoretical Considerations and Empirical Evidence, OSCOGEN, Discussion Paper No. 5, 2002, 6-7.

⁴⁵⁶ იქვე.

⁴⁵⁷ Advanced Forecasting of Variable Renewable Power Generation Innovation Landscape Brief, IRENA, 2020, 6-7.

⁴⁵⁸ Annual Implementation Report Energy Community Secretariat, 1 November 2021.

⁴⁵⁹ იქვე.

⁴⁶⁰ იქვე.

⁴⁶¹ იქვე.

მეოთხე ენერგეტიკული პაკეტი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს განახლებადი ელექტროსადგურების დაბალანსებაზე პასუხისმგებლობის რეგულირების ერთიანი მიდგომის შემუშავებას და ყველა ელექტროსადგურისთვის უბალანსობაზე პასუხისმგებლობის დაკისრებას.⁴⁶² გასათვალისწინებელია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც განახლებადი ელექტროსადგური არ არის პასუხისმგებელი საკუთარ უბალანსობაზე, ეს პასუხისმგებლობა გადაკისრებულია გადამცემი ან განაწილების სისტემის ოპერატორზე (გერმანია, საფრანგეთი)⁴⁶³, ბაზრის ოპერატორზე (სლოვენია, სლოვაკია)⁴⁶⁴ ან სპეციალურ კომპანიაზე/დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირზე (საბერძნეთი, ავსტრია)⁴⁶⁵. ასეთ შემთხვევაში უბალანსობის ხარჯები ასახულია სამომხმარებლო ტარიფის მწვანე ენერჯის კომპონენტიდან.⁴⁶⁶ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ უბალანსობაზე პასუხისმგებლობის სამართლიანი მექანიზმის შემოთავაზება. ბირჟის ამოქმედების პირველ ეტაპზე შესაძლებელია უბალანსობის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება სამართლიანი ზღვარით. რეკომენდირებულია ქარსა და მზეზე უბალანსობის შეღავათის მინიჭების საკითხი ინდივიდუალურად გადაწყდეს სახელმწიფოს მიერ და ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უბალანსობაზე პასუხისმგებელი იყოს სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“. ქვეყანამ პრიორიტეტად უნდა დასახოს ენერგოსექტორში განახლებადი ენერჯის წილის ყოველწლიურად გაზრდა კონკრეტულ ნიშნულამდე. სახელმწიფოს მხრიდან თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებულ ელექტროენერჯის გაყიდვას, ხოლო სხვა სადგურებიდან მიღებული ელექტროენერჯის შესყიდვა მოხდეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. აღნიშნული მექანიზმი წაახალისებს განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას, ხოლო თბოსადგურები გარანტირებული სიმძლავრის (სარეზერვო

⁴⁶² Regulation (EU) 2019/943 of the European Parliament and of the Council of 5 June 2019 on the Internal Market for Electricity, Art. 5

⁴⁶³ Annee J.M., Roadmap on French electricity balancing, 2017; <https://eepublicdownloads.entsoe.eu/clean-documents/mc-documents/balancing_ancillary/2017-12-07/20171207_French_Roadmap_on_Electricity_Balancing_3.pdf> [26.09.2022]

⁴⁶⁴ Božić Z., Dobromirov D., Arsić J., Radišić M., Slusarczyk B., Power Exchange Prices: Comparison of Volatility in European Markets, Journal Energies, Vol. 13, No. 21, 2020, 4.

⁴⁶⁵ იქვე.

⁴⁶⁶ Cochran J., Bird L. Heeter J., Arent D. J., Integrating Variable Renewable Energy in Electric Power Markets: Best Practices from International Experience, Summary for Policymakers, 2012.

სიმძლავრის) რეჟიმში იქნებიან⁴⁶⁷. სახელმწიფოს მიერ განახლებადი ენერჯის წახალისება შეამცირებს ინვესტორის ეკონომიკურ რისკს და ხელს შეუწყობს კაპიტალური დანახარჯების ეფექტიან ამოღებას, ასევე, გაზრდის განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ელექტროენერჯის მაქსიმალურ გამოიმუშავებას და მის რეალიზაციას.

4.2. საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა

4.2.1. ენერგეტიკული ბირჟის მოდელი და ევროპასთან ასოცირების შეთანხმება

ქართული ელექტროენერჯის ბაზრის ჩამოყალიბების საფუძველი იყო „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონი და ამ კანონის საფუძველზე დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“⁴⁶⁸, რომელიც ითვალისწინებდა ელექტროენერჯით როგორც საცალო, ისე საბითუმო ვაჭრობის მომწესრიგებელ დებულებებს⁴⁶⁹, თუმცა აღნიშნული მოწესრიგება არსებითად განსხვავდებოდა ევროპული ბაზრის მოდელისგან და საჭიროებდა ახალი ბაზრის მოდელის ჩამოყალიბებას⁴⁷⁰. ევროპული მოდელის შესაბამისად, ენერგეტიკული ბირჟა არის გარკვეული სავაჭრო ზონა, პლატფორმა, სადაც ხდება შეთავაზებების შეგროვება და შედარება მოკლევადიან პერიოდში (დღით ადრე და დღიური ვაჭრობა⁴⁷¹).⁴⁷² „სამიზნე მოდელი“ ევროკომისიისთვის ბირჟაზე დღით ადრე ვაჭრობა: აუქციონის მეშვეობით ანაწილებენ სიმძლავრეებს სავაჭრო ზონებს შორის მოკლევადიან და ერთგვარად ავსებენ ფორვარდულ გრძელდავიანი ორმხრივი კონტრაქტების ბაზარს, რამდენადაც ისინი იძლევიან კორექტირების შესაძლებლობას გენერაციის ან მომხმარებლის თვალსაზრისით.⁴⁷³ ორმხრივი

⁴⁶⁷ ფარცვანია მ., გარანტირებული სიმძლავრე, წიგნში: ლადო ჭანტურია 55, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 142-155.

⁴⁶⁸ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანება.

⁴⁶⁹ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ II თავი.

⁴⁷⁰ განერელია ა., ელექტროენერჯის ქართული ბაზრის ევროპეიზაციის საკანონმდებლო ტენდენციები, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2020, 30.

⁴⁷¹ Commission Regulation (EU) 2015/1222 of 24 July 2015 on Establishing a Guideline on Capacity Allocation and Congestion Management.

⁴⁷² Schittekatte T., Rief V., Meeus L., The EU Electricity Network Codes, European University Institute, Florence school of Regulation, San Domenico di Fiesole (FI), 2020, 27.

⁴⁷³ იქვე, 26.

ხელშეკრულებებით ვაჭრობა (OTC Trade), ბირჟაზე ვაჭრობისგან განსხვავებულია, – ხელშეკრულების მხარეები, როგორც წესი, გრძელვადიან პერიოდზე თანხმდებიან, გარკვეული პირობებით შეიძინონ და გაყიდონ ელექტროენერჯია ფიქსირებულ ფასად.⁴⁷⁴ მაგალითად, გერმანიაში გრძელვადიანი ორმხრივი ხელშეკრულებებით ვაჭრობენ, განსხვავებით სხვა ევროპული სახელმწიფოებისგან, რომლებიც უპირატესობას ორგანიზებულ ბაზარს (ბირჟას) ანიჭებენ.⁴⁷⁵ ბაზრის მონაწილეებს არ გააჩნიათ ვალდებულება, იყიდონ ან გაყიდონ ელექტროენერჯია ბირჟაზე და ხშირ შემთხვევაში ბაზრის მონაწილეები ბირჟაზე ვაჭრობენ გრძელვადიანი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოცულობების კორექტირებისთვის, რამდენადაც ძნელია, წინასწარი პროგნოზის გაკეთება, თუ რა მოცულობის ელექტროენერჯის საჭიროება გეგნება კონკრეტული პერიოდისთვის.

ბაზრის ლიკვიდურობის განმსაზღვრელია სწრაფი ვაჭრობის (ყიდვა/გაყიდვა) შესაძლებლობა ფასებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების გარეშე.⁴⁷⁶ ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი ევროპაში დაბალი ლიკვიდურობით ხასიათდება.⁴⁷⁷ თავის მხრივ, ბაზრის ოპერატორები ეროვნულ ან რეგიონულ ბაზრებზე, გადამცემი სისტემის ოპერატორთან (TSO) თანამშრომლობით უზრუნველყოფენ დღით ადრე და დღიურ ვაჭრობას, ბაზრის მონაწილეების დაწყვილებას; მათი ამოცანაა ნომინაციების მიღება, შედეგების შესაბამისად, ფასების გამოქვეყნება⁴⁷⁸ და ვაჭრობის შედეგად დადებული ხელშეკრულებების ანგარიშსწორება.⁴⁷⁹ ბირჟაზე ყალიბდება საორიენტაციო ფასი (Reference Price), რომელიც ხშირ შემთხვევაში გრძელვადიანი ხელშეკრულებების ფასის განმსაზღვრელია.⁴⁸⁰ ენერგეტიკულ ბაზარზე არსებული ვითარება რადიკალურად შეიცვალა რუსეთ-უკრაინის ომის გამო, რამაც ფასების მკვეთრი აწევა გამოიწვია⁴⁸¹. რეგუ-

⁴⁷⁴ Benth F.E., Benth J.S., Koekebakker S., Stochastic Modelling of Electricity and Related Markets, Vol. II, Singapore, 2008, 8-11.

⁴⁷⁵ An Electricity Market for Germany's Energy Transition, White Paper by the Federal Ministry for Economic Affairs and Energy, Berlin, 2015, 44-45.

⁴⁷⁶ Foley-Fisher N., Gissler S., Verani S., Over-the-Counter Market Liquidity and Securities Lending, Finance and Economics Discussion Series, Divisions of Research & Statistics and Monetary Affairs Federal Reserve Board, Washington, D.C., 2019, 2-3.

⁴⁷⁷ იქვე.

⁴⁷⁸ Regulation (EU) 1227/2011 of 25 October 2011 of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on Wholesale Energy Market Integrity and Transparency.

⁴⁷⁹ Commission Regulation (EU) 2015/1222 of 24 July 2015 on Establishing a Guideline on Capacity Allocation and Congestion Management, Art. 7.

⁴⁸⁰ Indices, <<https://www.eex.com/en/markets/trading-ressources/indices>> [05.11.2022]

⁴⁸¹ Russia's war on Ukraine fuels energy crisis, <<https://www.europarl.europa.eu/RegData/>

ლირებული ბირჟები, რომლებიც მუშაობენ საბითუმო ენერგეტიკულ ბაზრებზე, უზრუნველყოფენ ფასების გამჭვირვალობას და ენერგომოთხოვნის დაკმაყოფილებას.⁴⁸² განსაკუთრებით კრიზისულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანია წვდომა გამჭვირვალე ლიკვიდობასა და ფასის გამჭვირვალობაზე, რასაც ენერგეტიკული ბირჟა უზრუნველყოფს. ინვესტორებისთვის საინტერესოა, ბირჟაზე ჩამოყალიბებული ბაზრის ფასი რამდენად საკმარისია ინვესტიციის უკუგებისთვის.⁴⁸³ ეს გადამწყვეტია საქართველოში უკვე არსებული ინვესტორებისთვისაც, განსაკუთრებით, ქარისა და მზის სადგურებისთვის, რომლებსაც სახელმწიფოსთან არ აქვთ დადებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება⁴⁸⁴. ინვესტორის მოსაზიდად რეკომენდირებულია, ხელოვნურად არ ჩაერიონ ელექტროენერჯის ფასის ასანვეად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული იქნეს განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების მხარდაჭერის ქმედითი მექანიზმი⁴⁸⁵.

ასოცირების შესახებ შეთანხმების დადებითა და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან მიერთებით საქართველომ აიღო ვალდებულება, მათ შორის, ენერგეტიკული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების მიმართულებით.⁴⁸⁶ „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმება ასოცირების შესახებ შეთანხმების ნაწილია და მოიცავს ენერგეტიკის სფეროში ვაჭრობასთან დაკავშირებულ დებულებებს, მათ შორის, ენერგეტიკული ბაზრების ორგანიზების საკითხებს.⁴⁸⁷ განახლებადი ენერჯის განვითარებისა და ათვისებისათვის მნიშვნელოვანია ინვესტიციებისა და ახალი საექსპორტო ბაზრების გახსნა, რაც

[etudes/BRIE/2022/733643/EPRS_BRI\(2022\)733643_EN.pdf](https://etudes/BRIE/2022/733643/EPRS_BRI(2022)733643_EN.pdf) [24.06.2024]; Impact of Russia's Invasion of Ukraine on the Markets: EU Response, <<https://www.consilium.europa.eu/en/policies/eu-response-ukraine-invasion/impact-of-russia-s-invasion-of-ukraine-on-the-markets-eu-response/#energy>> [24.06.2024]

⁴⁸² Pollitt M., von der Fehr N. H., Banet C., Willems B., The European Wholesale Electricity Market: From Crisis to Net Zero, Centre on Regulation in Europe Report, 2022.

⁴⁸³ Legal Frameworks for Renewable Energy, Policy Analysis for 15 Development and Emerging Countries, Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH, 2012, 20.

⁴⁸⁴ Power Purchase Agreements (PPAs) and Energy Purchase Agreements (EPAs), <<https://ppp.worldbank.org/public-private-partnership/sector/energy/energy-power-agreements/power-purchase-agreements>> [24.06.2021]

⁴⁸⁵ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონი.

⁴⁸⁶ სამხარაძე ი., ენერგეტიკის სამართალი, როგორც აკადემიური დისციპლინა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(58), 2018, 68-69.

⁴⁸⁷ „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების მე-11 თავი, 216-ე მუხლი.

ადგილობრივად წარმოებული ელექტროენერჯის გაყიდვას და შესაბამისად, ვაჭრობის განვითარების წინაპირობაა. საქართველოს არ აქვს პირდაპირი კავშირი ევროპასთან, მას მხოლოდ თურქეთის გავლით შეუძლია ჩაებას ერთიან ენერგეტიკულ სისტემაში და ელექტროენერჯით მოამარაგოს ევროკავშირის წევრი ქვეყნები. სწორედ ამ მიზნით აშენდა შავი ზღვის ელექტროენერჯის გადამცემი ხაზი.⁴⁸⁸ ასევე, საუბარია შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის განხორციელების შესაძლებლობაზე, რომელიც საქართველოს ევროპასთან დააკავშირებს.⁴⁸⁹ ევროკავშირთან ენერგორესურსებით თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა ამ მიზნის მიღწევის რეალურ შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულების შესრულება იქნება საფუძველი და მყარი გარანტია ინვესტორისთვის, ჩადოს ინვესტიცია ენერგოსექტორში, განსაკუთრებით, განახლებადი ენერჯის განვითარების მიზნით. ამას ხელს უწყობს საქართველოს საიმედო სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი რეგიონში, რაც უდავოდ ევროკავშირის ენერგოსაფრთხოების სტატეგიის ნაწილია⁴⁹⁰.

4.2.2. სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ შექმნა და მისი ფუნქციები

საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების წინაშე აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით 2019 წელს შეიქმნა სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“⁴⁹¹, რომელმაც 2020 წელს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით მიიღო ელექტროენერგეტიკის ბაზრის ოპერირების ლიცენზია⁴⁹² და დღით ადრე და დღიური ბაზრის ლიცენზირებული ოპერატორია. სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ ძირითადი ფუნქციებია: დღით ადრე ბაზრის ოპერირ-

⁴⁸⁸ შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი, <<https://www.gse.com.ge/ukkcAMyHTSuzf70Nli9T8w.html>> [05.11.2022]

⁴⁸⁹ შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განხილვა, <<https://www.gse.com.ge/comunikatsia/akhali-ambebi/2022/Savi-zgvis-kabelis-proectis-kvlevis-ganxilva>> [05.11.2022]

⁴⁹⁰ Danelia I., Main Determinants of Georgia's Transit Function Development, European Scientific Journal, Vol. 13(31), 2017, 88-89.

⁴⁹¹ ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის, საიდენტიფიკაციო კოდი 404589432, რეგისტრაციის თარიღი 04/12/2019. <[https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFLYZmXp3J0lfKxbFOksPW3CLfX7tWWM8m9\[n3Eq0F\]3A](https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFLYZmXp3J0lfKxbFOksPW3CLfX7tWWM8m9[n3Eq0F]3A)> [03.01.2023]

⁴⁹² „სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 28 მაისის N39/2 გადაწყვეტილება.

რება, დღიური ბაზრის ოპერირება, ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის ოპერირება და დღით ადრე და დღიური ბაზრებისთვის ანგარიშსწორების სისტემის მართვა.⁴⁹³ ენერგეტიკული ბირჟის მისიაა „გამჭვირვალე და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა და სწორი საფასო სიგნალების მიწოდება ბაზრის არსებული და პოტენციური მონაწილეებისათვის“⁴⁹⁴. ელექტროენერჯით ვაჭრობის პრინციპებია საათობრივი ვაჭრობა და ბაზრის მონაწილეთა პასუხისმგებლობა მათ მიერ თითოეულ საათში გამოწვეულ უბალანსობაზე, ასევე, თვითდისპეტჩირება⁴⁹⁵ და საბითუმო საჯარო მომსახურება⁴⁹⁶. ელექტროენერჯის ბაზრის კონცეფცია ასევე, განსაზღვრავს სამიზნე მოდელზე გადასვლის ეტაპებს, გარდამავალ პერიოდს და კონკურენტული ბაზრის განვითარების ეტაპებს.⁴⁹⁷ ბირჟაზე ვაჭრობის წესები მოიცავს დღით ადრე და დღიური ბაზრების წესებს და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესებს, რომლებიც მიღებულ იქნა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ და ადგენს ბირჟაზე ვაჭრობის ყველა მნიშვნელოვან დებულებებს, მათ შორის, ბირჟაზე მონაწილის დაშვებას, განაცხადის განთავსებას, ფასნარმოქმნას, ფინანსური ანგარიშსწორებას და სხვ.⁴⁹⁸ ბირჟის მიერ განსაზღვრული ფასი მნიშვნელოვანია როგორც ინვესტორისთვის, ისე ელექტროენერჯის მყიდველისთვის, შესაბამისად, ეს ფასი უნდა იყოს გამჭვირვალე და ეკონომიკურად დასაბუთებული. ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბაზრის წესებით, მარეგულირებელმა კომისიამ გაითვალისწინა, რომ მონაწილე, რომელიც ვაჭრობს ბირჟაზე, ვალდებულია ჩააბაროს კვალიფიკაციის გამოცდა: ბირჟაზე ვაჭრობის უფლება აქვს ბაზრის მონაწილის სავაჭრო წარმომადგენელს, რომელსაც წარმატებით ჩაბარებული აქვს ბირჟის ოპერატორის მიერ ორგანიზებული გამოცდა და რომლის ორგანიზებაც ევალება ენერგეტიკულ ბირჟას სისტემატურად, „ბაზრის წესებით“ განსაზღვრული პერიოდულობით.⁴⁹⁹

⁴⁹³ საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის ანგარიში, 2020, 3.

⁴⁹⁴ იქვე,

⁴⁹⁵ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის“ მე-2 მუხლი.

⁴⁹⁶ იქვე, მე-10 მუხლი.

⁴⁹⁷ იქვე, მე-16-მე-19 მუხლები.

⁴⁹⁸ „ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს N46 დადგენილება.

⁴⁹⁹ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს N46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრის წესების“ მე-14 მუხლი.

4.2.3. ბირჟის ამოქმედების გადავადების მიზეზები და ამოქმედების პერსპექტივა

ენერგეტიკული ბირჟა რომელიც 2022 წლის 1 ივლისს⁵⁰⁰ უნდა ამოქმედებულიყო, კვლავ გადაიდო, კერძოდ, 2024 წლის პირველ ივლისამდე.⁵⁰¹ ამას წინ უძღოდა 2023 წლის 1 აპრილს⁵⁰² დაგეგმილის 2023 წლის 31 მარტამდე გადადება⁵⁰³. მანამდე კი, ბირჟის ამოქმედება ორჯერ უკვე გადადებული იყო: თავდაპირველად მას ფუნქციონირება 2022 წლის 1 ივლისს უნდა დაეწყო⁵⁰⁴, შემდეგ ეს ვადა 2022 წლის 1 იანვრამდე გადაინია⁵⁰⁵, მოგვიანებით – 2022 წლის 1 მარტამდე⁵⁰⁶, შემდეგ – 2022 წლის 1 სექტემბრამდე⁵⁰⁷. თითოეული ვადის გადადებას გარკვეული მიზეზები ჰქონდა. თავდაპირველად ეს უკავშირდებოდა საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზარს, რომელიც ასევე სიახლეა და ბირჟასთან ერთად უნდა გაეშვას; ამ ორი ბაზრის ტესტირებისას გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა.⁵⁰⁸ ასევე, მნიშვნელოვანი იყო ბირჟაზე ვაჭრობის აუცილებელი

⁵⁰⁰ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებასა და „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №622 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 მარტის №126 დადგენილება.

⁵⁰¹ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებასა და „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №622 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 ივნისის №239 დადგენილება.

⁵⁰² „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 აგვისტოს №438 დადგენილება.

⁵⁰³ იქვე.

⁵⁰⁴ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილება (21.04.2020 – 31.05.05.2021 მდგომარეობით).

⁵⁰⁵ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის №244 დადგენილება.

⁵⁰⁶ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 24 ნოემბრის №547 დადგენილება.

⁵⁰⁷ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 თებერვლის №89 დადგენილება.

⁵⁰⁸ „მზად არის თუ არა ენერგეტიკული ბირჟა 1 იანვრიდან ვაჭრობის დასაწყებად?“,

უნარების ჩამოყალიბება, რამდენადაც ბირჟა ბაზრის მონაწილეებს ელექტროენერჯიას დღით ადრე და დღიური ბაზრების რეჟიმით ვაჭრობას სთავაზობს. მეორედ გადავადების მიზეზი ბაზრის მონაწილეების არასაკმარისი მზაობა და სატესტო რეჟიმის ფარგლებში გარკვეული ტექნიკური ხარვეზები დასახელდა, თუმცა რეფორმის განხორციელების სხვა კომპონენტები, მათ შორის, თავისუფალ ბაზარზე დამატებით მსხვილი კომპანიების გასვლის პროცესი არ გადავადებულა.⁵⁰⁹ ამასთან, ტესტირება, თავის მხრივ, მოიცავს არა მხოლოდ ვაჭრობას ბირჟაზე, არამედ სხვა ბაზრებზეც, როგორცაა, ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარი, ამიტომ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დამატებით ექვსი თვე სატესტო რეჟიმისთვის.⁵¹⁰ შემდეგი გადავადების მიზეზად ისევ ბაზრის მონაწილეების ნაკლები მზაობა დასახელდა და შიში საათობრივ ვაჭრობასთან დაკავშირებულ უბალანსობაზე ბაზრის მონაწილეთა პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს აღრიცხვას, მომდევნო დღის მოხმარების პროგნოზირებას და გენერაციას.⁵¹¹

უბალანსობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ მომზადდა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, მთავრობა უფლებამოსილია კონკრეტულ ჯგუფებთან დაკავშირებით მიიღოს განსხვავებული გადაწყვეტილება უბალანსობის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით, კერძოდ, გარკვეული გენერაციის ობიექტები, როგორცაა, მცირე სადგურები, მზისა და ქარის სადგურები, ლიმიტის ფარგლებში დროებით გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისგან.⁵¹² უბალანსობა ნიშნავს, როდესაც ელექტროსადგურმა გამოიმუშავა და სისტემას მიაწოდა ბირჟაზე და ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში გაყიდულ ელექტროენერჯიაზე ნაკლები რაოდენობა, ხოლო სხვაობა უნდა შეივსოს სარეზერვო სიმძლავრეებით, რომელსაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ელექტროსისტემა, ელექტროენერჯის თანხა კი უნდა გადაიხადოს იმ სადგურმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო კონკრე-

<https://bm.ge/ka/article/mzad-aris-tu-ara-energetikuli-birja-1-ianvridan-vachrobis-dasawyebad/95378> [05.11.2022]

⁵⁰⁹ „რატომ გადაიდო ენერგეტიკული ბირჟის ამოქმედება?“, <https://businessformula.ge/News/2935> [05.11.2022]

⁵¹⁰ იქვე; ბოჭორიშვილი ე., ჩახვაშვილი მ., ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა, 2021 წლის შეჯამება, ვალტ & თაგარტი, 2021.

⁵¹¹ „მზად არის თუ არა ენერგეტიკული ბირჟა 1 იანვრიდან ვაჭრობის დასაწყებად?“, <https://bm.ge/ka/article/mizezebi-ris-gamoc-energetikul-birjaze-vachrobis-dawyeba-isev-gadaido/96537> [05.11.2022]

⁵¹² იქვე.

ტული სიმძლავრის მიწოდებაზე.⁵¹³ უბალანსობაზე პასუხისმგებლობა, რაც საათობრივი პროგნოზების კეთებას უკავშირდება, ბაზრის ახალი მოდელის სიახლეა და გამომწვევაა ბაზრის მონაწილეებისათვის. ძველი კანონმდებლობით უბალანსობაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფო ელექტროსისტემის პასუხისმგებლობაა, რამდენადაც ყოველთვიური ვაჭრობა ბაზრის მონაწილეებს არ ავალდებულებს საათობრივი პროგნოზის კეთებას და შესაბამისად, არც მათი პასუხისმგებლობა დგება არასწორი პროგნოზისთვის.⁵¹⁴ ამიტომაც მიზანშეწონილია, პირველი ეტაპისთვის გათვალისწინებული იყოს გამონაკლისი და მთავრობას მიეცეს შესაძლებლობა, განახლებადი ენერჯის სადგურებმა, მათ შორის, ქარის, მზის, მცირე ჰესებმა, მელიორაციის არხებზე განთავსებულმა ჰესებმა გარკვეული დროით შეღავათებით ისარგებლონ. აქ არ იგულისხმება მათი გათავისუფლება პროგნოზის კეთებისგან, – ისინი ჩვეულებრივად გააკეთებენ პროგნოზს, თუმცა უბალანსობის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდებიან. ამასთან, მიზანშეწონილია თავდაპირველ ეტაპზე დაწესდეს უბალანსობის მაღალი ზღვარი, პროცენტული მაჩვენებელი, ამ პროცენტული მაჩვენებლის ნელ-ნელა შემცირებით საბოლოო მიზნის მიღწევამდე, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება უბალანსობის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება. ახალ მოდელთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამომწვევა, რაც ბაზრის მონაწილეებს აქვთ, აღრიცხვის მოწყობაა,⁵¹⁵ რამდენადაც დღევანდელი მოდელით ბაზრის ოპერატორი იღებს მონაცემებს ყოველთვიურ ბაზაზე, ხოლო ახალ მოდელში მრიცხველები ყოველსაათობრივ რეჟიმში უნდა იქნეს წაკითხული და შესაბამისი ინფორმაცია საბალანსო ბაზრის ოპერატორს გადაეცეს⁵¹⁶. აღრიცხვიანობა განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა ბაზრის ზოგიერთი ახალი მონაწილისთვის, რომელთა აღრიცხვის კვანძი არ პასუხობდა კანონმდებლობით მოთხოვნილ სტანდარტს: ენერგეტიკულ ბირჟაზე ვაჭრობის ვალდებულება აქვთ რეგულირებულ ჰიდროელექტროსადგურებს და თბოსადგურებს, ასევე ჰესებს, რომლებსაც ელექტროენერჯის გარანტირებული შეს-

⁵¹³ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს N46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის“ წესების მე-6 მუხლი.

⁵¹⁴ ელექტროენერჯის ბაზრის გახსნის მოლოდინში, <<https://forbes.ge/electroenergiis-bazris-gakhsnis-molodinshi/>> [25.12.2022]

⁵¹⁵ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის N219 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესების“ მე-17 მუხლი.

⁵¹⁶ იქვე, 61-ე მუხლი.

ყიდვის ხელშეკრულებები აქვთ დადებული.⁵¹⁷ ისინი ვალდებული არიან, მონაწილეობონ აღრიცხვის კვანძი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც მათი მხრიდან მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯთანაა დაკავშირებული.

ბირჟის პლატფორმაზე ბაზრის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ საათობრივად ივაჭრონ, რაც ქმნის დიდ ალბათობას, რომ ელექტროენერჯის ღირებულება დღის განმავლობაში უფრო მაღალი, ღამე კი დაბალი იქნება.⁵¹⁸ ბუნებრივია, ახალ მოდელზე გადასვლისთვის გადამწყვეტია ტექნიკური მზადყოფნა და შესაბამისი აღრიცხვიანობის კვანძის არსებობა, რათა ბირჟამ სრულფასოვნად იმუშაოს და შესაბამისი ინფორმაცია მიენოდოს საბალანსო ბაზრის ოპერატორს. ბირჟა ვერ გაეშვა პირველ სექტემბერს რადგან ბირჟის ამუშავებისთვის საჭირო მარეგულირებელი ჩარჩო ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწას. ნაადრევი ან მოუმზადებელი გაშვება ამ მასშტაბური რეფორმის პირობებში კი მიზანშეუწონელია. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ რეფორმა მართლაც მასშტაბურია და მნიშვნელოვანია, ბაზრის მონაწილეები და თითოეული მოსახლე მზად იყოს აღნიშნული ცვლილებებისთვის. სწორედ ამ მიზნით 2020 წლიდან მიმდინარეობს სიმულაციური რეჟიმი. ენერგეტიკულმა ბირჟამ 1,149,000 ევროდ (4,230,273 ლარად) ახალი პროგრამული უზრუნველყოფა შეიძინა, რომლითაც დღით ადრე და დღიური ვაჭრობის ენერგეტიკული გარიგებები დაიდება.⁵¹⁹ რეფორმა მართლაც უპრეცედენტოა და მსგავსი ბაზარი საქართველოსა და მთელ რეგიონში არ ყოფილა (თურქეთის ბაზრის გამოკლებით, რომელიც ენერგეტიკული ბაზრის კუთხით საკმაოდ განვითარებულია⁵²⁰). მნიშვნელოვანია, რეფორმა წარმატებით გატარდეს და მოსამზადებელი პერიოდი იყოს გამონვევებისადმი ადეკვატური.

საინტერესოა, რამდენად მზად არიან საწარმოები, ივაჭრონ ბირჟაზე და თავად ენერგეტიკული ბირჟა, – გაემყვას პლატფორმა. როგორც აღინიშნა, ენერგეტიკულმა ბირჟამ ახალი პროგრამული უზრუნველყოფა შეიძინა კომპანია “Nord Pool”-ისგან, რომელიც სკანდინავიასა და ბალტიისპირეთში ელექტროენერჯის

⁵¹⁷ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილება.

⁵¹⁸ Pricing in Competitive Electricity Market, Edited by A. Faruqui, K. Eakin, Kluwer Academic Publishers, 2000, 360-362.

⁵¹⁹ ენერგეტიკული ბირჟა მილიონი ევროს პროგრამულ უზრუნველყოფას ყიდულობს, <<https://bm.ge/ka/article/energetikuli-birja-milioni-evros-programul-uzrunvelyofasydulobs/90079/>> [05.11.2022]

⁵²⁰ იბ., Sirin S.M., Yilmaz B.N., The Impact of Variable Renewable Energy Technologies on Electricity Markets: An Analysis of the Turkish Balancing Market, Energy Policy, Vol. 151, 2021.

გადამცემი კომპანიების მიერ დაფუძნებული სავაჭრო სისტემა⁵²¹ და ევროპის 16 ქვეყანაში ოპერირებს⁵²². 360 კომპანია 20 ქვეყნიდან ვაჭრობს “Nord Pool”-ის ბაზარზე, მათ შორის, ჩრდილოეთ ევროპისა და ბალტიის რეგიონებში, დიდ ბრიტანეთში, ცენტრალურ და დასავლეთ ევროპასა (ავსტრიას, ბელგიას, საფრანგეთს, გერმანიას, ლუქსემბურგსა და ნიდერლანდებს) და პოლონეთში.⁵²³ მის ბაზარს აქვს ფასნარმოქმნის ევროპული ალგორითმი, რაც გამოიყენება ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ფასის დასათვლელად⁵²⁴, თუმცა ეს არ გამორიცხავს მანიპულაციის რისკებს, რაც განსაკუთრებით საშიშია პატარა ბაზრისთვის და რომლის მოლოდინიც და შიშიც აქვთ ბაზრის მონაწილეებს, თუმცა მანიპულაციის რისკი ევროპული ბაზრის პრობლემაცაა⁵²⁵. მანიპულაციის რისკი უფრო მგრძობიარე იქნება ქართული პატარა ბაზრისთვის, რამდენადაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო შემთხვევამ შესაძლოა შეცვალოს ბაზრის ფასი და მონიტორინგის ინსტრუმენტი ერთ-ერთი საშუალებაა ყოველსაათობრივ რეჟიმში განახორციელოს ბაზრის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მყისიერი რეაგირება.⁵²⁶ საკმაოდ ძვრიადღირებული და რეპუტაციული პროგრამის მიუხედავად, მნიშვნელოვანია მინიმუმადე იქნეს დაყვანილი შესაძლო მანიპულაციის რისკები, რაც მყისიერი ჩარევითა და რეაგირებით უნდა აღმოიფხვრას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მხრიდან სს „საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟას“ დადგენილი აქვს დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის მომსახურების საფასური, ისევე, როგორც სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ დადგენილი აქვს ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფი, შესაბამისად, ამ ბაზრების ამოქმედების შემთხვევაში ისინი თავის ფუნქციების შესრულებას შეძლებენ.⁵²⁷ ბაზრის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერა-

⁵²¹ Electricity Market Reform in Norway, Edited by E. Magnus and A. Mittun, Macmillan Press, 2000, 54-55.

⁵²² About us, <<https://www.nordpoolgroup.com/en/About-us/>> [05.11.2022]

⁵²³ იქვე.

⁵²⁴ Electricity Market Reform in Norway, Edited by E. Magnus and A. Mittun, Macmillan Press, 2000, 58-59.

⁵²⁵ Regulation (EU) 1227/2011 of 25 October 2011 of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on Wholesale Energy Market Integrity and Transparency.

⁵²⁶ იქვე.

⁵²⁷ „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბერის №33 დადგენილების მე-5¹ და მე-5² მუხლები.

ტორი (ესკო), რომელიც საბალანსო ელექტროენერჯითა და გარანტირებული სიმძლავრით ექსკლუზიურად ვაჭრობს, სეზონური საჭიროების მიხედვით, ეწევა ელექტროენერჯის იმპორტსა და ექსპორტს, საბითუმო აღრიცხვის კვანძების ინსპექტირებას და ახლად შენობის ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის გარანტირებულ შესყიდვას.⁵²⁸ ახალი მოდელის ფარგლებში, ესკოს მიერ მისი ფუნქციების სრულყოფილად შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია საბითუმო საჯარო მომსახურების განხორციელების წესების, ორგანიზაციის ოპერირების წესების და ასევე, სპეციალური ფონდის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავება, ხოლო კომისიის მხრიდან საბითუმო საჯარო მომსახურების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიის მომზადება და საფასურის დადგენა. სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის გამოწვევად რჩება რეზერვების, ანუ სისტემის საიმედოობისთვის დარეზერვებული გარკვეული სიმძლავრეების ნაკლებობა, რაც გამოწვეულია მოხმარების ზრდით და ასევე, ელექტროსადგურების მშენებლობის ტემპის შენელებით.⁵²⁹ რეზერვები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზამთრის პერიოდში, როდესაც ელექტროენერჯის ფასი მაღალია და ამას ემატება აფხაზეთის მომარაგება, რაც ასევე დიდი გამოწვევაა სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის.⁵³⁰ ახალი მოდელის ფარგლებში, უპირველესი ამოცანაა სისტემის საიმედოობის შენარჩუნება და ამ გამოწვევის გადაჭრის ტექნიკური ხასიათის ღონისძიების განხორციელება, რაც შესაძლებელია სწრაფი რეგულირების რეზერვების შესყიდვით და გარკვეულ სადგურებზე ავტომატური გენერაციის კონტროლის სისტემის მოწყობით, ენგურის გარდა, სხვა მარეგულირებელ სადგურზეც, რის შედეგადაც გაიზრდება რეზერვის მომწოდებელი წყაროები, ასევე, მნიშვნელოვანია მეზობელ სისტემებთან შესაბამისი შეთანხმების არსებობა, გარკვეული დეფიციტის ან დამძიმებული რეჟიმის შემთხვევაში მათ მხრიდან ავარიული თუ სხვა სახის ურთიერთდახმარების აღმოჩენის თაობაზე.⁵³¹

ენერგეტიკული ბირჟის ამოქმედება რამდენჯერმე გადაიდო იმ მიზეზით, რომ საბოლოოდ აღმოფხვრილიყო სიმულაციის დროს გამოვლენილი ხარვეზები და მოულოდნელობა. ბოლო ცვლილებით ბირჟა 2024 წლის 1 ივლისს უნდა ამოქმედდეს, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად სისტემა გახსნისთვის

⁵²⁸ ჩვენს შესახებ, <<https://esco.ge/ka/chvens-shesakheb>> [05.11.2022]

⁵²⁹ „მზად არის თუ არა ბაზარი ენერგეტიკულ ბირჟაზე ვაჭრობისთვის?“, <<https://com-mersant.ge/ge/post/ratom-gadaido-energetikuli-birjis-amoqmedeba-da-ramdenad-mzad-xvdeba-bazari>> [05.11.2022]

⁵³⁰ იქვე.

⁵³¹ იქვე.

მზადაა და ძირითადი წესებიც დადგენილია. თუმცა გეოპოლიტიკური, კერძოდ, რუსეთის უკრაინაში შეჭრით და ასევე, თურქეთის ბაზარზე ელექტროენერჯის ფასების მკვეთრი ზრდიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ბირჟის გაშვება გადავადებულიყო; ამას დამატებული დეფიციტური შემოდგომა-ზამთრის პერიოდი, როდესაც ქვეყანაში ძვირიანი იმპორტი ხდება და ბაზარზე ენერჯის ფასი მაღალია.⁵³² მსოფლიოში გაზრდილმა ფასმა გამოწვია ენერგეტიკული კრიზისი⁵³³ და სახელმწიფოს მხრიდან დადგა სუბსიდიების შემოღების აუცილებლობა იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ბირჟა მოქმედებს.⁵³⁴ ენერგოკრიზისი სარისკო პერიოდად მიიჩნეის ბირჟის ასამოქმედებლად, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ მარტი უკეთესი პერიოდია, რადგან ამ დროს იწყება ელექტროენერჯის ექსპორტი და წინასაექსპორტოდ ენგურჰესის რეზერვუარი შევსებულია, შესაბამისად, ფასიც შედარებით დაბალია.⁵³⁵

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა, რომელიც ბაზრის ლიბერალიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად განიხილება, 2024 წლის 1 ივლისს გარდამავალ რეჟიმში, გარკვეული შეზღუდვებით ამოქმედდა⁵³⁶ და მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა. ბირჟის ამუშავებიდან ორ თვეში ვაჭრობის მოცულობა მხოლოდ 13 ათას მეგავატსაათს შეადგენდა, რაც ენერგეტიკული ბაზრის სრული პოტენციალის გამოვლენას მნიშვნელოვნად ჩამორჩება; 2023 წლის აგვისტოში ვაჭრობა მხოლოდ 2 დღის განმავლობაში განხორციელდა, ხოლო სექტემბერში გარიგებები მხოლოდ ერთ დღეს შედგა. ნოემბერში ვაჭრობის მოცულობამ მხოლოდ 483 ათას კვტ/სთ ელექტროენერჯის მიაღწია. საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟაზე ვაჭრობა 2024 წლის დეკემბერში და 2025 წლის იანვარშიც არ განხორციელებულა, მიუ-

⁵³² „რატომ გადავადდა ენერგეტიკული ბირჟის ამოქმედება? – ნარმანიას განმარტება“, <<https://bm.ge/ka/article/ratom-gadavadda-energetikuli-birjis-amoqmedeba---narmanias-ganmarteba/118021/>> [05.11.2022]

⁵³³ Europe’s Energy Crunch, <<https://www.bloomberg.com/graphics/europe-energy-crisis-updates/?leadSource=uverify%20wall>> [05.11.2022]

⁵³⁴ European Governments Splurging €500bn to Cushion Energy Crisis: Report, <<https://www.euractiv.com/section/energy/news/european-governments-splurging-e500bn-to-cushion-energy-crisis-report/>> [05.11.2022]

⁵³⁵ „ვფიქრობ, ენერგეტიკული ბირჟის ასამოქმედებლად მარტი უკეთესი პერიოდია“ – მარიამ ჩახვაშვილი“, <<https://bm.ge/ka/article/quotvfiqrob-energetikuli-birjis-asamoqmedeblad-marti-uketesi-periodiaquot---mariam-chaxvashvili/115753/>> [05.11.2022]

⁵³⁶ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის“ მე-16 მუხლი.

ხედავად ბირჟაზე 21 კომპანიის რეგისტრაციისა, მათი უმეტესობა ვაჭრობაში მონაწილეობას არ იღებს, რაც ბაზრის აქტივობის დაბალ დონეზე მიუთითებს.⁵³⁷

ბირჟის ამოქმედებას თან ახლავს ტექნიკური ხარვეზები, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მონაწილეთა ნდობაზე. ივარაუდებოდა, რომ ენერგეტიკული ბირჟაზე არაერთი ხარვეზი ნებადართულ რეჟიმშიც მოხდებოდა⁵³⁸, რაც მოსალოდნელიც იყო მისი განვითარების სანყის ეტაპზე⁵³⁹. თუმცა ხარვეზების სწრაფი გამოსწორება და ბაზრის გამჭვირვალობის ზრდა მნიშვნელოვანი ნაბიჯებია მისი სტაბილიზაციისთვის. ენერგეტიკული ბირჟის გაუმართავი ფუნქციონირება გავლენას ახდენს არა მხოლოდ სექტორის განვითარებაზე, არამედ ეკონომიკურ გარემოზეც. ბიზნესის წარმომადგენლები ბირჟაზე ვაჭრობაში ჩართვას თავს არიდებენ, რადგან ფასი ხშირად მაღალია. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ენერგეტიკული გაერთიანება იმედოვნებენ, რომ ბირჟის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული ბაზრის კონკურენტუნარიანობას და მონაწილეთა აქტივობის ზრდას.

არსებული პრობლემების მიუხედავად, ენერგეტიკული ბირჟა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს საქართველოს ენერგეტიკულ სექტორს. გრძელვადიან პერსპექტივაში, ბირჟის წარმატებული ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ენერგეტიკული რესურსების სამართლიან გადანაწილებას, ფასების სტაბილიზაციას და ინვესტიციების მოზიდვას. ენერგეტიკული ბირჟის შექმნა მნიშვნელოვანი წინადადგმული ნაბიჯია საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის რეფორმირებისა და ლიბერალიზაციის გზაზე. თუმცა დაბალი აქტივობა, ტექნიკური ხარვეზები და ნდობის პრობლემები აჩვენებს, რომ ჯერ კიდევ საჭიროა საკანონმდებლო და სტრუქტურული რეფორმები. ასევე, ბირჟის გამჭვირვალობის გაძლიერება და მონაწილეთა ნდობის ამაღლება; ბაზრის რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; მონაწილეთა ნახალისება; ამ მიმართულებით განხორციელებული ქმედებები გაზრდის არა მხოლოდ ენერგეტიკული ბაზრის ეფექტიანობას, არამედ მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობასაც.

⁵³⁷ ბოლო ორი თვეა საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა გაჩერებულია, <<https://bm.ge/news/bolo-ori-tvea-saqartvelos-energetikuli-birzha-gacherebulia>> [31.01.2025].

⁵³⁸ „დარწმუნებული ვარ, ენერგეტიკულ ბირჟაზე არაერთი გარიგება ნებაყოფლობით რეჟიმშიც მოხდება“ – დავით ნარმანია, <<https://bm.ge/news/dartsmunebuli-var-energetikuli-birzhaze-araerti-garigeba-nebayoflobit-rezhimshits-mokhdeba-davit-narmania>> [31.01.2025].

⁵³⁹ ეს რეალობა ამ ეტაპზე მოსალოდნელიც იყო – ენერგეტიკული ბირჟის დირექტორი, <<https://bm.ge/news/es-realoba-am-etapze-mosalodnelits-iyo-energetikuli-birzhis-directori>> [31.01.2025].

4.2.4. ბირჟის ამოქმედების გამოწვევები

ენერგეტიკული ბირჟა ევროპული ქვეყნებისთვის კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბების წინაპირობაა, თუმცა მრავალწლიანი გამოცდილების მიუხედავად, არის პრობლემებიც.⁵⁴⁰ ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ნაკლებად ჩაერთოს პროცესში, თუმცა იმისთვის, რომ რეფორმამ წარმატებას მიაღწიოს, ბაზრის მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანია ტრენინგების ჩატარება და სავაჭრო უნარების გამომუშავება. ენერგეტიკულ ბირჟასთან დაკავშირებით საინტერესოა ენგურჰესის როლი, რომელიც ასევე ბაზრის მნიშვნელოვანი მონაწილეა და ქვეყნის სხვა სადგურებთან შედარებით, მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია იაფია⁵⁴¹. „ენგურჰესი“ ყველაზე მძლავრი ელექტროსადგურია⁵⁴², რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაშია⁵⁴³ და აქვს ვალდებულება, ბირჟაზე ივაჭროს კეთილსინდისიერი კომერციული ინტერესებით⁵⁴⁴. გასათვალისწინებელია, რა გავლენას იქონიებს იაფი ენერჯის ბირჟაზე გატანა და ხომ არ შეამცირებს ბირჟაზე დადგენილ საბოლოო ფასს იმდენად, რომ იქ ვაჭრობა მათთვის შესაძლოა მიმზიდველი აღარ იყოს.

ახალი ბაზრის გამოწვევაა ასევე, ელექტროენერჯის იმპორტი და თბოსადგურები. იმპორტი ხორციელდება მეზობელი ოთხივე სახელმწიფოდან შესაბამისი ტრანსსასაზღვრო ხაზების მეშვეობით.⁵⁴⁵ იმპორტი შეიცავს პოლიტიკურ რისკებს და ეს კარგად აჩვენა ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით, შესაძლოა იმპორტირებული ელექტროენერჯის ფასი იმდენად დაბალი იყოს, რომ ჩაანაცვლოს ადგილობრივი გენერაცია ან პირიქით. მნიშვნელოვანია, აღნიშნული რისკები ასევე გათვალისწინ-

⁵⁴⁰ Directive 2009/72/EC of 13 July 2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 Concerning Common Rules for the Internal Market in Electricity and Repealing Directive 2003/54/EC.

⁵⁴¹ „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების მე-3 მუხლი.

⁵⁴² მშენებლობა, <<https://www.engurhesi.ge/ka#/>> [05.11.2022]

⁵⁴³ ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, საიდენტიფიკაციო ნომერი: 251716371, რეგისტრაციის თარიღი: 06.10.1999. <<https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFBt5V7i7fzvRS hob2DyBOYPS5oeKiBI0nakZC8LNNS4L>> [03.01.2023]

⁵⁴⁴ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს N46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრის წესების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი.

⁵⁴⁵ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2021, 38.

ნებული იქნეს ბაზრის წესებში. ბირჟის ამოქმედების შემდეგ არის საშიშროება, რომ ფასები ზრდისკენ წავიდეს, მაშინ, როდესაც ელექტროენერჯის და გაზის ტარიფი სუბსიდირებულია⁵⁴⁶, შესაძლოა თბოელექტროსადგურების ამუშავებისთვის, რომლებიც ე.წ. სოციალურ გაზს მოიხმარენ⁵⁴⁷, დეფიციტის პირობებში აუცილებლობა დადგეს კომერციულ ფასად გაზის შესყიდვა, რაც, ბუნებრივია, გაზრდის მათ მიერ გამოიყენებული ელექტროენერჯის ფასს, ხოლო შემდეგ გაზრდილ ფასად ბირჟაზე გატანამ გარკვეული ცვლილებები გამოიწვიოს. გაზზე საბაზრო ფასის განსაზღვრა გაზის ბაზრის ამოქმედების შემდეგ იქნება შესაძლებელი⁵⁴⁸ და მხოლოდ შემდეგ უნდა მოხდეს გაზის ბაზრის ფასის გათვალისწინება ენერგეტიკულ სექტორში.

მნიშვნელოვანია სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ მიერ გაგრძელებულ ტესტირება როგორც დღით ადრე ბაზრის პლატფორმის, ისე ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის პოტენციურ მონაწილეებთან. რეფორმის წარმატებისთვის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ უნდა უზრუნველყოს საბალანსო ბაზრის პლატფორმის ტესტირება პოტენციურ მონაწილეებთან სიმულაციურ რეჟიმში, ხოლო სახელმწიფომ უნდა ასახოს შესაბამისი ცვლილებები განახლებადი ენერჯის სადგურებისთვის ლიმიტის ფარგლებში დროებით უბალანსობაზე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე. ბაზრის ფუნქციონირებისათვის საჭიროა აღრიცხვის ერთიანი ბაზის წარმოება. მიზანშეწონილია, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (ესკო) მიერ ჩამოყალიბდეს საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზებისათვის საჭირო ინსტრუმენტები და გაგრძელდეს ტესტირება პოტენციურ მონაწილეებსა და ბაზრის ოპერატორებთან სიმულაციურ რეჟიმში.

საქართველოს მისწრაფება, ინტეგრირდეს ევროპის ენერგეტიკულ საზოგადოებაში, ვერ მოხდება თანამედროვე, კონკურენტუნარიანი ენერგეტიკული ბაზრის გარეშე. ენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელი თითოეულ ოჯახს, ბიზნესს საშუალებას მისცემს, მიიღონ ეკონომიური და ეფექტიანი გადაწყვეტილება და ამით აკონტროლონ ხარჯები. მნიშვნელოვანია, რეფორმა სწორად განხორციელდეს, რაც ბაზრის შემდგომი განვითარების საწინდარია და რამაც უნდა უზრუნველყოს სტაბილური და საიმედო ელექტრომომარაგება საკუთარი

⁵⁴⁶ მარგველაშვილი მ., გოგასაძე თ., კვარაცხელია თ., მუხიგულიშვილი გ., ნინუა გ., ჩხეიძე დ., ურგებაშვილი ი., ენერგეტიკული ბაზრის რეფორმა და მოწყვლადი მომხმარებლების დაცვა, თბილისი, 2020.

⁵⁴⁷ 2021 Energy Transparency Index, 2nd International Edition, DiXi Group, 2021, 18.

⁵⁴⁸ „ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 სექტემბერის №447 დადგენილება.

სუფთა და განახლებადი ენერჯის წყაროებიდან, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს იმპორტზე დამოკიდებულებას. საათობრივი ვაჭრობა და ყოველსაათობრივი ფასის ფორმირება სტიმულია ინვესტორებისთვის და წაახალისებს გენერაციის ახალი ობიექტების მშენებლობას, რაც შეამცირებს ელექტროენერჯის დეფიციტს. კონკურენტულმა ბაზარმა უნდა შექმნას მიმზიდველი გარემო ინვესტორებისთვის და უზრუნველყოს დასაქმების ახალი შესაძლებლობები, ენერჯეტიკის დარგის მუდმივი განვითარება. ენერჯეტიკულ სექტორში ეკონომიკურად მიმზიდველი და ეკოლოგიურად სუფთა, მწვანე ენერჯის პროექტების განვითარებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი მექანიზმების შეთავაზება ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

4.3. ენერჯეტიკული ბაზრის მონიტორინგი

ენერჯეტიკული ბაზრის მონიტორინგი ბაზრის მონაწილეების საქმიანობის კონტროლის მექანიზმია.⁵⁴⁹ მისი ვალდებულებაა წესების შეუსაბამო ქმედების გამოვლენა და ღონისძიებების განხორციელება.⁵⁵⁰ წესები ვრცელდება ენერჯეტიკულ სანარმოებსა და საბითუმო ენერჯეტიკული ბაზრის სხვა მონაწილეებზე. ენერჯეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით და ბაზრისა და სისტემის ოპერატორების ეფექტიანი რეგულირების და რეგიონულ დონეზე საქართველოს ენერჯეტიკული ბაზრების ინტეგრირებისთვის, ენერჯეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესები ქმნის საქართველოს ენერჯეტიკულ ბაზარზე კონკურენტული, თავისუფალი, გამჭვირვალე და სამართლიანი ვაჭრობის მარეგულირებელ ეფექტიან მექანიზმებს.⁵⁵¹ სემეკის მიერ შემუშავებული და მიღებული წესები შეესაბამება საბითუმო ენერჯეტიკული ბაზრის მთლიანობისა და გამჭვირვალობის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის მოთხოვნებსა და პრინციპებს.⁵⁵²

⁵⁴⁹ Behi B., Arefi A., Jennings P., Gorjy A., Pivrikas A., *Advanced Monitoring and Control System for Virtual Power Plants for Enabling Customer Engagement and Market Participation*, *Energies*, Vol. 14, No. 4, 2021, 1113.

⁵⁵⁰ Pinczynski M., Kasperowicz R., *Overview of Electricity Market Monitoring, Economics and Sociology*, Vol. 9, No. 4, 2016, 153-154.

⁵⁵¹ „ენერჯეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილებით დამტკიცებული „ენერჯეტიკული ბაზრის წესების“ პირველი მუხლი.

⁵⁵² Decision of the Ministerial Council of the Energy Community D/2018/10/MC-EnC: Implementing Regulation (EU) No 1227/2011 of the European Parliament and of the Council on Wholesale Energy Market Integrity and Transparency.

სემეკი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ენერგეტიკულ ბაზრებზე განხორციელებულ საქმიანობის რეგულირებას და ზედამხედველობას; აფასებს ენერგეტიკული ბაზრების გახსნის დონესა და ეფექტიანობას, აგრეთვე ენერგეტიკულ ბაზრებზე არსებულ კონკურენციას; ასევე, ენერგეტიკული ბაზრების გამჭვირვალობის, მათ შორის, საბითუმო და საცალო ფასების გამჭვირვალობის დონეს და უზრუნველყოფს ენერგეტიკული სანარმოების მიერ გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას.⁵⁵³ რეფორმებთან ერთად იზრდება სემეკის ფუნქციები და პასუხისმგებლობა, შესაბამისად, მომხმარებელსა და ენერგეტიკის სექტორში მონაწილეებს შორის ბასალანსის დაცვა დიდი გამოწვევაა; მნიშვნელოვანია, ენერგეტიკის სექტორში ახალი და ეფექტიანი რეგულაციების დანერგვა, რის სამართლებრივ საფუძველს ქმნის „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი. კომისია ყოველი წლის 1 ივნისამდე აქვეყნებს ენერგეტიკული ბაზრის შესახებ ანგარიშს, რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოიცავს ინფორმაციას ენერგეტიკული ბაზრის გახსნის, ფუნქციონირებისა და ორგანიზების შესახებ, ბაზრის მონაწილეების საქმიანობისა და საბაზრო ფასების ანალიზს, რეგულირებული ტარიფების გამოყენებას, საბოლოო მომხმარებლისთვის არსებულ ფასებს და ენერგეტიკული ბაზრის განვითარების არსებულ ტენდენციებს.⁵⁵⁴

კომისიაში არსებული ბაზრის მონიტორინგის დეპარტამენტის უფლებამოსილებაა ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგი და ზედამხედველობა. კონკურენტული, თავისუფალი, გამჭვირვალე და სამართლიანი ვაჭრობის პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად ის ანარმოებს ელექტროენერჯის რეგულირებული სანარმოების და ელექტროენერჯით ვაჭრობის შესახებ მონაცემთა ბაზებს, ასევე, სისტემატურად ახორციელებს შესწავლას, გაანალიზებას და შესაბამისი დასკვნების მომზადებას რეგულირებულ სანარმოთა ანგარიშგებისა და სხვა უწყებებიდან და წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.⁵⁵⁵ კომისიაში ბაზრის მონიტორინგის დეპარტამენტი, „ენერგე-

⁵⁵³ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი.

⁵⁵⁴ იქვე, 27-ე მუხლი; „ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილებით დამტკიცებული ენერგეტიკული ბაზრის წესების მე-8 მუხლი.

⁵⁵⁵ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 28 დეკემბერის №79 დადგენილების მე-20 მუხლი.

ტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კომისიის ახალი ფუნქციების განსახორციელებლად შეიქმნა, რათა კომისიამ უზრუნველყოს ენერგეტიკულ ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის არსებობისა და განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნა, მათ შორის, ენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენციის შემზღვეველი ქმედებების დროულად გამოვლენა და აღმოფხვრა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის ახალი სტრუქტურისა და სავაჭრო მექანიზმების ამოქმედებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის პრინციპები, მიზნები, ბაზრის ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლები და შესაბამისი პროცედურები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობა, ეფექტიანი კონკურენცია და ბაზრის ყველა მონაწილის სამართლიანი ინტერესების დაცვა⁵⁵⁶. ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესში საქართველო, ენერგეტიკული გაერთიანების წევრი სახელმწიფოების სხვა მარეგულირებლების მსგავსად, ხედავს საჭიროებას, შეიმუშავოს სისტემური მიდგომა ბაზრის მონიტორინგის საქმიანობის ზუსტი და დროული მონაცემების და ინფორმაციის მოპოვებისთვის, ასევე, ბაზრის შესაძლო ბოროტად გამოყენების შემთხვევების აღმოჩენისა და მომხმარებელთა დაცვის მიზნით.⁵⁵⁷

ენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, კომისია ხელმძღვანელობს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილებით დამტკიცებული ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესებითა და კომისიის სხვა სამართლებრივი აქტებით. კონკურენციის გაზრდის მიზნით ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესებით დადგენილია ბაზრის მონაწილეების ძირითადი პირობები, რაც გულისხმობს სანამოებების მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას და კონცენტრაციის აკრძალვას, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, ამასთან, უზრუნველყოფილია შიდა ინფორმაციის საჯაროობა და ენერგეტიკულ ბაზართან დაკავშირებით კანონმდებლობით სავალდებულო ინფორმაციის გამოქვეყნება.⁵⁵⁸ სახელმწიფოს ვალდებულება,

⁵⁵⁶ Market Monitoring Survey Overview Report 2019/2020, EU, 2021.

⁵⁵⁷ Market Monitoring Capacities and Procedures of Energy Community Regulatory Authorities, Findings and Recommendations, The Energy Community Regulatory Board (ECRB), 2018.

⁵⁵⁸ „ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების დამტკიცების შესა-

ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით⁵⁵⁹, მოიცავს სახელმწიფოს მიერ აქტიური საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ღონისძიებების გატარებას და თავისუფალი ბაზრის მოქმედებაში სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევის შეზღუდვას.⁵⁶⁰ დაუშვებელია ბაზრის ნებისმიერი ფორმით მანიპულირება, რამდენადაც ირღვევა ენერგეტიკული ბაზრის მთლიანობა და გამჭვირვალობა.⁵⁶¹ ინფორმაციის ღიაობა და ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაცია მიზნად ისახავს ენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენციის გაზრდას, ხოლო ქმედითი კონკურენციის მომწესრიგებელი კანონმდებლობა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მომხმარებლების კეთილდღეობას.

ბაზარზე სანარმოო დომინანტური მდგომარეობა ისეთი მდგომარეობაა, რომელიც მას საშუალებას აძლევს, იმოქმედოს კონკურენტი სანარმოებისგან, მიწოდების ჯაჭვის ზედა ან/და ქვედა დონეზე მოქმედი ბაზრის მონაწილეებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე პროდუქტის ან მომსახურების მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს კონკურენცია.⁵⁶² ეკონომიკის არარეგულირებადი სექტორებში თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, სანარმო ან სანარმოთა ჯგუფი არ ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, ენერგეტიკის სექტორშიც, სანარმო ან სანარმოთა ჯგუფი არ ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი წილი არ აღემატება 40 პროცენტს.⁵⁶³ სანარმოთა ჯგუფში (2 ან 2-ზე მეტი სანარმო) შემავალი თითოეული სანარმო

ხეზ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილებით დამტკიცებული „ენერგეტიკული ბაზრის წესების“ მე-3 მუხლი.

⁵⁵⁹ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადება.

⁵⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 20 მაისის №1/2/876 გადაწყვეტილება საქმეზე, „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედ“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁵⁶¹ Regulation (EU) No 1227/2011 of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on Wholesale Energy Market Integrity and Transparency Text with EEA Relevance, Art. 5

⁵⁶² Turmanidze N., Abuse of Dominant Position, in: Legal and Economic Impact of Georgian Competition Law, Edited by M. Jakobs and G. Tsertsvadze, Tbilisi, 2022, 46; European Community Law of Competition, 6th Ed., Edited by Peter Roth QC and Vivien Rose, Oxford University Press, 2008, 242.

⁵⁶³ „ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილებით დამტკიცებული „ენერგეტიკული ბაზრის წესების“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი.

ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას აღნიშნული საწარმოთა ჯგუფის შიგნით და მის მიღმა ბაზარზე მოქმედი სხვა საწარმოებისგან მიწოდების ჯაჭვის ზედა ან/და ქვედა დონის ბაზარზე წვდომის შეზღუდული შესაძლებლობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე, არაუმეტეს სამი საწარმოს ერთობლივი წილი შესაბამის ბაზარზე არანაკლებ 50 პროცენტია, ამავდროულად, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია და არაუმეტეს ხუთი საწარმოს ერთობლივი წილი არანაკლებ 80 პროცენტია, ამავდროულად, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.⁵⁶⁴ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინაპირობაა დომინანტური საბაზრო ძალაუფლება, რომლიც დროსაც არა ერთი, არამედ რამდენიმე საწარმო ერთობლივად ფლობს დომინანტურ ძალაუფლებას და დომინანტურ მდგომარეობის მფლობელი ბაზრის მონაწილის მიერ განხორციელებულ ქმედებას აქვს ბაზარზე კონკურენციის შემზღუდველი ეფექტი.⁵⁶⁵ თუმცა იმისთვის, რომ დადგეს ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის პასუხისმგებლობა, აუცილებელია, საწარმოებს შორის არსებობდეს იმგავარი კავშირი, რაც უზრუნველყოფს მათი მხრიდან იდენტური შინაარსის საბაზრო ქმედებების განხორციელებას.⁵⁶⁶ თუ საწარმოთა ჯგუფის წევრები ერთმანეთისაგან არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას, ის შესაძლოა მიჩნეულ იქნეს დომინანტური მდგომარეობის გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად და კონკურენციის შეზღუდვად, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, აღნიშნულ ქმედებაზე მონიტორინგის განხორციელება და შედეგის მქონე ქმედებების გამოვლენისას პასუხისმგებლობის დაყენება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე.

ბაზრის მონიტორინგის მიზანია დაიცვას მომხმარებელთა უფლებები და უზრუნველყოს მიწოდების უსაფრთხოების ადეკვატურობა.⁵⁶⁷ ამასთან, ბაზრის მონიტორინგის დეპარტამენტი არეგულირებს ბაზრის და სისტემის ოპერატორების ეფექტიანი და საჯარო მომსახურების ვალდებულების მქონე საწარმო-

⁵⁶⁴ იქვე.

⁵⁶⁵ Böckers V., Duso T., Szücs T., Abuse of Dominance and Antitrust Enforcement in the German Electricity Market, Energy Economics, Elsevier, Vol. 92(C), 2020, 5

⁵⁶⁶ Centro Servizi Spediporto Srl v Spedizioni Marittima del Golfo Srl. [CJEU], C-96/94, 5 October 1995, par. 33.

⁵⁶⁷ Ohlhausen M. K., Okuliar A., Competition, Consumer Protection, and the Right (Approach) to Privacy, Antitrust Law Journal, Vol. 80, No. 1, 2015, 4.

ების ეფექტიანობას,⁵⁶⁸ ასევე, ენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირებისა და მომხმარებელთა ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, ხელს უწყობს ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობის და რეგიონული ბაზრის განვითარებას, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის პოტენციალის ათვისების ხელშეწყობას, ეკონომიკის სხვა დარგების კონკურენტუნარიანობის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, წაახალისებს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.⁵⁶⁹ ენერგეტიკულ ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის არსებობისა და განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით კომისია უფლებამოსილია, დაიწყოს ბაზრის კვლევა ენერგეტიკული ბაზარზე შემზღუდველი ქმედებების დროულად გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად.⁵⁷⁰ კვლევის დაწყების საფუძველია საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, კონკურენციის სააგენტოსა და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის მოთხოვნით ან ენერგეტიკული ბაზრის მონაწილის მოთხოვნით, თუ მას ბაზრის შემზღუდველი ქმედების შედეგად ადგება უშუალო ქონებრივი ზიანი, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც აქვს, ასევე, საკუთარი ინიციატივით.⁵⁷¹

ბაზრის კვლევის დაწყების შესახებ მოთხოვნის პირველადი შესწავლა გულისხმობს კომისიის მიერ ფაქტების, გარემოებების და არგუმენტების წინასწარ შეფასებას დასაშვებობის დადგენის მიზნით, ასევე, სხვა ისეთი ინფორმაციის მოძიებას და პირველად დამუშავებას, რომელიც, შესაძლოა, საფუძველად დაედოს ბაზრის კვლევის დაწყების ან დაწყებაზე უარის თქმის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების მიღებას.⁵⁷² კომისია პირველად შესწავლას ახორციელებს მოთხოვნის მიღებიდან არაუმეტეს 5 თვის ვადაში, რომელიც, შესაძლოა საკითხის სირთულიდან გამომდინარე, გაგრძელდეს არაუმეტეს 1 თვით.⁵⁷³ ბაზრის კვლევის შედეგების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ბაზრის კვლევის და-

⁵⁶⁸ Twomey P., Green R., Neuhoff K., Newbery D., A Review of the Monitoring of Market Power, The Possible Roles of TSOs in Monitoring for Market Power Issues in Congested Transmission Systems, Cambridge Working Papers in Economics CWPE 0504, 2005, 79-80.

⁵⁶⁹ Market Monitoring Capacities and Procedures of Energy Community Regulatory Authorities, Findings and Recommendations, The Energy Community Regulatory Board (ECRB), 2018, 9.

⁵⁷⁰ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 117-ე მუხლი.

⁵⁷¹ „ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილებით დამტკიცებული ენერგეტიკული ბაზრის წესების მე-20 მუხლი.

⁵⁷² იქვე, 21-ე მუხლი.

⁵⁷³ იქვე.

წყების შესახებ კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 7 თვის ვადაში, რომელიც, კომისიის მიერ სათანადოდ დასაბუთებული, გონივრული აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, გაგრძელდეს არაუმეტეს 4 თვით.⁵⁷⁴

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ბაზარზე კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების⁵⁷⁵ გამოვლენის მიზნით მოქმედებს თანამშრომლობის პროგრამა, რაც გულისხმობს ჯარიმისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას, თუ საწარმოს მხრიდან დაკმაყოფილება წესებით გათვალისწინებული ყველა პირობა.⁵⁷⁶ თანამშრომლობის პროგრამა ასევე ვრცელდება ბაზარზე მანიპულაციისას განსაზღვრული პირობის კოორდინირებულ ქმედებებზე.⁵⁷⁷ ელექტროენერჯის ბაზარზე ვაჭრობისას ხდება ქსელში ელექტროენერჯის მიღების ან/და გაცემის ნებართვის მოპოვება და ელექტროენერჯის მისაღებად/მისაწოდებლად გამოიყენება ერთი გადაძვინი და გამანაწილებელი ქსელი, რაც განასხვავებს მას სხვა ეკონომიკური პროდუქტებისგან. ბაზრის მონაწილის ქმედება პირდაპირ კავშირშია და ზეგავლენას ახდენს სხვა ბაზრის მონაწილის ქმედებაზე იყიდოს ან/და გაყიდოს ელექტროენერჯია. დღით ადრე ბაზრიდან ფასის გაზრდის მიზნით მწარმოებლის მიერ მოხსნილ სიმძლავრეს შეუძლია დააზარალოს სხვა ბაზრის მონაწილეები, ვინაიდან ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასი იქნება უფრო მაღალი ვიდრე რეალური მოთხოვნა-მიწოდების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ორგანიზებული ბაზრების ლიკვიდურობის რისკი ასევე, საფრთხეს უქმნის სხვა ბაზრების ლიკვიდურობასაც. კონკურენციის კანონმდებლობის მიხედვით, ისეთი ქმედებები, როგორცაა, ბაზრიდან სიმძლავრის მოხსნა ფასებით მანიპულირებისთვის, შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონკურენციის საწინააღმდეგო ქცევად.

⁵⁷⁴ იქვე, 32-ე მუხლი.

⁵⁷⁵ დაწვრილებით იხ., Treaty on the Functioning of the European Union, Art. 101; Directive 2014/104/EU of the European Parliament and of the Council of 26 November 2014 on Certain Rules Governing Actions for Damages under National Law for Infringements of the Competition Law Provisions of the Member States and of the European Union Text with EEA relevance, Art. 1 (14) ; Homewood M., Smith, C., EU Competition Law: Articles 101 and 102 TFEU, in: EU Law Concentrate: Law Revision and Study Guide, 8th edition, Oxford University Press, 2022, 171; Partsch P. E., Evans T. Ll., Latest Decisions of the Luxembourg Competition Authority, European Competition and Regulatory Law Review, Vol. 3, No. 4, 2019, 402-406.

⁵⁷⁶ „ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილებით დამტკიცებული „ენერგეტიკული ბაზრის წესების“ 34-ე მუხლი.

⁵⁷⁷ იქვე, 55-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი და 56-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტები.

ასეთი პრაქტიკა ამახინჯებს ბაზარზე არსებულ თანაბარ პირობებს და ზიანს აყენებს მომხმარებლებს, რამდენადაც ხელოვნურად იზრდება ფასი. როგორც ევროკავშირში, ასევე საქართველოში მარეგულირებლებს აქვთ კონკურენციის მკაცრი კანონები, რათა თავიდან აიცილონ მსგავსი პრაქტიკა და უზრუნველყონ სამართლიანი კონკურენცია. ამასთან, მომხმარებელთა უფლებების დაცვა კონკურენციის სამართლის ფუნდამენტური მიზანია, როდესაც მწარმოებლები ეწევიან მანიპულაციურ პრაქტიკას, რაც იწვევს ფასების ზრდას მომხმარებლებისთვის და ეს არღვევს მათ უფლებებს სამართლიანი ფასებისა და არჩევანის შესახებ, რაც ეწინააღმდეგება მომხმარებელთა დაცვის კანონების პრინციპებს. ევროკავშირსაც და საქართველოსაც აქვთ ძლიერი სამართლებრივი ჩარჩო ბაზრების რეგულირებისა და ანტიკონკურენტული ქცევების თავიდან ასაცილებლად.⁵⁷⁸ ანტიკონკურენტული პრაქტიკა, ფასების მანიპულირების სიმძლავრის მოხსნით, საფრთხეს უქმნის სამართლიან კონკურენციას და მომხმარებელთა კეთილდღეობას. კონკურენციის მკაცრი კანონები აუცილებელია ბაზრის დამახინჯების თავიდან ასაცილებლად და მომხმარებელთა უფლებების დასაცავად, შესაბამისად, საქართველომ ჩამოაყალიბა საკანონმდებლო ბაზა კონკურენტული ბაზრების უზრუნველსაყოფად. მარეგულირებელი ორგანოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კანონების ეფექტიანად აღსრულებას და მკაცრი ზომების მიღებას ნებისმიერი სუბიექტის წინააღმდეგ, რომელიც აღმოჩნდება ანტიკონკურენტულ პრაქტიკაში. სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი კონტროლის ფარგლები უნდა გავრცელდეს პროაქტიულ მონიტორინგზე, გამოძიებასა და აღსრულებაზე ბაზრის მთლიანობის შესანარჩუნებლად და მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად. კონკურენციის კანონისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვით, მარეგულირებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ ბაზრის სამართლიანობა და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ეფექტურობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია ეკონომიკური აგენტის მიერ ბაზარზე საქონლის შეთავაზება მისი შექმნისათვის განუვალ ხარჯებზე დაბალ ფასად, რომელიც მიმართულია ბაზრის სხვა სუბიექტისათვის არახელსაყრელი პირობების შექმნისაკენ და მიზნად ისახავს ან/და იწვევდეს კონკურენტი ეკონომიკური აგენტის განდევნას აღნიშნული ბაზრიდან; აღნიშნული განაპირობებს შემოსავლების დაკარგვასა და მოგების შემცირებას იმ ეკონომიკური აგენტისთვის, რომელიც საქონელს თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად სთავაზობს, ამასთან, ფასების

⁵⁷⁸ Treaty on the Functioning of the European Union, Arts. 101-102; „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი.

მკვეთრი დისპროპორცია მძიმე ტვირთად აწვება ბაზარზე არსებულ ეკონომიკურ აგენტებს და ისინი იძულებულნი ხდებიან დატოვონ ბაზარი.⁵⁷⁹ კონკურენციის საწინააღმდეგო ფასები წარმოშობს ბარიერებს იმ პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისათვის, რომელთაც სურთ ბაზარზე თავისუფლად შესვლა და ბაზარზე წარმოქმნის არაკონკურენტულ გარემოს და საფრთხეს უქმნის ბაზრის სტაბილურობას, შესაბამისად, თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციის შეზღუდვა ემსახურება არაჯანსაღი საბაზრო გარემოსაგან ეკონომიკური აგენტების დაცვისა და ბაზრის სტაბილურობის უზრუნველყოფის ლეგიტიმურ მიზნებს, რომლებიც სახელმწიფოსათვის რიგი პოზიტიური ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას წარმოშობს და მათ მისაღწევად სახელმწიფოს აქვს ლეგიტიმური ინტერესი და უფლებამოსილება, შეზღუდოს პირის თავისუფალი მენარმეობის კონსტიტუციური უფლება.⁵⁸⁰

კონცენტრაციის კონტროლი არის სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა წინასწარ იყოს გაანალიზებული და შეფასებული მოსალოდნელი კონცენტრაციის ზეგავლენა შესაბამისი ბაზრის კონკურენტულ გარემოზე.⁵⁸¹ კომისიის მიერ კონცენტრაციის კონტროლის მიზანია კონცენტრაციის განხორციელების პრევენცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას და დომინანტური მდგომარეობის წარმოქმნით ან გაძლიერებით ეფექტიანი კონკურენციის შეზღუდვას იწვევს.⁵⁸² შეტყობინების ვალდებულებას დაქვემდებარებული კონცენტრაციებია, თუ მისი მონაწილე საწარმოების ერთობლივი წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე ან/და ენერგეტიკული გაერთიანების რომელიმე მხარის ტერიტორიაზე აღემატება 20 მილიონ ლარს და კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი საწარმოდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს.⁵⁸³ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადები პირველ ეტაპზე არ აღემატება 25 სამუშაო დღეს,

⁵⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 20 მაისის №1/2/876 გადაწყვეტილება საქმეზე, „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედ“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30.

⁵⁸⁰ იქვე.

⁵⁸¹ Koltay G., Lorincz S., Valletti T., Concentration and Competition: Evidence from Europe and Implications For Policy, *Journal of Competition Law & Economics*, Vol.19, No. 3, 2023, 476.

⁵⁸² „ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილებით დამტკიცებული „ენერგეტიკული ბაზრის წესების“ 39-ე მუხლი.

⁵⁸³ იქვე, 39-ე მუხლის პირველი პუნქტი.

როდესაც კომისია განიხილავს კონცენტრაციის შესახებ შეტყობინებას და მის მიერ აღნიშნულ ვადაში გადანყვეტილების მიუღებლობა მიიჩნევა დადებით პასუხად. კომისია იღებს ერთ-ერთ გადანყვეტილებას, კერძოდ, დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ ან კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს, ან, თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა.⁵⁸⁴ ამ უკანასკნელი გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში კომისია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინებას განიხილავს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადანყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა და ამ ვადაში პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად ჩაითვლება.⁵⁸⁵ თუ კომისია მიიჩნევს, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, მიიღებს გადანყვეტილებას დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, ხოლო შეზღუდვის შემთხვევაში მიიღებს გადანყვეტილებას კონცენტრაციის დაუშვებლობის შესახებ. თუ კონცენტრაცია იწვევს დომინანტური მდგომარეობის წარმოქმნას ან გაძლიერებას, ივარაუდება, რომ ასეთი კონცენტრაცია ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას შესაბამის ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კონცენტრაციაში მონაწილე სანარმო დაასაბუთებს სანაწარმდევოს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაციაში მონაწილე სანარმო დაუსაბუთებს, რომ დომინანტური მდგომარეობის წარმოქმნის ან გაძლიერების მიუხედავად, დაგეგმილი კონცენტრაცია არ შეზღუდავს ეფექტიან კონკურენციას და მოჰყვება მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტები, კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადანყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.⁵⁸⁶ კომისიის მიერ უარყოფითი გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია.

ბაზრის მონიტორინგის წესები განსაზღვრავს კონცენტრაციის შეფასების კრიტერიუმსაც⁵⁸⁷, რის მიხედვითაც, საქართველოს შემთხვევაში ელექტროენერჯის საცალო მიწოდების ბაზარი მაღალკონცენტრირებულია (HHI2022=5,112,5), სადაც სს „ეპ ჯორჯია მიწოდების“ საბაზრო წილი არის

⁵⁸⁴ იქვე.

⁵⁸⁵ იქვე, 46-ე მუხლი.

⁵⁸⁶ იქვე.

⁵⁸⁷ იქვე, 47-ე მუხლი.

57.5%, ხოლო შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის“ წილი – 42.5%; ამასთან, ელექტროენერჯის წარმოების სეგმენტის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა⁵⁸⁸ შეადგინა $HHI_{2021} = 1,192.3$; საბაზრო წილები ელექტროენერჯის სამი უმსხვილესი მწარმოებლისთვის ასე გადანაწილდა: შპს „ენერჯის“ – 26.6%, შპს „ენერჯო-პრო ჯორჯია გენერაცია“ – 12.2% და შპს „გარდაბნის თბო-ელექტროსადგური 2“ – 8%.⁵⁸⁹ საქართველოს რეალობაში, ელექტროენერჯის მწარმოებისგან განსხვავებით, საცალო ბაზარზე მხოლოდ ორი მიმწოდებელია, რაც, ბუნებრივია, მაღალკონცენტრირებულ ბაზარს ქმნის და კონკურენცია ძალიან დაბალია, ხოლო ელექტროენერჯის წარმოება შედარებით კონკურენტულია და მეტი მსხვილი მწარმოებლის გაჩენა, რაც ძალიან რეალური და შესაძლებელია საქართველოს პოტენციალის გათვალისწინებით, ბაზარს უფრო კონკურენტულს გახდის.

საბითუმო ენერჯეტიკული ბაზრის მთლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით დაუშვებელია შიდა ინფორმაციის გასაჯაროება.⁵⁹⁰ შიდა ინფორმაცია არის ზუსტი ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული ერთ ან მეტ საბითუმო ენერჯოპროდუქტთან და მისმა გასაჯაროებამ, შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ამ ენერჯოპროდუქტების საბითუმო ფასებზე, შესაბამისად, შიდა ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობა აკრძალულია; კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამის აკრძალვებს იმ პირებისთვის, რომლებიც ფლობენ საბითუმო ენერჯოპროდუქტებზე შიდა ინფორმაციას.⁵⁹¹ ამასთან, შიდა ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებუ-

⁵⁸⁸ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) ფართოდ გამოიყენება კონკურენციის ანალიზისთვის და გვიჩვენებს კონკრეტულ ეკონომიკაში რამდენიმე სექტორის დომინირების ხარისხს, ბაზრის კონკურენციის დონეს. (მაგ., არსებობს თუ არა მონოპოლიები). ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) გაიანგარიშება ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ყველა მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ დაკავებული ფარდობითი წილების (პროცენტულ ერთეულებში) კვადრატების ჯამის სახით. იხ., Kvalseth T. O., *Cautionary Note About the Herfindahl-Hirschman Index of Market (Industry) Concentration*, *Contemporary Economics*, Vol. 16, No. 1, 2022, 51-60; Ukav I., *Market Structures and Concentration Measuring Techniques*, *Asian Journal of Agricultural Extension, Economics & Sociology*, Vol. 19, No. 4, 2017, 7-8.

⁵⁸⁹ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2023.

⁵⁹⁰ Avgouleas E., *The Regulation of Market Abuse, The Mechanics and Regulation of Market Abuse: A Legal and Economic Analysis*, Oxford University Press, 2005, 156-236.

⁵⁹¹ „ენერჯეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილებით დამტკიცებული „ენერჯეტიკული ბაზრის წესების“ 51-ე და 52-ე მუხლები.

ლება აქვს საბითუმო ენერგეტიკული ბაზრის მონაწილეს; მას ვალდებულება აქვს გაასაჯაროსოს მის ხელთ არსებული შიდა ინფორმაცია იმ სამენარმეო საქმიანობებთან ან სანარმოო საშუალებებთან დაკავშირებით, რომელთაც ფლობს, აკონტროლებს ან/და რომლის საოპერაციო საკითხებზეც მთლიანად ან ნაწილობრივ ეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნულ საბითუმო ენერგეტიკული ბაზრის მონაწილეს, მის მშობელ სანარმოს ან მასთან დაკავშირებულ სანარმოს. ასეთი გასაჯაროება ეხება ინფორმაციას ელექტროენერჯის წარმოების, შენახვის, მოხმარებისა და გადაცემის ტექნიკური შესაძლებლობებისა და მათი გამოყენების, მათ შორის, გეგმური და არაგეგმური ხელმიწვდომლობის შესახებ.⁵⁹² ინფორმაციის საჯაროება აუცილებელია გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და ენერგეტიკული ბაზრის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რამდენადაც ინფორმაციის მიწოდებით, ბაზრის მონაწილეები ხელს უწყობენ ენერგეტიკული სისტემის მთლიან საიმედოობას, ხელს უწყობენ ბაზრის დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტურ კოორდინაციასა და დაგეგმვას, ენერჯის მიწოდების შეფერხებების თავიდან აცილებას. კანონმდებლობით მოთხოვნილი გამჟღავნების ეს მოთხოვნა, ასევე, აძლიერებს ბაზრის გამჭვირვალობას და იძლევა ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას.

ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის დეპარტამენტი უწყვეტად აანალიზებს ბაზარს საკითხების და სფეროების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც შემდგომ შესწავლას საჭიროებენ.⁵⁹³ ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის დეპარტამენტმა შესაძლოა იდენტიფიცირებული საკითხებისა და სფეროების დეტალური ანალიზი და კვლევა განახორციელოს კონკრეტული სიგნალების, მათ შორის საჩივრების საფუძველზე.⁵⁹⁴ მისი ვალდებულებაა, შეაფასოს ენერგეტიკული ბაზრების არსებული და სამომავლო სტრუქტურის ფუნქციონირების ეფექტიანობა და არსებობის შემთხვევაში გამოავლინოს ხარვეზი. თავისი არსით ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგი იცავს მომხმარებლისა და სანარმოების უფლებებს და უზრუნველყოფს ენერგეტიკულ ბაზრებზე კონკურენტულ, თავისუფალ, გამჭვირვალე და სამართლიან ვაჭრობას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის შეფასებას, თუ რამდენად უზრუნველყოფს კანონმდებლობა

⁵⁹² იქვე, 53-ე მუხლი.

⁵⁹³ Kasperowicz R., Marcin P., Overview of Electricity Market Monitoring, Economics and Sociology, Vol. 9, No. 4, 2017, 153, 163.

⁵⁹⁴ „ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილებით დამტკიცებული „ენერგეტიკული ბაზრის წესების“ 53 მუხლი.

შიდა ინფორმაციის დაცვას, რამდენადაც შიდა ინფორმაციის ეფექტიანი დაცვა აუცილებელია ბაზრის მთლიანობის შესანარჩუნებლად, სამართლიანი კონკურენციის გასაძლიერებლად და მომხმარებელთა უფლებების დასაცავად. არსებული კანონმდებლობა, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, ენერგეტიკული ბაზრის წესები და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს შიდა ინფორმაციის დაცვაში. მაგალითად, ევროკავშირში მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია ადგენს მკაცრ წესებს პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ, მათ შორის, ენერგეტიკის სექტორში მოქმედი კომპანიების შიდა ინფორმაციის შესახებ.⁵⁹⁵ გარდა ამისა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ჩარჩოებმა შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს შიდა ინფორმაციის სამართლებრივი დაცვა, თუმცა, აუცილებელია, შიდა ინფორმაციის დაცვის კუთხით არსებული კანონმდებლობის ეფექტურობის მუდმივი შეფასება ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის კონტექსტში. შედარებითსამართლებრივი კვლევა, როგორცაა, საქმის შესწავლა ან სხვა იურისდიქციების ანალიზი, მნიშვნელოვანია არსებული სამართლებრივი ჩარჩოების ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოსაჩენად. მაგალითად, იმის შესწავლა, თუ როგორ მიმართავენ სხვა ქვეყნები მონაცემთა კონფიდენციალურობას და სავაჭრო საიდუმლოების დაცვას ენერგეტიკულ ბაზრებზე. გარდა სამართლებრივი მექანიზმებისა, შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი მექანიზმების განხილვა შიდა ინფორმაციის დაცვის გასაძლიერებლად. ეს შეიძლება მოიცავდეს სპეციფიკური სახელმძღვანელო პრინციპების ან ქცევის კოდექსების შემუშავებას, ინფორმაციის უსაფრთხოების საუკეთესო პრაქტიკის პოპულარიზაციას ან დამოუკიდებელი ზედამხედველობის მექანიზმების შექმნას მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა აყალიბებს შიდა ინფორმაციის დაცვის საფუძველს ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის აქტივობებში, დამატებითი სამართლებრივი მექანიზმები შეიძლება იყოს არსებითი პოტენციური ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ინფორმაციის დაცვის საერთო ეფექტურობის გასაძლიერებლად.

⁵⁹⁵ Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) (Text with EEA relevance).

IV

ადამიანის უფლებების დაცვა და სახელმწიფოს როლი. განახლებადი ენერჯის ბაზრის სამართლებრივი ზედამხედველობა

1. სარგებლის განაწილება

1.1. სარგებლის განაწილების დანიშნულება და სახეები

როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნები მიისწრაფვიან, გააძლიერონ განახლებადი ენერჯის წყაროების მდგრადი განვითარება სარგებლის გაზიარების მექანიზმებით.⁵⁹⁶ პოლიტიკის მიმართულებები მნიშვნელოვან და ცენტრალურ როლს თამაშობს განახლებადი ენერჯის განვითარების ხელშეწყობისთვის და თვითკმარი ენერჯის უზრუნველყოფისთვის.⁵⁹⁷ ეკონომიკური ზრდა და მდგრადი განვითარება მონოდებულია, დანერგოს მექანიზმი, რომელიც მიმართული იქნება ენერჯით საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სოციალურ წინსვლას და გარემოს დაცვას.⁵⁹⁸ სარგებლის გაზიარება აღიარებულია სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით განახლებადი ენერჯის წყაროების ხელშეწყობ მექანიზმად და ასევე გამოიყენება რესურსების მართვის სხვა სფეროებშიც, მაგალითად, სატყეო სექტორში ის გულისხმობს პირდაპირი შემოსავლის გაზიარებას და მიმართულია წაახალისოს ტყის პროდუქტების მდგრადი მოპოვება და გაყიდვა.⁵⁹⁹

⁵⁹⁶ Nkhata B.A., Breen Ch., Mosimane A., Engaging Common Property Theory: Implications for Benefit Sharing Research in Development Countries, *International Journal of the Commons*, Vol. 6, No. 1, 2012, 53-54.

⁵⁹⁷ Chen L., Hu Y., Wang R., Li X., Chen Z., Hua J., Osman A. I., Farghali M., Huang L., Li J., Dong L., Rooney D. W., Yap P. S., Green Building Practices to Integrate Renewable Energy in the Construction Sector: A Review, *Environmental Chemistry Letters*, Vol. 22, 2024, 752.

⁵⁹⁸ Guide to Benefit Sharing Options for Renewable Energy Projects, Clean Energy Council, 2019, 3.

⁵⁹⁹ Dermawan A., Petkova E., Sinaga A., Muhajir M., Indriatmoko Y., Preventing the Risk of Corruption in REDD+ in Indonesia, Center for International Forestry Research, 2011, 32.

სარგებლის გაზიარება უნდა გაიმიჯნოს კომპენსაციის, შემარბილებელი ღონისძიებებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა სავალდებულო მექანიზმებისგან.⁶⁰⁰ იგი არ მოიცავს სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებულ ნებაყოფლობით ღონისძიებებს, რაც ხორციელდება დეველოპერის მიერ პროექტის პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედებისას, როგორცაა, გზების გაუმჯობესება, სპორტული მოედნების მოწყობა, საბავშვო ბაღების სარემონტო სამუშაოები და სხვ.

საქართველოში არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა ან სახელმძღვანელო დოკუმენტები მიწის გამოსყიდვის, საარსებო საშუალებების შეძენის კომპენსირების შესახებ, რაც უარყოფითად აისახება განახლებადი და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას. ასევე, არ არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა.⁶⁰¹ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი განსაზღვრავს მოთხოვნებს საჯარო განხილვებისა და მასში საზოგადოების მონაწილეების შესახებ⁶⁰², თუმცა არ არსებობს მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეუწყოს ხელი დაინტერესებული მხარეების ჩართულობას მათი ეფექტიანი მონაწილეობისთვის. ამასთან, კოდექსი საშუალებას აძლევს დეველოპერს, დაიწყოს მოლაპარაკება მიწის შესყიდვისა და მასთან დაკავშირებული კომპენსაციის შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხილვის პროცესში.⁶⁰³

სარგებლის გაზიარება, როგორც წესი, იყოფა ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად, იმისდა მიხედვით, საგებელი (მაგ., სახსრები) გამომდინარეობს ხელისუფლების უმაღლესიდან ქვედა დონეზე, თუ უშუალოდ დეველოპერიდან პროექტის ზემოქმედების ქვეშ არსებული ადამიანებისთვის.⁶⁰⁴ სარგებლის გაზიარება დაკავშირებულია პროექტის დიზაინთან, ინვესტიციების მოზიდვასთან, ის კი, თავის მხრივ, – ინფრასტრუქტურულ პროექტებთან და სოციალურ აქტივობებთან (გზები, სკოლები, კლინიკები და ა.შ.), ფინანსურ ასიგნებებთან, რაც შეიძლება იყოს გადასახადები, სარგებლობის მოსაკრებლები, ასევე, ინ-

⁶⁰⁰ Community Engagement and Benefit Sharing in Renewable Energy Development, A Guide for Renewable Energy Developers, Melbourne, 2017, 21-22.

⁶⁰¹ Agriculture and Rural Development Strategy of Georgia 2021-2027, Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2019, 16-17.

⁶⁰² გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილი, 35-ე მუხლი; „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვალის №2-94 ბრძანება.

⁶⁰³ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლი.

⁶⁰⁴ Thuy P.T., Brockhaus M., Wong G., Dung L.N., Tjajadi J.S., Loft L., Luttrell C., Assembe S., Approaches to Benefit Sharing, Center for International Forestry Research, 2013, 13-15.

სტიტუციურ განვითარებასთან და პოლიტიკისა და შესაბამისი მარეგულირებები ჩარჩოს არსებობასთან.⁶⁰⁵ სარგებლის განაწილების წარმატება ახალი ინსტიტუტის განვითარების, სწორი პოლიტიკისა და მარეგულირებელი კანონმდებლობით არის შესაძლებელი.

სარგებლის გაზიარების მექანიზმის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია როგორც მთავრობის, ასევე თავად დეველოპერის პასუხისმგებლობაც, რომელიც გამოიხატება ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებისა და ადგილობრივ პირობებთან მისადაგებაში, რაც გაზრდის ნდობას და დაეხმარება დაინტერესებულ პირებს ჩაერთონ პროექტის განხორციელებაში.⁶⁰⁶ საჯარო მმართველობა საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების ეფექტიანი საშუალებაა და მოიცავს უფლებას ღია, „კარგ მმართველობაზე“, რაც გულისხმობს პირის შესაძლებლობას, მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, გაეცნოს საქმის მასალებს და ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას; სწორედ ადმინისტრაციული ორგანოა ვალდებული, უზრუნველყოს ადმინისტრაციული წარმოების გამჭვირვალობა და დაინტერესებული მხარეების ინტერესების დაბალანსება, რაც უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის ეფექტიანობას და სამართლიან ადმინისტრაციულ წარმოებას.⁶⁰⁷ ღია საჯარო მმართველობა განაპირობებს ადმინისტრაციული პროცესებისა და შედეგის შემოწმებასა და შესაბამისობას საპროცესო ნორმებსა და დებულებებთან.⁶⁰⁸ შესაბამისად, სარგებლის განაწილების მექანიზმის შემუშავებისას მნიშვნელოვანია ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელება სამართლებრივი მოთხოვნების მარეგულირებელი ჩარჩოს მეშვეობით. ასევე, აუცილებელია, დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, მთავრობა, ჩაერთონ პროექტის განხორციელების ადრეულ ეტაპზე. რაც შეეხება სარგებლის გაზიარების ინსტიტუციონალიზაციას, ის შესაძლოა პირდაპირ კავშირში იყოს ენერგეტიკული პოლიტიკის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის კუთხით საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებთან. სარგებლის გა-

⁶⁰⁵ Petrov A., Tysiachniouk M.S., Benefit Sharing in the Arctic: A Systematic View, Resources, Vol. 8, No. 3, 2019, 6.

⁶⁰⁶ იქვე, 3.

⁶⁰⁷ ტურავა პ., ფირცხალაშვილი ა., ქარდავა ე., ადმინისტრაციული წარმოება საჯარო მსახურში, თბილისი, 2020, 73.

⁶⁰⁸ ყიფშიძე შ., საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის პრინციპი, როგორც კარგი მმართველობის უფლების შემადგენელი ელემენტი, ჟურნ. „ორბელისანი“, N.5, 2022, 29.

ნაწილების მექანიზმის შემუშავება ადმინისტრაციული ორგანოების პირდაპირი ვალდებულებაა, რამდენადაც დეველოპერებთან დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის მხარეს სწორედ მთავრობა წარმოადგენს⁶⁰⁹.

სარგებლის გაზიარების მექანიზმის დანერგვისას, ვერტიკალური გაზიარების გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია დეველოპერის მიერ გადახდილი გადასახადები⁶¹⁰ ადმინისტრაციული ორგანოს მეშვეობით მოხმარდეს რეგიონის განვითარებას, ხოლო ჰორიზონტალური გაზიარებისას – ადგილობრივ თემში გადახდილი გადასახადებით ადმინისტრაციული ორგანოს მეშვეობით, რომელიც სპეციალურად არის დავალებული და აღჭურვილი შესაბამისი უფლებამოსილებით, რათა უზრუნველყოს შეთანხმებული პროგრამების შესრულება, მონიტორინგი და შეფასება.⁶¹¹ სარგებლის გაზიარების მექანიზმის დანერვა მოითხოვს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც შემუშავებული და ჰარმონიზებული უნდა იყოს როგორც ევროკავშირის დირექტივებთან⁶¹², ასევე, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონთან და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსთან.

მიუხედავად იმისა, რომ ცალსახად არ არის განმარტებული, სარგებლის გაზიარება, როგორც უფლება, მოცემულია ევროკავშირის რამდენიმე დირექტივასა და მასთან დაკავშირებულ კონვენციაში⁶¹³. ეს ნიშნავს, რომ სარგებლის გაზიარება ირიბად უნდა განვითარდეს ქვეყნების მიერ რატიფიცირებულ კონვენციების/დირექტივების კონტექსტში, რომლებიც შექმნილია მათ საჭიროე-

⁶⁰⁹ „საქართველოს მთავრობასა და შპს „მზის სახლს“ შორის „გარეჯის მზის ელექტროსადგურის“ თაობაზე დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 ნოემბრის N1172 განკარგულება; „საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის „ტორზილა ჰესის“ შესახებ დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ნოემბრის N2486 განკარგულება; „საქართველოს მთავრობასა და შპს „პატარა ზეკარს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 დეკემბრის N2525 განკარგულება;

⁶¹⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლი.

⁶¹¹ Foli E.G., Dumenu W.K., Proposal for Vertical and Horizontal Benefit Sharing Options for REDD+ Implementation in Ghana, Synthesis Report, 2011, 3.

⁶¹² Directive 2011/92/EU Of the European Parliament and of the Council of 13 December 2011 on the Assessment of the Effects of Certain Public and Private Projects on the Environment; Directive 2001/42/EC of the European Parliament and of the Council of 27 June 2001 on the Assessment of the Effects of Certain Plans and Programmes on the Environment.

⁶¹³ Directive 2000/60/EC of the European Parliament and of the Council of 23 October 2000 Establishing a Framework for Community Action in the Field of Water Policy; The Convention on Biological Diversity (CBD); Convention on Access to Information, Public Participation in Decision-Making and Access to Justice in Environmental Matters, 25 June 1998.

ბებზე დაფუძნებით და მისაღებია დაინტერესებული მხარეებისთვის. რეგულაციები შეიძლება შეიქმნას დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესის ჩარჩოზე დაყრდნობით, რომელიც შემუშავებული უნდა იყოს საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, მოიცავდეს საჩივრების განხილვის ძლიერ მექანიზმს და როგორც დეველოპერის, ისე ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მკაფიოდ განსაზღვრულ როლებსა და პასუხისმგებლობას.

1.2. სარგებლის გაზიარების სამართლებრივი საფუძველი

განახლებადი ენერჯის პროექტებს აქვთ როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარეები (გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება და დაზარალებული ადგილობრივი, ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობა). საქართველოში ხშირ შემთხვევაში საკმაოდ რთულია (დიდი წინააღმდეგობით) ან სრულადაც შეუძლებელია განახლებადი ენერჯის პროექტების განხორციელება (ნამახვანი, ხუდონი, ნენსკრა, ასევე, ხადორი 3 ჰესი პანკისში).⁶¹⁴ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება ვერ არწმუნებს ადგილობრივ მოსახლეობას, თუ რა სარგებელი შეუძლია მოუტანოს მათ განახლებადი ენერჯის პროექტმა და როგორ გააუმჯობესებს იგი მათ ყოველდღიურ ცხოვრებას. სარგებლის განაწილების მექანიზმი არის შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებები და მოიპოვოს მხარდაჭერა, რომელიც წარმატებული მშენებლობისა და ექსპლუატაციის წინაპირობაა,⁶¹⁵ რამდენადაც ის ხელს უწყობს ადგილობრივების საჭიროებების დაკმაყოფილებას და დაინტერესებულ მხარეებთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას; სამუშაო ადგილების შექმნით, ინფრასტრუქტურის განვითარებით გაიზრდება მხარდაჭერა და

⁶¹⁴ The Namakhvani HPP Dispute in Georgia – An Update by the Mediator, <<https://www.energy-community.org/news/Energy-Community-News/2021/07/22.html>> [26.04.2024]; Major Hydropower Project Caught up in Georgia’s „Foreign Agent“ Turmoil <<https://eurasianet.org/major-hydropower-project-caught-up-in-georgias-foreign-agent-turmoil>> [26.04.2024]; მურმან მარგველაშვილი: „აუცილებელია ჰუდონ ჰესის დადებითი მხარეები ინვესტორმა აუხსნას ადგილობრივ მოსახლეობას“, <<https://www.ttimes.ge/archives/9654>> [26.04.2024]; სამი წელი პანკისის მოვლენებიდან – „ხადორი-3 ჰესის“ მშენებლობა არ განახლებულა, <<https://bm.ge/news/sami-weli-pankisis-movlenebidan---xadori-3-hesis-mshenebloba-ar-ganaxlebula-/127268>> [26.04.2024]. Matos J. P., Ribeiro M. L., Matcharadze G., Mirtskhulava D., Effects of Climate Change on Future Energy Production of Namakhvani HPP, Sharing Water: Multi-Purpose of Reservoirs and Innovations, E3S Web of Conferences 346, 03003, Marseille, 2022, 2.

⁶¹⁵ Community Engagement and Benefit Sharing in Renewable Energy Development, A Guide for Renewable Energy Developers, Melbourne, 2017, 6.

თანამშრომლობა მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებზე, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს პროექტის გრძელვადიან წარმატებას და მდგრადობას.

სუფთა, საიმედო და ხელმისაწვდომ ელექტროენერგიაზე გლობალური მოთხოვნა განსაკუთრებით სწრაფად განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისთვისაა დამახასიათებელი და პრიორიტეტული.⁶¹⁶ საქართველოს პირობებში განახლებადი ენერჯის განვითარება თამაშობს მთავარ როლს ელექტროენერჯის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიმართულებით.⁶¹⁷ განახლებადი ენერჯის განვითარება უამრავ სარგებელს იძლევა საზოგადოებისთვის, თუმცა მისი მდგრადი განვითარება სავსეა პრობლემებით, რომლებიც ხშირად გამონვეულია სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედებით, რაც შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც პოზიტიური ასევე, ნეგატიური კონტექსტი.⁶¹⁸ ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი, რაც ხშირ შემთხვევაში გამონვეულია სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედებებით, ასევე კომპენსაციის გადახდის განსხვავებული პირობებით, პროექტის ზემოქმედების არეალში მცხოვრებ მოსახლეობასთან კონსულტაციის არარსებობითა და დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის გაზიარების ნაკლებობით.⁶¹⁹

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება მნიშვნელოვანია განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებისათვის, თუმცა აუცილებელია ასევე, ამ განვითარების ნახალისება, შესაბამისად, გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასებისა და მართვის გაუმჯობესების გარდა, აუცილებელია დამატებითი მექანიზმის არსებობა ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.⁶²⁰ სარგებლის გაზიარების კონცეფცია პირველად დაინერგა მსოფლიო ბანკის მიერ.⁶²¹ სოციალური გაუმჯობესების მექანიზმი, სარგებლის გაზიარება არის პროექტიდან მიღებული თანხა, რომელიც გამოიყენება როგორც ვერტიკალურად,

⁶¹⁶ Palmer C., Sustainable Hydropower Creates Opportunities in Nepal, IFC Communications, 2019.

⁶¹⁷ განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა საქართველო, 2019.

⁶¹⁸ Dams and Development: A New Framework for Decision-Making, Overview of the report by the World Commission on Dams, London, 2001, 3.

⁶¹⁹ Bos R., Brouwer R., Dhillion Sh. S., Rohde J., Slootweg R., Advisory Review of the Environmental and Social Impact Assessment of the Khudoni Hydropower Project, Georgia, Netherlands, 2013.

⁶²⁰ Chaogang W., A Guide for Local Benefit Sharing in Hydropower Projects, Washington D.C., 2012, 6-7.

⁶²¹ Enhancing Development Benefits to Local Communities from Hydropower Projects a Literature Review, Report No. 70281. Washington DC., 2009, 19.

რაც გულისხმობს დეველოპერებისგან მთავრობის მეშვეობით ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობისთვის, ისე ჰორიზონტალურად ადგილობრივ თემებში, რეგიონული განვითარებისთვის მთავრობის მიერ დაფუძნებული ფონდის მეშვეობით.⁶²²

სარგებლის გაზიარება განხილულ უნდა იქნეს, როგორც შესაძლებლობა გამოსატყუი შემოსავლების გაზიარებაში (ფინანსური ასიგნებების ნაწილი), ინფრასტრუქტურის განვითარებაში (დამხმარე ინვესტიციები), საარსებო წყაროების გაუმჯობესებაში (შესაძლებლობების განვითარება) და გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესებაში⁶²³, მიმართული ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისკენ, როგორცაა, მცენარეული საფარის დაცვა, მავნებლების მოცილება და ა.შ., ორიენტირებული ადგილობრივ თემებზე და რეგიონის განვითარებაზე.⁶²⁴ საერთაშორისო პრაქტიკის და გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოში სარგებლის გაზიარების მექანიზმის დანერგვა ხელს შეუწყობს განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას, რის შედეგადაც გაიზრდება დაინტერესებული მხარეების ინტერესი ეკოლოგიურად სუფთა გზით განახლებადი ენერჯის პოტენციალის მიმართ. ასევე, საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული წარმოება ქვეყანაში სამართლიანობის უზრუნველყოფისკენაა მიმართული და საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიიღოს საქართველოს კანონმდებლობის წესის შესაბამისი და ობიექტური გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლოა მისი პირადი ინტერესებისგან სრულად განსხვავებული იყოს. ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც ვინრო გაგებით ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებას გულისხმობს, ვერ იქნება კანონიერი, თუ გადაწყვეტილების ადრესატს არ ექნება იმის რწმენა, რომ ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება მიუკერძოებლად, რისი დაცვაც ნებისმიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის ვალდებულებაა. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ პირს ან პირს, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილების მიღებაზე რაიმე სახის გავლენის მოხდენა, არ ჰქონდეს პირადი ინტერესი და გადაწყვეტილება არ იყოს სარგებლის მომტანი მისთვის ან მისი ოჯახის წევრისა

⁶²² Koch A., Smith D., Wojczynski E., Better Hydro Better understanding, Better Examples, Better policies, World Bank, 2017, 73.

⁶²³ Neupane J.L., Dynamics of Hydro-power Development in Nepal: Water-Energy-Food Security Prospect, Uppsala, 2022, 9.

⁶²⁴ იხ., Performance Standards on Environmental and Social Sustainability, International Finance Corporation (IFC), 2012.

თუ ახლო ნათესავებისთვის.⁶²⁵ საჯარო მმართველობის განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანოები უნდა ხელმძღვანელობდნენ ისეთი ღირებულებებითა და პრინციპებით, როგორებიცაა, სამართლის, კერძოდ, კონსტიტუციის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება და ა.შ. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შესაბამისად⁶²⁶, სარგებლის გაზიარებისას მნიშვნელოვანია საჯარო მმართველობის განმახორციელებელმა პირებმა უზრუნველყონ სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება და დაიცვან კანონიერების პრინციპი და სამართლის წინაშე თანასწორობის პრინციპის ერთგულებით გამორიცხონ ადმინისტრაციულ ორგანოთა თვითნებობა, უზრუნველყონ სარგებლის განაწილების გადანყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა და მასში დაინტერესებული პირების ჩართულობა, კანონიერი ნდობის პრინციპის დაცვა და ზოგადად, ადამიანის უფლების დაცვა საჯარო მმართველობის წიაღში, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებებზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის იდეის უზრუნველყოფას, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დაცვას და სხვ.

1.3. სარგებლის გაზიარების წინაპირობა საქართველოში: სამართლებრივი მოწესრიგება და სოციალური ასპექტები

საქართველოს კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული სარგებლის განაწილების მექანიზმი, რაც უარყოფითად აისახება როგორც განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებაზე, ისე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე. დეველოპერების მხრიდან არაერთგვაროვანი მიდგომა და განსხვავებული მოპყრობა უკმაყოფილებას იწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში.⁶²⁷ შესაბამისი უფლებებისა და პასუხისმგებლობების არარსებობა დეველო-

⁶²⁵ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2018, 112.

⁶²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის №1/3/393, 397 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I.

⁶²⁷ „Forbes-ის კვირა“: ნამახვანი ჰესის მშენებლობა პრობლემის წინაშეა, <<https://bm.ge/news/forbes-is-kvira-namaxvani-hesis-mshenebloba-problemis-winashea/31243>> [02.05.2024]; სახალხო დამცველი ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებულ პროტესტს ეხმიანება <<https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-namakhvanis-hesebis-kaskadis-proektan->

პერს ურთულეს პროექტის განხორციელებას. სამართლებრივი მოწესრიგებისა და ზუსტი ლეგალური დეფინიციის არარსებობა, თუ ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს ზემოქმედების ზონაში მცხოვრებ მოსახლეობად, თავის მხრივ, არ გამორიცხავს შემთხვევითი პირების მიერ სარგებლის მიღების შესაძლებლობას. სარგებლის გაზიარების საკანონმდებლო მოწესრიგება აღმოფხვრის ამ პრობლემებს და ხელს შეუწყობს განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას.

სარგებლის გაზიარების მექანიზმის დანერგვისას მნიშვნელოვანია საქართველოში განახლებადი ენერჯის პროექტების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი კანონმდებლობის⁶²⁸ ერთობლიობაში განხილვა. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს საქმიანობებს, რომლებიც ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით⁶²⁹ და განსაზღვრავს ლიცენზიის გაცემის წესს, მათ შორის, წარმოების წესს⁶³⁰, თუმცა არ განსაზღვრავს ინსტიტუციურ პასუხისმგებლობას, რაც გათვალისწინებულია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონითა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით და ეფუძნება უკვე ჩამოყალიბებულ პრინციპებსა და სტრატეგიებს; „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი არ არის მიმართული განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების ხელშეწყობისკენ და არ არის

[dakavshirebit-sazogadoebashi-arsebul-protests-ekhmianeba](#) [02.05.2024]; პროტესტი ლოპოტა ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ, <<https://formulanews.ge/News/81756>> [02.05.2024]; ყაზბეგში „კამარა ჰესის“ წინააღმდეგ პროტესტი გრძელდება. დღეს სკოპინგის ანგარიშის განხილვა და აქცია დაგეგმილი, <<https://mtavari.tv/news/143505-qazbegshi-kamara-hesis-cinaaghmddeg-protesti>> [02.05.2024]; „ყვირილას ხეობაში პროტესტი არ შეჩერდება“ – აქცია ჰესის წინააღმდეგ <<https://www.youtube.com/watch?v=dz0dJTVk6Ck>> [02.05.2024]; პროტესტი საჩხერეში ჰესის მშენებლობის გამო <<https://formulanews.ge/News/108472>> [02.05.2024]; მწვანე ალტერნატივა, EMC და საია ნამახვანჰესის მშენებლობის შეჩერებას და საჯარო განხილვებს ითხოვენ, <<https://rb.gy/zmuswu>> [02.05.2024].

⁶²⁸ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი; გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი; „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი; „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბერის №515 დადგენილება; „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის (ჰიდროელექტროსადგურები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის №403 დადგენილება.

⁶²⁹ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის პირველი მუხლი.

⁶³⁰ იქვე, 25-ე მუხლი.

ასახული ასევე, ნებართვის გაცემის პროცესი. ამასთან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ ითვალისწინებს ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობისთვის საარსებო წყაროს აღდგენისა და განსახლებისთვის საჭირო ღონისძიებებს, ორიენტირებულია ეკოლოგიურ კრიტერიუმებზე, თუმცა მიზანშეწონილია, კანონით წესრიგდებოდეს სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებული ის საკითხებიც, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს განახლებადი ენერჯის პროექტების წარმატებით განხორციელებაზე.

განახლებადი ენერჯის პროექტებზე ნებართვების გაცემის თითოეულ ეტაპზე ნაკლებად განიხილება სოციალური და მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხები, რაც, თავის მხრივ, აფერხებს პროექტის განხორციელებას. სოციალური ასპექტების დოკუმენტირება და აღრიცხვა გულისხმობს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის, დაინტერესებული მხარეების სოციალური ჩართულობის აუცილებლობას, რაც, უპირველეს ყოვლისა, მათთან კომუნიკაციით მიიღწევა. დაინტერესებული მხარეების ეფექტიანი ჩართულობა მნიშვნელოვანია სოციალური საბაზისო საჭიროების აღრიცხვისთვის, მაგ., როგორცაა, საარსებო წყარო, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის შექენა, განსახლება და სხვ.⁶³¹ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში სოციალური საკითხები წარმოდგენილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებში, სადაც სკოპინგის ეტაპზე არსებობს ზოგადი მოთხოვნა, შეფასდეს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედება, ასევე, არსებობს კიდევ ერთი ზოგადი შენიშვნა გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებასა და მისი აუცილებლობის დასაბუთების თაობაზე, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშენიშვნას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ქრილში.⁶³²

კანონდებლობით არ არის დადგენილი სოციალური ასპექტები, შესაბამისად, დეველოპერს არ აქვს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები სოციალური ზემოქმედების შეფასებისთვის და მან თავად უნდა გადაწყვიტოს, რა მასშტაბის სოციალური ღონისძიებები უნდა განახორციელოს, თუმცა საქართველოს

⁶³¹ Guide to Benefit Sharing Options for Renewable Energy Projects, Clean Energy Council, 2019, 6.

⁶³² გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლიე მე-3 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტი და მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი; ყალიჩავა კ., გარემოს დაცვის სამართალი, თბილისი, 2018, 199-200.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განიხილავს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სოციალურ ნაწილზე.⁶³³ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ითვალისწინებს სოციალური ზემოქმედების სტრატეგიული გარემოსდაცვით შეფასებას, რა-შიც მონაწილეობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელიც განი-ხილავს ანგარიშს და გასცემს რეკომენდაციებს.⁶³⁴ სტრატეგიული დოკუმენტის მიღებამდე/დამტკიცებამდე დამგეგმავი ორგანოს ვალდებულებაა, განიხილოს სააგენტოსა და სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები, ასევე, საზო-გადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში გაითვალისწინოს ისინი სტრატეგიული დოკუმენტის საბოლოოდ დამუშავებისა და მიღების/დამტკიცების დროს.⁶³⁵ და-გეგმვაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გათვალისწინებული რეკომენდაცი-ები სავალდებულოა დეველოპერისთვის.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ აწესრიგებს მინის შესყიდვის, განსახლებისა და კომპენსაციის მოთხოვნებს. კოდექსი ითვალისწინებს ინ-ფორმაციის მიწოდებას მინის კატეგორიისა და მინათსარგებლობის ფორმის შესახებ, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე⁶³⁶, ანუ დეველო-პერმა უნდა განსაზღვროს მინის სტატუსი და დაიწყოს მოლაპარაკებები მინის საკითხებზე, რათა განსაზღვროს მშენებლობის ეტაპი. კოდექსში მინის შეს-ყიდვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებები არ არის მოცემული, ყველა მოლაპარაკება კერძო მინის მესაკუთრეებთან უნდა აწარმოოს დეველოპერმა სახელმწიფო უწყებების მონაწილეობის გარეშე, ასევე, კომპენსაციასთან და-კავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დეველოპერი. კანონმდებ-ლობა არ აწესრიგებს განსახლებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც, ხოლო, რაც შეეხება კომუნიკაციის საკითხებს, კოდექსი ითვალისწინებს საზოგადო-ების ჩართულობას, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული, უზ-რუნველყოს შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე დაინტერესებული მხარის მონაწილეობა და თავის მხრივ, დეველოპერი ვალდებულია ასახოს შენიშვნები, უპასუხოს შეკითხვებს და გაითვალისწინოს რეკომენდაციები გარემოზე ზე-მოქმედების შეფასების ანგარიშში.⁶³⁷

⁶³³ იქვე, მე-4 მუხლი.

⁶³⁴ იქვე, 28-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁶³⁵ იქვე, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶³⁶ იქვე, მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი.

⁶³⁷ იქვე, IV თავი.

ორჰუსის კონვენცია ადგენს საზოგადოების უფლებას, მიიღოს თავისუფალი ნვდომა გარემოსდაცვით ინფორმაციაზე, რომელსაც ფლობს ხელი-სუფლება, მონაწილეობა მიიღოს გარემოსდაცვითი გადანყვეტილებების მიღებაში და გაასაჩივროს საჯარო გადანყვეტილებები.⁶³⁸ საქართველო ორჰუსის კონვენციის მხარეა⁶³⁹ და შესაბამისად, ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციაზე თავისუფალი და უპირობო ნვდომა, ასევე საზოგადოების უფლება, მონაწილეობა მიიღოს გარემოსთან დაკავშირებული საჯარო გადანყვეტილებების მიღებაში, ასევე გაასაჩივროს ისინი.⁶⁴⁰ კოდექსის მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის სრული პროცედურა გულისხმობს, რომ დეველოპერმა შეაგროვოს ინფორმაცია გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე.⁶⁴¹ დეველოპერის მხრიდან კომუნიკაცია ეფუძნება გარემოზე ზემოქმედების ანგარიშისთვის ინფორმაციის შეგროვების საჭიროებებს. საზოგადოების ჩართულობის პროცესში დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მიანოდოს ინფორმაცია და უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა საჯარო განხილვებში. საზოგადოების ჩართულობის და ინფორმაციის გაზიარების რა ეტაპიდან არის შესაძლებელი და რა სიხშირით, ამის თაობაზე კანონი ზუსტ მითითებებს არ აკეთებს და დეველოპერის შეხედულებაზეა დამოკიდებული.

დეველოპერი მოლაპარაკებას მიწის შესყიდვასთან დაკავშირებით აწარმოებს გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის განხილვისას და ნაკლებ ყურადღებას უთმობს სოციალურ ასპექტებსა და კომპენსაციის საკითხებს. კანონის შესაბამისად, დეველოპერი ვალდებულია აწარმოოს მოლაპარაკება მიწის კატეგორიის მიხედვით და დაიცვას სამინისტროს მიერ მიღებული გარემოსდაცვითი გადანყვეტილების პირობები. კანონში მწირია ინფორმაცია დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის გამოსაყენებელი სტანდარტების ან ეკოსისტემური სერვისების შეფასების შესახებ. კანონი მოითხოვს შეუქცევადი ეფექტი-ბის დასაბუთებას⁶⁴², რაც სავარაუდოდ გულისხმობს, რომ დეველოპერმა უნდა

⁶³⁸ Convention on Access to Information, Public Participation in Decision-Making and Access to Justice in Environmental Matters, 25 June 1998, Art. 1, Arts. 3-7.

⁶³⁹ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვალის №135–III დადგენილება.

⁶⁴⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 ივლისის N3ბ/178-18 გადანყვეტილება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 15 აპრილის N3ბ/438-18 გადანყვეტილება.

⁶⁴¹ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-3, მე-8 და მე-10 მუხლები.

⁶⁴² იქვე, მე-10 და მე-20 მუხლები.

გათვალისწინოს ღირებულება/სარგებელი კომპენსაციისა და სარგებლის განაწილების შეფასებისას, რაც შესაძლოა არ იყოს ობიექტური. კანონის ფარგლებში შეუქცევადი ეფექტის დასაბუთებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სამართლებრივი განჭვრეტადობის კონცეფცია, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების ან მოქმედების პოტენციური შედეგებისა და ზემოქმედების განჭვრეტას, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შეუქცევადი შედეგები.⁶⁴³ სამართლებრივი განჭვრეტადობა მოითხოვს შესაძლო შედეგების შეფასებას და მომავალი შედეგების პროგნოზირების უნარს. კანონის პროგნოზირების ფუნქცია ნიშნავს, რომ მას უნდა შეეძლოს მომავლის პოტენციური საკითხების ან შედეგების წინასწარ განსაზღვრა და განხილვა; შეუქცევადი ეფექტების კონტექსტში, კანონის პროგნოზირების ფუნქცია მოითხოვს გრძელვადიანი შედეგების განხილვას და შეუქცევადი ზიანის შეფასებისა და შემცირების უნარს.⁶⁴⁴ შეუქცევადი ეფექტის დასაბუთება მოითხოვს სამართლებრივი განჭვრეტადობისა და კანონის პროგნოზირების ფუნქციის სიღრმისეულ ანალიზს. ამის გათვალისწინებით, კანონს შეუძლია შეამსუბუქოს გარკვეული ქმედებების ან გადაწყვეტილებების პოტენციურად შეუქცევადი შედეგები.

1.4. სარგებლის გაზიარების საერთაშორისო პრაქტიკა

საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული სარგებლის გაზიარების მექანიზმის შესწავლისას მნიშვნელოვანია მისი კონცეფციის განსაზღვრა გარემოზე ზემოქმედების ანგარიშთან მიმართებით, რაც საშუალებას იძლევა, სარგებლის გაზიარება კომპენსაციისგან გაიმიჯნოს.⁶⁴⁵ დეველოპერს უფლება აქვს, აირჩიოს კომპენსაცია, როგორც ორგანიზაციის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.⁶⁴⁶ საქართველოს მაგალითზე დეველოპერის კეთილი ნება, განახლებადი ენერჯის პროექტის ფარგლებში დაეხმარონ მოსახლეობას მინის მოვლა-პატრონობაში ან/და მისასვლელი გზების რეაბილიტაციაში, ხშირად მოიხსენიება ორგანიზაციის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობად⁶⁴⁷.

⁶⁴³ Zandvoort H., Evaluation of Legal Liability for Technological Risks in View of Requirements for Peaceful Coexistence and Progress, Risk Analysis, Vol. 31, No. 6, 2010, 970.

⁶⁴⁴ Ricci P. F., Rice D., Ziagos J., Cox L. A., Precaution, Uncertainty and Causation in Environmental Decisions, Environment International, Vol. 29, No. 1, 2003, 8.

⁶⁴⁵ A Guide to Benefit Sharing Options for Renewable Energy Projects, Clean Energy Council, 2019, 4.

⁶⁴⁶ იქვე,

⁶⁴⁷ ლახამი ჰესის საპროექტო ტერიტორიაზე 3000 ნერგი დაირგო, <<https://www.interpres-news.ge/ka/article/679998-laxami-hesis-saproekto-teritoriaze-3000-nergi-dairgo/>> [06.05.2024]; 100 სოციალური პროექტი, <<https://agl.com.ge/ka/mdgradoba/proeqtebi>>

განახლებადი ენერჯის პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის პროექტის განმახორციელებელი და ადმინისტრაციული ორგანოები ცდილობენ, შეიმუშავონ სარგებლის გაზიარების ღონისძიებები, როგორცაა, რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლის თანაბარი და სამართლიანი გაზიარება, რესურსებზე წვდომა მათთვის, ვისაც უშუალოდ და ირიბად წვლილი შეაქვს რესურსის ექსპლუატაციასა და გამოყენებაში, ასევე, გარკვეული პროცენტების დანესება არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფთათვის.⁶⁴⁸ სარგებლის გაზიარება განაწილებითი სამართლიანობისა და ხელმისაწვდომობის კონტექსტში გადამწყვეტია სარგებლის სამართლიანი ხელმისაწვდომობისა უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია თანასწორობის, სამართლიანობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინება რესურსებისა და სერვისების განაწილებისა და განვითარებისას, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველას ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები, სრულად მიიღოს მონაწილეობა სოციალურ და ეკონომიკურ საქმიანობაში.⁶⁴⁹ შეუქცევადი ეფექტის დასაბუთება მოითხოვს ზემოქმედების პოტენციური ეფექტის და საერთო სარგებლობის შეფასებას, მათ შორის, მისი შედეგების.⁶⁵⁰ გარდა ამისა, საგულისხმოა პროგნოზირებადობა შეუქცევადი ეფექტების განხილვისას, რაც ნიშნავს პოტენციური საკითხებისა თუ შედეგების წინასწარ განსაზღვრას და მოითხოვს გრძელვადიანი შედეგების დეტალურ განხილვას, შეუქცევადი ზიანის შეფასებას და მისი შემცირების მიზნით გარკვეული ღონისძიებების განსაზღვრას.⁶⁵¹ ეს პრინციპები, დაფუძნებულია სამართლიანობაზე, რაც გამოიხატება მონყვლადი ჯგუფებისა და ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობისთვის რესურსებზე ხელმისაწვდომობაში. სარგებლის გაზიარება განსხვავდება სავალდებულო შერბილების ღონისძიებებისა და კომპენსაციის გადახდისგან.⁶⁵² თუმცა

[06.05.2024]; ბახვი ჰესის სოციალური პროექტი – „გურიის ჩაის გზა“ და სტუმარ-მასპინძლობის სექტორი, <<https://gurianews.com/bakhvi-hesis-sotsialuri-proehti-guriis-chais-gza-da-stumar-maspindzlobis-seqtori/>> [06.05.2024].

⁶⁴⁸ Petrov A., Tysiachniouk M.S., Benefit Sharing in the Arctic: A Systematic View, Resources, Vol. 8, No. 3, 2019, 2-3.

⁶⁴⁹ Henderson G. E., Rawls & Sustainable Development, McGill International Journal of Sustainable Development Law and Policy, Vol. 7, No. 1, 2011, 16.

⁶⁵⁰ Jacob K., Regulatory Impact Assessment and Sustainable Development: Towards a Common Framework?, European Journal of Risk Regulation, Vol. 1, No. 3, 2010, 276-280.

⁶⁵¹ Orrego C., Gains and Losses in Jurisprudence since H. L. A. Hart, The American Journal of Jurisprudence, Vol. 59, No. 2, 2014, 111–132.

⁶⁵² Petrov A., Tysiachniouk M.S., Benefit Sharing in the Arctic: A Systematic View, Resources, Vol. 8, No. 3, 2019, 2-3.

ხშირ შემთხვევაში რთულია გარემოს დაცვის სავალდებულო ღონისძიებების და კომპენსაციის გამიჯვნა, ისე, როგორც, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობასა და სარგებლის გაზიარებას შორის ზღვრის გავლება. რთულია მკაფიო განსხვავების პოვნა, როდესაც სარგებლის გაზიარების ღონისძიებები დაკავშირებულია შემარბილებელი ღონისძიებების გაძლიერებასთან. საჭიროა, მათ შორის განსხვავება აშკარა იყოს დაინტერესებული მხარეებისთვის.

მნიშვნელოვანია განიმარტოს სარგებლის გაზიარება, რაც შესაძლოა იყოს ინსტიტუციური გრძელვადიანი შემოსავლის გაზიარება ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობისთვის, სადაც მოიაზრება იძულებით გადაადგილებული პირები და პროექტის ზემოქმედების არეალი.⁶⁵³ თავად მუნიციპალიტეტმა შესაძლოა თანხა მიიღოს უშუალოდ დეველოპერისგან ან მთავრობიდან; თანხების მიზნობრივად გადანაწილების მიზნით აუცილებელია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.⁶⁵⁴ გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სასიცოცხლო დაინტერესებული მხარის ჩართულობისა და პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის.⁶⁵⁵ ეს ელემენტები შესაძლებელს გახდის დაინტერესებული მხარეების ეფექტიან ჩართულობას, რადგან ისინი ხელს უწყობენ ნდობისა და ნდობის ჩამოყალიბებას პროექტის განვითარებასა და პოტენციურ წარმატებაში. გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეების ჩართვა ორიენტირებული მათ საჭიროებებზე და საზრუნავებზე გამოიწვევს პროექტის უკეთეს შედეგს და უფრო დიდ მხარდაჭერას მის განსახორციელებლად. ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებში, ანგარიშვალდებულება დაინტერესებული მხარეების ჩართულობასა და პროექტების განხორციელებისას არის კარგი საჯარო ადმინისტრირება და მმართველობა, რომელიც ხშირ შემთხვევაში მოიცავს გამჭვირვალობას, ეფექტურობას, პასუხისმგებლობას და კანონის უზენაესობას, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ საჯარო მოხელეებმა იმოქმედონ საჯარო ინტერესებიდან და შეინარჩუნონ საზოგადოების ნდობა, რომელსაც ემსახურებიან. გადანყვეტილების/ქმედებების დასაბუთება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზემოქმედების არეალის განსაზღვრისას, რაც მოითხოვს ფრთხილ და დასაბუთებულ ანალიზს. კანონმდებლობა გადანყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს, გადანყვეტილებები ეფუძნებოდეს

⁶⁵³ Community Engagement and Benefit Sharing in Renewable Energy Development, A Guide for Renewable Energy Developers, Melbourne, 2017, 7-8.

⁶⁵⁴ იქვე.

⁶⁵⁵ Koch A., Smith D., Wojczynski E., Better Hydro Better Understanding, Better Examples, Better Policies, World Bank, 2017, 53.

ადეკვატურ მტკიცებულებებს, რომლებიც გაუძლებენ შემონმებას რაციონალურობისა და პროპორციულობის თვალსაზრისით.⁶⁵⁶ მთავრობის ქმედებები უნდა იყოს გამართლებული და დასაბუთებული სამართლებრივი მსჯელობით, რაც ხშირად გულისხმობს სხვადასხვა კონკურენტი ინტერესების დაბალანსებას და გადანყვეტილებების პოტენციური შედეგებისა და ზემოქმედების შეფასებას.⁶⁵⁷ საჯარო მოხელეები გადანყვეტილების მიღებამდე ზედმინევნიტ გამოიძიებენ ფაქტებს და განიხილავენ ყველა შესაბამის ინფორმაციას; მათ უნდა უზრუნველყონ შესაბამისობა მოქმედ კანონებთან და პოლიტიკასთან და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით მიიღონ გადანყვეტილება, რომელიც შეესაბამება სასამართლოს მიერ დადგენილ მიდგომებს და შეესაბამება დაინტერესებულ მხარეების ინტერესებს.⁶⁵⁸ საჯარო სამართალი მოიცავს ქმედებების კანონიერებისა და სისწორის შეფასებას და გულისხმობს დეტალურად გაანალიზებული გადანყვეტილებების უზრუნველყოფას, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ გადანყვეტილებების აღსრულების ვალდებულება არსებობს.⁶⁵⁹ ანგარიშვალდებულება მნიშვნელოვანია როგორც კერძო სექტორში, ასევე საჯარო მმართველობისას, რამდენადაც ის განუყოფელი ნაწილია იმ პროექტებისა და პოლიტიკის ეფექტური და სამართლიანი განხორციელებისათვის, რომლებიც ემსახურება საზოგადოებას.

სარგებლის მექანიზმის დანერგვისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს გეოგრაფიული და დროის მასშტაბები, ასევე, ელექტროენერჯის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქსელის გაფართოებით და ხელშეწყობა შინამეურნეობებისა და სათემო ორგანიზაციების.⁶⁶⁰ კორპორაციული დონის მექანიზმები სარგებლის გაზიარებისთვის შეიძლება დაიყოს კატეგორიებად: 1. ფონდები, რომლებსაც მართავს დამოუკიდებელი ორგანოები; 2. საზოგადოების ნდობით აღჭურვილი ფონდები, რომლებსაც მართავს ორგანიზებული თემი; 3. კონკრეტული თემის განვითარების ხელშეკრულებები და 4. პროექტებში

⁶⁵⁶ ტურავა პ., ფირცხალაშვილი ა., ქარდავა ე., ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სა-მსახურში, თბილისი, 2020, 32.

⁶⁵⁷ Casini L., Boncinelli F., Gerini F., Romano C., Scozzafava G., Contini C., Evaluating Rural Viability and Well-being: Evidence from Marginal Areas in Tuscany, *Journal of Rural Studies*, Vol. 82, 2021, 65-66.

⁶⁵⁸ Kingsbury B., Krisch N., Stewart, R. B., *The Emergence of Global Administrative Law. Law and Contemporary Problems*, Vol. 68, No. 3/4, 2005, 17.

⁶⁵⁹ Antharvedi U., *Judicial Review of Administrative Actions and Principles*, Osmania University, 2008, 8.

⁶⁶⁰ იხ., *Performance Standards on Environmental and Social Sustainability*, International Finance Corporation (IFC), 2012.

წილი უზრუნველყოფილი აქციებით.⁶⁶¹ შესაძლებელია ერთი ან მეტი ტიპის გამოყენება, როგორც სარგებლის გაზიარების ნაწილი, რაც მკაფიოდ უნდა იყოს რეგულირებული კანონით.⁶⁶² ყველა ეს მექანიზმი რელევანტური და განხორციელებადია, თუმცა არჩევანი დამოკიდებულია მიზნობრივ საზოგადოებაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე.

1.5. საუკეთესო პრაქტიკა განახლებადი ენერჯის პროექტებიდან

სარგებლის გაზიარების მექანიზმებს იყენებენ ბოლო 10-15 წელია.⁶⁶³ განახლებადი ენერჯის პროექტებში გამოყენებული მექანიზმები ფართო და მრავალფეროვანია. მათი უმეტესობა ორიენტირებულია ადგილობრივი საარსებო წყაროს განვითარებაზე და მიმართულია პირდაპირი ფინანსური სახსრების გამოყოფაზე.⁶⁶⁴ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ არის დამახასიათებელი კერძო და საჯარო თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტებისთვის.⁶⁶⁵

გადაწყვეტილების მიღებაში დაინტერესებული მხარეების ჩართვა აუცილებელია სარგებლის გაზიარების ყველა მექანიზმის წარმატების უზრუნველსაყოფად (მსგავს პრაქტიკას იზიარებენ, მაგ., ნეპალი, ფილიპინები, სამხრეთ აფრიკა, კანადა, ნორვეგია და ა.შ.⁶⁶⁶) ადგილობრივი მოსახლეობისა და შინამეურნეობებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო პროცესებისთვის არსებული სახელმძღვანელო პრინციპები.⁶⁶⁷ დამხმარე ინვესტიციები არის ყველაზე გავრცელებული მექანიზმი და ხშირად ემსახურება ტრადიციული გარემოსდაცვითი და სოციალური შემარბილებელი ღონისძიებების გა-

⁶⁶¹ Thuy P. T., Brockhaus M., Wong G., Dung L. N., Tjajadi J. S., Loft L., Luttrell C., Assembe S., Approaches to Benefit Sharing, Center for International Forestry Research, 2013, 14-15, 21.

⁶⁶² იქვე.

⁶⁶³ Enhancing Development Benefits to Local Communities from Hydropower Projects a Literature Review, Report No. 70281. Washington DC., 2009, 19.

⁶⁶⁴ Guide to Benefit Sharing Options for Renewable Energy Projects, Clean Energy Council, 2019, 9.

⁶⁶⁵ Osei-Kyei R., Chan A. P. C., Yu Y., Chen CH., Ke Y., Tijani B., Social Responsibility Initiatives for Public-Private Partnership Projects: A Comparative Study between China and Ghana, Sustainability, Basel, 2019, 9-10.

⁶⁶⁶ Enhancing Development Benefits to Local Communities from Hydropower Projects a Literature Review, Report No. 70281. Washington DC., 2009, 62, 70-71.

⁶⁶⁷ Petrov A., Tysiachniouk M.S., Benefit Sharing in the Arctic: A Systematic View, Resources, Vol. 8, No. 3, 2019, 49.

ტარებას ან გაძლიერებას; დამხმარე ინვესტიციებია, მაგ., გზები, საჯარო სერვისების შენობები, როგორცაა, სკოლები და სამედიცინო კლინიკები, უფრო ადგილობრივი ინიციატივებია.⁶⁶⁸ ასევე, მნიშვნელოვანია პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება და შემარბილებელი ღონისძიებებისა და სარგებლის გაზიარების გამიჯვნა. წარმატებულია პირდაპირი გადახდა/გადახდევენება; უმეტეს ქვეყნებში, სადაც არსებობს სარგებლის გაზიარების შესახებ ეროვნული მოთხოვნები, საერთაშორისო სააგენტოებმა დახმარება გაუწიეს ამგვარი მოთხოვნების გაზიარებას და დანერგვას.⁶⁶⁹ ძლიერი პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება აუცილებელია ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორცაა, გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები და სარგებლის გაზიარება. მკაფიო და ეფექტური კანონმდებლობა მნიშვნელოვანია ამ ორი საკითხის ერთმანეთისგან გამიჯვნაში, რათა შესაძლებელი იყოს თითოეული მათგანის ეფექტიანად მართვა. შემარბილებელი ღონისძიებები გულისხმობს ქმედებებს მავნე ზემოქმედების შესამცირებლად, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს დაბინძურების კონტროლი (ქარხნებისა და საწარმოების მიერ გამოყოფილი მავნე ნივთიერებების შემცირება), ბიომრავალფეროვნების დაცვა (დაცული ტერიტორიების შექმნა და მართვა), ენერგოეფექტურობა (მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა და ენერჯის მოხმარების შემცირება), ასევე, წყლის რესურსების მართვა (მდინარეების და ტბების სისუფთავის დაცვა და წყლის მოხმარების კონტროლი). სარგებლის გაზიარება, თავის მხრივ, დაკავშირებულია პროექტის განხორციელებით მიღებული უპირატესობებისა და სარგებლის განაწილებასთან სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის, განსაკუთრებით იმ თემებს შორის, რომლებიც ხვდებიან პროექტის ზემოქმედების არეალში. ეს მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს, მათ შორის, სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებას, ასევე, სოციალურ სარგებელს რაც გულისხმობს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, როგორცაა, გზები, სკოლები და საავადმყოფოები, ასევე განიხილება კულტურული სარგებელი, მაგალითად, ადგილობრივი კულტურის და ტრადიციების დაცვა და განვითარება.

პირდაპირი გადახდა ან გადახდა ეკოსისტემური სერვისებისთვის არის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა და გულისხმობს მიწის მესაკუთრეების ან თემების კომპენსაციას ეკოლოგიური სერვისების შენარჩუნ-

⁶⁶⁸ Benefit Sharing at Scale: Good Practices for Results-Based land Use Programs, World Bank, 2019, 29, 42.

⁶⁶⁹ იქვე, 10-11.

ნებისთვის ან გაძლიერებისთვის, რომლებიც სარგებელს მოუტანს მთლიანად საზოგადოებას.⁶⁷⁰ ბევრ ქვეყანაში სარგებლის გაზიარების ეროვნული მოთხოვნები არსებობს ბუნებრივი რესურსებიდან, გენეტიკური რესურსებიდან ან ტრადიციული ცოდნიდან მიღებული სარგებლის თანაბარი განაწილების უზრუნველსაყოფად;⁶⁷¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაცია ხშირად მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესურსებისა და ცოდნის გაზიარებაში და დახმარებას უწევს პოლიტიკის ჩარჩოების შემუშავებაში, სთავაზობენ ფინანსურ მხარდაჭერას და უზიარებენ გამოცდილებას, რათა დაეხმარონ ქვეყნებს სარგებლის გაზიარების მოთხოვნების განხორციელებასა და აღსრულებაში.⁶⁷² მაგალითად, ნაგოიას პროტოკოლი „გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენების შედეგად წარმოქმნილი სარგებლის სამართლიანი და თანაბარი გაზიარების შესახებ“ არის საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს განახორციელოს სარგებლის გაზიარების დებულებები.⁶⁷³ სარგებლის გაზიარების პრაქტიკა, რომელიც წარმოიქმნება სხვადასხვა ადგილობრივ თემში, მეტყველებს მის მნიშვნელობაზე. მკაფიო სამართლებრივი დეფინიციები იმის შესახებ, თუ რა არის სარგებლობა, ვინ არიან ბენეფიციარები და სარგებლის გაზიარების მექანიზმის ფარგლები სარგებლის გაზიარების პოლიტიკის ძირითადი კომპონენტია, გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული პირის, განსაკუთრებით, ადგილობრივი თემების, მონაწილეობის მექანიზმების გასაზღვრა და სამართლიანი განაწილების სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც განაპირობებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის სარგებლის გაზიარების სამართლიან ასახვას, რასაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

⁶⁷⁰ აჭარის დაცული ტერიტორიების ეკოსისტემური სერვისების ღირებულებებისა და სარგებლის შეფასება და სამიზნე დაცული ტერიტორიებისა და ადგილობრივი თემებისთვის სტაბილური შემოსავლების გენერირების ვარიანტები, შემაჯამებელი ანგარიში, ბათუმი, 2016.

⁶⁷¹ Oberthür S., Rosendal G. K., *Global Governance of Genetic Resources: Background and Analytical Framework*, in: *Global Governance of Genetic Resources Access and Benefit Sharing after the Nagoya Protocol*, Edited By S. Oberthür, G. K. Rosendal, Routledge 2014; *A Moving Target: Genetic Resources and Options for Tracking and Monitoring their International Flows*, Edited by M. Ruiz Muller and I. Lapeña, IUCN, 2007, 109-112.

⁶⁷² Verwooy R., Ruiz M., *Access to and Benefit Sharing of Plant Genetic Resources: Novel Field Experiences to Inform Policy*, Resources, Vol. 2, 2013, 96-113; Fripp E., *Payments for Ecosystem Services (PES) A practical guide to assessing the feasibility of PES projects*, Center for International Forestry Research (CIFOR), Indonesia, 2014, 3-5.

⁶⁷³ *The Convention on Biological Diversity and the Nagoya Protocol: Intellectual Property Implications A Handbook on the Interface between Global Access and Benefit Sharing Rules and Intellectual Property*, United Nations, 2014, 4.

ამრიგად, პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შემარბილებელი ღონისძიებებისა და სარგებლის გაზიარების მექანიზმების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად და ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს პირდაპირი ფინანსური კომპენსაცია, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას ეკონომიკური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. სარგებლის გაზიარების მიდგომები დამოკიდებულია ადგილობრივი თემების, მუნიციპალიტეტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოლოდინებზე. სარგებლის გაზიარების მექანიზმის დანერგვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მიღებული ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპები და ადგილობრივ საჭიროებებზე ორიენტირებული ღონისძიებები, კოორდინებული შესაბამის უწყებებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თითოეული მხარის როლი და პასუხისმგებლობა. ერთიანი მიდგომა და სწორი კომუნიკაცია უდავოდ პროექტის წარმატებით განხორციელების წინაპირობაა.

1.6. სარგებლის გაზიარება, როგორც შესაძლებლობა

განახლებადი ენერჯის პროექტების განხორციელება საჭიროებს მკაფიო პოლიტიკას და სათანადო კომუნიკაციას გამონვევებთან საბრძოლველად.⁶⁷⁴ მნიშვნელოვანია სოციალური ზემოქმედების შეფასების შემოღება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროაქტიული მიდგომის დანერგვა. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, დანერგოს სარგებლის გაზიარება საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. მიზანშეწონილია დეველოპერსა და საზოგადოებას შორის ჩამოყალიბდეს პარტნიორული დამოკიდებულება, რაც ასევე მნიშვნელოვანია სარგებლის გაზიარების მეთოდოლოგიების განსაზღვრისთვის. განახლებადი ენერჯის პროექტების განხორციელება საჭიროებს მკაფიო პოლიტიკას და სათანადო კომუნიკაციას გამონვევებთან საბრძოლველად. ეს მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობისა და ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად, რაც, თავის მხრივ, ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. კერძოდ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯარო საკითხებში მონაწილეობა უზრუნველყოფს დემოკრატიული პროცესების გაძ-

⁶⁷⁴ Toledano P., Albin-Lackey Ch., Andres M. D., Brauch M.D., Community Benefit Sharing and Renewable Energy and Green Hydrogen Projects: Policy Guidance for Governments, Columbia Center on Sustainable Investment, A Joint Center of Columbia Law School and Columbia Climate School, 2023, 10-11.

ლიერებას, სოციალური სამართლიანობის დაცვას და გადანყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებას.⁶⁷⁵

უშუალო, მონაწილეობითი დემოკრატია ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლს ასრულებს.⁶⁷⁶ ეს პრინციპი გულისხმობს, რომ მოქალაქეებს აქვთ უფლება და შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ საჯარო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში.⁶⁷⁷ ასეთი მიდგომა ხელს უწყობს სამართლიან მმართველობას და ნდობას საზოგადოების მხრიდან, რაც მნიშვნელოვანია გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მკაფიო პოლიტიკის შემუშავება და გამჭვირვალე კომუნიკაცია, რათა საზოგადოების ჩართულობა და ინფორმირებულობა მაქსიმალურად გაიზარდოს. სოციალური ზემოქმედების შეფასების პროცესი უნდა იყოს სავალდებულო, რათა განახლებადი ენერჯის პროექტები ეკოლოგიური და სოციალური ზიანის მინიმუმამდე დაყვანას ემსახურებოდეს. დაინტერესებული მხარეების პროაქტიული ჩართულობა კი უზრუნველყოფს, რომ ყველა მხარეს ჰქონდეს ხმა და მათი ინტერესები გათვალისწინებული იქნეს. სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილება ასევე მნიშვნელოვანი ასპექტია. ეს ხელს უწყობს სოციალურ სამართლიანობას და კონფლიქტების თავიდან აცილებას. დეველოპერებსა და საზოგადოებას შორის პარტნიორული დამოკიდებულების ჩამოყალიბება უზრუნველყოფს საერთო მიზნების და ინტერესების დაცვას, რაც განახლებადი ენერჯის პროექტების წარმატებულ და მდგრად განხორციელებას განაპირობებს. შედეგად, ასეთი მიდგომა ხელს უწყობს სოციალური სამართლიანობის, ადამიანის უფლებების და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვას.

სარგებლის გაზიარების ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისას გასათვალისწინებელია აუცილებელი სამართლებრივი მოთხოვნები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ადრეულ ეტაპზე, მთავრობის ჩართულობა და პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება, ასევე, ინსტიტუციის ჩამოყალიბება და შესაძლებლობების განვითარება.⁶⁷⁸ ეს საკითხები განსაკუთრებით მნიშვნე-

⁶⁷⁵ Taskin and Others. v. Turkey [ECtHR], App. No. 16117/99, 10 November 2004, par. 99; Giacomelli v. Italy [ECtHR], App. No. 59909/00, 2 November 2006, par. 79.

⁶⁷⁶ მაცაბერიძე მ., არჩევნები და საზოგადოება, თბილისი, 2003, 103-104.

⁶⁷⁷ Pateman C., Participation and democracy in industry, in: Participation and Democratic Theory, Cambridge University Press, 1970, 67-84.

⁶⁷⁸ Toledano P., Albin-Lackey Ch., Andres M. D., Brauch M.D., Community Benefit Sharing and Renewable Energy and Green Hydrogen Projects: Policy Guidance for Governments, Columbia Center on Sustainable Investment, A Joint Center of Columbia Law School and Columbia Climate School, 2023, 13.

ლოვანია მუნიციპალური სამართლის და ადგილობრივი თვითმმართველობის კონტექსტში, – ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა ითამაშონ გადაწყვეტი რიგი გადაწყვეტილებების მიღებასა და საზოგადოების ინტერესების დაცვაში. განახლებადი ენერჯის პროექტების განხორციელება საჭიროებს ძლიერი სამართლებრივი ჩარჩოს არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას ადრეულ ეტაპზე. ეს ჩართულობა არა მხოლოდ დემოკრატიული პროცესების გაძლიერებას ემსახურება, არამედ ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობას და სამართლიანობას. ადრეულ ეტაპზე საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფს, რომ ყველა მხარის ინფორმირებასა და მათი ინტერესები გათვალისწინებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ უზრუნველყოს პარტნიორული დამოკიდებულება დეველოპერებსა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის. ეს სტრატეგიული გაერთიანება უნდა ითვალისწინებდეს და წარმოაჩენდეს ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებს და ახდენდეს როლებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების ინდენტიფიცირებას. პარტნიორობა უზრუნველყოფს, რომ ყველა მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს სარგებელი პროექტიდან და გაიზიარონ პასუხისმგებლობები.

სათემო ინსტიტუტების გაძლიერება და დამხმარე საინვესტიციო პროგრამების შემუშავება ასევე მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელების პროცესში. ასეთი ინსტიტუტები ხელს უწყობს ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას და ინკლუზიური განვითარების პროცესის უზრუნველყოფას. ძლიერი მარეგულირებელი ჩარჩო და სათემო ინსტიტუტების მხარდაჭერა უზრუნველყოფს, რომ პროექტი განხორციელდეს სოციალური სამართლიანობის და გარემოს დაცვის პრინციპების გათვალისწინებით. სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მთავრობის და საზოგადოების პარტნიორული დამოკიდებულება, და სათემო ინსტიტუტების გაძლიერება არის სარგებლის გაზიარების ეფექტიანი პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. ამ პრინციპების დაცვა ხელს უწყობს ადამიანის უფლებების, სამართლებრივი სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპების უზრუნველყოფას.

განახლებადი ენერჯის პროექტების განხორციელება საჭიროებს ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიან ჩართულობას და მხარდაჭერას. მუნიციპალური სამართალი და ადგილობრივი თვითმმართველობა ცენტრალური როლს ასრულებენ საზოგადოების ინტერესების დაცვისა და სარგებლის

სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფაში.⁶⁷⁹ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის მნიშვნელობა მოიცავს დემოკრატიის, სოციალური სამართლიანობის და მდგრადი განვითარების ხელშეწყობას, რაც განაპირობებს წარმატებული და ინკლუზიური პროექტების განხორციელებას. ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს მოქალაქეებს უფლებას და შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ მათზე გავლენის მომხდენი გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც აძლიერებს დემოკრატიულ პროცესებს და განაპირობებს, რომ ადგილობრივი ინტერესები იყოს გათვალისწინებული.⁶⁸⁰ დემოკრატიული პრინციპების დაცვა, როგორცაა, საზოგადოების ინფორმირებულობა და ჩართულობა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაში, ხელს უწყობს საჯარო პოლიტიკის გამჭვირვალობას და სამართლიანობას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია განახლებადი ენერჯის პროექტების კონტექსტში.⁶⁸¹ მუნიციპალური სამართალი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებს და უფლებამოსილებებს, რაც უზრუნველყოფს, რომ ისინი მოქმედებენ გამჭვირვალედ და ანგარიშვალდებულად.⁶⁸² განახლებადი ენერჯის პროექტების წარმატებისთვის აუცილებელია არსებობდეს ძლიერი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც მოიცავს სოციალური ზემოქმედების შეფასებას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და სარგებლის სამართლიან განაწილებას. სამართლებრივი ჩარჩო უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებასაც, რაც მათ საშუალებას მისცემს, ეფექტიანად მართონ და გააკონტროლონ პროექტები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება გულისხმობს ფინანსური და ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფას, ასევე ადგილობრივი კადრების განათლებას და გადამზადებას.⁶⁸³ ამის შედეგად, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა შეძლონ განახლებადი

⁶⁷⁹ გონაშვილი ვ., კახიძე ი., ჭილაძე ნ., მუნიციპალური სამართალი, ძირითადი კონცეფციები, ევროპული ქარტია და საქართველო, თბილისი, 2023, 484.

⁶⁸⁰ ადამიანის უფლებები ადგილობრივ დონეზე საქართველოში, შეფასების დოკუმენტი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი, 2021, 30.

⁶⁸¹ გონაშვილი ვ., კახიძე ი., ჭილაძე ნ., მუნიციპალური სამართალი, ძირითადი კონცეფციები, ევროპული ქარტია და საქართველო, თბილისი, 2023, 484.

⁶⁸² დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 20.

⁶⁸³ ყიფიანი დ., მონაწილეობითი ბიუჯეტირება საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში დანერგვის პრაქტიკის კვლევა, „ადგილობრივი განვითარების აქტორების მდგრადი კავშირის შექმნა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში „პური სამყაროს“ (Bread for the World) მხარდაჭერით, 2018, 20.

ენერჯის პროექტების ეფექტიანად მართვა და სარგებლის სამართლიანი განაწილება, რაც ხელს შეუწყობს სოციალური სამართლიანობის დაცვას და ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისთვის. სტრატეგიული გაერთიანება უზრუნველყოფს, რომ ყველა მხარე თანამშრომლობს საერთო მიზნების მისაღწევად და რომ პროექტები ხორციელდება ეფექტიანად და ინკლუზიურად. ძლიერი სამართლებრივი ჩარჩო, სოციალური სამართლიანობის და დემოკრატიული პრინციპების დაცვა და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება უზრუნველყოფს, განახლებადი ენერჯის პროექტები იყოს მდგრადი და საზოგადოებისთვის სასარგებლო. ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა და მხარდაჭერა გადამწყვეტია, რათა სარგებელი სამართლიანად განაწილდეს და პროექტები წარმატებით განხორციელდეს.

1.7. ძირითადი მოსაზრებები და მიდგომები

სარგებლის გაზიარების მექანიზმის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია გეოგრაფიული არეალი, სადაც ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც ამ მექანიზმით სარგებლობენ.⁶⁸⁴ რაც უფრო მასშტაბურია პროექტი, მით უფრო დიდია ზემოქმედების ქვეშ არსებული ტერიტორია, შესაბამისად, უფრო მნიშვნელოვანია რეგიონისთვის და იქ მცხოვრები ხალხის ჩართულობა და მხარდაჭერა პროექტის განხორციელების აუცილებელი მექანიზმია.⁶⁸⁵ გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ადგილობრივი მინის მესაკუთრეები, რომლებიც ცხოვრობენ პროექტის უშუალო ზემოქმედების არეალში, ამავე არეალში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა ან თემები, რომლებიც პროექტის არაპირდაპირი გავლენის არეალში ცხოვრობენ⁶⁸⁶.

სახელმწიფოსთვის, როგორ პოლიტიკის განმსაზღვრელისთვის, გამონკვევაა სწორი მექანიზმის შემუშავება, რაც დააბალანსებს პროექტის განმახორციელებლის ინტერესებს, ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესსა და სახელმწიფოს განვითარებას. გარდა ამისა, მექანიზმის წარმატებით დანერგვის მიზნით, მნიშვნელოვანია, თუ რომელი სახელმწიფო ინსტიტუტი (მათ შორის, ადგილობრივი თუ რეგიონული), არასამათავრობო

⁶⁸⁴ The Convention on Biodiversity and the Nagoya Protocol: Intellectual Property Implications, A Handbook on the Interface between Global Access and Benefit Sharing Rules and Intellectual Property, UN, 2014, 121.

⁶⁸⁵ Brook J., Clark S., Establishing the Social Licence to Operate Large Scale Solar Facilities in Australia: Insights from Social Research for Industry, Arena, 2020, 20.

⁶⁸⁶ Enhancing Development Benefits to Local Communities from Hydropower Projects a Literature Review, Report No. 70281. Washington DC., 2009, 5.

ორგანიზაციები იქნებიან ჩართულები მექანიზმის დანერგვისა და განხორციელებისას.⁶⁸⁷

ხშირ შემთხვევაში კანონმდებლობა არ განსაზღვრავს პროექტზე ზემოქმედების „პირდაპირ“ და „არაპირდაპირ“ არეალს, შესაბამისად, როგორ უნდა განისაზღვროს ადგილობრივი სარგებლის განაწილების ჯგუფები.⁶⁸⁸ სკოპინგისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევები ხშირად განმსაზღვრელია შემარბილებელი ღონისძიებებისა და სოციალური განვითარების პროგრამების შემუშავებაში.⁶⁸⁹ სწორედ ამ ეტაპზე არის შესაძლებელი, განიმარტოს „ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობა“, ანუ ვინ შეიძლება მოიზრებოდეს პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზემოქმედების ქვეშ. ზემოქმედების შეფასების პროცესები, როგორც წესი, მოითხოვს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან შეფასების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, მათ შორის, თუ როგორ არის განსაზღვრული ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობა.⁶⁹⁰ პროექტის ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობის განსაზღვრისას ფასდება პროექტის როგორც ფიზიკური, ასევე ეკონომიკური ზემოქმედება.⁶⁹¹ მოწყვლადობა ასევე მნიშვნელოვანი ასპექტია ზემოქმედების დონის განსაზღვრაში, რაც ვლინდება შინამეურნეობების, თემებისა და კულტურის დეტალური სოციალური შეფასებისას.⁶⁹² მოწყვლადი ჯგუფები განიმარტება, როგორც ადამიანები, რომლებიც სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, ფიზიკური ან ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის, ეკონომიკური არახელსაყრელი ან სოციალური სტატუსის გამო შეიძლება უფრო უარყოფითად დაზარალდნენ განსახლებისას, ვიდრე სხვები და რომელთაც შესაძლოა შეზღუდული ჰქონდეთ, მოითხოვონ ან ისარგებლონ განსახლების დახმარებით და მასთან დაკავშირებული განვითარების შეღავათებით.⁶⁹³ ასევე, იგულისხმება ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია კეთილდღეობასთან (მაგ., ჯანმრთელობა, სუფთა წყალი და კულტურა, როგორც მატერიალური,

⁶⁸⁷ Koch A., Smith D., Wojczynski E., *Better Hydro Better Understanding, Better Examples, Better Policies*, World Bank, 2017, 29.

⁶⁸⁸ Petrov A., Tysiachniouk M.S., *Benefit Sharing in the Arctic: A Systematic View*, Resources, Vol. 8, No. 3, 2019, 7.

⁶⁸⁹ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სახელმძღვანელო, სამუშაო ვერსია, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, 2022, 35-36.

⁶⁹⁰ იქვე, 12, 32.

⁶⁹¹ Koch A., Smith D., Wojczynski E., *Better Hydro Better Understanding, Better Examples, Better Policies*, World Bank, 2017, 21.

⁶⁹² იქვე, 57.

⁶⁹³ *Handbook for Preparing a Resettlement Action Plan*, IFC, Washington DC, 2002.

ასევე არამატერიალური), რაც გავლენას ახდენს ადგილობრივ საარსებო წყაროებზე.⁶⁹⁴ ზემოქმედების შეფასების დროს შემუშავებული ზოგადი დეფინიციები შეიძლება იყოს განმსაზღვრელი სარგებლის განაწილების მექანიზმით მოსარგებლე ჯგუფებისთვის, რათა მნიშვნელოვნად არ შეიცვალოს ზემოქმედების შეფასებაზე დაფუძნებული დეფინიციები და თავიდან იქნეს აცილებული ბუნდოვანება დაინტერესებულ მხარეებს შორის.

მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და ევროკავშირი განმარტავენ, თუ ვინ არის უშუალოდ დაზარალებული და მათი განმარტება მსგავსია, კერძოდ, ისინი მიიჩნევენ, რომ დაზარალებულია ყველა ის პირი, ვინც დაკარგა აქტივები ან რესურსების გამოყენების შესაძლებლობა ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტის შედეგად, ისინი მიიჩნევიან „პროექტის ზემოქმედების არეალში მცხოვრებ პირებად“, რომელთაც აქვთ უფლება, მოითხოვონ კომპენსაცია და/ან დახმარების სხვა ფორმა.⁶⁹⁵ ეს მოიცავს: 1. ადამიანებს, რომლებიც კარგავენ მიწას, რომელსაც ისინი ფლობდნენ ფაქტობრივი თუ ტრადიციული უფლებით; 2. ადამიანებს, რომლებიც იყენებენ საერთო საკუთრების რესურსებს; 3. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე მაცხოვრებლებს; 4. რესურსებზე დადგენილ ხელმისაწვდომობას მოკლებულ პირებს; 5. ოფიციალურად აღიარებული ქონებრივი უფლებების მქონე პირებს; ეს, ასევე, მოიცავს მოიჯარეებს, ხელოსნებსა და ხელფასის მიმღებებს, რომელთა საარსებო წყაროზე ან ცხოვრების დონეზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პროექტის პირდაპირმა ზემოქმედებამ.⁶⁹⁶ ეს არ გულისხმობს პირებს, რომლებიც პროექტის გეგმების გამჟღავნების შემდეგ, გამორჩენის მიღების მიზნით სახლდებიან იმ არეალში.⁶⁹⁷ აღნიშნულ განმარტებაში „დახმარება“ გულისხმობს საარსებო წყაროს აღდგენას და სოციალური განვითარების პროგრამების განხორციელებას, რაც შესაძლებელია ასევე, გათვალისწინებული იქნეს შერბილების ღონისძიებების განხორციელების გეგმებში.

განახლებადი ენერჯის პროექტებში შესაძლოა არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ ექცეოდნენ ადამიანები, რომლებიც უძღვებიან შინამეურნეობას და

⁶⁹⁴ Capturing Hydropower’s Promise Report Series, A Guide to Local Benefit Sharing in Hydropower Projects, IFC, Washington DC., 2020, 18-19, 28.

⁶⁹⁵ იქვე, 31.

⁶⁹⁶ Neupane J.L., Dynamics of Hydro-power Development in Nepal: Water-Energy-Food Security Prospect, Uppsala, 2022, 38.

⁶⁹⁷ The World Bank Environmental and Social Framework, Washington D.C., 2017, 63-64.

რომლებიც არ კარგავენ პირად ქონებას, მაგრამ მაინც განიცდიან საარსებო წყაროსთან დაკავშირებულ მცირე ეკონომიკურ ზარალს, რაც შესაძლოა იყოს მათი წლიური შემოსავლის 10% და როგორც წესი, არ აღემატება მათი წლიური შემოსავლის 20%-ს.⁶⁹⁸ მათ შესაძლოა ჰქონდეთ შემოსავლის სხვა წყარო და ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან ზემოქმედებას, როგორცაა, ფიზიკური გადაადგილება ან რჩებიან საარსებო წყაროს გარეშე, თუმცა განიცდიან პროექტით გამონვეულ ეკონომიკურ ზარალს.⁶⁹⁹ არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებად შეიძლება მიჩნეულ იქნენ ისინი, ვინც კარგავენ დროებით წვდომას და იძულებულები არიან მოითმინონ პროექტთან დაკავშირებული ხმაური, ჰაერის დაბინძურება ზემოქმედების ხარისხიდან გამომდინარე.⁷⁰⁰ შესაბამისად, პროექტის განხორციელებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მარტო პირდაპირი ზემოქმედების არეალში მცხოვრებ პირებზე, არამედ, არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებზეც.

საზოგადოებისთვის სარგებლის გაზიარების კონცეფცია არის სამართლიანი, თანასწორობაზე დაფუძნებული შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს სახსრებისა და სხვა სარგებლის განაწილებას ადგილობრივ თემებზე.⁷⁰¹ სარგებლის გაზიარება არის კონცეფცია, რომელიც აგებულია განაწილებითი სამართლიანობის პრინციპზე და ფოკუსირებულია რესურსების, სარგებლისა და ტვირთის თანაბარ განაწილებაზე, როგორცაა, სამრეწველო განვითარება, ბუნებრივი რესურსების მოპოვება ან ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საზოგადოებას ან კონკრეტულ საზოგადოებასა და პროექტის განმახორციელებს შორის, რომელიც ცდილობს უზრუნველყოს პროექტებიდან მიღებული უპირატესობების სამართლიანი გადანაწილება.⁷⁰² განაწილებითი სამართლიანობის მიზნით, სარგებლის გაზიარების ღონისძიებები უნდა ეფუძნებოდეს რამდენიმე კრიტიკულ ფაქტორს, მაგალითად, განაწილების მასშტაბს, ვინ მიიღებს სარგებელს და როგორ გადანაწილდება თემის სხვადასხვა ჯგუფს შორის, განსაკუთრებით, მონყვლადი მოსახლეობის გათვალისწინებით, რომლებზეც შესაძლოა არაპროპორციული გავლენა იქონიოს პროექტებმა; განაწილებითი სამართლიან-

⁶⁹⁸ Neupane J.L., *Dynamics of Hydro-power Development in Nepal: Water-Energy-Food Security Prospect*, Uppsala, 2022, 50.

⁶⁹⁹ იქვე, 61-62.

⁷⁰⁰ *The World Bank Environmental and Social Framework*, Washington D.C., 2017, 86.

⁷⁰¹ *A Guide to Benefit Sharing Options for Renewable Energy Projects*, Clean Energy Council, 2019, 6.

⁷⁰² Morgera E., *The Need for an International Legal Concept of Fair and Equitable Benefit Sharing*, *European Journal of International Law*, Vol. 27, No. 2, 2016, 353-354.

ნობის მიღწევის უზრუნველსაყოფად, სარგებლის განსაზღვრისა და განაწილების პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე და ინკლუზიური.⁷⁰³ სარგებლის გაზიარების შესახებ დისკუსიები უნდა მოიცავდეს საზოგადოების წევრთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებები და პრეფერენციები.

განაწილებითი მართლმსაჯულების შეფასება ხშირად ეფუძნება ნორმატიულ ეთიკურ ჩარჩოებს, ასევე სამართლებრივ პრინციპებს. დავების განხილვისას სასამართლოებმა ან ტრიბუნალებმა შეიძლება განიხილონ, შეესაბამება თუ არა სარგებლის გაზიარების ღონისძიებები კანონით დადგენილ წესებსა და სამართლიანობის პრინციპებს.⁷⁰⁴ ასევე, სარგებლის გაზიარებისას გასათვალისწინებელია დაზარალებული თემების კულტურული და სოციალური კონტექსტი, როგორცაა, ტრადიციები და ადგილობრივი წეს-ჩვეულები. დებულებების, რეგულაციების, სამართლებრივი პრეცედენტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების მითითებით, სასამართლოები აფასებენ, რამდენად შეესაბამება რესურსების განაწილება არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოებს. იურიდიული პრინციპების გარდა, სადისტრიბუციო მართლმსაჯულების შეფასება სამართლებრივ კონტექსტში შეიძლება ასევე, მოიცავდეს სამართლიანობის, თანასწორობისა და სოციალური ზემოქმედების საკითხებს.⁷⁰⁵

სარგებლის გაზიარების ღონისძიებების განხორციელება მოითხოვს მოლაპარაკებებს და ინტერესთა დაბალანსებას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის არა მხოლოდ პროექტის ფარგლებში გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებაზე, არამედ პროექტის ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობისთვის ადეკვატური კომპენსაციისა და პროექტის ფარგლებში მათთვის შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე.⁷⁰⁶ დისკუსიები და მოლაპარაკებები უნდა ემყარებოდეს ეთიკურ მოსაზრებებს, ასახავდეს საზოგადოების მრავალფეროვნებას და ხელმძღვანელობდეს ისეთი პრინციპებით, როგორცაა, სოციალური სამართლიანობის კონცეფციები, მათ შორის, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, თანასწორობა, მრავალფეროვნება და

⁷⁰³ Vanclay F., Benefit-sharing and Enhancing Outcomes for Project-affected Communities, in: Handbook of Social Impact Assessment and Management, Edited by F. Vanclay and A.M. Esteves, Edward Elgar Publishing, 2024, 437-438.

⁷⁰⁴ Yuqiao X., The Basic Principles and Value Dimensions of Achieving Distributive Justice through Social Institutions, Social Sciences in China, Vol. 34, No. 4, 2013, 8-9.

⁷⁰⁵ Bor v. Hungary [ECtHR], App. No. 50474/08, 18 June 2013, paras. 24-25.

⁷⁰⁶ Bethem J., Frigo G., Biswas S., DesRoches C. T., Pasqualetti M., Energy Decisions within an Applied Ethics Framework: An Analysis of Five Recent Controversies, Energy, Sustainability and Society, Vol. 10, No. 29, 2020, 3-4.

ადამიანის უფლებები. გამოცდილება აჩვენებს, რომ ადგილობრივი თემების/ოჯახების ჩართვა ადგილობრივად ფოკუსირებული სარგებლის პრიორიტეტების განსაზღვრისას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის.⁷⁰⁷ მონაცვლადი ჯგუფები, მათ შორის, ქალები, ხშირად არ არიან ჩართულნი გადანყვეტილების მიღებაში რაც ნიშნავს, რომ საჭიროა კონკრეტული ძალისხმევა და აქ, როგორც წესი, გასათვალისწინებელია კულტურული სპეციფიკური მიდგომები, რომლებიც მათთვისვე არის მისაღები და სასურველი.⁷⁰⁸ ქალების ჩართვა გადანყვეტილების მიღების პროცესებში გადამწყვეტია მათი საჭიროებების უზრუნველსაყოფად. აღიარებულია, რომ ეს ჯგუფები ხშირად აწყდებიან სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბარიერებს, რომლებიც ზღუდავს მათ მონაწილეობას. ეფექტიანი ჩართულობისთვის მნიშვნელოვანია კულტურულად სპეციფიკური მიდგომების შემუშავება, საზოგადოების კულტურული კონტექსტისა და ღირებულებების გათვალისწინებით.⁷⁰⁹ ქალებისა და სხვა მონაცვლადი ჯგუფების გაძლიერება და შესაძლებლობების განვითარება, მათ შორის, უნარ-ჩვევების, ცოდნისა და ნდობის ამალღების მცდელობები დაეხმარება მათ გადანყვეტილების მიღების პროცესებში უფრო აქტიურად და ნაყოფიერად ჩართვაში, ასევე, ინკლუზიური სივრცეების შექმნა, სადაც დაუცველ ჯგუფებს შეეძლება თავიანთი მოსაზრებების გამოხატვა შერისიების ან დისკრიმინაციის შიშის გარეშე.

ქალებისა და მონაცვლადი ჯგუფების წევრების ნახალისება და მხარდაჭერა ლიდერული როლების მიღებაში გავლენას ახდენს პროექტის სასარგებლოდ გადანყვეტილების მიღებაზე. გენდერული სენსიტიურობა და ინკლუზიური პოლიტიკა უნდა აღიარებდეს და უზრუნველყოფდეს კონკრეტულ გამოწვევების გადაჭრის გზებს, რომლებსაც აწყდებიან ქალები და მონაცვლადი ჯგუფები. აღნიშნულმა მიდგომებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს უმცირესობაში მყოფი ჯგუფის წევრების ჩართულობა და უზრუნველყოს პოლიტიკის შემუშავება სხვადასხვა პერსპექტივებისა და გამოცდილების მიხედვით.⁷¹⁰ ეს

⁷⁰⁷ Community Engagement and Benefit Sharing in Renewable Energy Development, A Guide for Renewable Energy Developers, Melbourne, 2017, 17.

⁷⁰⁸ იქვე, 10.

⁷⁰⁹ Williams J. H., Auslander W. F., de Groot M., Robinson A. D., Houston C., Haire-Joshu D., Cultural relevancy of a diabetes Prevention Nutrition program for African American Women, Health Promotion Practice, Vol. 7, No. 1, 2006, 56-57.

⁷¹⁰ კვარაცხელია თ., მარგველაშვილი მ., შათირიშვილი ნ., ენერგეტიკული სიღარიბე და მონაცვლადი მომხმარებლები საქართველოში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, 2018, 9; Consumer Vulnerability Across Key Markets in the European Union, London Economics, VVA Consulting and Ipsos Mori consortium, 2016, 73-74.

არა მხოლოდ სამართლიანი, არამედ უფრო ეფექტიანი და მდგრადი შედეგების მომტანი იქნება, როგორც მონყვლადი ჯგუფების ისე პროექტის განმახორციელებელი დეველოპერისთვის, რამდენადაც საზოგადოებაზე დაფუძნებული ინტერვენციების განვითარება ორიენტირებულია საერთო ძალაუფლებასა და ნამდვილ ინკლუზიაზე.

1.8. სარგებლის გაზიარების ინსტიტუციონალიზაცია: მიდგომა, გამაძლიერებლები და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობა

საქართველოში სარგებლის გაზიარების მექანიზმი არ არსებობს, თუნდაც სოციალური ზემოქმედების შეფასებისას ან კერძო საკუთრებაში არსებული მიწის გამოსყიდვისას, საკანონმდებლო მოთხოვნების და შესაბამისი კრიტერიუმების არარსებობის გამო. კანონმდებლობის არქონა გაურკვეველს ხდის და აფერხებს პასუხისმგებლობის გადანაწილებას სოციალურად მისაღები და ეკოლოგიურად სუფთა პროექტის გასახორციელებლად. არაკორდინირებული მუშაობა სამთავრობო უწყებებს შორის, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა მნიშვნელოვანია და საჭიროებს საკანონმდებლო მონესრიგებას, რომელიც შესაბამის კვლევებსა და რეკომენდაციებს უნდა ეფუძნებოდეს.⁷¹¹

სარგებლის გაზიარების მექანიზმის დანერგვისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პოლიტიკის არსებობა და სამართლებრივი მოთხოვნების ჩამოყალიბება, ასევე, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათთან კომუნიკაცია.⁷¹² ინსტიტუციური პასუხისმგებლობა და მთავრობის ჩართულობა როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე პროექტის განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, შესაბამისად, სარგებლის გაზიარების მექანიზმი უნდა ითვლისწინებდეს როგორც მათ მონაწილეობას, ისე როლსა და პასუხისმგებლობას შესაბამისი ქმედითი მექანიზმის დანერგვისთვის და პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად.⁷¹³ მექანიზმის დანერგვისას გასათვალისწინებელია გამოცდილება, იგი

⁷¹¹ Neupane J.L., Dynamics of Hydro-power Development in Nepal: Water-Energy-Food Security Prospect, Uppsala, 2022, 7.

⁷¹² Toledano P., Albin-Lackey Ch., Andres M. D., Brauch M.D., Community Benefit Sharing and Renewable Energy and Green Hydrogen Projects: Policy Guidance for Governments, Columbia Center on Sustainable Investment, A Joint Center of Columbia Law School and Columbia Climate School, 2023, 6.

⁷¹³ იქვე, 6-7.

უნდა იყოს ნეიტრალური და გამჭვირვალე.⁷¹⁴ სარგებლის გაზიარების მექანიზმები დაკავშირებულია მთელ რიგ საკითხებთან, გადანყვეტილების მიმღებთა და სამოქალაქო საზოგადოების ადრეულ მონაწილეობასთან, მთავრობის ჩართულობასა და დაზარალებულ თემებთან კონსულტაციებთან, რაც იწვევს ახალი პოლიტიკისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას. ასევე, გასათვალისწინებელია, მისი ინსტიტუციონალიზაცია ხომ არ ეწინააღმდეგება საქართველოს ვალდებულებას ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით.

სარგებლის გაზიარების მექანიზმის დანერგვისას უნდა განისაზღვროს პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოები. მისი განხორციელება შესაძლებელია დეველოპერისგან მთავრობისთვის გადახდილი გადასახადების მეშვეობით, რაც ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და ქმედითი საშუალებაა, ხოლო ზემოქმედების არეალის განსაზღვრა გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების ეტაპზე შესაძლებელი.⁷¹⁵ ევროკავშირის დირექტივების შესაბამისობის თვალსაზრისით, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, მიაღწიოს ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის სამიზნე მაჩვენებელს.⁷¹⁶ განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა ასახავს დაზოგვის მიზნების მისაღწევად განსახორციელებელ ღონისძიებებს, რომლებიც დაფუძნებულია თანასწორობაზე, სამართლიანობასა და უფლებების პერსპექტივაზე.⁷¹⁷

ენერგეტიკული გაერთიანების ერთ-ერთი მიზანია აღმოსავლეთ ევროპასა და შავი ზღვის რეგიონში შექმნას ინტეგრირებული პანევროპული ენერგეტიკული ბაზარი.⁷¹⁸ ენერგეტიკული თანამეგობრობის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული პოლიტიკის სახელმძღვანელო ხაზს უსვამს საჯარო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების მნიშვნელობას განახლებადი ენერჯის პროექტების განხორციელებისას, რათა თავიდან იქნეს აცილებული არაპროპორციული ზემოქმედება ელექტროენერჯის გაზრდილი წარმოების სარგებელთან დაკავშირებით.⁷¹⁹ ასევე, ის აუცილებელი მოთხოვნები, რომ-

⁷¹⁴ Community Engagement and Benefit Sharing in Renewable Energy Development, A Guide for Renewable Energy Developers, Melbourne, 2017, 9.

⁷¹⁵ Neupane J. L., Dynamics of Hydro-power Development in Nepal: Water-Energy-Food Security Prospect, Uppsala, 2022, 9, 41

⁷¹⁶ Georgia Annual Implementation Report, Energy Community Secretariat, 1 November 2023, 8.

⁷¹⁷ განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა, 2019, 22-23.

⁷¹⁸ Energy Community: Creating An Integrated Pan-European Energy Market, <[https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document/EPRS_BRI\(2024\)757637](https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document/EPRS_BRI(2024)757637)> [08.05.2024]

⁷¹⁹ Directive 2011/92/EU of the European Parliament and of the Council of 13 December 2011

ლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების ეფექტიანი და სათანადო ჩართულობის მიმართულებით; მოთხოვნები, თუ როგორ უნდა იყოს დაცული ადამიანის ჯანმრთელობა, მატერიალური ფასეულობები და კულტურული მემკვიდრეობა.⁷²⁰ მაგალითად, კონსულტაციების ვადები არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და საზოგადოებას უფლება აქვს გამოხატოს თავისი მოსაზრებები კომპეტენტური ორგანოს მიერ ზემოქმედების შეფასების შესახებ გადანყვეტილების მიღებამდე.⁷²¹

განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას ასახავს ევროკავშირის კანონმდებლობა სხვადასხვა დირექტივაში⁷²², რომლებიც შესაბამის გაიდლაინებშია მხარდაჭერილი⁷²³. არცერთი ეს დოკუმენტი არ შეიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს და მითითებებს სარგებლის გაზიარების მექანიზმზე. ევროკავშირის ერთადერთი დირექტივა, რომელშიც სარგებლის გაზიარება ცალსახადაა განსაზღვრული, არის „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ კონვენცია.⁷²⁴ ეს უკანასკნელი აღიარებს სამ ძირითად ამოცანას: ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, ბიოლოგიური რესურსების მდგრად გამოყენებას და გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებულ სარგებლის სამართლიან და თა-

on the Assessment of the Effects of Certain Public and Private Projects on the Environment; Directive 2001/42/EC of the European Parliament and of the Council on the Assessment of the Effects of Certain Plans and Programmes on the Environment.

⁷²⁰ იქვე.

⁷²¹ Regulatory Consultation A MENA-OECD Practitioners' Guide for Engaging Stakeholders in the Rule-Making Process, OECD, Paris, 2011, 39

⁷²² Directive 2001/42/EC of the European Parliament and of the Council of 27 June 2001 on the Assessment of the Effects of Certain Plans and Programmes on the Environment; Directive 2014/52/EU of the European Parliament and of the Council of 16 April 2014 amending Directive 2011/92/EU on the assessment of the effects of certain public and private projects on the environment; Directive 2000/60/EC of the European Parliament and of the Council Establishing a Framework for Community Action in the Field of Water Policy; Council Directive 92/43/EEC of 21 May 1992 on the Conservation of Natural Habitats and of Wild Fauna and Flora; Directive 2009/147/EC of the European Parliament and of the Council of 30 November 2009 on the conservation of wild birds.

⁷²³ Climate Change and Major Projects Outline of the Climate Change-related Requirements and Guidance for Major Projects in the 2014-2020 Programming Period Ensuring Resilience to the Adverse Impacts of Climate Change and Reducing the Emission of Greenhouse Gases, EU, 2016; Guidance Document on The Requirements for Hydropower in Relation to EU Nature Legislation, A Summary, EU, 2018.

⁷²⁴ Convention on Biological Diversity, June 1992; Nagoya Protocol on Access to Genetic Resources and the Fair and Equitable Sharing of Benefits Arising from their Utilization to the Convention on Biological Diversity, 29 October 2010, Art. 5(1)(3); Tsioumani E., Moving towards Fair and Equitable Benefit-sharing in Research and Development: The Nagoya Protocol on Access and Benefit-sharing to the Convention on Biological Diversity, BeneLex Blog, 2015.

ნასწორ განაწილებას.⁷²⁵ იგი აღიარებს, რომ სახელმწიფოს აქვს გენეტიკურ რესურსებზე⁷²⁶ სუვერენული უფლება მისი იურისდიქციის ფარგლებში და ამ უფლებებზე წვდომისთვის შეუძლია დაანესოს პირობები.⁷²⁷ კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ გენეტიკურ რესურსებზე წვდომას ეკოლოგიურად სუფთა გამოყენებისთვის. ევროკავშირის დირექტივებში განახლებადი ენერჯის პროექტებისთვის სარგებლის გაზიარების აშკარა მექანიზმების არარსებობა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორით. ევროკავშირი აერთიანებს წევრ სახელმწიფოებს სხვადასხვა ენერგეტიკული პოლიტიკით, სოციალურ-ეკონომიკური პირობებით და განსხვავებული მმართველობითი სტრუქტურებით, შესაბამისად, სარგებლის გაზიარების ერთიანი მექანიზმის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებდა თითოეული წევრი სახელმწიფოს სპეციფიკურ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს, რთულია, გარდა ამისა, წევრ ქვეყნებს შორის კონსენსუსის მიღწევა სარგებლის გაზიარების მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვის შესახებ შეიძლება იყოს რთული თანასწორობის, სამართლიანობისა და განახლებადი ენერჯის პროექტებთან დაკავშირებული ხარჯებისა და სარგებლის განაწილების შესახებ განსხვავებული მოსაზრებების გამო. განახლებადი ენერჯის განვითარების შესახებ ევროკავშირის დირექტივები ხშირად პრიორიტეტს გარემოს დაცვას, კლიმატის ცვლილების შერბილებას და დაბალ ნახშირბადის ეკონომიკაზე გადასვლას ანიჭებს.⁷²⁸ ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩო

⁷²⁵ The Convention on Biological Diversity, June 1992.

⁷²⁶ იქვე, Art. 2.

⁷²⁷ იხ., ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა მდ. აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის და ოპერირების პროექტი, ბათუმი, 2013.

⁷²⁸ Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the promotion of the use of energy from renewable sources (recast); Regulation (EU) 2018/1999 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Governance of the Energy Union and Climate Action, amending Regulations (EC) No 663/2009 and (EC) No 715/2009 of the European Parliament and of the Council, Directives 94/22/EC, 98/70/EC, 2009/31/EC, 2009/73/EC, 2010/31/EU, 2012/27/EU and 2013/30/EU of the European Parliament and of the Council, Council Directives 2009/119/EC and (EU) 2015/652 and repealing Regulation (EU) No 525/2013 of the European Parliament and of the Council (Text with EEA relevance.); Regulation (EU) 2022/869 of the European Parliament and of the Council of 30 May 2022 on guidelines for trans-European energy infrastructure, amending Regulations (EC) No 715/2009, (EU) 2019/942 and (EU) 2019/943 and Directives 2009/73/EC and (EU) 2019/944, and repealing Regulation (EU) No 347/2013; Directive (EU) 2023/1791 of the European Parliament and of the Council of 13 September 2023 on energy efficiency and amending Regulation (EU) 2023/955 (recast) (Text with EEA relevance); Commission Delegated Regulation (EU) 2022/2202 of 29 August 2022 supplementing Regulation (EU) 2021/1153 of the European Parliament and of

განახლებადი ენერჯის შესახებ კომპლექსური და რთულია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დირექტივას, რეგულაციას და გაიდლაინს. სარგებლის გაზიარების შესახებ დამატებითი დებულებების შემოღებამ შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს მარეგულირებელი კანონმდებლობა და შეაფერხოს განახლებადი ენერჯის პროექტების განხორციელება. გარდა ამისა, პოლიტიკის შემქმნელებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის შესაძლოა არ არის საკმარისი ინფორმირებულობა და სარგებლის გაზიარების მექანიზმის მნიშვნელობისა და სარგებლობის შესახებ ყოვლისმომცველი კვლევები, რაც დაარწმუნებს გადაწყვეტილებების მიმღებს განახლებადი ენერჯის პროექტის განხორციელებისთვის სარგებლის გაზიარების დადებით გავლენის შესახებ. ასევე, სარგებლის გაზიარების მექანიზმის დანერგვამ შეიძლება გამოიწვიოს პროექტის ხარჯების გაზრდა ან ინვესტორების მომგებიანობის შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა განახლებადი ენერჯის განვითარების ხელშეწყობაში სხვადასხვა დირექტივისა და რეგულაციის დანერგვით, როგორც ჩანს, არსებობს ხარვეზი სარგებლის გაზიარების მექანიზმის შემოღებასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოითხოვს პოლიტიკის შემქმნელების ერთობლივ ძალისხმევას, დაინტერესებული მხარეებისა და მკვლევარების ჩართულობით შემუშავდეს სარგებლის გაზიარების მექანიზმის ერთიანი მიდგომები, რომლებიც ეფექტურად დააბალანსებს პროექტის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს.

2010 წლის ნაგოიას პროტოკოლით, კონვენციამ შემოიღო სარგებლის გაზიარების კონცეფცია, წვდომა და სარგებლის გაზიარება.⁷²⁹ კონცეფცია ძალიან მსგავსია და შეესაბამება პრინციპებს, რაც გულისხმობს რესურსის გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლის სამართლიან გაზიარებას იმ პირების მიერ, ვინც იყენებს რესურსს, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ პირებს, რომლებიც კავშირში არიან რესურსის გამოყენებასთან.⁷³⁰

the Council by establishing a list of selected cross-border projects in the field of renewable energy (Text with EEA relevance).

⁷²⁹ Nagoya Protocol on Access to Genetic Resources and the Fair and Equitable Sharing of Benefits Arising from their Utilization to the Convention on Biological Diversity, Nagoya, 29 October 2010.

⁷³⁰ Medaglia J. C., Perron-Welch F., Phillips F.K., Overview of National and Regional Measures on Access and Benefit Sharing Challenges and Opportunities in Implementing the Nagoya Protocol, 3rd Ed., Montreal, 2014, 12.

ევროკავშირის 2000 წლის წყლის ჩარჩო დირექტივა მოიცავს წყლის ყველა კატეგორიას და ისახავს მკაფიო მიზნებს, კერძოდ, „კარგი სტატუსი“ მიღწეულ უნდა იქნეს 2015 წლისთვის, წყლის რესურსების გამოყენება მთელს ევროპაში უნდა იყოს რაციონალური; აღიარებს მდინარეთა აუზების დონეზე წყლის რესურსების მართვის განსახორციელებლად სააუზო მართვის გეგმის შემუშავებას.⁷³¹ წყლის რესურსების ჭარბი გამოყენება, დაბინძურება და კლიმატის ცვლილება მოითხოვს საზოგადოების ჩართულობას და ინტეგრირებული მენეჯმენტის მიდგომებს წყლის რესურსების ხელმისაწვდომობასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული სარგებლის გაზრდის და ხარჯების გაზიარების მიზნით.⁷³² დირექტივა ავალდებულებს მთავრობას, მოამზადოს ბუნებრივი რესურსების განვითარების სტრატეგიული გეგმები. მოთხოვნა განახლებადი ენერჯის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს პრინციპებსა და სტრატეგიებს, რაც დადგენილია ეროვნული პოლიტიკის 10 წლიან გეგმაში, რაც ჰარმონიზაციაში უნდა მოდიოდეს მოქმედ დირექტივებთან.

ენერჯეტიკის სექტორი არ არის მხოლოდ დარგი, რომელიც ქმნის კონტრიბუციას ეკონომიკაში⁷³³ – ეს არის უმნიშვნელოვანესი მიმართულება, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის და უსაფრთხოების მყარი საფუძველი⁷³⁴. მიმდინარე ომმა და კრიზისმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ენერგოსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის საჭიროება. საქართველოს აქვს განახლებადი ენერჯის, განსაკუთრებით, ჰიდროენერჯის დიდი რესურსი, რასაც სჭირდება მაქსიმალურად გონივრული გამოყენება და ათვისება. განახლებადი ენერჯეტიკა ყველაზე დიდი პოტენციალის და პერსპექტივის მქონეა⁷³⁵ და შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მთავარი პრიორიტეტი ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და ამ მიმართულების ნახალისებაა.⁷³⁶ ბოლო წლებში საქა-

⁷³¹ Directive 2000/60/EC of the European Parliament and of the Council of 23 October 2000 Establishing a Framework for Community Action in the Field of Water Policy.

⁷³² იქვე.

⁷³³ Hasanul B., Alam A., Chen X. H., Alam A. W., Energy security and economic stability: The role of inflation and war, Energy Economics, Vol. 126, 2023, 106949. <https://doi.org/10.1016/j.eneco.2023.106949>

⁷³⁴ Le T.-H., Nguyen C. P., Is energy security a driver for economic growth? Evidence from a global sample, Energy Policy, Vol. 129, 2019, 436. <https://doi.org/10.1016/j.enpol.2019.02.038>

⁷³⁵ საქართველოს ენერგოდამოუკიდებულების მიმოხილვა, USAID Economic Governance Program, 2023, 22.

⁷³⁶ სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, 2020, 29-30.

რთველოში ბევრი პრობლემური – შეჩერებული, შეწყვეტილი, ვერდანყებული თუ დაუმთავრებელი ჰიდროენერგოპროექტია. ამის მაგალითებია: ნამახვანი, ნენსკრა, ხუდონი, ვერ განხორციელებული პროექტები დარიალისა და პანკისის ხეობებში, სვანეთში, რაჭასა და აჭარაში.⁷³⁷ პროექტებს წინააღმდეგობა და პრობლემები ხვდება ყველა ეტაპზე, როგორც ადრეულ მოსამზადებელ, ისე მოსამზადებელ და მშენებლობის სტადიებზე. სამწუხაროდ, ხშირია ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი პროექტის წინააღმდეგ, რაც შემთხვევათა უმეტესობაში მის შეჩერებას იწვევს. 2013-2022 წლებში საქართველოში 50 ჰიდროელექტროსადგური შევიდა ექსპლუატაციაში. ექსპლუატაციაში შესული ჰესების ჯამური დადგმული სიმძლავრე 723 მეგავატია, ხოლო ჯამური ინვესტიცია – 1.4 მილიარდი დოლარი.⁷³⁸ სტატისტიკა აჩვენებს, რომ რაოდენობრივად ყველაზე ნაყოფიერი 2018 წელი იყო, როცა 8 ჰესი ამუშავდა. ბოლო 5 წელი თითქმის გაჩერებულია ამ დარგში ინვესტიციები⁷³⁹, მაშინ, როდესაც განუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნა ენერჯიაზე და ჩვენი ყოველდღიურობა წარმოუდგენელია ელექტრონული მოწყობილობების, ინტერნეტის თუ კომფორტულად მოწყობილი საცხოვრისების გარეშე, რომელთა ფუქციონირებისათვის საჭიროა ენერჯია.

მნიშვნელოვანია, საქართველოს ელექტროენერჯიის შესაბამისი გამო-მუშავება ჰქონდეს, მაქსიმალურად ითვისებდეს განახლებადი ენერჯიის წყაროებს, მათ შორის, ქარის, მზის ენერჯიის პოტენციალს. სამწუხაროდ, ეკონომიკის ზრდა წინ უსწრებს გენერაციის გამომუშავებას⁷⁴⁰, შესაბამისად, აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა განახლებადი ენერჯიის წყაროების განვითარების მიზნით, რაც, თავის მხრივ, მეტ შესაძლებლობას შეუქ-

⁷³⁷ პანკისში ჰესის მშენებლობის გამო დაპირისპირებისას დაიჭრა 3, გარდაიცვალა 1 ადამიანი <<https://tabula.ge/ge/news/635604-pankishi-hesis-msheneblobis-gamo>> [12.05.2024]; მოსახლეობა დარიალის ხეობაში ჰესების მშენებლობას აპროტესტებს <<https://www.interpressnews.ge/ka/article/246709-mosaxleoba-darialis-xeobashi-hesebis-msheneblobas-aprotesteb/>> [12.05.2024]; პროტესტი ნენსკრას წინააღმდეგ – ჰესის პროექტი ბანკებიდან დაფინანსების მიღების მოლოდინშია <<https://netgazeti.ge/news/239306/>> [12.05.2024]. ხუდონჰესის მონინააღმდეგეების აქცია–მსვლელობა კანცელარიიდან პრემიერის ბიზნეს-ცენტრამდე <<https://netgazeti.ge/news/26390/>> [25.05.2024].

⁷³⁸ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით იხ., <<https://bm.ge/news/ramdeni-hidroeletqtrosadguriamushavda-2013-2022-wlebshi/121421>> [12.11.2023]

⁷³⁹ იქვე.

⁷⁴⁰ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის ანგარიში, <https://garibashvili.ge/ka/n/all/2022_tslis_angarishi_> [12.11.2023]

მნის სხვა დარგებების განვითარებას. დღეის მდგომარეობით, ეკონომიკის ზრდის პარალელურად, ელექტროენერჯის მოხმარება იზრდება და ზამთრის სეზონზე აუცილებელი ხდება სხვა ქვეყნებიდან იმპორტირება.⁷⁴¹ საქართველოს ენერჯეტიკა ეროვნული ეკონომიკის საყრდენია. ამჟამად ადგილობრივი მოხმარება უტოლდება 2 200 მეგავატს, აქედან მხოლოდ 1 600 მეგავატი გენერირდება, დანარჩენი იმპორტირებული ელექტროენერჯია.⁷⁴² მნიშვნელოვანია, რომ ის პოტენციალი, რაც ქვეყანას აქვს, მაქსიმალურად იქნეს ათვისებული და იმპორტიორებიდან საქართველო ექსპორტიორად იქცეს. განაწილებითი სამართლიანობის შეფასება მნიშვნელოვანია ისეთი რესურსის სამართლიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, როგორცაა, ელექტროენერჯია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქართველო მიზნად ისახავს გამოიყენოს თავისი პოტენციალი და გახდეს განახლებადი ენერჯის წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერჯის ექსპორტიორი. ენერჯეტიკის სექტორში შესაბამისი რეგულაციების არსებობა და მკაფიო ენერგოპოლიტიკა ხელს შეუწყობს ელექტროენერჯის განაწილების გამჭვირვალობას. საქართველოს ტრანსფორმაცია იმპორტიორებიდან განახლებადი ენერჯის წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერჯის ექსპორტიორად მნიშვნელოვანია ერთიანი ენერგოსექტორისთვის. ქვეყანა მიისწრაფვის ენერგოდამოუკიდებლობისკენ საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდით და ამისათვის აუცილებელია ამ ძალისხმევის შესაბამისობა სამართლებრივ გარემოსთან, მისი სწორი მართვა, რომელიც მიმართული იქნება ენერგოდამოუკიდებლობისკენ, განავითარებს ქვეყნის ეკონომიკას და ხელს შეუწყობს რესურსების მაქსიმალურად თანაბარ განაწილებას მოქალაქეებს შორის. წინსვლისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ენერჯეტიკული პოტენციალის ათვისებას მდგრადი განვითარების გზით მთავრობის, მარეგულირებელ ორგანოებისა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ერთობლივი ძალისხმევით, ეფექტიანი ენერჯეტიკული გარემოს შექმნით, რაც სარგებელს მოუტანს როგორც ქვეყანას, ასევე მის მოსახლეობას.

⁷⁴¹ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, 2023, 24.

⁷⁴² ინტერვიუ მაია მელიქიძესთან, „ეს წელი უნდა დავუთმოთ იმას, რომ გამოწვევა შესაძლებლობად ვაქციოთ“, 2023 <<https://bm.ge/news/quotes-weli-unda-davutmot-imas-rom-gamowveva-shesadzleblobad-vaqciotquot---maia-meliqidze-energoseqtorze/127298>> [12.11.2023] ბოჭორიშვილი ე., ჩახვაშვილი მ., ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა, 2022 წლის 10 თვის შეჯამება, გალტ & თავარტი, 2022.

1.9. განახლებადი ენერჯის პროექტების ზემოქმედების არეალში მცხოვრები ადგილობრივ თემებთან გრძელვადიანი სარგებლის განაწილების შესახებ საქართველოს კანონის აუცილებლობა

სარგებლის განაწილების მექანიზმი შესაძლოა თითოეული, უფრო ხშირად დიდი პროექტისთვის ინდივიდუალური იყოს ან/და ყველა პროექტისთვის ერთიანი, სტანდარტული მიდგომა არსებობდეს. მნიშვნელოვანია, სარგებლის განაწილების მექანიზმი ხორციელდებოდეს მუნიციპალურ ხელმძღვანელობის მიერ ან მისი ჩართულობით, იმ მუნიციპალიტეტში, სადაც პროექტის მიერ გადახდილი გადასახადების ნაწილი მოხმარდება პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ თემების ინფრასტრუქტურული და სხვა პრობლემების მოგვარებას. ამასთან, მუნიციპალიტეტებმა უნდა აიღონ პასუხისმგებლობა სოციალური პრობლემების მოგვარებასა და პროექტის უწყვეტად განხორციელებაზე. ზემოქმედებაში მყოფი პირების აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვანია არა მარტო კვლევების ჩატარების, არამედ თავად მექანიზმის შემუშავების ეტაპზე, რათა მაქსიმალურად გაანალიზდეს მოსახლეობის საჭიროებები და გათვალისწინებულ იქნეს მათი ინტერესები. ეკონომიკური და სოციალური სარგებლის განაწილების ძირითადი პრიციპების შემუშავებისთვის პროექტის განმახორციელებლებთან კონსულტაციებს პოზიტიური გავლენა ექნება, ხოლო მექანიზმის იმპლემენტაციის შემდეგ ეტაპებს ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს. მთავრობის და დეველოპერის ერთობლივი ჩართულობის შედეგად დაინერგება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული მექანიზმი.

საქართველოს კანონმდებლობით, პროექტის გარემოზე ზემოქმედება გათვალისწინებულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით.⁷⁴³ განახლებადი ენერჯის პროექტის განხორციელებისას ძირითად პრობლემას ინვესტორი მოსახლეობასთან კომუნიკაციის დროს აწყდება და ამის გაუმჯობესება არის მთავარი გამოწვევა და ამოცანაც. მოსახლეობის მხრიდან პროექტის დაყოვნება ზრდის პროექტის ინვესტიციას და საოპერაციო ხარჯებს. სარგებლის განაწილება არის სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივა, რამდენადაც ელექტროენერჯის წარმოების ზრდა სარგებელს მოუტანს სახელმწიფოს და თითოეული სადგური საკუთარ წვლილს შეიტანს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცებაში. პროექტის პოზიტიური ზემოქმედება და სარგებელი

⁷⁴³ A Guide to Benefit Sharing Options for Renewable Energy Projects, Clean Energy Council, 2019, 11.

ასევე მოიცავს და არ შემოიფარგლება მშენებლობის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებით, ადგილობრივ ბიუჯეტში გადასახადების გადახდით, სოციალური პროექტების განხორციელებით. შესაბამისად, განახლებადი ენერჯის პროექტის განხორციელებით ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება, გაიზიაროს პროექტის მიერ წარმოქმნილი სარგებელი. ეს არის პროექტის განხორციელებით შეთავაზებული სარგებელი, რომლის საშუალებითაც სოფელი და მოსახლეობა ისარგებლებს გაზრდილი ეკონომიკური შესაძლებლობებით, რითაც გააძლიერებს საკუთარ და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობას. საქართველოს კონსტიტუცია პიროვნების თავისუფალ განვითარებას უზრუნველყოფს და იცავს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ნორმებით.⁷⁴⁴ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ადამიანის უფლებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც გულისხმობს ინდივიდის შესაძლებლობას, განავითაროს საკუთარი პიროვნება თავისუფლად და დამოუკიდებლად.⁷⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და აღნიშნა, რომ იგი მოიცავს ადამიანის პირადი და პროფესიული არჩევანის თავისუფლებას, განათლებისა და სამუშაოს არჩევანის თავისუფლებას და სხვა უფლებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინდივიდის თავისუფალ და სრულყოფილ განვითარებას.⁷⁴⁶ სასამართლომ შეფასებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს განათლების მიღების უფლებას, რომელიც აუცილებელია ინდივიდის სრულფასოვანი განვითარებისთვის. სოციალური უფლებები მოიცავს ისეთ უფლებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის სოციალურ კეთილდღეობას, როგორცაა, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, დასაქმება, სოციალური უსაფრთხოება და სხვ.⁷⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ

⁷⁴⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი.

⁷⁴⁵ გოცირიძე ე., მუხლი 16. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, 88.

⁷⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელი-ლიპილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N3/14/1687 განჩინება საქმეზე „გიორგი მიქელაძე საქართველოს პარლამენტის და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წინააღმდეგ“, II-5.

⁷⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 10 ნოემბრის №2/7/1528 გადაწყვეტილება საქმეზე „ეკატერინე ფიფია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“, II-2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №2/1/524 გადაწყვეტილება

როტლომ დაადგინა, რომ შრომის უფლება და დასაქმების პირობები უნდა იყოს დაცული და გათვალისწინებული სახელმწიფო ორგანოების მიერ.⁷⁴⁸

საქართველოს კანონმდებლობით, გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზმ) აუცილებელია ნებისმიერი პროექტის დაწყებამდე, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.⁷⁴⁹ განახლებადი ენერჯის პროექტები, ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. განახლებადი ენერჯის პროექტების განხორციელებისას ხშირად ჩნდება კომუნიკაციის პრობლემები ინვესტორებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. გაუმჯობესებული კომუნიკაცია უზრუნველყოფს პროექტის წარმატებულ განხორციელებას და ამცირებს ინვესტიციისა და საოპერაციო ხარჯებს, ასევე, პროექტის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს სრულ და გამჭვირვალე ინფორმაციის მიწოდებას მოსახლეობისთვის, რაც განაპირობებს მოსახლეობის ჩართულობას პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. დანიაში განახლებადი ენერჯის პროექტების განხორციელებისას ინვესტორები ვალდებული არიან უზრუნველყონ მოსახლეობის მონაწილეობა და სარგებლის განაწილება,⁷⁵⁰ ასევე გერმანიაში წარმატებით მოქმედებს სქემა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა იღებს პირდაპირ ფინანსურ სარგებელს განახლებადი ენერჯის პროექტებიდან.⁷⁵¹ განახლებადი ენერჯის პროექტით შესაძლებელია მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილება ადგილობრივ მოსახლეობას შორის, დასაქმების და სოციალური პროექტების განხორციელება. განახლებადი ენერჯის პროექტების წარმატებით განხორციელება მოითხოვს ადამიანის უფლებების დაცვასა და სოციალურ პასუხისმგებლობას. პიროვნების თავისუფ-

საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

⁷⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე, „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-64; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით,

⁷⁴⁹ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, კოდექსის დანართი I.

⁷⁵⁰ Denmark – Energy Communities, Background Information <<https://pub.norden.org/nordicenergyresearch2023-03/denmark.html>> [07,06,2024].

⁷⁵¹ Radtke J., Wurster S., Multilevel Governance of Energy Transitions in Europe: Addressing Wicked Problems of Coordination, Justice, and Power in Energy Policy, Die Zeitschrift für Politikwissenschaft (ZPol) – Journal of Political Science, Vol. 33, No. 2, 2023, 150-151.

ფალი განვითარების უფლება და სოციალური უფლებები მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან და სარგებლის სამართლიან განაწილებასთან. ეს უზრუნველყოფს მოსახლეობის კეთილდღეობას და ხელს უწყობს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცებას. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მშენებლობის დაწყების დღიდან კომპანია ზრუნავს სოფლის გაძლიერებასა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზე, რაც, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ასევე გამოიხატება ისეთი სოციალური პროექტების განხორციელებაში, როგორც არის, სოფლის წყლის სისტემის მშენებლობა, რეზერვუარის დამონტაჟება და არსებული ელექტრო ხაზების და ბოძების ახლებით შეცვლა. შესაბამისად, რეკომენდებულია მოსახლეობის გრძელვადიანი ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, შექმნის ენერგეტიკის დარგში მეტად პროგნოზირებად და სტაბილურ საინვესტიციო გარემოს. სარგებლის გაზიარების მექანიზმის დაწესებამ საქართველოში უნდა უზრუნველყოს ენერგეტიკის სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებს. სახელმწიფოს მხრიდან თანმიმდევრული პოლიტიკა, სექტორის მხარდაჭერა და შესაბამისი რეფორმების გატარება ევროკავშირთან ასოცირების და ენერგეტიკული გაერთიანების აუცილებელი წინაპირობაა⁷⁵², რაც, თავის მხრივ, პროგნოზირებად გახდის საქართველოში ენერგეტიკის სფეროში საინვესტიციო გარემოს და ხელს შეუწყობს მიმდინარე და ახალი პროექტების რეალიზებას.

თითოეული სადგურის მშენებლობა ძალზედ მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სექტორის შემდგომი განვითარებისთვის, რათა შემცირდეს იმპორტდამოკიდებულება და გაიზარდოს ენერგოუსაფრთხოების ხარისხი. განახლებადი ენერჯის მხარდაჭერით შესაძლებელია უფრო მეტი ენერგეტიკული რესურსების ათვისება, რაც გააძლიერებს საქართველოს, ასევე რეგიონის და ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას⁷⁵³. განახლებადი ენერჯის სადგურების მიერ გადახდილი ქონების გადასახადის ნაწილის სადგურების ზემოქმედების არეალში გადანაწილებასა და შესაბამისად ადგილობრივი თემებისთვის სარგებლის

⁷⁵² იხ., ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014, თავი 11, 231-ე მუხლი, 252-ე მუხლი, 297 -300 მუხლები, შეთანხმების XXV დანართი.

⁷⁵³ იხ., საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, <<https://mfa.gov.ge/ka/national-security-concept>> [13.05.2024]; Tskhovrebadze T., Transnational Security of South Caucasus, Journal of Social Sciences, Vol. 4, No. 2, 2015, 44; Pignatti N., Energy Security Challenges and Opportunities for the Country of Georgia, Comparative Southeast European Studies, Vol. 71, No. 1, 2023, 126.

განაწილების მდგრადი მექანიზმის შექმნა განახლებადი ენერჯის ახალი პროექტების წარმატების წინაპირობაა, რაც გააჩენს ინტერესს მოსახლეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობაში. მოსახლეობის ინტერესის პარალელურად, აუცილებელია ენერგეტიკული პროექტები შეუფერხებლად განხორციელდეს. ადგილობრივ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს განცდა და რწმენა, რომ ეს არის სახელმწიფოებრივი, ეროვნული პროექტი, რომელიც კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური სიკეთის მომტანია. ადგილობრივ მოსახლეობაში ნდობის გაჩენისთვის საჭიროა ამ პროცესებში იმ ადამიანების მონაწილეობა, ვინც მოსახლეობაში ავტორიტეტით სარგებლობს. მოსახლეობამ უნდა იგრძნოს და ირწმუნოს, რომ ეს პროექტები მათთვის კეთდება.

სარგებლის განაწილების ეფექტიანი მოდელის დანერგვისა და განხორციელებისათვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები. კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სარგებელის მიღება ვრცელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განსაზღვრულ, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ მოსახლეობაზე. ამისთვის ანგარიშში პროექტის დეველოპერი კომპანიის მიერ განსაზღვრული უნდა იყოს ზემოქმედების არეალში მოქცეული სოფლები და თემები. იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა ანგარიშის მომზადებას არ ითვალისწინებს (500 კვტ-2 მგვტ დადგმული სიმძლავრის მქონე სადგურები), ზემოქმედების არეალად ჩაითვლება სადგურის ინფრასტრუქტურული ნაგებობების მიმდებარე ტერიტორია. ხოლო, თუ პროექტის ზემოქმედების არეალი, ანგარიშის მიხედვით, დასახლებული არ არის, ქონების გადასახადი მთლიანად მუნიციპალიტეტს მოხმარდება. ზემოქმედების არეალში გადასანაწილებელი თანხები დაანგარიშდება სადგურების სიმძლავრის მიხედვით და მოხმარდება მოსახლეობის საჭიროებებს მათივე განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად სოციალურ პროექტებს (განათლება, ჯანდაცვა, სპორტი, ტურიზმი და სხვა), ინფრასტრუქტურას ან ეკოლოგიას (გამწვანება, ნარჩენების მართვა და სხვ.).

სადგურების კატეგორიზაცია შესაძლებელია ორი კრიტერიუმით: ექსპლუატაციაში შესვლის დრო და სიმძლავრე. განსხვავებული მიდგომა არის შემოთავაზებული 2010 წლიდან ექსპლუატაციაში შესული სადგურებისთვის („ძველი სადგურები“) და კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ექსპლუატაციაში შესული სადგურებისთვის. ქონების გადასახადის წილის განსასაზღვრად, გათვალისწინებული იქნება კონკრეტული სადგურის სიმძლავრე, რისთვისაც შემოთავაზებულია შემდეგი დაყოფა: 500 კვტ – 15 მგვტ („მცირე სადგური“)

16 მგვტ – 50 მგვტ („საშუალო სადგური“) 51 მგვტ და ზემოთ („დიდი სადგური“). მიზანშეწონილია, რეგულირება გავრცელდეს განახლებადი ენერჯის ყველა სადგურზე, რომელიც ექსპლუატაციაში 2010 წლიდან შევიდა. სწორედ 2010 წლიდან კანონი ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებას.⁷⁵⁴ კანონის მოქმედება მიზანშეწონილია გავრცელდეს 500 კვტ-ს ზემოთ დადგმული სიმძლავრის მქონე განახლებადი ენერჯის ნებისმიერი ტიპის სადგურზე: ჰიდრო, მზის, ქარის, ბიომასისა და სხვა. განახლებადი ენერჯის თითოეულ სადგურზე განისაზღვრება კანონის ძალაში შესვლიდან სადგურის ექსპლუატაციის ვადის დასრულებამდე.

მიზანშეწონილია, კონკრეტული პროექტიდან გადახდილი ქონების და მიწის გადასახადის ნაწილი მოხმარდეს ზეგავლენის არეალში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებს. სარგებლის ვერტიკალური განაწილების დროს სახსრები მიმართულია ცენტრალურ, სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც შემდეგ ნაწილდება წინასწარ განსაზღვრული პირობებით, მათ შორის, ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ხოლო ჰორიზონტალური სარგებლის განაწილების შემთხვევაში სახსრები ნაწილდება პირდაპირ მოსახლეობაში წინასწარ განსაზღვრული პირობებით.⁷⁵⁵ ენერგეტიკული პროექტიდან ქონებისა და მიწის გადასახადის ნაწილის უშუალოდ პროექტის ზემოქმედების არეალში, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის მიმართვა ეფექტიანი გზაა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოებამ უშუალოდ ისარგებლოს განვითარებით, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ სარგებლის ჰორიზონტალურ განაწილებად და შეუძლია იმ სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრა, რომელთა წინაშეც დგას ენერგეტიკული პროექტების ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემები. ხშირ შემთხვევაში ესაა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება ან გაუმჯობესება, როგორცაა, გზები, სკოლები, ჯანდაცვის ობიექტები, საზოგადოებრივი ცენტრები, რომლებიც აუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს და ხელს უწყობს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას. არანაკლებ მნიშვნელოვანია გარემოს დაცვა და აღდგენა (მაგალითად, ტყეების აღდგენა, წყალგამყოფის მართვა და ჰაბიტატის აღდგენა). პროექტის განვითარებას თან ახლავს პროფესიული სწავლებისა და სამუშაოზე დასაქმების შესაძლებლობა, დაეხმაროს

⁷⁵⁴ საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2010 წლის 28 ოქტომბრის N3780-III საქართველოს კანონი. (ძალადაკარგულია – 01.06.2017, №890).

⁷⁵⁵ Thuy P. T., Brockhaus M., Wong G., Dung L. N., Tjajadi J. S., Loft L., Luttrell C., Assembe S., *Approaches to Benefit Sharing*, Center for International Forestry Research, 2013, 13-14.

ადგილობრივ მოსახლეობას, მონაწილეობა მიიღოს ენერგეტიკული პროექტში და შეიძინოს აუცილებელი და საჭირო უნარ-ჩვევები პროფესიული თვალსაზრისით, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ გაძლიერებას და ამცირებს გარე სამუშაო ძალაზე დამოკიდებულებას.

აუცილებელი პირობაა, მოსახლეობას საშუალება მიეცეს, მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გაანალიზოს რესურსები მისი პრიორიტეტების მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს პროექტის შემქმნელებს შორის ანგარიშვალდებულების გრძნობის გაჩენას. ამასთან, მნიშვნელოვანია სოციალური პროგრამები, რაც შეიძლება იყოს ფინანსური დახმარება ან სუბსიდიები მონყვლადი მოსახლეობისთვის, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის, მოხუცების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ენერგეტიკული პროექტის სარგებელი მაქსიმალურად თანაბრად განაწილდეს საზოგადოებაში. ჰორიზონტალური სარგებლის განაწილების მექანიზმების დანერგვით, მთავრობებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ განახლებადი ენერჯის პროექტების შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა მოგებამ პირდაპირი გავლენა მოახდინოს მასპინძელი თემების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეს არა მხოლოდ ხელს შეუწყობს უფრო მეტ სოციალურ ერთიანობას, არამედ გააძლიერებს ენერგეტიკის განვითარების ინიციატივების საერთო მდგრადობას და მიმღებლობას.

რეკომენდებულია, შემოღებულ იქნეს ჰორიზონტალური სარგებლის განაწილება⁷⁵⁶, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობით ქონების და მიწის გადასახადი ადგილობრივი გადასახადია⁷⁵⁷. რეგულაციებმა უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე ორიენტირებული მკაფიო ინსტრუქციები, პასუხისმგებლობა და გამჭვირვალობა პროექტის განვითარების ყველა ეტაპისთვის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზების ჩათვლით. როლები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი ყველა ეტაპზე, – მემორანდუმის ხელმოწერიდან მათ შორის, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც. გასათვალისწინებელია რისკი სხვა საინვესტიციო პროექტების განხორციელების დროსაც. შესაძლებელია მოსახლეობის მხრიდან დადგეს იგივე პრობლემა და მოითხოვონ იგივე მიდგომა, რაც განახლებადი ენერჯის პროექტის დროს. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის რეგულირება აუცილებელი წინაპირობაა, როგორც პროექტის განვითარე-

⁷⁵⁶ Thuy P. T., Brockhaus M., Wong G., Dung L. N., Tjajadi J. S., Loft L., Luttrell C., Assembe S., *Approaches to Benefit Sharing*, Center for International Forestry Research, 2013, 13-14.

⁷⁵⁷ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-200 მუხლი.

ბის ნაწილი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ჩართულობის მეთოდთან და არა მხოლოდ ინფორმაციის გაზიარებასთან დაკავშირებით, პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა უნდა მოწესრიგდეს ისე, რომ ეს იყოს მონიტორინგის პროცესის ნაწილი.

1.10. ინვესტიციების დაცულობის სამართლებრივი გარანტიები ენერგეტიკის მიმართულებით

1.10.1. ინვესტიციების მნიშვნელობა განახლებადი ენერჯის პროექტებში

მიკრო თუ მცირე მენარმე ასევე, მსხვილი კომერციული სექტორი საჭიროებს ელექტროენერჯიას მისი ფუქციონირებისათვის და სახელმწიფო, თავის მხრივ, ვალდებულია მომხმარებელი უზრუნველყოს სტაბილური და უწყვეტი ენერჯით.⁷⁵⁸ განახლებად ენერჯიებს შორის ჰიდროენერჯია ყველაზე კარგად შესწავლილი და განვითარებულია,⁷⁵⁹ საქართველოს სინამდვილისთვის ჰიდროსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერჯის ფასი, ყველა სხვა ელექტროსადგურში გამომუშავებული ენერჯიასთან შედარებით, გაცილებით დაბალია.⁷⁶⁰ ჰიდროენერჯეტიკის განვითარება მხარდაჭერილია ევროპის განვითარებულ ქვეყნებში (ავსტრია, ნორვეგია, იტალია, ფინეთი და ა.შ.) და ცალსახაა, რომ მას ალტერნატივა არ გააჩნია.⁷⁶¹ სწორედ მათი ათვისება და განვითარებაა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და ქვეყნის განვითარების პოლიტიკის ნაწილი.⁷⁶² ამას მოწმობს აშშ-ის ენერგოპოლიტიკის დოკუმენტები⁷⁶³ და ევროკავშირის დამოკიდებულება ენერგოუსაფრთხოების მიმართ⁷⁶⁴. ცნობი-

⁷⁵⁸ ნარმანია დ., ჩომახიძე დ., საქართველოს ელექტრობალანსი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ნლებში (1989-2019), ჟურნ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N9, 2020, 7.

⁷⁵⁹ Blog: Hydropower growth and development through the decades, <<https://www.hydropower.org/blog/blog-hydropower-growth-and-development-through-the-decades>> [14.01.2024]; Hydropower Program: The History of Hydropower Development in the United States, <<https://www.usbr.gov/power/edu/history.html>> [14.01.2024]

⁷⁶⁰ Dudley D., Renewable Energy Costs Take Another Tumble, Making Fossil Fuels Look More Expensive Than Ever, <<https://www.forbes.com/sites/dominicdudley/2019/05/29/renewable-energy-costs-tumble/?sh=cee0ab6e8cea>> [14.01.2024]

⁷⁶¹ 2020 Hydropower Status Report (PPT), <<https://www.hydropower.org/publications/2020-hydropower-status-report-ppt>> [14.01.2024]

⁷⁶² McDade S., Takada M., Porcaro J., Putting Development First: The Role of Renewable Energy in Achieving the Millennium Development Goals, in: Renewable Energy, A Global Review of Technologies, Policies and Markets, Edited by D. Aßmann, U. Laumanns and D. Uh, London, 2006, 225.

⁷⁶³ Annual Energy Outlook 2021 with projections to 2050, U.S. Energy Information Administration, U.S. Department of Energy, 2021, 14.

⁷⁶⁴ Energy as a Tool of Foreign Policy of Authoritarian States, in Particular Russia, Policy

ლია რუსეთის უარყოფითი როლი და მცდელობა, ხელი შეუშალოს და მაქსიმალურად ენერგოდამოკიდებული გახადოს ქვეყნები, რათა არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური სარგებელი მიიღოს და გაზარდოს პოლიტიკური გავლენა როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ისე ევროპაში.⁷⁶⁵ საქართველოც არ არის გამონაკლისი ამ ბრძოლაში და ამკარაა, რომ რუსეთი ცდილობს გავლენის მოპოვებას და ქვეყნის დღის წესრიგის შეცვლას. რუსეთმა კარგად იცის საქართველოს პოტენციალი ჰიდრორესურსებთან დაკავშირებით და სწორად აფასებს, თუ როგორ შეუძლია ჰიდროენერგეტიკის განვითარებამ შეცვალოს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკა, არამედ მისი ენერგოუსაფრთხოება. ბუნებრივია, ამით საქართველოს როლი კიდევ უფრო გაიზრდება არა მარტო რეგიონში, არამედ ევროპის მასშტაბითაც.

ჰიდრორესურსების ათვისება, რა თქმა უნდა, არათუ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს და სწორედ რომ განახლებადი ენერჯის სხვა წყაროების (მზე, ქარი) განვითარებისა და ქსელში ინტეგრირების წინაპირობაა, ასევე ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყანაში წყაროების დივერსიფიკაციის კუთხით და ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით.⁷⁶⁶ ამასთან, საერთაშორისო სააგენტოები და საფინანსო ორგანიზაციები ჰესების მომხრეებად რჩებიან.⁷⁶⁷ ენერგეტიკული უსაფრთხოება აქტუალური საკითხია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში და მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა და მაქსიმალური ინფორმირებულება ამ მიმართულებით. ხშირ შემთხვევაში სწორედ ინფორმაციის ნაკლებობა, არასწორი ინფორმაციის გავრცელება ან კონფედენციალური ინფორმაციის შემცველი ხელშეკრულებების არსებობაა პრობლემა, ვინაიდან ეს ყოველივე ადამიანებით მანიპულირების საშუალებებად გამოიყენება.⁷⁶⁸

Department for External Relations Directorate General for External Policies of the Union, 2018, 9, 31-32.

⁷⁶⁵ Pierini M., *Russia's Energy Politics and Its Relevance for the European Union*, IEMed Mediterranean Yearbook, 2019, 301-305; Dupuy A.C., Nussbaum D., Butrimas V., Granitsas A., *Energy Security in the Era of Hybrid Warfare*, <<https://www.nato.int/docu/review/articles/2021/01/13/energy-security-in-the-era-of-hybrid-warfare/index.html?fbclid=IwAR2C-CktKTKTEPEm0Kkwp-tFbwIJYZIPNxnWoCWqxSsQRYfO9WUL44i8R68c>> [14.01.2024]

⁷⁶⁶ *Learning from the Blackouts*, The International Energy Agency, 2005, 37-38.

⁷⁶⁷ *Renewable Energy in Europe, Markets, Trends and Technologies*, 2nd Ed., European Renewable Energy Council (EREC), London, Washington DC, 2010, 179.

⁷⁶⁸ ერთ-ერთი ბოლო ხელშეკრულება იყო მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულება (ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის დეტალური დიზაინი, მშენებლობა, გამოცდა, ექსპლუატაციაში მიღება, ფლობა, ოპერირება და მოვლა), რომელიც დადებულია 2019 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავრობას, წარმოდგე-

2018 წლის 4 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც ადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძვლებს.⁷⁶⁹ ამ კანონის ფარგლებში დადებული ხელშეკრულება უნდა ეფუძნებოდეს საჯაროობის, მკაფიო წესების განსაზღვრის, თავისუფალი კონკურენციის არსებობის და დისკრიმინაციის აკრძალვის, ასევე, გარემოს დაცვისა და სოციალური მდგრადობის პრინციპებს.⁷⁷⁰ ამასთან, კანონი უშვებს გამონაკლისს, – პირდაპირი მოლაპარაკების გზით კერძო პარტნიორის შერჩევის შესაძლებლობას მხოლოდ ენერგეტიკის სექტორში,⁷⁷¹ რაც უდავოდ მეტყველებს ამ დარგის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და არსებულ თავი-

ნილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“, სს „ნამახვანს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ შორის, რომელსაც წინ უძღოდა სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ მიერ 2015 წლის 24 დეკემბერს გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვა ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობაზე. პროექტი მოიცავდა ორ სადგურს, ჯამში, 433 მეგავატი დადგმული სიმძლავრით და განხორციელების მოდელით (“BOO”) „მშენებლობა-ფლობა-ოპერირება“, ხოლო განხორციელების არეალია მდ. რიონზე, წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, ლაჯანურისა და გუმათის არსებულ ჰიდროელექტროსადგურებს შორის. პროექტის სიახლოვეს მდებარე მთავარი ქალაქი არის ქუთაისი, რომელიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით. სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავდა „ძირითად დიზაინის“ და „გზის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლას“ მონაწილეობა მიიღო 26 კომპანიამ და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ მიერ შექმნილმა შეფასების კომისიამ თითოეული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე. 2017 წლის 17 იანვრის წერილით, გამარჯვებულად გამოვლინდა კომპანია შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია“ (გადარქმეული სახელი: შპს „ენკა რინიუბლზ“) წარდგენილი პროექტების განხორციელებისათვის ყველაზე დაბალი ტარიფის შემოთავაზების საფუძველზე. ნაშრომში ძირითადად განხილულია ნამახვანის ხელშეკრულების პირობები, სხვა ხელშეკრულებებთან მიმართებით. იხ., <<http://energy.gov.ge/projects/pdf/news/Motsveva%20Interesta%20Gamokhatvaze%201252%20geo.pdf>> [14.01.2024]

⁷⁶⁹ უსტაიშვილი გ., საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები, ნიგნში: ლადო ჭანატურია 55, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 11; Ustiasvili G., Public-Private Partnership in Georgia in Comparison with Germany, Tbilisi, 2021; Ustiasvili G., Arbitrability of Public-Private Partnership Disputes in Georgia, Revista Română de Arbitraj, Vol. 16. No. 3, 2022, 60-61.

⁷⁷⁰ „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

⁷⁷¹ იქვე, მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი. რამდენადაც მოლაპარაკებები ამ დროისთვის უკვე დასრულებული იყო, ნამახვანის ხელშეკრულება, პროექტის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, დაიღო „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტი, რომლის შემუშავება დაიწყო ამ კანონის ამოქმედებამდე, წარედგინება საქართველოს მთავრობას ამ კანონით გათვალისწინებული განხორციელების ეტაპის განსაზღვრის მიზნით.

სებურებებზე. ინვესტიციების ნახალისება და დაცვა განამტკიცებს ინვესტირებისათვის მზადყოფნას და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას.⁷⁷² ამას მოწმობს სწორედ არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლითაც ქვეყნები მზადყოფნას გამოთქვამენ ხელი შეუწყონ და დაიცვან საერთაშორისო ინვესტიციები მათ ქვეყანაში.⁷⁷³ რა თქმა უნდა საქართველოც არ არის გამონაკლისი და არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებაა დადებული ინვესტიციების დაცვასთან დაკავშირებით როგორც ევროკავშირის ქვეყნებთან⁷⁷⁴ ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებთან⁷⁷⁵ და სხვა პარტნიორ სახელმწიფოებთან⁷⁷⁶. ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე ვრცელდება „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც დგინდება სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების ნახალისებისათვის. ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა მიმართულია ინვესტიციების დაცვისკენ და სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, არ დაუშვას განხორციელებული ინვესტიციების

⁷⁷² იხ., Du X., Hengming Z., Yawen H., How Does New Infrastructure Investment Affect Economic Growth Quality? Empirical Evidence from China, Sustainability, Vol.14, No. 6, 2022, 5-6. Best-Practice Guide for a Positive Business and Investment Climate, OSCE, 2006, 37; Oman C., Policy Competition for Foreign Direct Investment A Study of Competition among Governments to Attract FDI, Development Center of the Organisation for Economic Co-Operation and Development, Paris, 2000, 121.

⁷⁷³ იხ., Investment Promotion Provisions in International Investment Agreements, UNCTAD Series on International Investment Policies for Development, United Nations, 2008, 66; Foreign Direct Investment – Promoting and Protecting a Key Pillar for Sustainable Development and Growth, Prepared by the ICC Commission on Trade and Investment Policy, 2016, 2-3; The Role of International Investment Agreements in Attracting Foreign Direct Investment to Developing Countries, UNCTAD Series on International Investment Policies for Development, United Nations, 2009, 109-110.

⁷⁷⁴ საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის 2001 წლის 18 ოქტომბრის შეთანხმება „ინვესტიციების ნახალისებისა და დაცვის შესახებ“; საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის 2009 წლის 29 აგვისტოს შეთანხმება „ინვესტიციების ხელშეწყობისა და ორმხრივი დაცვის შესახებ“; საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის 2014 წლის 3 ივნისის შეთანხმება „ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ“; საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2005 წლის 5 ოქტომბრის შეთანხმება „ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ“; საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2006 წლის 24 ნოემბრის შეთანხმება „ინვესტიციების ნახალისებისა და დაცვის შესახებ“.

⁷⁷⁵ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის 2007 წლის 20 ივნისის ჩარჩო შეთანხმება „ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ“.

⁷⁷⁶ საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2016 წლის 19 ივლისის შეთანხმება „ინვესტიციების ურთიერთნახალისებისა და დაცვის შესახებ“.

მიმართ არათანაბარი პირობები და ამასთან, ხელი შეუწყოს ინვესტიციების განხორციელებას ინვესტიციების დაბანდებისა და სამენარმო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით⁷⁷⁷.

ინვესტორი სარგებლობს გარკვეული უფლებებით და მათ შორისაა ლიცენზიის/ნებართვის (წინასწარი ლიცენზიის/ნებართვისაც) გაცემა და ქონების შექმნა.⁷⁷⁸ ასევე, კანონი ითვალისწინებს განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების ხელშეწყობა რეჟიმს⁷⁷⁹, რის ფარგლებშიც შესაძლოა ინვესტიციას, რომლის საერთო რაოდენობა აღემატება 8 მილიონ ლარს ან რომელიც, ფუნქციონური და სტრატეგიული თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, საქართველოს მთავრობის განკარგულებით განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი მიენიჭოს⁷⁸⁰. ენერგეტიკის დარგში დადებული ხელშეკრულების პირობები არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისგან და ყველა შემთხვევაში მასში განხილულია როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის გადაცემის, ასევე, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის გამოსყიდვის, გარემოსადაცვითი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. სახელმწიფოს მიდგომა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ერთგაროვანია, თუმცა პროექტის სახელმწიფო მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლოა ხელშეკრულება ითვალისწინებდეს განსხვავებულ პირობებს, როგორცაა, ე.წ. ხაზზე უპირატესი დაშვების უფლება, კერძოდ, სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზით ელექტროენერჯის ექსპორტის უზრუნველსაყოფად, ავარიულ სიტუაციებში ელექტროენერჯის ექსპორტ/იმპორტის შემდეგ, პრიორიტეტულობა და უპირატესობის მინიჭება საქართველოში 2010 წლის შემდეგ აშენებული, განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე იმ ელექტროსადგურების (მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურის) მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ექსპორტისთვის, რომელსაც ელექტროენერჯის ექსპორტზე დისპეჩერიზაციის ლიცენზიანტთან დადებული აქვს ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით გათვალისწინებული

⁷⁷⁷ Cotula L., *Investment Contracts and Sustainable Development, How to Make Contracts for Fairer and More Sustainable Natural Resource Investments*, Natural Resource Issues, No. 20, 2nd Ed., London, 2010, 13-15.

⁷⁷⁸ „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

⁷⁷⁹ იქვე, IV თავი.

⁷⁸⁰ იქვე, მე-9 მუხლი.

მრავალწლიანი ხელშეკრულება, მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში.⁷⁸¹

სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტებთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებებში, ერთი მხრივ, ინვესტორი გამოხატავს მზაობას, განახორციელოს პროექტი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სახელმწიფო, თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს პროექტის განხორციელებას, რაც გამოიხატება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების გადაცემასა და ელექტროენერჯის გარანტირებულად შესყიდვის ხელშეკრულების PPA (Guaranteed Power Purchase Agreement) დადებაში. PPA ხელშეკრულება, ერთი მხრივ, ინვესტორს აძლევს შესაძლებლობას, გარანტირებულად გაყიდოს მის მიერ გამომუშავებული ენერჯია, ხოლო სახელმწიფომ მისთვის ყველაზე კრიტიკულ პერიოდში (როდესაც მოხმარება მაქსიმალურ პიკს აღწევს და ელექტროენერჯის ფასი მაღალია) დააკმაყოფილოს მოთხოვნა შიდა რესურსით. ხელშეკრულება დეტალურად აღწერს ელექტროენერჯის გაყიდვასთან დაკავშირებულ დებულებებს, კერძოდ, რა პერიოდითაა დადებული – PPA პერიოდით და თითოეული წლის განმავლობაში მოიცავს ქვეყნისათვის კრიტიკულ 8 თვეს, როდესაც ქვეყანა ელექტროენერჯის დეფიციტს განიცდის და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამატებითი რესურსის არსებობა.⁷⁸² დანარჩენ თვეებში კომპანია, ისევე, როგორც სხვა ყველა მწარმოებელი, არ არის შეზღუდული და შესაძლებლობა აქვს, თავად მოიძიოს ელექტროენერჯის მყიდველი ან ექსპორტზე გაიტანოს ელექტროენერჯია, რომელიც რეგულირებულია შესაბამისი კანონმდებლობით.⁷⁸³ ექსპორტთან დაკავშირებით კომპანია პასუხისმგებელია გადაცემის ან დისპეტჩერიზაციისთვის გადასახადის გადახდაზე წარმოებული ენერჯის ექსპორტზე გატანისას.⁷⁸⁴ ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ PPA პერიოდის გასვლის შემდეგ კომპანია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფისათვის, რასაც განსაზღვრავს დისპეტჩერი და მხოლოდ ჭარბი ენერჯის არსებობის შემთხვევაში,

⁷⁸¹ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-14¹² მუხლი.

⁷⁸² მაგ., 10 წელი PPA პერიოდი იყო გათვალისწინებული დარიალის ჰიდროელექტროსადგურისთვის, 13 წელი – ქართლის ქარის ელექტრო სადგურისთვის, 20 წელი – ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადისთვის; ხელშეკრულების ვადის მთლიანი პერიოდი – ხუდონჰესისთვის, მტკვარი ჰიდროელექტროსადგურისთვის.

⁷⁸³ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“.

⁷⁸⁴ ნამახვანის ხელშეკრულების 4.3.2. მუხლის (B) პუნქტის (IV) ქვეპუნქტი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებლობა მიეცემა, გაიტანოს ელექტროენერჯია ექსპორტზე.⁷⁸⁵

1.10.2. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

სახელმწიფო ინსტიტუტების როლი უმნიშვნელოვანესია ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას.⁷⁸⁶ განახლებადი ენერჯის პროექტების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია ემისიის შემცირების თვალსაზრისით, სწორედ სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებისთვის, აუცილებელია სახელმწიფო ხელშეწყობა პროექტის შეუფერხებლად განვითარებისათვის. ევროკავშირისა და ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნებში, ისევე, როგორც საქართველოში, სავალდებულოა ენერგეტიკული პროექტის განხორციელებამდე მომზადდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება.⁷⁸⁷ სწორედ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში დგინდება პროექტის მიერ გარემოზე შესაძლო ზიანის მასშტაბი და შესაბამისად, მუშავდება შემარბილებელი ღონისძიებები.⁷⁸⁸ ბუნებრივია, კანონმდებლობა ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობას ენერგეტიკული პროექტის განხილვის პროცესში, რაც, უდავოდ, ძალიან მნიშვნელოვანია.⁷⁸⁹ ენერგეტიკული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ეტაპზე კომპანიის მიერ არაერთი კვლევა ტარდება, რაც საქართველოს კანონმდებლობითაა მოთხოვნილი და სავალდებულოა პროექტის წარმატებით განხორციელებისა და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაპოვებლად.⁷⁹⁰ კომპანიის მიერ ჩასატარებელ კვლევებს შორისაა: გეოლო-

⁷⁸⁵ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-16¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

⁷⁸⁶ იხ., Cotula L., *Investment Contracts and Sustainable Development, How to Make Contracts for Fairer and More Sustainable Natural Resource Investments*, Natural Resource Issues, No. 20, 2nd Ed., London, 2010, 5-7; Michoud B., Hafner M., *Public Policies and Initiatives in the Energy Sector*, in: *Financing Clean Energy Access in Sub-Saharan Africa*, Edited by Ch. Hall, Springer, 2021, 60.

⁷⁸⁷ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლი.

⁷⁸⁸ იქვე, მე-13 მუხლი.

⁷⁸⁹ იქვე, მე-12 მუხლი.

⁷⁹⁰ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბერის №515 დადგენილება „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“.

გია, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, არატექნიკური რეზიუმე, ჰიდროლოგია, მიკროკლიმატზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმები, ნარჩენების მართვის გეგმა, რაც მარტივად მოსაძიებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე.⁷⁹¹ გარემოსდაცვით გადანყვეტილებაში აღწერილია წარმოდგენილი კვლევებისა და გადანყვეტილების მიღების დასაბუთება, თუ რატომ იქნა მიღებული შესაბამისი გადანყვეტილება.⁷⁹² შესაძლოა გადანყვეტილება მიღებულ იქნეს დათქმით და კომპანიას დაევალოს მშენებლობის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა კვლევების ჩატარება და შესაბამის უწყებებში წარდგენა, მაგალითისთვის მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების და მათ მიმდებარედ არსებულ მენყრულ უბნებზე აწარმოოს პერიოდული ვიზუალური მონიტორინგი (განსაკუთრებით, წყალსაცავის მდგრადობაზე მათი გავლენის კონტროლის მიზნით) და შესაბამისად, მიღებული შედეგები 6 თვეში ერთხელ განსახილველად წარადგინოს სამინისტროში;⁷⁹³ ასევე, უნდა წარადგინოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული წყაროების ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის შედეგები და განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების ობიექტებზე, ჰესის ინფრასტრუქტურის ზეგავლენით მათი დებეტის შესაძლო შემცირების ან დაკარგვის შემთხვევაში, მოსახლეობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ალტერნატიული წყალმომარაგებით.⁷⁹⁴ მნიშვნელოვანი დათქმაა, ასევე, თევზამრედი ნაგებობის მოწყობა „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N423 დადგენილების შესაბამისად.⁷⁹⁵ ამასთან, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ტვიშის ზონაში წარმოებული ყურძნის და ღვინის ხარისხო-

⁷⁹¹ გზმ და სგმ განცხადებები, <<https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/17104>> [15.01.2024]; <<https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/19341>> [15.01.2024]; <<https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/13711>> [15.01.2024]

⁷⁹² „წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი – 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე (ქვედა ნამახვანი) გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის N2-191 ბრძანება.

⁷⁹³ იქვე, მე-12 პუნქტი.

⁷⁹⁴ იქვე, მე-16 პუნქტი.

⁷⁹⁵ იქვე, მე-19 პუნქტი.

ბრივ მახასიათებლებზე მონიტორინგი როგორც მშენებლობის დაწყებამდე, ისე ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგაც.⁷⁹⁶ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო ტყის ფონდის მართვასთან დაკავშირებული საკითხებიც, რომელთა უზრუნველყოფადაც კომპანიის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა შეესაბამებოდეს კანონს და მშენებლობის დაწყებამდე შეთანხმებული იყოს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან,⁷⁹⁷ ხოლო რაც შეეხება სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, კომპანია ვალდებულია შეწყვიტოს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.⁷⁹⁸ ხშირია საზოგადოების და არასათავრობო ორგანიზაციების მხრიდან კვლევებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრების არსებობა, რითაც ეჭვქვეშ აყენებენ კომპანიის მიერ შესრულებული კვლევების სანდოობას⁷⁹⁹,

⁷⁹⁶ იქვე, 23-ე პუნქტი.

⁷⁹⁷ იქვე, 29-ე პუნქტი.

⁷⁹⁸ იქვე, 30-ე პუნქტი.

⁷⁹⁹ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის წინააღმდეგ ითხოვნენ 2002 წლის 30 ნოემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის N0011 გაუქმებას, სარჩელი სასამართლომ არ დაკმაყოფილა, იხ. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 22 მარტის N3ა/40-04 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 24 ნოემბრის Nბს-718-619-კ-04 განჩინება; ყაზბეგში ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ და ითხოვდა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის N2247 განკარგულების (ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰესის მშენებლობისათვის მიწის გამოყოფის თაობაზე) ბათილად ცნობას, კერძოდ, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება არ ყოფილა გასაჩივრებული ასოციაციის მიერ, იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ოქტომბრის N3/4914-12 გადაწყვეტილება; საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მინისტრმა ჟურნალისტებთან განაცხადა: „მწვანე ალტერნატივის უაზრო გაკეთებულ განცხადებებზე პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ, ეს არის რადიკალური ჯგუფი, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყანაში ეკონომიკის ზრდას, ეკონომიკის განვითარებას, ქვეყნის განვითარებას“. მწვანე ალტერნატივამ უჩივლა მინისტრს და თავის სარჩელში ითხოვდა, ასოციაცია მწვანე ალტერნატივას პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შეღავათი ინფორმაციის უარყოფას იმავე საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით და მორალური ზიანის ანაზღაურებას 1 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით. სარჩელი არ დაკმაყოფილდა, იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 აპრილის N2/15031-13 გადაწყვეტილება; „მწვანე ალტერნატივა“ ითხოვდა ხუდონჰესის მშენებლობის შესახებ შეთანხმების და ონის ჰესების კასკადის მშენებლობის შესახებ გაუქმებას. მოთხოვნის საფუძველი იყო შეთანხმებების მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებობა. ხუდონჰესის შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა ხარვეზი და მიიჩნია, რომ „წარმოსადგენია საქართველოს მთავრობის“

მნიშვნელოვანია, მათი მხრიდან პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით სხვა ალტერნატიული კვლევის წარდგენა მეტი სანდოობისთვის ან სახელმწიფოს მხრიდან მათი დარწმუნება, რამდენადაც უმეტეს შემთხვევაში მათ სარჩელებს არ აკმაყოფილებენ სათანადო მტკიცებულებების არარსებობის გამო⁸⁰⁰.

ნებისმიერი პროექტი, რომელიც ექვემდებარება გარემოსდაცვით გადაწყვეტილების გაცემას, შესაბამისი კანონმდებლობის მკაცრი დაცვით უნდა განხორციელდეს. აუცილებელია, შეფასდეს თავად პროექტის მნიშვნელობა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სათბური გაზების ემისიის შემცირებისათვის, რაც გამოწვევად რჩება.⁸⁰¹ ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად მოზიდული ინვესტიციებით შესაძლებელია განახლებადი ენერჯის წყაროებით წარმოებული ელექტროენერჯის გამოყენება რეგიონული მასშტაბით, სათბური გაზების ემისიის შემცირებისათვის, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საქართველო კიოტოს ოქმით განსაზღვრული გარემოსდაცვითი პროექტების დანერგვაში. ასოცირების შესახებ შეთანხმება პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფოს, ხელი შეუწყოს ენერგოეფექტურობის ზრდასა და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებას, ამასთან, ქვეყნის ვალდებულება მოიცავს განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას და ხელშეწყობას, სადაც მთავარი აქცენტი გაკეთდება ჰიდრო რესურსებზე, და ამ სფეროში ორმხრივი

ბას, შპს „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს“, შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2011 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულების და იმავე მხარეებს შორის 2015 წლის 09 სექტემბერს დადებული შეთანხმების ცვლილებების შეტანის შესახებ ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი სრული სახით“. ონის ჰესების კასკადის შემთხვევაში სასამართლომ საბოლოოდ უარი უთხრა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 ნოემბრის N3/8948-15 განჩინება ხარეზის დადგენის შესახებ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივნისის N3/3646-16 განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ; „მწვანე ალტერნატივა“ ითხოვდა 500 კვ-იანი ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ბათილობას, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული არც თბილისის საქალაქო სასამართლოს და არც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ, იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 5 ოქტომბრის N3/8151-16 გადაწყვეტილება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 26 აპრილის N3ბ/2676-17 განჩინება.

⁸⁰⁰ იხ., Eccles R. G., Newquist S. C., Schatz R., Reputation and Its Risks, Harvard Business Review, 2007. <<https://hbr.org/2007/02/reputation-and-its-risks>> [16.05.2024]

⁸⁰¹ „გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის“ კიოტოს 1997 წლის 11 დეკემბრის ოქმი.

და რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობაზე.⁸⁰² აღსანიშნავია ენერგეტიკული გაერთიანების როლი და მნიშვნელობა, მიზნიდან გამომდინარე, სწორედ ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმით ქვეყანამ აიღო „ენერგეტიკული გაერთიანების“ კანონმდებლობის (*acquis communautaire*) თანხვედრაში მოყვანის ვალდებულება, რასაც წარმატებით ახორციელებს და ამის დასტურია ევროკავშირის მხრიდან დადებითი გამოხმაურება ქვეყანაში მიმდინარე ენერგეტიკის რეფორმებთან დაკავშირებით.⁸⁰³ ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე რეფორმები იძლევა შესაძლებლობას დაინერგოს თანამედროვე და ეფექტური ტექნოლოგიები, დავაინტერესოთ ინვესტორები ენერგორესურსების ათვისებით და სამომავლოდ გავხდეთ ერთიანი ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ნაწილი. ენერგოდამოკიდებულება და საკუთარი რესურსის არარსებობა ზრდის ქსელის ავარიულად გამორთვის რისკს. ამასთან, მნიშვნელოვანია ჰიდროსადგურების როლი ძაბვის და სიხშირის კონტროლი დატვირთვის აღდგენისას. არასტაბილური და არაკეთილგანწყობილი მეზობელი ქვეყნიდან მზარდი ენერგოექსპორტი საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს არა მარტო დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, არამედ, შესაძლოა ფასების მანიპულირების მიმართულებითაც.⁸⁰⁴ თითოეული წარმატებული ენერგეტიკული პროექტი ქვეყნის მნიშვნელოვანი შენაძენია და მისი წარმატებით განხორციელებისთვის საინვესტიციო გარემო უნდა იყოს მდგრადი და მხარდაჭერილი სახელმწიფოს მხრიდან. შესაძლოა ენერგეტიკულმა პროექტმა გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ველურ ბუნებასა და მათ ჰაბიტატებზე, მშენებლობის ფაზამ შეცვალოს ფრინველთა მიგრაციის მიმართულებები, რაც გამოიწვევს სხვადასხვა სახეობის ფრინველის ბუნებრივი ციკლის დარღვევას; გარდა ამისა, პროექტის საოპერაციო ფაზამ შეიძლება გამოიწვიოს ხმაური, დაბინძურება და ჰაბიტატის ფრაგმენტაცია, ასევე, გრძელვადიანი უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ველური ბუნების პოპულაციაზე.⁸⁰⁵ მნიშვნელოვანია განახლებადი ენერჯის პროექტის განმახო-

⁸⁰² 2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ ნევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, 298-ე მუხლის (i) ქვეპუნქტი.

⁸⁰³ Georgia Annual Implementation Report 1 November 2023, Energy Community Secretariat, 2023, 2.

⁸⁰⁴ Nygren B., Putin's Use of Natural Gas to Reintegrate the CIS Region, Problems of Post-Communism, Problems of Post-Communism, Vol. 55, No. 4, 2008, 6.

⁸⁰⁵ Laranjeiro T., May R., Verones F., Impacts of Onshore Wind Energy Production on Birds and Bats: Recommendations for Future Life Cycle Impact Assessment Developments, The International Journal of Life Cycle Assessment, Vol. 23, 2007–2023, Springer, 2018, 2010.

რციელბელი ინვესტორის მიერ ველურ ბუნებაზე პოტენციური ზემოქმედების ყოვლისმომცველი შეფასების ჩატარება და ეფექტიანი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება ამ ზემოქმედებების მინიმიზაციის მიზნით, რაც გულისხმობს ველური ბუნების ძირითადი სახეობების იდენტიფიცირებას, მათი ეკოლოგიური მოთხოვნების შეფასებას და სათანადო ღონისძიებების განხორციელებას მათი ჰაბიტატების დასაცავად და მათი გადარჩენის უზრუნველსაყოფად შემოთავაზებული ენერგეტიკული პროექტის ფარგლებში.⁸⁰⁶ ენერგეტიკის განვითარებასა და გარემოს დაცვას შორის ბალანსი გადამწყვეტია მდგრადი განვითარებისთვის. მდგრადი საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა ნიშნავს როგორც ეკონომიკური, ასევე გარემოსდაცვითი ფაქტორების გათვალისწინებას. ენერგეტიკულ პროექტებში ინვესტიციების განხორციელებით ქვეყანა არ იძენს მხოლოდ აქტივებს, არამედ იღებს გრძელვადიან ვალდებულებას მომავალი თაობის წინაშე. შესაბამისად, მკაფიო და სტაბილური მარეგულირებელი კანონმდებლობის არსებობა ხელს უწყობს განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას, ენერგოეფექტური ღონისძიებების დაგეგმვას, ადგენს მკაფიო გარემოსდაცვით სტანდარტებს, ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით. მნიშვნელოვანია ინვესტიციების ნახალისება სუფთა და განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებისთვის, რათა დაჩქარდეს გადასვლა ნახშირბადის დაბალი შემცველობის ეკონომიკაზე. ამასთან, სუფთა ენერჯის ტექნოლოგიების კვლევასა და განვითარებაში ინვესტირებას შეუძლია შეამციროს ხარჯები და გააუმჯობესოს ეფექტურობა, რაც განახლებად ენერჯიას უფრო კონკურენტუნარიანს გახდის, წიაღისეულ სანვავთან შედარებით. ადგილობრივი თემების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა გადამწყვეტია ენერგეტიკული პროექტების წარმატებისთვის. მათი შენიშვნები პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების იდენტიფიცირებას და შერბილების გზების პოვნას უწყობს ხელს. გარემოზე ზემოქმედების საფუძვლიანი შეფასებების ჩატარება ნებისმიერი ენერგეტიკული პროექტის დაწყებამდე შეიძლება დაეხმაროს პოტენციური გარემოსდაცვითი რისკების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. ამ სფეროებზე ფოკუსირებით, ქვეყანას შეუძლია შექმნას უფრო მდგრადი და მხარდამჭერი

⁸⁰⁶ Morkūnė R., Marčiukaitis M., Jurkin V., Gecevičius G., Morkūnas J., Raudonikis L., Markevičius A., Narščius A., Gasiūnaitė Z. R., Wind Energy Development and Wildlife Conservation in Lithuania: A Mapping Tool for Conflict Assessment, PLoS ONE, Vol. 15, No. 1, 2020, 20.

საინვესტიციო გარემო ენერგეტიკული პროექტებისთვის, რაც დააბალანსებს ეკონომიკური განვითარების აუცილებლობას გარემოს დაცვასთან. ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სათბურის გაზების ემისიების შემცირებას და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას, არამედ ხელს შეუწყობს ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას და სტაბილურობას.

ელექტროენერგიით უზრუნველყოფა საზოგადოების არსებობის და განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა; ელექტროენერგიის გენერაციის გაზრდა ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას და პირდაპირი ინვესტიციის შემოდინებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და ასევე, არა ნაკლებად მნიშვნელოვანია მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავება ერთობლივი პროექტების განხორციელებით. საქართველო, როგორც ენერგეტიკული ქარტიის ხელშემკვრელი მხარე, იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ენერგეტიკაში უცხოური ინვესტიციების დაცვა, შექმნას ხელსაყრელი პირობები და შეამციროს ინვესტორთა კომერციული და პოლიტიკური რისკები, რაც, თავის მხრივ, ზრდის ენერგოსექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას⁸⁰⁷.

1.9.3. მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები

მიწასთან დაკავშირებული საკითხების მონესრიგება საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება⁸⁰⁸ და ამასთან, ძირითადი კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსად მიიჩნევს და მასთან დაკავშირებით სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს აწესებს.⁸⁰⁹ მიწა, სტრატეგიული ეროვნული და შეუცვლელი ბუნებრივი რესურსია, რომელიც ემსახურება ერის სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით კეთილდღეობას. აქედან გამომდინარე, მისი განკარგვა და გასხვისება იმსახურებს სტრატეგიულ მიდგომას, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ეროვნული მნიშვნელობის პროექტებს. ჯანსაღი მიწის ეკოსისტემები მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ისინი ბუნებრივი ფილტრებია ჰაერისა და წყლის გასაწმენდად, არეგულირებს კლიმატს და შეიცავს ბიომრავალფერო-

⁸⁰⁷ The Protocol on Energy Efficiency and Related Environmental Aspects (PEEREA), <<https://www.energycharter.org/process/energy-charter-treaty-1994/energy-efficiency-protocol/>> [15.01.2024]

⁸⁰⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁸⁰⁹ იქვე, მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი.

ვნების მდიდარ გობელენს; მინის მდგრადი მართვის პრაქტიკა აუცილებელია ამ ეკოლოგიური ფუნქციების დასაცავად დღევანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის.⁸¹⁰ მინის მიზნობრივი გამოყენება უმნიშვნელოვანესია მისი გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.⁸¹¹ მისი განკარგვა უნდა იყოს გონივრული პროცესი, რომელიც ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი სარგებლის მაქსიმალურ გაზრდაზე ფოკუსირებით. ეს შეიძლება იყოს ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება, როგორცაა, სატრანსპორტო ქსელები, კომუნალური საშუალებები და საზოგადოებრივი დაწესებულებები (სკოლები და საავადმყოფოები), რასაც შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ქვეყნის ინფრასტრუქტურა და ცხოვრების ხარისხი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ბუნებრივი ტერიტორიების, ტყეების დაცვა ან პარკების შექმნა ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და გარემოს ჯანმრთელობას.⁸¹² ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სტრატეგიულად დაგეგმილი პროექტები, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა, სამუშაო ადგილების შექმნა და ეკონომიკური სტიმული. ამის მისაღწევად ბევრი სახელმწიფო მიმართავს სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მოიცავს ზონირების რეგულაციებს, კერძოდ, საცხოვრებელი, კომერციული, სამრეწველო ან სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის კონკრეტული ტერიტორიების გამოყოფას, რაც ხელს უწყობს მონესრიგებულ განვითარებას და მინიმუმამდე ამცირებს მინათსარგებლობის კონფლიქტებს.⁸¹³ ამასთან, გარემოზე ზემოქმედების შეფასება ხელს უწყობს მინათსარგებლობის პროექტების პოტენციური გარემოსდაცვითი ზიანის იდენტიფიცირებას და შერბილებას. მინათსარგებლობის გადაწყვეტილებებში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობების უზრუნველყოფა ხელს უწყობს საკუთრების გრძნობას და გამჭვირვალობას, თუ როგორ ხდება ამ სასიცოცხლო რესურსის განაწილება. ამ პრინციპების დაცვით, ქვეყანას შეუძლია უზრუნველყოს მინის განკარგვა ემსახურებოდეს უფრო დიდ საზოგადოებრივ სიკეთეს, ხელს უწყობდეს მდგრად განვითარებას და ყველასთვის აყვავებულ მომავალს.

⁸¹⁰ Land Quality & Sustainable Land Management Indicators, <<http://www.ciesin.org/lw-kmn/slm/slm.html>> [15.06.2024]

⁸¹¹ How Land Is an Asset of Finite Magnitude, <<https://discountlots.com/how-land-is-an-asset-of-final-magnitude/>> [15.06.2024]

⁸¹² Protected Areas: Guardians of Natural Heritage and Biodiversity – Gray Group International, <www.graygroupintl.com> [15.06.2024]

⁸¹³ The Importance of Land Use Planning, <<https://fastercapital.com/topics/the-importance-of-land-use-planning.html>> [24.06.2024]

სახელმწიფო მიწების გადაცემა ენერგეტიკული პროექტებისთვის ემსახურება ინვესტიციების წახალისებას, რამდენადაც ის ამცირებს ინვესტორების კაპიტალურ დანახარჯებს და ახალისებს მათ ენერგეტიკულ პროექტებში დაბანდებას. ამასთან, ახალი ენერგეტიკული პროექტები შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტზე და გააძლიერებს ენერგოუსაფრთხოებას, ხოლო განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგია შეამცირებს ნახშირბადის გამონაბოლქვსა და გარემოზე ზემოქმედებას. ამასთან, მიწასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიმართული უნდა იყოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრინველსაყოფად, ემსახურებოდეს ინვესტიციების მოზიდვას და ამავდროულად, მდგრად განვითარებას.

კონსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოები უნდა უზრუნველყოფდეს როგორც საკუთრების უფლების დაცვას, ისე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებას.⁸¹⁴ ამ კონტექსტში, კონსტიტუციური ჩარჩოები უნდა ითვალისწინებდეს მორატორიუმებსა და სხვა სამართლებრივ შეზღუდვებს, რომლებიც უცხოელებს არ აძლევს საშუალებას შეუზღუდავად შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა, რაც აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების, სუვერენიტეტისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. საკუთრების უფლების დაცვა აუცილებელია უცხოელ ინვესტორების მოზიდვისა და ეკონომიკური ზრდის წახალისებისთვის. ამავე დროს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები მოითხოვს ისეთი მექანიზმების შექმნას, რომლებიც დაიცავს ადგილობრივ ფერმერებსა და მცირე ბიზნესებს, უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო მიწის მდგრად გამოყენებას და ხელს შეუწყობს სოფლის განვითარებას.⁸¹⁵ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით, აუცილებელია ქვეყნისთვის სპეციფიკური რეგულაციების შემუშავება, რომლებიც იქნება ადაპტირებული საქართველოს რეალობისა და გამოწვევების მიმართ. შედარებითსამართლებრივი პრაქტიკა აჩვენებს, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოები შეიძლება მოიცავდეს უცხოელების მიერ მიწის შეძენის ლიმიტებს, განსაკუთრებულ ნებართვებს და მიწის გამოყენების მიზნობრივ კონტროლს.⁸¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს საკუთრების უფლების დაცვის მნიშვნელო-

⁸¹⁴ მირიანაშვილი გ., სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელის საკუთრების უფლების კონსტიტუციური პარადიგმები საქართველოში, ჟურნ. „აკადემიური მაცნე“, სპეციალური გამოცემა, 2017, 27-28.

⁸¹⁵ იქვე, 27.

⁸¹⁶ იქვე.

ბას, თუმცა ასევე აუცილებელია ბალანსის დაცვა და ისეთი რეგულაციების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და უზრუნველყოფს მინის მდგრად გამოყენებას.⁸¹⁷ ამრიგად, კონსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩო უნდა იყოს კომპლექსური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც საკუთრების უფლების დაცვას, ისე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებას და განვითარებას. მინაზე საკუთრების უფლების აღსრულებისას აუცილებელი სოციალური და ეკონომიკური პასუხისმგებლობა მოიცავს საკუთრების გამოყენების რეგულირებას საზოგადოების საერთო კეთილდღეობისთვის, რაც გულისხმობს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც უზრუნველყოფს მინის რესურსების ეფექტიან და გრძელვადიან გამოყენებას.⁸¹⁸ მინის მფლობელობა არ არის მხოლოდ კერძო პირის უფლებების განხორციელება, არამედ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, არამედ უკავშირდება სოციალურ ფუნქციასაც. ამისთვის საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც მფლობელებსა და საზოგადოებას შორის ბალანსს უზრუნველყოფს. საკუთრების უფლებების რეალიზაცია მინაზე არ უნდა იყოს მხოლოდ ინდივიდუალური ინტერესების დაცვის საშუალება, არამედ აუცილებელია საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობა და ამ მიზნისთვის საკანონმდებლო ჩარჩოები უნდა იყოს მოქნილი და ადაპტირებული ქვეყნის სპეციფიკურ პირობებზე, რაც უზრუნველყოფს მინის რესურსების მდგრადი და ეფექტიანი მართვის პროცესს.⁸¹⁹

გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები პროექტის განმახორციელებელს ავალდებულებს, რომ პროექტის შედეგად ყველა იძულებით განსახლებულ პირს შესთავაზოს კომპენსაცია აქტივების დაკარგვისთვის, მისი სრული ღირებულებით და ასეთი კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ იმ პირებზე, ვინც კარგავს საკუთრებას მის მინის ნაკვეთზე, არამედ ყველა იმ პირზე, ვინც კარგავს აქტივებსა და რესურსებს ან ნვდომას ასეთ აქტივებსა თუ რესურსებზე, რაც შედეგად ინვესტორს შემოსავლის წყაროს ან/და საარსებო საშუალებების დაკარგვას. საქართველოს კონსტიტუცია განა-

⁸¹⁷ გეგენავა ა., გეგენავა დ., „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და კანონმდებლობის ნორმატიული შიმშილი, ნიგნში: ბესარიონ ზოიძე 60, დ. გეგენავასა და ს. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 183.

⁸¹⁸ გაბუნია მ., საკუთრების სოციალური ფუნქცია მინაზე საკუთრების უფლების განხორციელების კონტექსტში, თბილისი, 2016, 50.

⁸¹⁹ გეგენავა ა., გეგენავა დ., „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და კანონმდებლობის ნორმატიული შიმშილი, ნიგნში: ბესარიონ ზოიძე 60, დ. გეგენავასა და ს. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 177.

მტკიცებს საკუთრების, მისი შეძენის და გასხვისების საყოველთაო უფლებას; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა“⁸²⁰. საკუთრების უფლება თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარების საყრდენია, რომელსაც ეფუძნება ეკონომიკური თავისუფლება და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვა⁸²¹; იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით სარგებლობა, საკმარისი არ არის მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება, მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას შესაბამისი საკანონმდებლო მონესრიგებით.⁸²²

ენერგეტიკულ პროექტებთან მიმართებით სახელმწიფოს ვალდებულება, ხელი შეუწყოს კომპანიას პროექტის განხორციელებაში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს სათანადო ნებართვების, ლიზენციების და საჭირო მიწის ნაკვეთების გადაცემასთან საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა.⁸²³ აღნიშნულ დებულებას შეიცავს ყველა ურთიერთგაგების მემორანდუმი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით.⁸²⁴ ელექტროსადგურის მშენებლობისას, პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, კომპანიას გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული პროექტისთვის „საჭირო მიწის“ ნაკვეთები. ასევე, დაეხმაროს კომპანიას „საჭირო მიწის“ ნაკვეთების შეძენაში კერძო პირებისგან და განმარტავს „საჭირო მიწას“, როგორც კომპანიის მიერ გონივრულობის ფარგლებში განსაზღვრული მიწის ნაკვეთებს, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს პროექტის განხორციელებისათვის.⁸²⁵ ბუნებრივია, აქ იგულისხმება მიწის ნაკვეთებიც, რომლებიც

⁸²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32.

⁸²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/3/1337 გადაწყვეტილება საქმეზე „ხათუნა წონორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

⁸²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33.

⁸²³ Lowery S., Chugan D., *Land Tenure and Energy Infrastructure, Strengthening And Clarifying Land Rights In Energy Infrastructure Projects And Programming*, USAID, 2016.

⁸²⁴ ურთიერთგაგების მემორანდუმის ნიმუში, იხ., <https://www.economy.ge/uploads/files/2017/interesta_gamoxatva/energetika/memorandumi_nimushi.pdf> [15.01.2024]

⁸²⁵ ნამახვანის ხელშეკრულების 3.2.6 მუხლი და მე-5 დანართი.

წყლის ქვეშ მოექცევა⁸²⁶. სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტის განხორციელებისას, თუკი კომპანია ვერ მიაღწევს შეთანხმებას მიწის მფლობელებთან მოლაპარაკების გზით, ხელშეკრულების თანახმად, მთავრობა იღებს ვალდებულებას, მიმართოს ყველა საჭირო ღონისძიებას მისი კომპეტენციის ფარგლებში, რაც გულისხმობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევას,⁸²⁷ ამასთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით დადგენილ რეგისტრაციის, სასამართლო ხარჯებს, ასევე, სავალდებულო შეძენასთან, იძულებით ჩამორთმევას ან/და ექსპროპრიაციასთან დაკავშირებულ, მიწის ნაკვეთის მესაკუთრებისათვის გადასახდელ თანხას, ეკისრება ინვესტორს და შესაბამისად, მთავრობა არ არის პასუხისმგებელი მსგავს ხარჯებზე⁸²⁸.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე უფლებების უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად გადაცემა პროექტის განმახორციელებელ კომპანიაზე საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა სხვა ენერგეტიკული პროექტების განხორციელების ხელშეკრულებებში,⁸²⁹ იგივე ითქმის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე უფლებების მოპოვებისთვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარების განწვევის ვალდებულება, მათ შორის, ექსპროპრიაციაზე⁸³⁰. საქართველოს კონსტიტუციით, საკუთრების

⁸²⁶ Land under water: Estimating Hydropower’s Land Use Impacts, იხ., <<https://norwegianscitechnews.com/2018/03/land-water-estimating-hydropowers-land-use-impacts/?fbclid=IwAR-28PjviJyU0OV8--CaZzAQE7GU-V0GMsoGeeb6F7X7BtD9aGCJO46Z-z2E>> [15.01.2024]

⁸²⁷ ნამახვანის ხელშეკრულების 3.2.6 მუხლი.

⁸²⁸ იქვე.

⁸²⁹ იხ., შუახვევის ჰიდროელექტროსადგურის (საქართველოს მთავრობას, CLEAN ENERGY INVEST AS-ს და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის 2011 წლის 10 ივნისს დადებული მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების (BOO) ხელშეკრულება), დარიალის ჰიდროელექტროსადგურის (სს „დარიალი ენერჯის“, შპს „ენერგოტრანსს“, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და საქართველოს მთავრობას შორის 2011 წლის 19 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი დარიალის ჰესის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ), ლახამი 1 და ლახამი 2 ჰიდროელექტროსადგურების (საქართველოს მთავრობას, შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2016 წლის 19 ოქტომბერს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი) ენერგეტიკული პროექტების განხორციელების ხელშეკრულებები და სხვ.

⁸³⁰ იხ., ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის (საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „ნენსკრა ჰიდროს“, სს „საპარტნიორო ფონდსა“ და “KOREA WATER RESOURCES CORPORATION“-ს შორის 2015 წლის 31 აგვისტოს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი), მტკვრის ჰიდროელექტროსადგურის (საქართველოს მთავრობასა და სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქტურას“ შორის 2008 წლის 24 ნოემბერს მტკვარი ჰესის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი), ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის

უფლების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით.⁸³¹ შესაბამისად, საკუთრების იძულებით ჩამორთმევის ნებისმიერი შემთხვევა ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების იძულებით ჩამორთმევისათვის აუცილებელ მოთხოვნებსა და წინაპირობებს, რაც გულისხმობს მინის მესაკუთრეებისათვის წინასწარი, სრული და სამართლიანი კომპენსაციის გადახდას, ასევე ექსპროპრიაციის საჭიროებისა და გარდაუვალობის შეფასებას. საკუთრების უფლება, მისი მაღალი კონსტიტუციური მნიშვნელობის მიუხედავად,⁸³² არ არის აბსოლუტური ხასიათის და მესაკუთრის კერძო ინტერესი, საჯარო ინტერესებთან მიმართებით, არ სარგებლობს აბსოლუტური, უპირობო უპირატესობით⁸³³ და არა მხოლოდ მესაკუთრეს აქვს ინტერესები, არამედ ის იმყოფება სხვა ინტერესთა გარემოცვაში, რომელთაგანაც ვერ იქნება იზოლირებული და სადაც აუცილებელია ინტერესთა გონივრული ბალანსის დაცვა.⁸³⁴ მართალია, საქართველოს კონსტიტუცია კერძო საკუთრების ინსტიტუტის საკონსტიტუციოსამართლებ-

(საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და სს „ონი კასკადს“ შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი) და ხუდონჭესის პროექტების განხორციელების ხელშეკრულებები (საქართველოს მთავრობას, Trans Electrica Limited (BVI) , Trans Electrica Georgia Ltd, შპს „ენერგოტრანსს“, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა და სს „საქრუსენერგოს“ შორის 2011 წლის 28 აპრილს დადებული ურთიერთგაგაბიეს მემორანდუმი).

⁸³¹ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი; გეგენავა დ., სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთრების ჩამორთმევის შედეგად ზიანზე, ჟურნ. „სარჩევი“, N1, 2010, 38.

⁸³² იხ., იქვე, 26; ტურავა პ., ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, როგორც პრივატიზაციის პროცესის ფარგლები, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2011, 234-235; ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2013, 224-225; ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბილისი, 2023, 513-514.

⁸³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დაღალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

⁸³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მამია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

რივი გარანტია და მისი ფუნქციაა, ცალკეულ პირს შეუნარჩუნოს თავისუფალი სივრცე ქონებრივსამართლებრივ სფეროში, თუმცა ის არ განიხილება განყენებულად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას, რაც განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას,⁸³⁵ ამასთან, სახელმწიფოს მიერ ბალანსის დაცვა და საჯარო ინტერესის გათვალისწინება მნიშვნელოვანია. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საზოგადოების საჭიროებისთვის ქონების ჩამორთმევას. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საზოგადოებრივი განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროცესის გამჭვირვალედ და სამართლიანად განხორციელების უზრუნველყოფას. ქონების მესაკუთრეთა უფლებები დაცული, ხოლო ადეკვატური კომპენსაცია უნდა იყოს გათვალისწინებული კანონით. მნიშვნელოვანია, მთავრობამ და შესაბამისმა ორგანოებმა დაიცვან სათანადო პროცესისა და სამართლიანობის პრინციპები საჯარო საჭიროებისთვის ქონების ჩამორთმევის უფლებამოსილების განხორციელებისას. ეს ხელს შეუწყობს საკუთრების უფლების დაცვას და ზოგადად ქვეყნის განვითარებას.

ხელშეკრულება, შესაძლოა, ასევე ითვალისწინებდეს პროექტის და გადამცემი ხაზების მშენებლობის, ოპერირების, მოვლა-პატრონობის, მართვისა და მონიტორინგის შესაბამისობას გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან⁸³⁶, რაც ასევე გულისხმობს კომპანიის მიერ მიწის მფლობელებისათვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებისას და მთავრობის მიერ მიწებზე უფლებების მოპოვებისას და კომპანიისათვის გადაცემის პროცესში აღნიშნული სტანდარტების გათვალისწინებას⁸³⁷. ქართულ სინამდვილეში ინვესტორი კომპანია მემორანდუმით ვალდებულებას იღებს, არა მარტო მიწის მესაკუთრეებს, არამეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის მფლობელებზეც გასცეს კომპენსაცია, კერძოდ, ინვესტორი კომპანია ჯერ ფაქტობრივ მფლობელებს საკუთარი ხარჯებით ურეგისტრირებს მიწას სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ და შემდეგ გასცემს კომპენსაციას. გარემოსდაცვითი და სოციალური

⁸³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5.

⁸³⁶ ნამახვანის ხელშეკრულების 5.1. მუხლი.

⁸³⁷ იქვე, დანართი 5.

სტანდარტები გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობისა და პროექტის დამფინანსებელი მხარეების მიერ გარემოს დაცვისა და პროექტის სოციალური ზემოქმედებით გამოწვეული ეფექტების შერბილების მიზნით დანესებული მოთხოვნების შესრულებას⁸³⁸. სტანდარტები, სხვა საკითხებთან ერთად, პირების იძულებითი განსახლების პროცესის წარმოებისას განსაზღვრავს ძირითად მოთხოვნებსა და პრინციპებს, მათ შორის, იძულებით განსახლებულ პირთათვის სათანადო კომპენსაციის გადახდასთან და დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით.⁸³⁹ განსახლება მიიჩნევა იძულებითად, როდესაც ფიზიკურ პირებს ან თემებს არ აქვთ მიწის გაყიდვაზე ან მიწის გამოყენებაზე დანესებულ შეზღუდვებზე წინააღმდეგობის განწევის უფლება, რასაც შედეგად მოყვება მათი განსახლება. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საკუთრების უფლების დაკარგვა ან/და მიწით სარგებლობაზე შეზღუდვების დანესება ხდება ექსპროპრიაციის გზით და მოლაპარაკებების გზით, რომლის წარუმატებლობის შემთხვევაში, მყიდველს შეუძლია მიმართოს ექსპროპრიაციას ან/და დაანესოს სამართლებრივი შეზღუდვები მიწის გამოყენებაზე; ასევე, იძულებით განსახლებად მიიჩნევა პირების როგორც ფიზიკური განსახლება (თავშესაფრის დაკარგვა ან ადგილმდებარეობის შეცვლა) ასევე, ეკონომიკური გადაადგილება/ ადგილმონაცვლეობა, რაც გულისხმობს აქტივების ან რესურსების დაკარგვას ან/და აქტივებზე ან რესურსებზე წვდომის დაკარგვას, რაც იწვევს შემოსავლის წყაროს ან/და საარსებო საშუალებების დაკარგვას.⁸⁴⁰ საერთაშორისო მიდგომით, პროექტის განმახორციელებელმა მხარეებმა თავიდან უნდა აიცილონ იძულებითი განსახლების შემთხვევა, ხოლო როდესაც ეს შეუძლებელია, მაქსიმალურად შეამცირონ ასეთი შემთხვევების საჭიროება.⁸⁴¹ მყიდველმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს მიწაზე უფლებების მოლაპარაკებების გზით მოპოვებას იმ შემთხვევაშიც

⁸³⁸ ნამახვანის ხელშეკრულების შემთხვევაში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ დადგენილი შესრულების მოთხოვნები (EBRD Performance Requirements), როდესაც პროექტის დამფინანსებელი მხარე იქნებოდა EBRD; საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ დადგენილი შესრულების სტანდარტები (IFC Performance Standards) იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტის დამფინანსებელი მხარე არის IFC; და ეკვატორის პრინციპები – ნებისმიერ სხვა შემთხვევაში.

⁸³⁹ Environmental and Social Policy, EBRD Performance Requirements, 2014; IFC Performance Standards on Environmental and Social Sustainability, Effective since January 1, 2012; The Equator Principles June 2013, A Financial Industry Benchmark for Determining, Assessing and Managing Environmental and Social Risk in projects, იხ., <www.equator-principles.com> [15.06.2024]

⁸⁴⁰ იქვე.

⁸⁴¹ Smyth E., Vanclay F., Social Impacts of Land Acquisition, Resettlement and Restrictions on Land Use, in: Handbook of Social Impact Assessment and Management, Edited by F. Vanclay and A. M. Esteves, Edward Elgar Publishing, 2024, 358-359.

კი, თუ მას გამყიდველის თანხმობის გარეშე აქვთ მიწაზე წვდომის მოპოვების სხვა სამართლებრივი საშუალებები, ამასთან, მყიდველმა ყველა იძულებით განახლებულ პირსა და თემს უნდა შესთავაზოს კომპენსაცია აქტივების დაკარგვისთვის ჩანაცვლების სრული ღირებულებით და სხვა სათანადო დახმარება, რომ აღდგეს და შეძლებისდაგვარად გაუმჯობესდეს ამ პირების საარსებო და საცხოვრებელი პირობები სულ მცირე იმ დონემდე, რაც მათ იძულებით განსახლებაზე ჰქონდათ.⁸⁴² კომპენსაციის, ასევე, საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტის მიმართ ევროსასამართლო ცდილობს ჩამოაყალიბოს ერთიანი მიდგომა საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან დიდ სიფრთხილეს და წინდახედულებას მოითხოვს, რამდენადაც ნებისმიერ ჩარევას უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო საფუძველი და სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილებას ან საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს. დაცული უნდა იყოს აუცილებელი მოთხოვნა მესაკუთრების უფლება სათანადო ანაზღაურების მიღების თაობაზე და დარღვეული უფლების დაცვის შესაძლებლობა სასამართლოს წესით.

2. წარმოშობის სერტიფიკატი

2.1. ევროკავშირის მიდგომები წარმოშობის სერტიფიკატთან დაკავშირებით

ევროკავშირის პოლიტიკა მიმართულია ევროკავშირის მასშტაბით განახლებადი ენერჯის წყაროებიდან გამომუშავებული ელექტროენერჯის წილის გაზრდისკენ⁸⁴³ და ამ მიზნის მისაღწევად ხელს უწყობს ნევერ სახელმწიფოებს შესაბამისი ღონისძიებების გატარებაში, მათ შორისაა, განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოშობის გარანტიების (Guarantees of Origin (GOs)) დადასტურება ობიექტური, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კრიტერიუმების შესაბამისად.⁸⁴⁴ წარმოშობის გარანტიები (GO) მიზნად ისახავს აჩვენოს საბოლოო მომხ-

⁸⁴² Environmental and Social Policy, EBRD Performance Requirements, 2014; IFC Performance Standards on Environmental and Social Sustainability, Effective since January 1, 2012; The Equator Principles June 2013, A Financial Industry Benchmark for Determining, Assessing and Managing Environmental and Social Risk in projects, იხ., <www.equator-principles.com> [15.06.2024]

⁸⁴³ Paraschiv L. S., Paraschiv S., Contribution of Renewable Energy (Hydro, Wind, Solar and Biomass) to Decarbonization and Transformation of the Electricity Generation Sector for Sustainable Development, Energy Reports, Vol. 9, Supplement 9, 2023, 535-537.

⁸⁴⁴ Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council of 11 December

მარბელს, რომ ენერჯის გარკვეული რაოდენობა წარმოებულია განახლებადი წყაროებიდან.⁸⁴⁵ დირექტივის მიზნებისათვის, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯია განისაზღვრება, როგორც „ენერჯია განახლებადი არანიალსეული წყაროებიდან, კერძოდ, ქარი, მზის, აეროთერმული, გეოთერმული, ჰიდროთერმული და ოკეანის ენერჯია, ჰიდროენერჯეტიკა, ბიომასა, ნაგავსაყრელი გაზი, კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის გაზი და ბიოგაზები“.⁸⁴⁶ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან გასცენ წარმოშობის გარანტიები ელექტროენერჯის, გაზის, წყალბადის, გათბობის ან გაგრილების მწარმოებლების მოთხოვნის საფუძველზე, განახლებადი ენერჯის წყაროებიდან, მწარმოებლები თავად წყვეტენ, მოითხოვონ თუ არა ეს.⁸⁴⁷ თითოეულ სახელმწიფოს აქვს საკუთარი სამიზნე ნიშნული, რაც დამოკიდებულია განახლებადი ენერჯის ისტორიულ გამოცდილებაზე; არ არსებობს ფიქსირებული ფასი წარმოშობის გარანტიებისთვის და მათი ღირებულება დამოკიდებულია ბაზრის მოთხოვნაზე⁸⁴⁸.

წარმოშობის გარანტიები, წარმოშობის სერტიფიკატი (ასევე, ცნობილი როგორც „მწვანე სერტიფიკატი“) არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ სერტიფიკატით დაფარული ელექტროენერჯის გარკვეული რაოდენობა გამომუშავებული იყო განახლებადი ენერჯის წყაროებიდან.⁸⁴⁹ იგი სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმია განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების წასახალისებლად, რაც მიზნად ისახავს საბოლოო მომხმარებლისთვის გამჟღავნებას და დამონმებას, რომ გამანაწილებელ ქსელში ან გადამცემ ქსელში მიწოდებული ელექტროენერჯის გარკვეული რაოდენობა გამომუშავებული იყო განახლებადი ენერჯის წყაროებიდან. სახელმწიფოს

2018 on the Promotion of the Use of Energy from Renewable Sources (Recast); Directive 2009/28/ of the European Parliament and of the Council of 23 April 2009 on the promotion of the Use of Energy from Renewable Sources and Amending and Subsequently Repealing Directives 2001/77/EC and 2003/30/EC.

⁸⁴⁵ Petryk A., Adamik P., The Guarantees of Origin as a Market-based Energy Transition Mechanism in Poland, *Journal of Water and Land Development*, No. 58, 2023, 12.

⁸⁴⁶ Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Promotion of the Use of Energy from Renewable Sources (Recast), Art. 2.

⁸⁴⁷ იქვე, Art. 19.

⁸⁴⁸ იქვე.

⁸⁴⁹ იხ., Bröckl M., Pesola A., Vehviläinen L., Tommila P., Guarantees of Origin and Eco-labelling of Electricity in the Nordic Countries, Final report, Gaia Consulting Oy, 2011; Wimmers A., Madlener R., The European Market for Guarantees of Origin for Green Electricity: A Scenario-Based Evaluation of Trading under Uncertainty, Institute for Future Energy Consumer Needs and Behavior (FCN), 2020; Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Promotion of the Use of Energy from Renewable Sources (Recast), Art. 2.

აქვს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს ჯანსაღი გარემო და ამ მიზნით ხელი შეუწყოს სუფთა ენერჯიაზე გადასვლას,⁸⁵⁰ რაც გულისხმობს განახლებადი ენერჯიის წყაროების განვითარებას და ე.წ. ტრადიციული საწვავი პროდუქტების, როგორცაა, ნავთობი, გაზი და სხვა გამოყენების შემცირებას. საყოველთაოდ აღიარებული კლიმატის ცვლილება უარყოფით გავლენას ახდენს ეკოსისტემაზე, მის მდგრადობასა და შესაბამისად, ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე⁸⁵¹, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან.⁸⁵² სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა კლიმატის ცვლილების კუთხით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, რამდენადაც კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის ადამიანის ბევრ ძირითად უფლებებს.

საქართველოს აღებული აქვს უპირობო ვალდებულება, 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი შეამციროს 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით 35%-ით,⁸⁵³ რაც შეუძლებელია განახლებადი ენერჯიის წყაროების განვითარების გარეშე, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ადამიანის უფლებათა დარღვევას იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სათანადოდ არ დაიცავს მოქალაქეებს კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული გარემოსდაცვითი საფრთხეებისგან და არ გაატარებს ეფექტიან ღონისძიებებს კლიმატის ცვლილების შესარბილებლად ან/და თავიდან ასაცილებლად⁸⁵⁴.

⁸⁵⁰ Jaiswal K. K., Chowdhury CH. R., Yadav D., Verma R., Dutta S., Jaiswal K. S., Sangmesh B, Karuppasamy K.S.K.K., Renewable and Sustainable Clean Energy Development and Impact on Social, Economic, and Environmental Health, Energy Nexus, Vol. 7, 2022; Gielen D., Boshell F., Saygin D., Bazilian M. D., Wagner N., Gorini R., The Role of Renewable Energy in the Global Energy Transformation, Energy Strategy Reviews, Vol. 24, 2019, 39; McCollum D., Echeverri L. G., Riahi K., Parkinson S., Sustainable Development Goal 7: Ensure Access to Affordable, Reliable, Sustainable and Modern Energy for All, UN DESA, 2017, 132.

⁸⁵¹ United Nations Framework Convention on Climate Change, 1992, Art. 4 (f) (c).

⁸⁵² Skillington T., Climate Justice and Human Rights, New York, N.Y., 2017, 177; Climate Change and Health Hazards: Addressing Hazards to Human and Environmental Health from a Changing Climate, edited by Filho W. L., Vidal D. G., Dinis M. A. P., Springer, 2023,

⁸⁵³ „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციის „პარიზის შეთანხმებით“ გათვალისწინებული – „საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC)“, საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა და საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის 2021 – 2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 აპრილის №167 დადგენილება.

⁸⁵⁴ Submission of the Office of the High Commissioner for Human Rights to the 21st Conference of the Parties to the United Nations Framework Convention on Climate Change, 2015, 2-3.

2.2. საქართველოს გამოცდილება

საქართველოს კანონმდებლობით, წარმოშობის სერტიფიკატი არის ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტროენერჯის წილი განახლებადი წყაროებიდან არის წარმოებული.⁸⁵⁵ სერტიფიკატები გამოიყენება განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების მხარდასაჭერად და ენერჯის მიწოდებლებისა და მომხმარებლების მიერ განახლებადი ენერჯის გამოყენების წახალისებისთვის.⁸⁵⁶ განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის, გათბობისა და გრილების წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის სამართლებრივ საფუძვლებს განსაზღვრავს „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონი, ხოლო განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესი დამტკიცებულია საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 23 დეკემბრის N58 დადგენილებით. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის შემუშავებაზე და პროცესის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია,⁸⁵⁷ ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი ორგანო კი – გადამცემი სისტემის ოპერატორი⁸⁵⁸.

სერტიფიკატების რეესტრში ანგარიში იხსნება განაცხადის საფუძველზე, რომელიც, ასევე, გამოიყენება რეესტრში წარმოების საშუალების პირველადი რეგისტრაციისთვის, რეგისტრაციის განახლების ან დამატებითი წარმოების საშუალების რეგისტრაციისთვის.⁸⁵⁹ წარმოშობის სერტიფიკატის გაცემაზე

⁸⁵⁵ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი.

⁸⁵⁶ Ragwitz M., del Rio González P., Resch G., *Assessing the Advantages and Drawbacks of Government Trading of Guarantees of Origin for Renewable Electricity in Europe*, *Energy Policy*, Vol. 37, No. 1, 2009, 301-302; იხ., „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

⁸⁵⁷ იხ., საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 23 დეკემბრის N58 დადგენილებით დამტკიცებული „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესი“.

⁸⁵⁸ იქვე, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი.

⁸⁵⁹ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2023 წლის 2 თებერვლის N5/6 გადაწყვეტილება.

მიმართვის შესაძლებლობა აქვს ელექტროენერჯის მწარმოებელს, რომელიც ელექტროენერჯიას აწარმოებს ელექტროენერჯის წარმოების საშუალებით, აგრეთვე, ტრეიდერს, მიმწოდებელს ან მსხვილ მომხმარებელს (რომელიც ელექტროენერჯით ვაჭრობს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის რომელიმე სეგმენტზე).⁸⁶⁰ სხვა განმცხადებელისგან განსხვავებით, ტრეიდერი არ არეგისტრირებს წარმოების საშუალებას და შესაბამისად, არ გააჩნია ენერჯის წყაროს დადასტურების ვალდებულება; ტრეიდერს შეუძლია წარმოების საშუალებისგან შეისყიდოს სერტიფიკატი და გადასცეს სხვა ანგარიშის მფლობელს.⁸⁶¹ განსხვავებული მიდგომებია, ასევე, იმ ჰიდროელექტროსადგურების მიმართ, რომელთაც სახელმწიფოსთან დადებული აქვთ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მხრივ გარანტირებულად, შესაბამის თვეებში, კონკრეტულ ფასად ელექტროენერჯის შესყიდვას.⁸⁶² ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც სარგებლობენ აღნიშნული მხარდაჭერის მექანიზმით, რეგისტრირდებიან შესაბამის პლატფორმაზე, თუმცა წელიწადის იმ პერიოდზე, როდესაც სახელმწიფო შეისყიდის ელექტროენერჯიას, სერტიფიკატის მფლობელია სახელმწიფო, კერძოდ, სს „ენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, ხოლო პერიოდში, როდესაც სადგურები არ იღებენ მხარდაჭერას სახელმწიფოსგან, შესაბამისად, – ელექტროენერჯის წარმოების ობიექტი.⁸⁶³

ელექტროენერჯის წარმოების საშუალებად მიიჩნევა ელექტროენერჯის მწარმოებლის მფლობელობაში არსებული ელექტროსადგური, რომელიც აწარმოებს ელექტროენერჯიას განახლებადი ენერჯის წყაროებიდან, გარდა ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურისა, აგრეთვე, მაღალეფექტური კოგენერაციული თბოელექტროსადგური.⁸⁶⁴ წარმოშობის სერტიფიკატის გაცე-

⁸⁶⁰ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 23 დეკემბრის N58 დადგენილებით დამტკიცებული „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁸⁶¹ ხშირად დასმული კითხვები, <https://www.gse.com.ge/sw/static/file/xshirad_dasmuli_kitxvebi_GO.pdf> [03.01.2024]

⁸⁶² საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის“ მე-11 მუხლი.

⁸⁶³ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁸⁶⁴ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 23 დეკემბრის N58 დადგენილებით დამტკიცებული „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი.

მაზე უფლებამოსილი ორგანოა ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორი, რომელიც „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის“ საფუძველზე და ამ წესის მოთხოვნების დაცვით აწარმოებს ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატების რეესტრს და გასცემს წარმოშობის სერტიფიკატს.⁸⁶⁵

საქართველო ჯერ კიდევ არ არის გადამცემი სისტემის ოპერატორების ევროპული ქსელის (ENTSO-E) წევრი, თუმცა საქართველოს ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორმა, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, გამჭვირვალობის პლატფორმისათვის მონაცემთა მინოდების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო ფუნდამენტური თანამშრომლობა, რაც გულისხმობს „ქსელის წესებით“ განსაზღვრული ინფორმაციის (გადამცემი სისტემის დაგეგმვა, ოპერირება, ელექტროენერჯის გენერაცია, ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა და სხვ.) საჯაროობას და გამოქვეყნებას ENTSO-E-ის პლატფორმაზე.⁸⁶⁶ ENTSO-E ევროპის 36 ქვეყანაში მოქმედ გადამცემი სისტემის 43 ოპერატორს აერთიანებს და მიზნად ისახავს შიდა ენერგეტიკული ბაზრის ოპტიმალური და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფას.⁸⁶⁷ ამ ეტაპისთვის, ევროკავშირის რეგულაციის ფარგლებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ სისტემატურად აქვეყნებს მონაცემებს გამჭვირვალობის პლატფორმაზე, თუმცა 2023 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემის სისტემის ოპერატორმა უნდა დაადასტუროს, რომ გამოქვეყნებული მონაცემები არის შესაბამისი ხარისხისა და სიზუსტის.⁸⁶⁸ აღნიშნული შეთანხმება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის“ ENTSO-E-ის დამკვირვებლის, შემდგომში კი პოტენციური წევრობის გზაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ENTSO-E-სთან თანამშრომლობის ფარგლებში, გადაცემის სისტემის ოპერატორს შესაძლებლობა ექნება, გააღრმავოს თანამშრომლობა ევროპის მასშტაბით მოქმედ გადამცემი სისტემის ოპერატორებთან, რაც გაზრდის ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას და ხელს შეუწყობს როგორც პროფესიული და ინსტიტუციური შესაძლებლობე-

⁸⁶⁵ იქვე, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი.

⁸⁶⁶ ENTSO-E Launches Global Training for Non-member TSOs and International Constituencies <<https://www.entsoe.eu/news/2019/03/22/entso-e-launches-global-training-for-non-member-tsos-and-international-constituencies/>> [03.01.2024]

⁸⁶⁷ იქვე.

⁸⁶⁸ ENTSO-E-სთან თანამშრომლობა, <<https://www.gse.com.ge/chven-shesakheb/saertashoriso-urtiertobebi/ENTSO-E-sTan-TanamSromloba>> [03.01.2024]

ბის ზრდას, ასევე გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივას და ევროკავშირთან ენერგეტიკული თანამშრომლობის გაღრმავებას.

ანგარიშის მფლობელი შესაძლებელია იყოს მსხვილი მომხმარებელი, ტრეიდერი, მიმწოდებელი, მწარმოებელი. მსხვილ მომხმარებელს შეუძლია დარეგისტრირდეს პლატფორმაზე და შეისყიდოს სერტიფიკატები მწარმოებლისგან ან ტრეიდერისგან.⁸⁶⁹ საქართველოში, საბითუმო ბაზარზე რეგისტრირებული მომხმარებლების მიერ, სერტიფიკატების შესყიდვა შესაძლებელია, თუ ასეთი მომხმარებელი პირდაპირ ყიდულობს ელექტროენერგიას განახლებადი ენერჯის წყაროდან შესყიდვის ხელშეკრულებით.⁸⁷⁰ სერტიფიკატი ავტომატურად არ მიჰყვება გაყიდულ ენერჯიას, აუცილებელი პირობაა დამატებით ხელშეკრულების დადება ან ენერჯიის გაყიდვის ხელშეკრულებაში დამატებითი პირობა სერტიფიკატის შესყიდვის შესახებ, ასევე, სერტიფიკატის გაცემა/გადაცემა ინიცირებული უნდა იყოს შესაბამის პლატფორმაზე.⁸⁷¹ სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირებით მიმწოდებელს რაიმე დამატებითი ფინანსური დანახარჯის განევა არ მოუწევს, ვინაიდან პლატფორმაზე რეგისტრაცია პირველ წელს უფასოა, ასევე, უფასოა რეესტრში ანგარიშის მართვა და სერტიფიკატის გაცემა/გადაცემა და პლატფორმაზე განსახორციელებელი სხვა ოპერაციები.⁸⁷²

სემეკმა უნდა დაამტკიცოს წარმოშობის გარანტიების რეესტრის მუშაობის წესები, რომელიც დაადგენს რეესტრში ანგარიშების გახსნისა და შეჩერების პირობებს და წარმოშობის გარანტიების გაცემას, გადაცემას, ამოღებას და გაუქმებას.⁸⁷³ გადაცემის სისტემის ოპერატორმა აილო პასუხისმგებლობა რეესტრის ფუნქციონირებაზე და უზრუნველყოფს ერთი წარმოშობის გარანტიის გაცემას კონკრეტულ 1 მგვტ/სთ ელექტროენერგიაზე გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და ხელმისაწვდომი პროცედურების შესაბამისად.⁸⁷⁴ ამ ეტაპზე

⁸⁶⁹ იქვე.

⁸⁷⁰ ხშირად დასმული კითხვები, <https://www.gse.com.ge/sw/static/file/xshirad_dasmuli_kit-xvebi_GO.pdf> [03.01.2024]

⁸⁷¹ იქვე.

⁸⁷² საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 23 დეკემბრის N58 დადგენილებით დამტკიცებული „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯიის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის“ მე-5 მუხლი.

⁸⁷³ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

⁸⁷⁴ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 23 დეკემბრის N58 დადგენილებით დამტკიცებული „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯიის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის“ მე-10 მუხლი.

გარანტიები გაიცემა განახლებადი ენერჯის წყაროების ტექნოლოგიებზე; მომწოდებლებს და მსხვილ მომხმარებლებს შეუძლიათ გამოავლინონ განახლებადი ენერჯის წილი ენერჯის საბოლოო მთლიან მოხმარებაში. შესაბამისად, საბოლოო და მსხვილ მომხმარებლებს შეუძლიათ შეამცირონ ნახშირბადის კვალი განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ენერჯის გამოყენებით.

საქართველოს კონსტიტუცია ყველას ანიჭებს უფლებას, დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ⁸⁷⁵, თუმცა ორი ისეთი ლეგიტიმული ინტერესის არსებობისას, როგორცაა, კომერციული საიდუმლოების დაცვა და გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება, საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით „წიალის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის სიტყვები „დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე“ კონსტიტუციურად ცნო და განმარტა, რომ სადავო ნორმა არ ამცირებს ან/და არ აფერხებს გარემოს შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და საზოგადოებისათვის მიწოდების სახელმწიფო პოზიტიურ ვალდებულებას⁸⁷⁶. ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება აქვს ყველას, ამიტომაც ნებისმიერი საკითხი თუ ინფორმაცია, რომელიც რაიმე სახის გავლენას ახდენს გარემოზე, საზოგადოების მომეტებული ინტერესის ობიექტია და კონსტიტუციისთვის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია მოქცეული, შესაბამისად თავისთავად და ბუნებრივად არსებობს საზოგადოების ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მომეტებული ინტერესი.⁸⁷⁷ სახელმწიფო ვალდებულია, არ დაუშვას გარემოზე განუზომელი ზემოქმედება, რაც შეიძლება გარემოს დაცვის სფეროში ადამიანთა გარკვეული ქმედების აკრძალვაში იქნეს გამოხატული; სახელმწიფო ვალდებულია შექმნას სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც გარემოს დაზიანებისკენ მიმართულ ქმედებებთან მიმართებით პრევენციულ ფუნქციას შეასრულებენ.⁸⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით,

⁸⁷⁵ საქართველოს კონსტიტუცია 29-ე მუხლის პირველი პუნქტი. *Gegenava D., Changing Constitutional Identity: Constitutional Reform and New Concept of Human Rights in Georgia, Bratislava Law Review, Vol. 3, No. 1, 2019, 114.*

⁸⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბერის N3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33.

⁸⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N3/1/752 გადაწყვეტილებაზე.

⁸⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის N2/1/524 გა-

„ეკოლოგიური უფლებების კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების [...] საზოგადოებრივი მონაწილეობისა და სხვა გარემოსდაცვითი მექანიზმების გამართული, ეფექტური მუშაობისა და კოორდინაციისთვის. აღნიშნულით კონსტიტუცია ადასტურებს და განამტკიცებს კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგში მდგრადი ეკოლოგიური განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას“⁸⁷⁹. თავის მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს და გაუღვივებს მათ ამ ბრუნვაში ჩართვის ინტერესს; მან ხელი უნდა შეუწყოს ისეთი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, რომელიც თავისუფალი მენარმეობის განვითარებასა და ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტიორი იქნება, ამით სახელმწიფო კერძო და საჯარო ინტერესებს ერთმანეთისგან არ გააუცხოებს, არამედ უზრუნველყოფს მათ შორის სამართლიანი ბალანსისა და მშვიდობის დამყარებას.⁸⁸⁰

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია მომავალი თაობების ინტერესების დაცვაც,⁸⁸¹ რაც სამართლის ეკოლოგიური ფუნქციის ნაწილია,⁸⁸² შესაბამისად, რეგულირების სფეროს შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ უსაფრთხო გარემოსათვის დღეს არსებული მდგომარეობა და საფრთხეები, არამედ სამომავლო გარემოს დაცვითი საფრთხეებისგან თავის დაცვაც⁸⁸³, რაც მდგრადი განვითარების ამოსავალი პრინციპია.

სახელმწიფოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულების შესრულების ფარგლებში პირველი პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო ნიდერლანდების უმაღლესმა სასამართლომ, როდესაც მოსახლეობის სა-

დაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

⁸⁷⁹ იქვე, II-2.

⁸⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-3-4.

⁸⁸¹ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი.

⁸⁸² იხ., ხუბუა გ., სამართლის თეორია, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2015, 49.

⁸⁸³ მაგალითად, კოლუმბიის უმაღლესმა სასამართლომ ამაზონის ტყე უფლებით დაცულ ობიექტად მიიჩნია, რომლის გაჩეხვაც საფრთხეს უქმნის მომავალ თაობას, კერძოდ, გაჩეხვის შედეგად ნახშირორჟანგის რაოდენობა ცვლის კლიმატს და იწვევს მის დაზიანებას, რაც საფრთხეს უქმნის როგორც ახლანდელ ისე მომავლი თაობის ძირითად უფლებას სიცოცხლეზე და ჯანსაღ გარემოზე. იხ., *Future Generations v. Ministry of the Environment and Others*, Supreme Court of Justice of the Republic of Colombia, 5 April 2018.

ხელით შეტანილი სარჩელი დააკმაყოფილა და დაადგინა, რომ ნიდერლანდები საკმარის ღონისძიებებს არ ატარებდა იმ ოდენობით სათბური გაზების ატმოსფეროში გაფრქვევების შესამცირებლად, რა ოდენობითაც მან ეს ვალდებულება პარიზის ხელშეკრულებით, მის მიერვე წარდგენილი ეროვნული მაჩვენებლით იკისრა.⁸⁸⁴ სასამართლომ განმარტა, რომ კლიმატის ცვლილება საფრთხეა ადამიანის სიცოცხლისა და კეთილდღეობისთვის და ამიტომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, დაიცვას ადამიანის უფლებები შესაბამისად, სასამართლომ ნიდერლანდების სახელმწიფოს დააკისრა ევროკონვენციის მე-2 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ადამიანის სიცოცხლისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლებების უზრუნველყოფა⁸⁸⁵.

გარემოს დაცვა ადამიანისთვის არის ადამიანის ძირითადი უფლება და საქართველოში მისი საფუძველია კონსტიტუცია.⁸⁸⁶ ის ექცევა სიცოცხლის უფლებით დაცულ სფეროშიც, ვინაიდან ეს უკანასკნელი გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაარეგულიროს ნებისმიერი ისეთი სახის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანისათვის სიცოცხლის საფრთხის შექმნასთან, ან ასეთი საფრთხის შექმნის რისკთან და იქონიოს შესაბამისი კანონმდებლობა თუ ინსტრუქციები, რაც თავის თავში მოიცავს უსაფრთხო გარემოს, რომელიც საკმარისად განჭვრეტადია; კანონი მოქალაქეს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, ცხადად წარმოიდგინოს, როდისაა მისი მოქმედება მართლზომიერი და როდის არა.⁸⁸⁷ ევროკავშირის მიდგომა, ევროპელებმა იცხოვრონ სუფთა და ჯანსაღ გარემოში, ევროკავშირის ურყევი ნებაა და ადამიანის უფლებები და გარემო განუყოფლადაა ერთმანეთთან დაკავშირებული; სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემო არის ადამიანის უფლებების სრული რეალიზაციის გასაღები და ევროპის საბჭოს მუშაობა უნდა ეფუძნებოდეს სუფთა, ჯანსაღი და

⁸⁸⁴ *The State of Netherlands v. Urgenda Foundation*, Supreme Court of the Netherlands, 20 December 2019.

⁸⁸⁵ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

⁸⁸⁶ საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, გ. ხუბუასა და კ. პ. ზომერმანის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 305.

⁸⁸⁷ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 76. იხ., *Okyay and Others v. Turkey* [ECtHR], App. No. 36220/97, 12 July 2005, par. 73; *Mangouras v. Spain* [ECtHR], App. No.12050/04, 28 September 2010, par. 57; *Giacomelli v. Italy* [ECtHR], App. No. 59909/00, 26 March 2007, par. 83; *Taşkin and Others v. Turkey* [ECtHR], App. No. 46117/99, 30 March 2005, par. 123; *Autorità di Regolazione per Energia Reti e Ambiente (ARERA) v. Fallimento Esperia spa and Gestore dei Servizi Energetici SpA – GSE* [CJEU], C-558/22, 07 March 2024.

მდგრადი გარემოს უფლების, როგორც ადამიანის უფლებას, მის პოლიტიკურ აღიარებას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შემუშავებულ ვრცელ სასამართლო პრაქტიკას.⁸⁸⁸ საქართველოს აქვს ამბიციის, ჩამოაყალიბოს კარგი მმართველობა, რაც მიიღწევა დემოკრატიის განვითარებითა და ადამიანის უფლებების დაცვით და მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას მისი მოქალაქეებისათვის უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში. ამას მოწმობს ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები და ქმედებები რასაც ქვეყანა მუდმივად ასრულებს ევროკავშირის სამართალთან აპროქსიმაციითა და დაახლოებით.

გადაცემის სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამონმოს რეგისტრირებული წარმოების საშუალება, ინარმოება თუ არა ელექტროენერგია განახლებადი ენერჯის წყაროდან ან მაღალეფექტური კოგენერაციული თბოსადგურიდან; ხორციელდება თუ არა წარმოებული ელექტროენერჯის აღრიცხვა და/ან კანონით გათვალისწინებული სხვა მოქმედებები რეესტრში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად.⁸⁸⁹

განახლებადი წყაროდან ენერჯის წარმოება დასტურდება მხოლოდ წარმოშობის სერტიფიკატით, რომელსაც გასცემს ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორი, რეგისტრირებულ წარმოების საშუალების წარმოებულ ერთეულ მგვ/სთ ენერჯიაზე, პლატფორმის მეშვეობით. საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორი განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის მწარმოებლის მოთხოვნის საპასუხოდ გასცემს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატს.⁸⁹⁰ წარმოშობის გარანტიის მექანიზმის დანერგვა ელექტროენერჯის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, გავლენა მოახდინონ მომწოდებლებზე; ეს არის მომხმარებლის არჩევანი, მოიხმაროს განახლებადი ენერჯის წყაროების მეშვეობით გამომუშავებული ელექტროენერგია და ამით, ერთი მხრივ, დაიცვას გარემო, ხოლო, მეორე მხრივ, წახალისოს სერტიფიკატის მფლობელი, რომელიც ასევე, სარგებლობს ფინანსური შეღავათით საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას.⁸⁹¹ თავის მხრივ ეს არის მსხვილი მომხმარებლის მხრიდან

⁸⁸⁸ Summits of Heads of State and Government of the Council of Europe, Fourth Summit Council of Europe, Reykjavik, Iceland, 16-17 May 2023.

⁸⁸⁹ იქვე, მე-3 მუხლი.

⁸⁹⁰ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და ნახალისების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸⁹¹ Petryk A., Adamik P., The Guarantees of Origin as a Market-based Energy Transition Mechanism in Poland, Journal of Water and Land Development, No. 58, 2023, 13.

ალტერნატივა, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა თვითონ დაამონტაჟონ და თვითონ შეძლონ განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ელექტროენერჯის გენერირება, არამედ შეიძინონ დადასტურებულად განახლებადი ენერჯის წყაროებიდან გამომუშავებული ელექტროენერჯია; ხელშეწყობის აღნიშნული მექანიზმი წახალისებელია და მიღებულია ევროპაში,⁸⁹² თუმცა კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული მომხმარებლის ვალდებულება, შეიძინოს სერტიფიკატი, ვინაიდან საწყის ეტაპზე სერტიფიკატების გაცემა/გადაცემას აქვს არასავალდებულო ხასიათი და მიზანშეწონილია, დაინტერესებული მხარეების ცნობადობის ამაღლება; აღნიშნული მიმართულია მომხმარებლის უფლებამოსილებაზე და შესაძლებლობაზე ხელი შეუწყოს და დაიცვას გარემო და მნიშვნელოვანია, მომავალში აღნიშნული განისაზღვროს ვალდებულებად და კანონმდებლობით მოწესრიგდეს მიზნობრივი მომხმარებლების მიერ განახლებადი ენერჯის მოხმარების ვალდებულებად.

წარმოშობის გარანტიები ელექტროენერჯის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, მოახდინოს ზენოლა მიმწოდებლებზე, რადგან განახლებადი წყაროებიდან წარმოშობის გარანტიის ფლობა შეიძლება იყოს დამატებითი სარგებელი საბოლოო მომხმარებლისთვის და მომხმარებლებსა და ელექტროენერჯის შორის საკომუნიკაციო ხიდად მოქმედებს.⁸⁹³ ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორი სერტიფიკატებს გასცემს საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 8 კალენდარული დღის ვადაში.⁸⁹⁴ კანონმდებლობის შესაბამისად, მომხმარებელი არ ჯარიმდება და არ არის ვალდებული შეამციროს მოხმარება იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერჯის სრულ მოცულობაში გარკვეული წილი განახლებადი ენერჯის წყაროებიდან არ არის შესყიდული,⁸⁹⁵ თუმცა სამომავლოდ რეკომენდირებულია, ევროკავშირის დირექტივების⁸⁹⁶ შესაბამისად, მო-

⁸⁹² იქვე.

⁸⁹³ Markard J., Truffer B., Innovation Processes in Large Technical Systems: Market liberalization as a Driver for Radical Xchange?, *Research Policy*, Vol. 35, No. 5, 2006, 609-625.

⁸⁹⁴ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 23 დეკემბრის N58 დადგენილებით დამტკიცებული „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის“ მე-11 მუხლი.

⁸⁹⁵ იხ., „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველო კანონი.

⁸⁹⁶ Directive 2009/28/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2009 on the Promotion of the Use of Energy from Renewable Sources and Amending and Subsequently Repealing Directives 2001/77/EC and 2003/30/EC (Text with EEA relevance), Art. 3; Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Promotion of the Use of Energy from Renewable Sources (recast) (Text with EEA relevance.), Art. 3.

მხმარებელი ვალდებული იყოს, მოხმარებული ელექტროენერჯის სრულ მოცულობაში შესაბამისი პროცენტი განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ჰქონდეს შესყიდული და აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი სანქცია დაეკისროს.

წარმოშობის სერტიფიკატების რეესტრის ტექნიკური მომსახურების სრულფასოვნად და წარმატებით დანერგვისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო, მათ შორის, ევროკავშირის, გამოცდილების გაზიარება, შესაბამისი ტრენინგების ჩატარება და მოხელეების გადამზადება. ისეთი საკითხების განხილვა, როგორცაა, სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწა, წარმოშობის სერტიფიკატების გამცემი პლატფორმის სრულყოფა, ასევე, წარმოშობის სერტიფიკატების გამცემ პლატფორმასთან აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ. აღნიშნული მნიშვნელოვანია განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატების გაცემის პროცესის გაუმჯობესებასა და შემდგომი განვითარებისთვის.

მნიშვნელოვანია, წარმოშობის სერტიფიკატს ჰქონდეს საერთაშორისო ავტორიზაცია, რაც გულისხმობს საქართველოში გაცემული სერტიფიკატების ევროკავშირის სერტიფიკატების ბაზარზე გაყიდვის შესაძლებლობას. ამისათვის საქართველო უნდა გახდეს წარმოშობის სერტიფიკატების გამცემ ორგანოთა ასოციაციის (AIB HUB) წევრი სახელმწიფო. 2023 წელს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და AIB HUB-ს შორის დაიდო დამკვირვებელი წევრობის შესახებ ხელშეკრულება⁸⁹⁷ და გადაცემის სისტემის ოპერატორს, როგორც წარმოშობის სერტიფიკატების გამცემ ორგანოს, წარმოეშვა შესაძლებლობა, გაეცნოს AIB HUB-ის მუშაობის სპეციფიკას და მიიღოს ინფორმაცია წარმოშობის სერტიფიკატებით ევროპის მასშტაბით ვაჭრობის შესახებ.⁸⁹⁸ დამკვირვებლის სტატუსის ფარგლებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ გამოცდილებას გაუზიარებენ AIB HUB-ის წევრი ქვეყნები და ჰაბის ექსპერტები. მას ასევე, შესაძლებლობა ექნება დაესწროს AIB HUB-ის გენერალურ სხდომებს, ჯგუფის კრებებს და წვდომა ექნება AIB HUB-ის პლატფორმის გარკვეულ განყოფილებებზე.⁸⁹⁹ მიზანშეწონილია, ენერგეტიკულ

⁸⁹⁷ AIB Members, Georgia, <<https://www.aib-net.org/facts/aib-member-countries-regions/aib-members>> [12.05.2024].

⁸⁹⁸ Fact Sheets, FS04: Member and Competent Authority Codes – Release 3.12, <<https://www.aib-net.org/eecs/fact-sheets>> [12.05.2024].

⁸⁹⁹ „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ AIB HUB-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, <<https://www.gse.com.ge/comunikatsia/akhali-ambebi/2023/sse-is-da-AIB-HUB-s-Soris-xelSekruleba-gaformda>> [03.01.2024]

გაერთიანებასთან დაიდოს „ევროკავშირთან სერტიფიკატების ვაჭრობის შესახებ“ ხელშეკრულება, რის შემდეგაც უკვე საქართველო შეძლებს გახდეს AIB HUB-ის წევრი და ევროკავშირმა აღიაროს ქართული სერტიფიკატები, შესაძლებელი გახდეს ევროპულ ქვეყნებთან ვაჭრობა.

განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების მხარდასაჭერად, ასევე ენერჯის მიმწოდებლებისა და მომხმარებლების მიერ განახლებადი ენერჯის გამოყენების ნახალისების მიზნით 2023 წელს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“, პირველად საქართველოში, განახლებადი ენერჯების წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატების გაცემა დაიწყო.⁹⁰⁰ ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გამცემ ორგანიზაციაში ამჟამად დარეგისტრირებულია ერთი მიმწოდებელი და 37 ელექტროსადგური, მათ შორის, ქარის სადგურებიც.⁹⁰¹ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ უზრუნველყოფს ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემას ობიექტური, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კრიტერიუმების შესაბამისად და აგრძელებს სერტიფიცირების სისტემის განვითარებას, მუდმივ რეჟიმში ახორციელებს და მომავალშიც გეგმავს საინფორმაციო ხასიათის ტრენინგების ჩატარებას დაინტერესებული მხარეებისთვის.⁹⁰²

⁹⁰⁰ Georgia Becomes First Contracting Party to Start Using Electronic Registry for Guarantees of Origin for Renewables Developed under Energy Community Project, <<https://www.energy-community.org/news/Energy-Community-News/2022/12/20.html?cb=1671524090362>> [03.01.2024]

⁹⁰¹ Signed Agreement Between Georgian State Electrosystem and AIB HUB, <<https://www.gse.com.ge/communication/news/2023/signed-agreement-bewteen-georgian-state-electrosystem-and-aib-hub/>> [03.01.2024]

⁹⁰² Georgia Becomes First Contracting Party to Start Using Electronic Registry for Guarantees of Origin for Renewables Developed under Energy Community Project, <<https://www.energy-community.org/news/Energy-Community-News/2022/12/20.html?cb=1671524090362>> [03.01.2024]



მომხმარებლის უფლებები და განახლებადი ენერჯის ბაზრის რეგულირება-დერეგულირება

1. ელექტროენერჯის მომხმარებლის უფლება ევროკავშირის სამართალში

ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, რაც მიიღწევა სახელმწიფოს მხრიდან ენერჯის ხელმისაწვდომი ფასისა და ელექტროენერჯის უწყვეტად, უსაფრთხოდ და შესაბამისი ხარისხის მიწოდების უზრუნველყოფით.⁹⁰³ ევროკავშირის ენერგოპოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მომხმარებელთა უფლებების დაცვას და გამჭვირვალობას, რომელიც მიზნად ისახავს ენერჯის მომხმარებელი გახადოს სუფთა ენერჯის აქტიურ მომხმარებელად და ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებით შეძლოს ენერჯისა და ფულის დაზოგვა.⁹⁰⁴ თავის მხრივ, ევროკავშირი

⁹⁰³ Fostering Effective Energy Transition 2022 Edition, Insight Report, Word Economy Forum, 2022, 12.

⁹⁰⁴ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on Consumer Rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council Text with EEA relevance; Directive 2009/72/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Electricity and repealing Directive 2003/54/EC and Directive 2009/73/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal market in Natural Gas and Repealing Directive 2003/55/EC; Directive 2012/27/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 on Energy Efficiency, amending Directives 2009/125/EC and 2010/30/EU and repealing Directives 2004/8/EC and 2006/32/EC; Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on Consumer Rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council; Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on Unfair Terms in Consumer Contracts; Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council of 11 May 2005 concerning Unfair Business-to-consumer Commercial Practices in the Internal Market and amending Council Directive 84/450/EEC, Directives 97/7/EC, 98/27/EC and 2002/65/EC of the European Parliament and of the

წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, ეროვნული კანონმდებლობაში ასახული და დაცული იყოს მომხმარებელთა უფლებები.⁹⁰⁵ მესამე ენერჯეტიკული პაკეტი მეტ ყურადღებას ამახვილებს მომხმარებელთა დაცვასა და სახელმწიფოს ვალდებულებაზე, უზრუნველყონ ელექტროენერჯიაზე წვდომა, კერძოდ: საყოფაცხოვრებო მომხმარებლის უფლება მიერთებულ იქნეს ადგილობრივ ქსელზე; ელექტროენერჯის მიმწოდებლების არჩევა, ასევე, მიმწოდებლების მარტივი და სწრაფი შეცვლა დამატებითი გადასახადის გარეშე; მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის სტანდარტული ხელშეკრულებების შესახებ ზუსტი ინფორმაცია და ამ ხელშეკრულებიდან გასცვლის შესაძლებლობა; ასევე, აღრიცხვის შესახებ ინფორმაცია, თუ რა რაოდენობის ენერჯია მოიხმარა და რა ფასად.⁹⁰⁶ მომხმარებელზე ორიენტირებული შიდა ბაზარი, გამჭვირვალობა, ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა, ასევე, სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დაცვის მექანიზმების დასაბუთება და გამიჭირვალა ევროპული ენერჯოპოლიტიკის მნიშვნელოვანი ღირებულებებია.⁹⁰⁷

ევროპული კანონმდებლობის შესაბამისად, მომხმარებლის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა გადაამცემ და გამანაწილებელ ქსელზე თავისუფალი დაშვება, რაც სახელმწიფოს მიერ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, კერძოდ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მესამე მხარის დაშვება წინასწარ დამტკიცებული ტარიფების საფუძველზე, რომელიც ობიექტურად და დისკრიმინაციის გარეშე ვრცელდება სისტემის მომხმარებლებზე.⁹⁰⁸ გასათვალისწინებელია, რომ სიმძლავრის არარსებობის გამო, ევროდირექტივა უშვებს გადაამცემი ან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მხრიდან უარის თქმას ქსელზე დაშვების თაობაზე, თუმცა უარი უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს ობიექტურ და ტექნიკურად და ეკონომიკურად გამართლებულ კრიტერიუმებს.⁹⁰⁹ შესაბამისად, ევროკავშირის სამართლით, სახელმწიფოების გადანყვეტილების შემთხვევაში მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ აღნიშნული კრიტერიუმების

Council and Regulation (EC) No 2006/2004 of the European Parliament and of the Council.

⁹⁰⁵ Directive 2009/73/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Natural Gas and repealing Directive 2003/55/EC (Text with EEA relevance), Art. 3.

⁹⁰⁶ Consumer Rights in Electricity and Gas Markets, BEUC Position Paper, Brussels, 2013, 6-7.

⁹⁰⁷ Rumpf J., Banet C., Energy law, in: Research Handbook on the Enforcement of EU Law, Edited by M. Scholten, Edward Elgar Publisher, 2023, 366-367.

⁹⁰⁸ Directive 2009/72/EC of The European Parliament and of The Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Electricity and repealing Directive 2003/54/EC (Text with EEA relevance) Art. 32

⁹⁰⁹ იქვე, Art. 32

განსაზღვრა, ტექნიკური ნესების შემუშავება და საჯაროობა; ნესები უნდა იყოს ობიექტური და არადისკრიმინაციული.⁹¹⁰ ევროპული კანონმდებლობა უზრუნველყოფს მომხმარებლის უფლებას ქსელზე დაშვებისთვის მიმართოს შესაბამის კომპანიას და ადგილობრივი ქსელზე მიერთებას ქსელის ნესების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს მონაცემებისა და ინფორმაციის გამჭვირვალობის პრინციპებს და იმ ინფორმაციის საჯაროობას, რაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბაზრის მონაწილე სუბიექტებისათვის, უზრუნველყოს მიერთება.⁹¹¹

ევროპის მესამე ენერგეტიკული პაკეტი ასევე ითვალისწინებს მომხმარებლის უფლებას, აირჩიოს მიმწოდებელი ან შეცვალოს ის სწრაფად სხვა მიმწოდებლით, ყოველი დამატებითი გადასახადის გარეშე.⁹¹² თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მიმწოდებლის არჩევის და შეცვლის შესაძლებლობას იძლევა კონკურენტული, ღია ბაზარი; იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანია განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის მიღება ან არჩევანს მომხმარებელთა მომსახურების ხარისხზე აკეთებს და ამასთან, დერეგულირებული ბაზარი აძლევს რამდენიმე მიმწოდებლის არსებობის შესაძლებლობას, მას აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება. თავად პროდუქტის (ამ შემთხვევაში ელექტროენერჯის) ყიდვა შესაძლოა იყოს კონკურენტული, თუმცა ელექტროენერჯის მიწოდება/განაწილება, ქსელური საქმიანობა, მონოპოლიურია და სწორედ ამიტომ ის რეგულირებადი საქმიანობაა და მისი მომსახურების ტარიფს მარეგულირებელი განსაზღვრავს.⁹¹³ თავის მხრივ, კონკურენტული ბაზრის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი არის ქსელზე თავისუფალი დაშვება, რათა ელექტროენერჯია დაუბრკოლებლად მიენოდოს მომხმარებელს. მნიშვნელოვანია, მომხმარებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა მიმწოდებელს შორის არჩევანის თავისუფლება, რამდენადაც ევროკავშირის კანონმდებლობის მი-

⁹¹⁰ იქვე, Art. 5

⁹¹¹ Commission Regulation (EU) No 543/2013 of 14 June 2013 on Submission and Publication of Data in Electricity Markets and amending Annex I to Regulation (EC) No 714/2009 of the European Parliament and of the Council (Text with EEA relevance).

⁹¹² Directive 2009/72/EC of The European Parliament and of The Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Electricity and repealing Directive 2003/54/EC (Text with EEA relevance), Annex I; Anchustegui I.H., Transmission Networks in Electricity Competition: Third-Party Access and Unbundling – A Transatlantic Perspective, in: Competencia en mercados con recursos esenciales compartidos: telecomunicaciones y energía, Edited by J.I. Ruiz Peris, University of Valencia, 2019, 95.

⁹¹³ Polo M., Scarpa C., The Liberalization of Energy Markets in Europe and Italy, IGIER Working Paper No. 230, 2023, 18-20; Markard, J., Truffer, B., Imboden, D. M., The Impacts of Market Liberalization on Innovation Processes in the Electricity Sector, Energy & Environment, Vol. 15 No. 2, 2004, 201-214.

ხედვით, ღია და გამჭვირვალე ქსელის წესები საცალო ბაზარზე ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას⁹¹⁴.

ინფორმაციის თავისუფლებას და გამჭვირვალობას განსაკუთრებული როლი აკისრია ენერგეტიკის სექტორში, რამდენადაც მას შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ელექტროენერჯის მომხმარებელზე. ევროპული კანონმდებლობით, სავალდებულოა მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის სტანდარტული ხელშეკრულებების შესახებ ზუსტი ინფორმაციის საჯაროობა და ამ ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობა.⁹¹⁵ მომხმარებლებს უფლება აქვთ ჰქონდეთ სრული ინფორმაცია მიღებული პროდუქტისა და სერვისის შესახებ, მათ შორის, პროდუქტის ფასისა და გადასახადების შესახებ.⁹¹⁶ ღირებულებების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, მიმწოდებლებმა უზრუნველყონ მომხმარებლების ინფორმირება, თუ რა რაოდენობის ენერჯია მოიხმარა, რა ღირებულებების, ასევე, ელექტროენერჯის ფასის და ტარიფის შესახებ.⁹¹⁷ გარდა ამისა, მიმწოდებელი მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას გადახდის მეთოდების, სერვისის ხარისხის და მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დავების მოგვარების მექანიზმების შესახებ.⁹¹⁸ მნიშვნელოვანია, მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის ხელშეკრულებათა პირობები იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე.⁹¹⁹

მომხმარებლის ინფორმირებულობა ზუსტი აღრიცხვის შესახებ, თუ რა რაოდენობის ენერჯია მოიხმარა და რა ფასად, გარანტირებულია ევროკავშირის ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერჯის ბაზრების შესახებ ენერგეტიკული

⁹¹⁴ Directive (EU) 2019/944 of the European Parliament and of the Council of 5 June 2019 on Common Rules for the Internal Market for Electricity and Amending Directive 2012/27/EU (recast) (Text with EEA relevance.), Art. 10.

⁹¹⁵ Schittekatte T., Reif V., Meeus L., The EU Electricity Network Codes, Technical Report, European University Institute, 2020, 125-126.

⁹¹⁶ მარგველაშვილი მ., წურნუშია თ., თოდრაძე გ., მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., ინფორმაციის და მონაცემების გამჭვირვალობა ენერგეტიკაში, წიგნში: ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, თბილისი, 2017, 23.

⁹¹⁷ Directive (EU) 2019/944 of the European Parliament and of the Council of 5 June 2019 on Common Rules for the Internal Market for Electricity and Amending Directive 2012/27/EU (recast) (Text with EEA relevance.), Art. 59.

⁹¹⁸ მარგველაშვილი მ., წურნუშია თ., თოდრაძე გ., მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., ინფორმაციის და მონაცემების გამჭვირვალობა ენერგეტიკაში, წიგნში: ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, თბილისი, 2017, 23.

⁹¹⁹ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of The Council of 25 October 2011 on Consumer Rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council (Text with EEA relevance).

კანონმდებლობისა და ენერგოეფექტურობის დირექტივის შესაბამისად⁹²⁰; მომხმარებელი უფლებამოსილია ჰქონდეს ინფორმაცია საკუთარი მოხმარების ზუსტი აღრიცხვის შესახებ და ინფორმირებულობა მას აძლევს შესაძლებლობას, იფიქროს ენერჯის დაზოგვაზე, მისი მოხმარების შემცირებაზე ან შეადაროს სხვა სერვისებს. ამის შესაძლებლობას იძლევა ენერჯის ჭკვიანი სისტემები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ენერჯის რეალურ დროში აღრიცხვა და ინფორმაციის მიღება ფასებისა და მოხმარების შესახებ.⁹²¹ შესაბამისად, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს აღნიშნული სისტემის დანერგვას.

ევროკავშირის დირექტივებით, მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვთ მარეგულირებელ ორგანოებს, რომლებიც აღჭურვილნი არიან შესაბამისი უფლებამოსილებით, მონიტორინგი გაუწიონ, რამდენად დაცულია ბაზრის სუბიექტების მიერ გამჭვირვალობისა და კონკურენციის პრინციპები, ასევე, მნიშვნელოვანია მარეგულირებლის კოორდინაციული თანამშრომლობა კონკურენციის სააგენტოსთან და ენერგომომხმარებელთან, რომლებიც უშუალოდ მომხმარებელზე ორიენტირებულები არიან და დიდ როლს თამაშობენ მომხმარებლის ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმირებულობაში.⁹²² ევროკავშირის სამართალში განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ეკისრება მომხმარებელთა დაცვას და ინფორმაციის ღიაობას,⁹²³ რაც გავლენას ახდენს მომსახურების ხარისხზე და მიმართულია და ორიენტირებულია ადამიანის უფლებებზე. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მომხმარებელზე ორიენტირებული შიდა ბაზრის ჩამოყალიბება და ინფორმაციის გამჭვირვალობა.

⁹²⁰ იხ., Directive (EU) 2019/944 of the European Parliament and of the Council of 5 June 2019 on Common Rules for the Internal Market for Electricity and Amending Directive 2012/27/EU (recast) (Text with EEA relevance.), Annex I; Directive (EU) 2023/1791 of the European Parliament and of the Council of 13 September 2023 on Energy Efficiency and Amending Regulation (EU) 2023/955 (recast) (Text with EEA relevance), Art. 14, Art. 17, Art. 18.

⁹²¹ Energy Retail and Consumer Protection 2023 Market Monitoring Report, September 2023, European Union Agency for the Cooperation of Energy Regulators and the Council of European Energy Regulators, 2023, 95; Directive (EU) 2019/944 of the European Parliament and of the Council of 5 June 2019 on common Rules for the Internal Market for Electricity and Amending Directive 2012/27/EU (recast) (Text with EEA relevance.), Art. 19.

⁹²² Directive 2009/73/EC of The European Parliament and of The Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Natural Gas and repealing Directive 2003/55/EC (Text with EEA relevance), Chapter VII.

⁹²³ De Streef A.A., European Agenda for Smart Consumer Protection Rules for Digital Services, *Intereconomics*, Vol. 52, 2017, 226–228; Jabłonowska A., EU Consumer Law and Technology, in: *Research Handbook on Law and Technology*, Edward Elgar Publishing, 2024, 179; Mateja Đ., *Adaptation of Consumer Law to the Digital Age: EU Directive 2019/2161 on Modernisation and Better Enforcement of Consumer Law*, *Belgrade Law Review*, Vol. 68, No. 2, 2020, 67.

2. ელექტროენერჯის მომხმარებლის უფლების დაცვა ქართულ სამართალში

2.1. საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მარეგულირებელი კომისიის როლი

საქართველო, როგორც ენერჯეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყანა, მომხმარებელთა უფლებებს, როგორც კონსტიტუციურ ვალდებულებას, იცავს საქართველოს კონსტიტუციით, რომლის ბლანკეტური დებულებითაც, „მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით“⁹²⁴. მომხმარებლის სამართლებრივი ინტერესები სახელმწიფოს მიერ არის დაცული და რეგულირდება „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. ენერჯეტიკის დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ევროკავშირის სამართლის მოთხოვნათა დაცვით, საქართველოში ელექტროენერჯეტიკის კუთხით მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობას არეგულირებს სემეკის დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესები“⁹²⁵ და „ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესები“⁹²⁶. კონკურენტული საცალო ბაზრის განვითარების და მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული მომსახურების პირობების გაუმჯობესების, მომსახურების უკეთესი ხარისხით განხორციელებისა და მომხმარებლისათვის უფრო ხელსაყრელი მიწოდების ფასის შეთავაზების მიზნით წესები უზრუნველყოფს საბოლოო მომხმარებლის უფლებას, დამოუკიდებლად შეარჩიოს მიმწოდებელი, შეთავაზებული მიწოდების ფასისა და მომსახურების პირობების გათვალისწინებით.⁹²⁷ დადგენილება მოიცავს ელექტროენერჯის მიწოდების წესებს⁹²⁸, უნივერსალური მომსახურების მიწოდების წესებს⁹²⁹, ბოლო ალტერნატივის მიწოდების წესებს⁹³⁰ და მიმწოდებლის

⁹²⁴ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-3 წინადადება.

⁹²⁵ „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს №47 დადგენილება.

⁹²⁶ „ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის N19 დადგენილება.

⁹²⁷ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს №47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ მე-4 მუხლი.

⁹²⁸ იქვე, მე-2 თავი.

⁹²⁹ იქვე, მე-3 თავი.

⁹³⁰ იქვე, მე-4 თავი.

შეცვლის წესებს⁹³¹. საბოლოო მომხმარებლის უფლება, შეცვალოს მიმწოდებელი, მნიშვნელოვანია ელექტროენერგეტიკული ბაზრის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის.⁹³² წესების შესაბამისად, უზრუნველყოფილია მიმწოდებლის შეცვლის სწრაფი, მარტივი და უფასო პროცედურა,⁹³³ რაც სრულად შეესაბამება ევროპულ პრაქტიკას, თუმცა საქართველოს სინამდვილეში მიმწოდებლის შეცვლის პრაქტიკა ფაქტობრივად არ არსებობს, ვინაიდან საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის საცალო ბაზარი მაღალკონცენტრირებულია და მხოლოდ ორი მიმწოდებელია ბაზარზე, კერძოდ, სს „თელასის“ სალიცენზიო არეალში (თბილისი), შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“ (თელმიკო) და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სალიცენზიო არეალში (თბილისის გარდა სხვა რეგიონები) – სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“.⁹³⁴

ენერგეტიკის სექტორების განვითარების მიზნით, მარეგულირებელი კომისია თანამედროვე, საერთაშორისოდ აღიარებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებით, დამოუკიდებლად, გამჭვირვალედ და ეფექტიანად არეგულირებს ენერგეტიკის სექტორს, იცავს მომხმარებლებისა და რეგულირებადი საწარმოების ინტერესებს;⁹³⁵ ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესების, ასევე ევროკავშირთან ინტეგრაციისა და ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით იღებს ახალს და ხვეწს უკვე არსებულ მარეგულირებელ კანონმდებლობას.⁹³⁶ სემეკი ასევე, უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის სტაბილური, ხარისხიანი და უწყვეტი მომსახურებების განწევას ენერგეტიკისა სექტორის ყველა მონაწილის ინტერესების გათვალისწინებით, რამდენადაც ის ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიუკერძოებლად, კანონმდებლობის სრული დაცვით გადაწყვიტოს სადავო საკითხები და დაიცვას, ერთი მხრივ, მომხმარებლის, მეორე მხრივ კი, საწარმოს

⁹³¹ იქვე, მე-5 თავი.

⁹³² Consultation on the Implementation of the EU Third Internal Energy Package, Department of Energy and Climate Change, London, 2010, 12-13.

⁹³³ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს №47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ მე-5 თავი.

⁹³⁴ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, 7.

⁹³⁵ Regulation (EU) 2019/1020 of The European Parliament And of The Council of 20 June 2019 on market surveillance and compliance of products and amending Directive 2004/42/EC and Regulations (EC) No 765/2008 and (EU) No 305/2011 (Text with EEA relevance), Art. 1.

⁹³⁶ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, 124-125.

ინტერესები.⁹³⁷ მომხმარებელთა ინტერესების დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრული კომისიის ფუნქცია არ გამორიცხავს კომპანიის ინტერესების დაცვას დავის განხილვისას კომპანიის მხრიდან არგუმენტირებული, მტკიცებულებებით გამყარებული პოზიციის წარდგენის შემთხვევაში. სადავო საკითხების გადაწყვეტისას კომისია დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას. კომისია სადავო საკითხის განხილვის შედეგად იღებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს, გადანყვეტილებას.⁹³⁸

სემეკზე სრულად ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის 49-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, გაცეს მოთხოვნილი ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან 10 დღის ვადაში. ყოველწლიურად სემეკი აქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, სადაც დეტალურად არის აღწერილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასა და გაცემასთან, ასევე მის სტატუსთან დაკავშირებული ინფორმაცია.⁹³⁹ სემეკის გადანყვეტილებები ქვეყნდება საჯაროდ კომისიის ვებგვერდზე, ასევე ცალკე არის გამოყოფილი საჯარო წარმოებისა და საჯარო სხდომების შესახებ დეტალური ინფორმაცია.⁹⁴⁰ კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები ხელმისაწვდომია როგორც მის, ასევე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ ვებგვერდზე; სემეკის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მომხმარებლებისთვის, სექტორების მიხედვით, აბონენტად რეგისტრაციის, ტარიფების, აღრიცხვის და საფასურის გახდის წესის შესახებ და სხვ.⁹⁴¹ გამჭვირვალობის მხრივ მარეგულირებელი კომისია აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტს.

კომისიის აპარატისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური. 2003 წლის 22 ივლისს „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, ენერგო-

⁹³⁷ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი, 155-ე მუხლი.

⁹³⁸ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, 114.

⁹³⁹ იხ., საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019-2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

⁹⁴⁰ იხ., საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ანგარიშები <<https://gnerc.org/ge/commission/commission-reports/tsliuri-angarishebi>> [07.06.2024]

⁹⁴¹ იხ., საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია <<https://gnerc.org/>> [02.03.2024]

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიის აპარატისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური, რომლის ფუნქციაა დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები, შეაფასოს მომხმარებელზე სატარიფო და სხვა სახის სარეგულაციო ცვლილებათა გავლენა და მათი შედეგები, მიიღოს მონაწილეობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იმ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში, რომლებმაც, შესაძლებელია, ზეგავლენა იქონიოს მომხმარებელთა ინტერესებზე და სხვ.⁹⁴² თავისი ფუნქციების განხორციელებისას ის უფლებამოსილია მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მომხმარებელი კომპანიასთან დავაში, იყოს მხარე, გაეცნოს დოკუმენტაციას და მასალას.⁹⁴³

მომხმარებლის უკეთ ინფორმირებულობისა და დაცულობის მიზნით, „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესები“ განსაზღვრავს ელექტროენერჯის მიმწოდებელსა და საბოლოო მომხმარებელს შორის ურთიერთობის მარეგულირებელ ჩარჩოს და ადგენს მიმწოდებლის მიერ საბოლოო მომხმარებელთან მიწოდების ხელშეკრულების დადების, მისი პირობების შეცვლის, საბოლოო მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების, მომსახურების განვების, მათ შორის, გადახდის წესებსა და პირობებს.⁹⁴⁴ მომხმარებლის უფლების დაცვისა და ბაზარზე კონკურენციის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია გაჩნდნენ ახალი მიმწოდებლები, გაიხსნას ბაზარი და მომხმარებელმა შეძლოს ისარგებლოს კანონმდებლობით გასაზღვრული უფლებებით აირჩიოს მიმწოდებელი, პირობებისა და მიწოდების ხარისხის გათვალისწინებით. რეფორმების წარმატებით განხორციელებისა და ევროკავშირის სამართალთან დაახლოების მიზნით ბაზრის გახსნა და მომხმარებელთათვის არჩევანის მინიჭება მნიშვნელოვანია, რაც, თავის მხრივ, გაზრდის კონკურენციასა და მომსახურების ხარისხს.

საქართველოში მომხმარებლის ინფორმირება ელექტროენერჯის მოხმარების აღრიცხვის შესახებ ყოველთვიურად დაგზავნილი ქვითრებით ხდება, რაც უზრუნველყოფილია მიმწოდებელი კომპანიების მიერ.⁹⁴⁵ წესებით განსა-

⁹⁴² „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15¹ მუხლი.

⁹⁴³ იქვე.

⁹⁴⁴ იხ., საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს №47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესები“.

⁹⁴⁵ იქვე, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტი, მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი, მე-16-17 მუხლები.

ზღვრულია ქვითრის მომზადება და მიწოდება და მასზე, სხვა ინფორმაციის გარდა, მოცემულია ინფორმაცია მოხმარებული ენერჯის რაოდენობისა და ფასის შესახებ, როგორც ყოველ მოხმარებულ ერთეულზე, ისე, ჯამურად, ერთი თვის განმავლობაში, ასევე, სისტემის ოპერატორის მიერ განეული მომსახურების ხარჯები, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების შესახებ, სოციალური შეღავათის ან სუბსიდიის შესახებ და სხვ.⁹⁴⁶ საქართველოს ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციამ, საერთო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მიწოდების უსაფრთხოების, უწყვეტობის, სათანადო ხარისხითა და ფასით ელექტროენერჯის მიწოდების უზრუნველყოფის, აგრეთვე განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის წარმოების ხელშეწყობის მიზნით, განსაზღვრა საჯარო მომსახურების განევის ვალდებულება, რაც დაეკისრება საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციას, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელს, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელს, საჯარო მომსახურების მიმწოდებელს, საჯარო მომსახურების გამწვევ ელექტროენერჯის მწარმოებელს, მათ შორის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს და დაადგინა მათი ანგარიშსწორების და ფინანსური უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები.⁹⁴⁷

სოციალური სახელმწიფოს იდეაა, სახელმწიფომ იზრუნოს მის მოქალაქეთა კეთილდღეობაზე და უზრუნველყოს მათი უფლებები რათა საზოგადოებაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ.⁹⁴⁸ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი მომხმარებელთა დაცვის გარანტიები ეხება როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროს და სოციალური სახელმწიფოს შექმნის იდეაზეა დაფუძნებული. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ცხოვრობდეს ისეთ დონეზე, რაც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.⁹⁴⁹

⁹⁴⁶ იქვე, მე-16 და მე-17 მუხლები.

⁹⁴⁷ მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁴⁸ გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 12; შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021, 22; შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, მე-2 გამოცემა, დ. გეგენავას და გ. გორაძის რედაქტორობით, თბილისი, 2021, 22; ლოლაძე ბ., სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, წიგნში: კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, ნ. I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 78; გეგენავა დ., სოციალური დაცვის სამართალი, წიგნში: საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო, გ. ხუბუას და კ.-პ. ზომერმანის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 548.

⁹⁴⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლი.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2022 წლის ანგარიშის თანახმად, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში მომხმარებლების დიდი ნაწილი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას თავისი და კომუნალური სანარმოების უფლებამოსილებების თაობაზე, რაც განაპირობებს მომხმარებლის მხრიდან კომპანიის მიერ შეთავაზებული პირობების არ ცოდნას და არაინფორმირებულობას.

2.2. ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება და კომუნალური მომსახურება

ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება ძირითადი უფლებაა და ხშირ შემთხვევაში მისი განხორციელება დაკავშირებულია სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებასთან.⁹⁵⁰ იგი გულისხმობს უფლებას ღირსეულ ცხოვრებასა და სოციალურ კეთილდღეობას, რაც უზრუნველყოფს პიროვნების განვითარების შესაძლებლობას.⁹⁵¹ ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება მნიშვნელოვანია როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის პერსპექტივიდან, ასევე ინდივიდუალური და სოციალური განვითარებისთვის. ევროსასამართლო ამ უფლებას ხშირად სხვადასხვა კომუნალური საკითხის კონტექსტში განიხილავს, რითაც აჩვენებენ, თუ როგორ ახდენს ეს უფლება გავლენას ყოველდღიურ ცხოვრებაზე.⁹⁵² ევროსასამართლოს პრაქტიკაში, ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება ხშირად უკავშირდება სოციალური უფლებების დაცვას, განსაკუთ-

⁹⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე სალომე ნერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13;

⁹⁵¹ Jacobson D., Ruffer G. B., Courts across Borders: The Implications of Judicial Agency for Human Rights and Democracy, Human Rights Quarterly, Vol. 25, No. 1, 2003, 75; Dissenting Opinion of Judge Wojtyczek in Mile Novakovic v. Croatia [ECtHR], App. No. 73544/14, 17 March 2020, par. 2.

⁹⁵² Ernst Georg Radlinger, Helena Radlingerová v Finway a.s. [CJEU], C-377/14, 21 April 2016; Joined cases C-240/98 to C-244/98: Océano Grupo Editorial SA and Rocio Murciano Quintero (C-240/98) and between Salvat Editores SA And José M. Sánchez Alcón Prades (C-241/98), José Luis Copano Badillo (C242/98), Mohammed Berroane (C-243/98), Emilio Viñas Felio (C-244/98) [CJEU], 27 June 2000.

რებით კომუნალური მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხებში.⁹⁵³ მაგალითად, ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობა არა მხოლოდ ყოველდღიურ საჭიროებებს აკმაყოფილებს, არამედ სხვა თანამედროვე სერვისებზე (მაგ., ინტერნეტი და ტელევიზია) წვდომასაც უზრუნველყოფს. ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი პიროვნების ცხოვრების ბევრ ასპექტს განსაზღვრავს. ევროსასამართლოს შეფასებით, ელექტროენერჯის არარსებობა შესაძლოა არღვევდეს ადამიანის უფლებებს, რამდენადაც იზღუდება პიროვნების თავისუფლება და შესაძლებლობები.⁹⁵⁴ ელექტროენერჯის გარდა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტებია. ამ მომსახურებების მეშვეობით ადამიანები ინარჩუნებენ კავშირებს გარე სამყაროსთან, იღებენ ინფორმაციას და შესაძლებლობებს, რაც მათ სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს.

ევროსასამართლოს გადანყვეტილებებში აღინიშნება, რომ ეს სერვისები თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის მიღებისა და კომუნიკაციისათვის არანაკლები მნიშვნელობის მატარებელია.⁹⁵⁵ ამგვარად, კომუნალური მომსახურე-

⁹⁵³ Howells G., Twigg-Flesner Ch., Wilhelmsson Th., *Rethinking EU Consumer Law*, Taylor & Francis Group, 2018, 163.

⁹⁵⁴ *Burlya and Others v. Ukraine* [ECtHR], App. No. 3289/10, 6 February 2018 par. 12 (სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მუდმივი ელექტროენერჯის გათიშვა ქმნიდა არაადამიანური მოპყრობის პირობებს და არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს); *Moldovan and Others v. Romania* [ECtHR], App. Nos. 41138/98 and 64320/01, 12 July 2005, par. 148, (საცხოვრებელი პირობების გაუარესება, რაც გულისხმობდა ელექტროენერჯის არარსებობას, არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს); *Budayeva and Others v. Russia* [ECtHR], App. Nos. 15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02 and 15343/02, 20 March 2008, par. 163, (ელექტროენერჯის არარსებობა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ადამიანის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, და არღვევდა კონვენციის მე-2 მუხლს, სიცოცხლის უფლებას).

⁹⁵⁵ *Ahmet Yildirim v. Turkey* [ECtHR], App. No. 311/10, 18 December 2012, par. 37, (ინტერნეტზე წვდომა მედიასთან კავშირი და ინფორმაციის გავრცელება, რაც დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით, გამოხატვის თავისუფლება, შესაბამისად, ინტერნეტის დაბლოკვის გადანყვეტილება არღვევდა მოსარჩელის უფლებას ინფორმაციის მიღების და გავრცელების თვალსაზრისით); *Cengiz and Others v. Turkey* [ECtHR], App. Nos. 48226/10 and 14027/11, 1 December 2015, par. 55 (YouTube-ის დაბლოკვა თურქეთში არღვევდა მოსარჩელების მიმართ კონვენციის მე-მუხლს, გამოხატვის თავისუფლებას, რადგან ეს აკრძალავდა ზღუდავდა მათ შესაძლებლობას, ჰქონოდათ წვდომა სხვადასხვა სახის ინფორმაციასა და გამოხატვის საშუალებებზე); *Khadija Ismayilova v. Azerbaijan* [ECtHR], App. Nos. 65286/13 and 57270/14, 10 January 2019, par. 164, (ჟურნალისტებისთვის ინტერნეტი ინფორმაციის გავრცელების უფლების შეზღუდვა არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს, გამოხატვის თავისუფლებას, რადგან ეს ზღუდავდა მათ პროფესიულ საქმიანობას და ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობას); *Kalda v. Estonia* [ECtHR], App. No. 17429/10, 19 January 2016, par. 53, (მოსარჩელე, რომელიც ციხეში იხდიდა სასჯელს, აცხადებდა, რომ მისთვის ინტერნეტზე წვდომის

ბის ხელმისაწვდომობის უფლება ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლების ნაწილად აღიქმება, რაც უზრუნველყოფს ინდივიდების უფლებების სრულ დაცვას და მათ სოციალურ კეთილდღეობას. ევროსასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს მოქალაქეების ძირითადი კომუნალური მომსახურებებით მომარაგება.⁹⁵⁶ ეს უფლებები მნიშვნელოვანია სოციალური სამართლიანობის, თანასწორობის და პიროვნების განვითარებისათვის.

კომუნალური მომსახურება მიეკუთვნება სწორედ იმ სიკეთეს, რომელიც ყველა პირს უნდა ჰქონდეს უზრუნველყოფილი, რამდენადაც ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობას ყოველდღიურ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია და უშუალოდ ელექტროენერჯით მომსახურებაზე წვდომა განაპირობებს სხვა იმგვარი ტიპის მომსახურებებზე წვდომის შესაძლებლობას, რომლებიც თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის მიღებისათვის არანაკლები მნიშვნელობის მატარებლები არიან.⁹⁵⁷ კომუნალური მომსახურების ხელმისაწვდომობა სწორედ იმ სიკეთეს მიეკუთვნება, რომელიც ყველა პირს უნდა ჰქონდეს უზრუნველყოფილი. ეს სერვისები ადამიანის უფლებათა დაცვის განუყოფელი ნაწილია, რადგან განაპირობებს ცხოვრების ხარისხსა და საზოგადოებაში სრულფასოვან მონაწილეობას. ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობა ყოველდღიურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს, რადგან ეს არის სხვა იმგვარი ტიპის მომსახურებებზე წვდომის შესაძლებლო-

შეზღუდვა არღვევდა კონვენციის მე-მუხლს, გამოხატვის თავისუფლებას და სასამართლომ დაადგინა, რომ ინტერნეტზე წვდომა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით საჯარო ინფორმაციის და სამართლებრივი მასალების მისაღებად და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამისთვის შესაბამისი პირობები).

⁹⁵⁶ *Moldovan and Others v. Romania (No. 2)* [ECtHR], App. Nos. 41138/98 and 64320/01, 12 July 2005, par. 133 (საცხოვრებელი პირობების გაუარესება, მათ შორის გათბობისა და ელექტროენერჯის არარსებობა, არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლს და სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს საცხოვრებელი პირობების მინიმალური სტანდარტები); *Hudorovic and Others v. Slovenia* [ECtHR], App. Nos. 24816/14 and 25140/14, 7 September 2020, par. 157 (მოსარჩელებმა განაცხადეს, რომ არ ჰქონდათ წვდომა სასმელ წყალზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს მინიმალური ცხოვრების სტანდარტების დაცვა, რაც მოიცავს წყლის მიწოდებასაც); *Guerra and Others v. Italy* [ECtHR], App. No. 116/1996/735/932, 19 February 1998, par. 60 (სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებას ჰქონდა ვალდებულება მოქალაქეების ინფორმირების შესახებ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ, რაც დაკავშირებულია კომუნალური მომსახურებების მიწოდებასთან. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო და აუცილებელი სერვისები).

⁹⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის №1/2/1248 გადაწყვეტილება საქმეზე, „ანა ფირცხალაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-46.

ბის წინაპირობა, რომლებიც თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის მიღებისათვის და კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია. კომუნალური მომსახურების მნიშვნელობა უდიდესია ინდივიდების ბედნიერებისა და სოციალური განვითარების გარანტირების კონტექსტში.⁹⁵⁸ ამ მომსახურების ხელმისაწვდომობა აუცილებელია თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ადამიანების უფლებების დაცვისთვის. ამგვარად, ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლებისა და კომუნალური მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანია მათი ანალიზი და უზრუნველყოფა ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში. კომუნალური მომსახურების, განსაკუთრებით, ელექტროენერჯის, ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლების რეალიზაციაში. ევროსასამართლოს პრაქტიკა ამტკიცებს, რომ ეს უფლება სახელმწიფოს მიერ გარანტირებული უნდა იყოს, რათა მოქალაქეებმა შეძლონ ღირსეული და განვითარებული ცხოვრება.

2.3. მომხმარებელთა უფლებების დაცვა და კონკურენციის ზრდა საქართველოში

კონკურენციის სააგენტო, რომლის ფუნქციებში შედის მომხმარებელთა უფლებების დაცვა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბაზრის გახსნისა და კონკურენციის უზრუნველყოფაში.⁹⁵⁹ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, სააგენტო ქმნის დამატებით მექანიზმებს და ხელს უწყობს ბაზარზე ახალი მოთამაშეების შემოსვლას.⁹⁶⁰ ელექტროენერჯის ბაზრის გახსნა და მომხმარებლებისთვის მიმწოდებლის არჩევის თავისუფლების მინიჭება ზრდის კონკურენციას, რაც, საბოლოოდ, აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს და ამცირებს ფასებს. თუმცა საქართველოში მიმწოდებლის შეცვლის პრაქტიკა ჯერ კიდევ სრულად არ არის დანერგილი, რადგან ბაზარი მაღალკონცენტრირებულია. კონკურენციის სააგენტოსა და სემეკის თანამშრომლობით შესაძლებელია ისეთი დამატებითი მექანიზმების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლის უფლებების უკეთ დაცვას და მათი ინტერესების გათვალისწინებას. დამატებითი მექანიზმები მოიცავს სწრაფი, მარტივი და უფასო პროცედურების

⁹⁵⁸ Dimian G., Barbu A., *Public Services – Key Factor to Quality of Life, Management & Marketing Challenges for the Knowledge Society*, Vol. 7, No. 1, 2012, 161.

⁹⁵⁹ Adamia G., *Constitutional Aspects of Economic Competition*, *Journal of Constitutional Law*, Vol. 2, 2020, 89.

⁹⁶⁰ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-III თავი.

დანერგვას მიმწოდებლის შეცვლისთვის, რაც სრულად შეესაბამება ევროპულ პრაქტიკას⁹⁶¹. სემეკი და კონკურენციის სააგენტო მნიშვნელოვანი ინსტიტუციებია, რომლებიც მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და ბაზრის განვითარებას უწყობენ ხელს.⁹⁶² მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში გარკვეული პრობლემები არსებობს, მათი თანამშრომლობა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება უზრუნველყოფს უფრო ეფექტიან და მომხმარებელზე ორიენტირებულ სისტემას. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები ხელს უწყობს ბაზრის გახსნასა და კონკურენციის ზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება მომხმარებლის ცხოვრებაზე და ბედნიერებაზე.

ბედნიერების ზრდის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა რთული ამოცანაა, რადგან ბედნიერება სუბიექტური და მრავალგანზომილებიანი კონცეფციაა.⁹⁶³ თუმცა არსებობს გარკვეული მიდგომები და ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავენ ბედნიერების დონის გაზრდას საზოგადოებრივ დონეზე. 2011 წელს გაერომ შეიმუშავა მსოფლიო ბედნიერების ანგარიში, რომლითაც ყოველწლიურად აფასებს ქვეყნების მოსახლეობის სუბიექტურ ბედნიერების დონეს სხვადასხვა ინდიკატორის გათვალისწინებით (მაგ., პირადი შემოსავალი, სიცოცხლის ხანგრძლივობა და სოციალური მხარდაჭერა).⁹⁶⁴ სემეკი უზრუნველყოფს ხარისხიანი ელექტროენერჯის მიწოდებას, რაც აუმჯობესებს მომხმარებლების კომფორტსა და ცხოვრების ხარისხს. მისი საქმიანობა გამჭვირვალეა და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.⁹⁶⁵ კონკურენციის სააგენტო უზრუნველყოფს ბაზრის გახსნასა და კონკურენციის ზრდას, რაც ზრდის მომსახურების ხარისხსა და ამცირებს ფასებს, თუმცა ამ მიმართულებით საქართველოში ჯერ კიდევ არის გამოწვევები. სემეკისა და კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლობით შესაძლებელია მიმწოდებლის შეცვლის მარტივი და უფასო

⁹⁶¹ European Commission – Press release, A New Deal for Consumers: Commission Strengthens EU Consumer Rights and Enforcement <https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_18_3041> [11.06.2024].

⁹⁶² კვარაცხელია თ., მარგველაშვილი მ., შათირიშვილი ნ., ენერგეტიკული სიღარიბე და მონეყლადი მომხმარებლები საქართველოში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, თბილისი, 2018, 14; Davit Narmania: We Actively Cooperate with the Georgian National Competition Agency to Fundamentally Protect the Interests of Energy Market Participants <<https://ccc.gov.ge/newses/49>> [11.06.2024]

⁹⁶³ Helliwell J. F., Layard R., Sachs J. D., De Neve J.-E., Aknin L. B., Wang S., World Happiness Report 2024, University of Oxford: Wellbeing Research Centre, 2024, 18.

⁹⁶⁴ About World Happiness Report <<https://worldhappiness.report/about/>> [11.06.2024]

⁹⁶⁵ Georgia Annual Implementation Report, 1 November 2023, Energy Community Secretariat, 2023, 13.

პროცედურების დანერგვა, რაც საერთაშორისო პრაქტიკას შეესაბამება და ხელს შეუწყობს მომხმარებელთა უფლებების უკეთეს დაცვას.

ამრიგად, ენერჯეტიკის სექტორში მიმდინარე რეგულაცია და კონკურენციის ზრდა ხელს უწყობს მომხმარებელთა კეთილდღეობას, თუმცა ბედნიერების უფრო მაღალი დონის მისაღწევად საჭიროა ყოვლისმომცველი მიდგომა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები კონკურენციის სააგენტოს მხრიდან დამატებითი დაცვის მექანიზმია. მათი ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ თანამშრომლობენ ეს ინსტიტუტები და როგორ ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებებს. მნიშვნელოვანია, მათ შორის იყოს კოორდინაცია და თანამშრომლობა, რათა მომხმარებლები მიიღონ მაქსიმალური სარგებელი და დაცვა. მათი ერთობლივი მოქმედება უზრუნველყოფს სამართლიან და კონკურენტულ ბაზარს, რაც მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და მათი კეთილდღეობის ზრდის საფუძველია.

3. მომსახურების ხარისხის სამართლებრივი რეგულირება

მომსახურების ხარისხის სტანდარტი განსაზღვრულია „მომსახურების ხარისხის წესებით“, როგორც მომსახურების კომერციული ხარისხის ან მომარაგების საიმედოობის მინიმალური დონე, რომლის შესრულება-შეუსრულებლობაზეც კომისიის მიერ დადგენილია ნახალისება-სანქცირების ფინანსური მექანიზმი ან მომხმარებლის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება.⁹⁶⁶ სემეკი სარგებლობს მომსახურების კომერციული ხარისხის ელექტრონული მონიტორინგის სისტემით, რომელიც 2017 წელს დაინერგა, რათა თანამედროვე სისტემებისა და ტექნოლოგიების საშუალებით განხორციელებულიყო მომსახურების ხარისხის წესებით განსაზღვრული მიზნების შესრულების მონიტორინგი.⁹⁶⁷ სემეკის მომსახურების კომერციული ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი აკონტროლებს ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების და ელექტროენერჯის მიმწოდებლების მიერ საცალო მომხმარებლებისთვის გაწეული კომერციული მომსახურების ხარისხს რეალურ დროში და ხარვეზის

⁹⁶⁶ „მომსახურების ხარისხის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის №20 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტი.

⁹⁶⁷ იხ., საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2020, 117.

გამოვლენის შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს მომსახურების კომერციული ხარისხის გასაუმჯობესებლად.⁹⁶⁸

„მომსახურების ხარისხის წესები“ ადგენს ერთიან მოთხოვნებსა და სტანდარტებს და საწარმო ვალდებულია შეასრულოს წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები. მომსახურების ხარისხის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის საშუალებით ხდება დადგენილებით გათვალისწინებული საერთო და გარანტირებული სტანდარტების⁹⁶⁹ მონიტორინგი. საერთო სტანდარტი მოიცავს მომხმარებელთა ინფორმირებულობას ელექტროენერჯის წყვეტის თარიღისა და ხანგრძლივობის თაობაზე, შიდა არაგეგმური წყვეტის გამო გამორთული მომხმარებლებისათვის მომარაგების აღდგენის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე, სატელეფონო ცხელი ხაზის ოპერატორმა რა პერიოდში უნდა უპასუხოს სატელეფონო ზარს და სხვ. მომსახურების ხარისხის საერთო სტანდარტის შესრულება არაერთი კონკრეტული მომხმარებლის მიმართ განეულ მომსახურებაზე არის დამოკიდებული არამედ კალენდარული წლის განმავლობაში საწარმოს მიერ მომხმარებელთა განუსაზღვრელი რაოდენობისთვის, ამასთან, საერთო სტანდარტის სამიზნე მაჩვენებლის შეფასებისას არ გაითვალისწინება სტანდარტის შესრულებლობის ისეთი შემთხვევები, რომლებიც გამომწვეულია გარე მიზეზით.⁹⁷⁰ სემეკი ყოველწლიურად აფასებს საერთო სტანდარტით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების წლიური მაჩვენებლებს თითოეული მომსახურების მიმართ ცალ-ცალკე და შეფასებისას კომისია იყენებს ფინანსურ მექანიზმებს საწარმოს მიმართ, მისი ნახალისების ან სანქციების მიზნით, რაც აისახება კომისიის მიერ ამ საწარმოსთვის შესაბამის მომსახურებაზე დადგენილ ტარიფში.⁹⁷¹

გარანტირებული სტანდარტი განსაზღვრავს ვადებს, რა დროშიც საწარმო ვალდებულია შეასრულოს სხვადასხვა სახის მომსახურება, როგორცაა, დავალიანების გადაუხდელობის ან მომხმარებლის მოთხოვნით მომარაგების შეწყვეტის შემდეგ მომარაგების აღდგენა, მომხმარებლის წერილობით/ელექტრონულ მიმართვაზე პასუხის გაცემა, მომხმარებლის მოთხოვნით აღრიცხვის

⁹⁶⁸ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 28 დეკემბერის №79 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულებების“ 21-ე მუხლი.

⁹⁶⁹ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის №20 დადგენილებით დამტკიცებული „მომსახურების ხარისხის წესების“ მე-4 მუხლი.

⁹⁷⁰ იქვე, მე-18 მუხლი.

⁹⁷¹ იქვე, 25-ე და 26-ე მუხლები, დანართი N3.

ხელსაწყოს შემონმება, ახალი მომხმარებლის ან ელექტრომობილების დამუხტვის პუნქტის მიერთება/სიმძლავრის გაზრდა, მომარაგების ტექნიკური ხარისხის შემონმება, ახალი მომხმარებლის მიერთების ტექნიკური პირობების გაცემა, აღრიცხვის კვანძის მოწყობა, მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთება და სხვ.⁹⁷² თუ სანარმო ვერ შეასრულებს გარანტირებულ სტანდარტს, ის ვალდებულია მომხმარებელს გადაუხადოს კომპენსაცია, რომლის ოდენობა დამოკიდებულია დარღვევის ხასიათსა და გამეორებაზე.⁹⁷³

ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის ახალმა კონცეფციამ, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვრა მიწოდების უსაფრთხოების, უწყვეტობის, სათანადო ხარისხითა და ფასით ელექტროენერჯის მიწოდება.⁹⁷⁴ სათანადო ხარისხითა და სტანდარტის მომსახურება ევროპული ბაზრის პრიორიტეტია⁹⁷⁵ და ასახავს მომხმარებლის უფლების დაცვის საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას.⁹⁷⁶ მნიშვნელოვანია, ბაზარი სწორედ მომხმარებელზე ორიენტირდებოდეს და მისი უფლების დასაცავად შეთავაზებული იყოს საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული, მარტივი და გამჭვირვალე პროცედურები, რაც დამახასიათებელია კონკურენტული საცალო ბაზრისთვის და გულისხმობს, რომ თითოეული მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ შეთავაზებული მომსახურების პირობების გაუმჯობესებაზე, მომსახურების უკეთესი ხარისხით განწევასა და მომხმარებლისათვის უფრო ხელსაყრელი მიწოდების ფასის შეთავაზებაზე.

4. ელექტროენერჯის მომხმარებლის კლასიფიკაცია

4.1. ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებლის კლასიფიკაცია და რეგულირების მნიშვნელობა

საბოლოო მომხმარებელი კანონით განმარტებულია, როგორც მომხმარებელი, რომელიც ელექტროენერჯიას ყიდულობს საკუთარი მოხმარებისთვის.⁹⁷⁷

⁹⁷² იქვე, მე-18 მუხლი.

⁹⁷³ იქვე, 25-ე მუხლი, დანართი N2.

⁹⁷⁴ იხ., განერელია ა., ელექტროენერჯის ქართული ბაზრის ევროპეიზაციის საკანონმდებლო ტენდენციები, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2020, 55-56.

⁹⁷⁵ Howells G., Twigg-Flesner Ch., Wilhelmsson Th., Rethinking EU Consumer Law, Taylor & Francis Group, 2018, 258-260.

⁹⁷⁶ Consumer Protection and Empowerment for a Clean Energy Future, Consumers International with Support from Enel Foundation as the Knowledge Partner and ACE Research as the Technical partner, White Paper, 2022 23.

⁹⁷⁷ „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ¹³“ ქვეპუნქტი.

საბოლოო მოხმარების სეგმენტში, საცალო მომხმარებლების სახით ბაზარზე წარმოდგენილია საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი და აგრეთვე, საცალო მომხმარებელი, რომელიც ფლობს განახლებადი ენერჯის წყაროზე მომუშავე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურს.⁹⁷⁸ საყოფაცხოვრებო მომხმარებლისგან განსხვავებით,⁹⁷⁹ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი ელექტროენერჯიას არასაყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის ყიდულობს⁹⁸⁰. მსხვილი მომხმარებელი არის საბოლოო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი, რომელსაც აქვს ორგანიზებულ ენერგეტიკულ ბაზარზე ვაჭრობის უფლება და რომლის კრიტერიუმებსა და სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს კომისია.⁹⁸¹ მსხვილ მომხმარებელს უფლება აქვს, მიწოდების ხელშეკრულება ერთდროულად დადოს რამდენიმე მიმწოდებელთან.⁹⁸² საბოლოო მომხმარებლის დაცვა ხდება ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონის, მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებისა და მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.⁹⁸³

ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებელია პირი, რომელიც აკმაყოფილებს „ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლისთვის სავალდებულო კრიტერიუმებს“: საკუთარი საჭიროებისათვის ელექტროენერჯიას (სიმძლავრეს) იღებს წარმოების, გადაცემის ან განაწილების ლიცენზიატ(ებ)ის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ან სხვა მომხმარებლის კუთვნილი ქსელიდან; ჯამურად, თვეში საშუალოდ მოიხმარს არანაკლებ 5 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერჯიას.⁹⁸⁴ საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად პირდაპირი მომხმარებელი „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილი წესის შესაბამისად რეგისტრირდება პირდაპირ მომხმარებლად ბაზრის ოპერატორთან და პირდაპირი მომხმარებელი ავტომატურად ხდება

⁹⁷⁸ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2024, 15.

⁹⁷⁹ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, „3¹⁸“ ქვეპუნქტი.

⁹⁸⁰ იქვე, „3⁴⁸“ ქვეპუნქტი.

⁹⁸¹ იქვე, „3²³“ ქვეპუნქტი.

⁹⁸² იქვე, 111-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁹⁸³ იქვე, 111-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁸⁴ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №18 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლისთვის სავალდებულო კრიტერიუმების“ მე-2 მუხლი.

ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის გადაცემის მომსახურების სტანდარტული ხელშეკრულებების მხარე.⁹⁸⁵

მომხმარებლის კლასიფიკაცია უმნიშვნელოვანესია ენერჯეტიკის სექტორის რეგულირების თვალსაზრისით, რამდენადაც საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება. ეს განსხვავება არა მხოლოდ მართვისა და რეგულირების ეფექტიანობას უზრუნველყოფს, არამედ სხვადასხვა ტიპის მომხმარებელთა საჭიროებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.⁹⁸⁶

საყოფაცხოვრებო მომხმარებლები, ძირითადად, ფიზიკური პირები არიან, რომელთა მთავარი საჭიროება სტაბილური და ხელმისაწვდომი ენერჯიაა. მათთვის მნიშვნელოვანია, ელექტროენერჯის საფასური იყოს გონივრული და ხელმისაწვდომი, რათა მძიმე ტვირთად არ დააწვეს.⁹⁸⁷ მომხმარებელთა ამ ჯგუფისთვის ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოება და ხარისხი პრიორიტეტულია, რამდენადაც ნებისმიერი შეფერხება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე ახდენს პირდაპირ გავლენას. მეორე მხრივ, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები მოიცავს ბიზნესებსა და ინდუსტრიებს, რომელთა მოთხოვნები და საჭიროებები საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამ ტიპის მომხმარებლებზე ენერჯის ფასები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათი წარმოებისა და საოპერაციო ხარჯებზე, ამიტომ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვანია, ელექტროენერჯის ტარიფები იყოს პროგნოზირებადი და სტაბილური, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, გააკეთონ გრძელვადიანი ფინანსური გეგმები და ინვესტიციები.⁹⁸⁸

სატარიფო რეგულირება ენერჯეტიკის კრიტიკული ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერჯის ფასების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას.⁹⁸⁹ სატარიფო რეგულირება საყოფაცხოვრებო მომხმარებ-

⁹⁸⁵ იქვე, მე-3 მუხლი.

⁹⁸⁶ განერელია ა., ელექტროენერჯის ქართული ბაზრის ევროპეიზაციის საკანონმდებლო ტენდენციები, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2020, 44-45.

⁹⁸⁷ Bálint M., The Effect of Rising Energy and Consumer Prices on Household Finances, Poverty and Social Exclusion in the EU, A Preliminary Empirical Analysis, European Union, 2022, 10.

⁹⁸⁸ Commission Welcomes Deal on Electricity Market Reform, Brussels, 14 December 2023, <https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_23_6602> [12.06.2024]

⁹⁸⁹ Banet C., Electricity Network Tariffs Regulation and Distributive Energy Justice: Balancing the Need for New Investments and a Fair Energy Transition', in: Energy Justice and Energy Law, Edited by I. del Guayo, L/ Godden, D. N. Zillman, M. F. Montoya, and J. J. González, Oxford University Press, 2020, 83-102.

ლებისთვის ხშირად გულისხმობს სუბსიდირების მექანიზმების დანერგვას, რაც მათ ფინანსურ ტვირთს ამცირებს.⁹⁹⁰ მაგალითად, სოციალური ტარიფები შეიძლება შემუშავდეს ისეთი მომხმარებლებისთვის, რომელთაც აქვთ დაბალი შემოსავალი ან განსაკუთრებული სოციალური მდგომარეობა. არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის სატარიფო რეგულირება შეიძლება იყოს უფრო მოქნილი და მორგებული მათი საქმიანობის სპეციფიკაზე. მაგალითად, დიდი ინდუსტრიებისთვის შეიძლება შეიქმნას სპეციალური ტარიფები, რომლებიც სტიმულირებას გაუწევს ენერგოეფექტურობის ზრდას და ახალ ინვესტიციებს.

მონყვლადი მომხმარებლების დაცვა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან. მომხმარებელთა ასეთ ჯგუფებში შედიან პირები, რომლებიც ეკონომიკურად, სოციალურად ან ჯანმრთელობის თვალსაზრისით არიან დაუცველნი. მათთვის ენერჯის ხელმისაწვდომობა ხშირად სასიცოცხლოდ აუცილებელია, ამიტომ მათი დაცვის მიზნით, სახელმწიფო ვალდებულია, გამოიყენოს გამჭვირვალე და სამართლიანი სუბსიდირების მექანიზმები.⁹⁹¹ სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს მონყვლადი მომხმარებლებისათვის ენერჯის სტაბილური მიწოდება და ხელი შეუწყოს მათ სოციალური პირობების გაუმჯობესებას. ეს შეიძლება განხორციელდეს სუბსიდიების, სოციალური პროგრამების და სპეციალური ტარიფების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს, რომ ამ მომხმარებლებს არ შეექმნათ ფინანსური ზენოლა და ჰქონდეთ წვდომა აუცილებელ ენერგეტიკულ რესურსებზე.

სახელმწიფო რეგულირება უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებასა და შენარჩუნებას. გამჭვირვალობა და სამართლიანობა ის პრინციპებია, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლიან და ეფექტიან ენერგოპოლიტიკას. ნებისმიერი რეგულაცია და სუბსიდირება უნდა იყოს გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და გასაგები საზოგადოების ყველა სემენტისთვის. ენერგეტიკის სექტორში მოქმედი რეგულაციები იყოს ეფექტური, სამართლიანი და მორგებული მომხმარებელთა საჭიროებებზე, ისინი არა მხოლოდ ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობას, არამედ ქმნის სტაბილურ და პროგნოზირებად გარემოს, რაც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

⁹⁹⁰ Study on Energy Prices, Costs and Subsidies and their Impact on Industry and Households, Final report, Trinomics, European Commission – DG Energy, Rotterdam, 2018, 275-307.

⁹⁹¹ მარგველაშვილი მ., გოცაძე თ., კვარაცხელია თ., მუხიგულიშვილი გ., ნინუა გ., ჩხეიძე დ., ურგებაშვილი ი., ენერგეტიკული ბაზრის რეფორმა და მონყვლადი მომხმარებლების დაცვა, თბილისი, 2020.

4.2. სპეციალური მიწოდების რეჟიმი

სახელმწიფოს მხრიდან მომხმარებლის უფლების დაცვის მიზნით კანონმდებლობა შეიცვალა, რამაც უფრო დაცული გადახა როგორც არასაყოფაცხოვრებო, ისე საყოფაცხოვრებო მომხმარებლები, ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების თვალსაზრისით. ელექტროენერჯის მიწოდებელი, რომელიც ეწევა საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდების მომსახურებას, ელექტროენერჯიას ყიდულობს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარზე და ელექტროენერჯის გადაცემისა და განაწილების ქსელების საშუალებით აწვდის საბოლოო მომხმარებელს. მიწოდების მომსახურება, რომელიც მოიცავს ყველა მომსახურებას, რაც ელექტროენერჯის მომხმარებელამდე მიტანისთვის არის საჭირო, რეგულირდება მხარეებს შორის არსებული მიწოდების ხელშეკრულებით და სემეკის 2020 წლის 13 აგვისტოს N13 დადგენილებით დამკვიცებული საცალო ბაზრის წესებით. მიწოდების მომსახურების ტარიფს ადგენს სემეკი და პირობითად იყოფა: მიწოდება, როგორც საჯარო მომსახურება, თავისუფალი მიწოდება და ბოლო ალტერნატივის მიწოდება.

ორგანიზებულ ბაზარში მონაწილეობენ უნივერსალური მომსახურების, საჯარო მომსახურებისა და ბოლო ალტერნატივის მიწოდებლები, რომლებიც ელექტროენერჯიას აწვდიან საცალო ბაზრის სემენტს. ელექტროენერჯის საცალო ბაზარზე უნივერსალური მომსახურების მიწოდებელი კომისიის მიერ რეგულირებადი ტარიფით აწვდის ენერჯიას მცირე სანარმოებსა და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს; იგივე მიწოდებელი ვალდებულია შეისყიდოს მიკროსიმ-ძლავრის ელექტროსადგურების მიერ ქსელში მიწოდებული ენერჯია.⁹⁹² ამასთან, საცალო ბაზრის ახალი სტრუქტურის შესაბამისად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია განახორციელოს ელექტროენერჯის მიწოდების საქმიანობა თავისუფალ, დერეგულირებულ ფასად. საქართველოში საცალო ბაზარზე მიწოდებას უზრუნველყოფს უნივერსალური მომსახურების მიწოდებელი საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე სანარმოებისათვის, ხოლო სხვა კატეგორიის მომხმარებლებისათვის კი – ელექტროენერჯის საჯარო მომსახურების სახით მიწოდებელი. საბითუმო ბაზარზე ელექტროენერჯით ვაჭრობა პირდაპირი ხელშეკრულებით ხდება, 2022 საანგარიშო წელს საბითუმო ბაზარზე რეგისტრი-

⁹⁹² საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებით დამტკიცებული „უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“; „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილება.

რებული იყო ელექტროენერჯის 106 მწარმოებელი, მათ შორის: 5 თბოელექტრო-სადგური, 2 მარეგულირებელი, 8 ნაწილობრივ დერეგულირებული, 14 დერეგულირებული და 77 მცირე სიმძლავრის (დერეგულირებული) ელექტროსადგური.⁹⁹³

საჯარო მიწოდების ვალდებულება მიმწოდებელ კომპანიებს ეკისრებათ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელიც ასევე, განსაზღვრავს, რომ მიწოდების ტარიფები დგინდება სემეკის მიერ.⁹⁹⁴ თავის მხრივ, ასეთი მომსახურება იყოფა უნივერსალურ და საჯარო მიწოდებად; უნივერსალურ მიწოდებას იღებს საყოფაცხოვრებო მომხმარებელი (მოსახლეობა) და მცირე სანარმოები⁹⁹⁵, ხოლო საჯარო მომსახურებას – საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები⁹⁹⁶. ბაზრის კონცეფცია მოიაზრებს ელექტროენერჯის მიწოდებას უნივერსალური მიმწოდებლების მეშვეობით. აღნიშნული მიმწოდებლები ელექტროენერჯით მოამარაგებენ მოსახლეობას და მცირე სანარმოებს, რომლებსაც არ ჰყავთ მიმწოდებელი.⁹⁹⁷ უნივერსალურ მომსახურებას ეწევიან სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“ და შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“.⁹⁹⁸ ბაზრის გახსნის გარდამავალ ეტაპზე უნივერსალური მომსახურება საყოფაცხოვრებო მომხმარებელს და მცირე სანარმოებს უზრუნველყოფს ელექტროენერჯით სტაბილურ ფასად, რომლის ფარგლებშიც სატარიფო რეგულირების პერიოდი განისაზღვრება ერთი კალენდარული წლით.

თავისუფალი მიმწოდებელი არ არის შეზღუდული მიწოდების გეოგრაფიული არეალით და მისთვის არ არის დადგენილი მიწოდების ტარიფი, შესაბა-

⁹⁹³ იხ., საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2023, 30.

⁹⁹⁴ „ელექტროენერჯეტიკის სექტორში საჯარო მომსახურების სახით გაწეული საქმიანობების ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგიების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილება.

⁹⁹⁵ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს №47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ მე-5 მუხლი.

⁹⁹⁶ იქვე.

⁹⁹⁷ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილება.

⁹⁹⁸ „ელექტროენერჯის ზოგიერთ მწარმოებელზე საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 დეკემბრის №740 დადგენილება; „შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანისა“ და სს „ეპ ჯორჯია მიწოდებისათვის“ ელექტროენერჯეტიკის სექტორში მიწოდების საჯარო მომსახურების სახით განხორციელების ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მაისის №236 დადგენილება.

მისად, ნებისმიერ საცალო მომხმარებელს შეუძლია მიიღოს მიწოდების მომსახურება თავისუფალი მიწოდებლისაგან წინასწარ შეთანხმებული ფასით და პირობებით, ხოლო ბოლო ალტერნატივის მიწოდება გულისხმობს მომსახურების განევას ისეთი მომხმარებლებისთვის, რომლებმაც რაიმე მიზეზის გამო, (მიწოდებლის მიერ საბაზრო საქმიანობის გეგმურად ან არაგეგმურად შეწყვეტა, ან ვალდებულებების უხეშად დარღვევა) დაკარგეს თავისუფალი მიწოდებელი⁹⁹⁹. ბოლო ალტერნატივის მიწოდებლებს გასაზღვრავს საქართველოს მთავრობა და აღნიშნული მომსახურების განევა ეკისრებათ იმავე მიწოდებლებს, რომლებიც საჯარო მომსახურებას უწევენ შესაბამის არეალებში. ბოლო ალტერნატივის მიწოდებელს ტარიფს უდგენს სემეკი¹⁰⁰⁰.

ელექტროენერჯის მწარმოებლები, რომლებიც ეწევიან საჯარო მომსახურებას, ვაჭრობენ ორგანიზებულ ბაზრებზე და მათი ვალდებულება აისახება საბითუმო საჯარო მომსახურების გამწვევ ორგანიზაციასთან დადებულ ხელშეკრულებაში ფასების სხვაობაზე; ბაზრის ფასსა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასს შორის პოზიტიური სხვაობისას, ელექტროენერჯის მწარმოებელი აღნიშნულ სხვაობას უხდის საბითუმო საჯარო მომსახურების გამწვევ ორგანიზაციას, ხოლო უარყოფითი სხვაობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს საბითუმო საჯარო მომსახურების გამწვევი ორგანიზაცია უკომპენსირებს.¹⁰⁰¹ აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება შემოსავლების განაწილებას ისე, რომ მოხდეს აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის, გარანტირებული ხელშეკრულების მქონე და უნივერსალური მიწოდებლების ფასებს შორის სხვაობის ანაზღაურება.¹⁰⁰²

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის პერიოდში, რასაც ემატება ტურიზმისა და ეკონომიკის განვითარება.¹⁰⁰³ სახელმწიფოს გამომწვევაა ელექტროენერჯეტიკის სექტორში ენერჯეტიკული უსაფრთხოება, რაც ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტობას გულისხმობს და მისი უზრუნველყოფა შესაძლებელია ქვეყანაში ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის დაკმაყოფი-

⁹⁹⁹ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის“ მე-15 მუხლი.

¹⁰⁰⁰ იქვე.

¹⁰⁰¹ იქვე, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁰⁰² იქვე.

¹⁰⁰³ საქართველოს ელექტროენერჯეტიკის სექტორი 2010-2022 წლებში, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, 2023, 10-13; Electricity Market Report, January 2022, International Energy Agency – IEA, 2022, 9.

ლებით, საკუთარი რესურსების მაქსიმალურად ათვისებით. აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოკლევადიან პერიოდში იმპორტზე დამოკიდებულებას, ხოლო გრძელვადიან პერიოდში თბოგენერაციის თანდათანობით ჩანაცვლებას და სუფთა ენერჯიაზე გადასვლას. სახელმწიფოს ენერგოპოლიტიკა მუდმივად უნდა იყოს მიმართული მომხმარებელთა დაცულობის გაუმჯობესებისა და სრულყოფისაკენ. ამ მხრივ, სახელმწიფოს ჩარევა და სამართლებრივი მოწესრიგება უნდა ემყარებოდეს საჯარო მიზანს და გამომდინარეობდეს აუცილებლობიდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული რეგულირებაში უხეში ჩარევა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

5. სატარიფო რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები

5.1. ენერგეტიკის სექტორში ტარიფების რეგულირების და გამჭვირვალობის პრინციპები

ენერგეტიკის სექტორში ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების საფუძველია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელის შესაბამისად კომისიის მიერ შემუშავებულია შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიები.¹⁰⁰⁴ კომისია ტარიფს ადგენს სემეკის მიერ რეგულირებადი სანარმოებისათვის, ასევე, საჯარო მომსახურების ფარგლებში საბოლოო მომხმარებლისთვის¹⁰⁰⁵. ტარიფები დგინდება რეგულირების პერიოდზე და კონკრეტული ენერგეტიკული სანარმოსთვის ინდივიდუალურად, კერძოდ, განაწილება-გადაცემისთვის ტარიფი განისაზღვრება ხუთწლიან პერიოდზე¹⁰⁰⁶, საჯარო მომსახურების ვალდებულებას დაქვემდებარებული ჰიდროელექტრო-

¹⁰⁰⁴ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; „ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილება.

¹⁰⁰⁵ იქვე, მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁰⁰⁶ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

სადგურებისთვის – ერთი წლის ვადით¹⁰⁰⁷, ისევე როგორც, საჯარო მომსახურების ვალდებულებას დაქვემდებარებული მიმწოდებლებისათვის¹⁰⁰⁸, ასევე, თბოლექტროსადგურებისთვის, რომლებიც გარანტირებული სიმძლავრის წყაროა¹⁰⁰⁹. მნიშვნელოვანია, სატარიფო რეგულირება იყოს გამჭვირვალე და მასში აისახოს როგორც საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და ინტერესი, ჩადოს ინვესტიცია და მიიღოს სამართლიანი მოგება, ასევე მომხმარებლის შესაძლებლობა, სამართლიან ფასად შეისყიდოს ელექტროენერგია. „ნებისმიერი ნორმატიული აქტი, რომელიც უშუალოდ მომხმარებლის უფლებებს შეეხება, უნდა იცავდეს მას ძლიერი მხარისაგან და აფუძნებდეს ინტერესთა დაბალანსებული და მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებს.“¹⁰¹⁰

ტარიფის გადაანგარიშების მომწესრიგებელი ნორმები *inter alia* განსაზღვრავს ელექტროენერჯის მიწოდების, გადაცემის და განაწილების ტარიფთა გამოთვლის მეთოდოლოგიას და მოიცავს ეკონომიკურ პარამეტრებს, როგორცაა, მისაწოდებელი ელექტროენერჯის ფასი, საოპერაციო დანახარჯები, მომსახურების ხარისხის კომპონენტი და ა.შ., რომელთა მიზანია, ტარიფი მაქსიმალურად ახლოს იყოს ობიექტურ რეალობასთან, თუმცა მისი მიზანი არ არის სოციალურ პოლიტიკას მიკუთვნებული საკითხების რეგულირება¹⁰¹¹. სატარიფო რეგულირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ინფორმაციის გამჭვირვალობა, რამდენადაც ელექტროენერჯის საფასურის რეგულარულ გადამხდელს, მომხმარებელს, უფლება აქვს იცოდეს მის მიერ

¹⁰⁰⁷ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰⁰⁸ იქვე.

¹⁰⁰⁹ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებით დამტკიცებული „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვლის №1/1/374,379 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და აკაკი მიქაძე საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“, II-2.

¹⁰¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, თეიმურაზ ტულუშის თანხმედრი აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ოქტომბრის №2/22/1634 განჩინებასთან დაკავშირებით.

გადახდილი ტარიფის წარმომავლობის წყარო.¹⁰¹² სახელმწიფოს ზეგავლენა ტარიფის შემცირებაზე შესაძლოა არაგამჭვირვალე პირდაპირი ჩარევითაც ვლინდებოდეს, კერძოდ, როდესაც პოლიტიკური მიზნებისთვის ტარიფის შემცირება სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო კომპანიის ხარჯზე, მისი შემოსავლების შემცირებით არის განპირობებული და პოლიტიკურ ხასიათს ატარებს¹⁰¹³, აღნიშნული მოსახლეობის ტარიფის დამატებით სუბსიდიად განიხილება და მოითხოვს სახელმწიფოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მეტ გამჭვირვალობასა და აუცილებლობას. სახელმწიფოს მხრიდან ტარიფის ცვლილებასთან დაკავშირებული ვალდებულებების აღება, შესაძლოა, სახელმწიფოს ძვირად დაუფუძეს და საარბიტრაჟო დავის საფუძველი გახდეს, როგორც ეს სს „ინტერ რაო ეესთან“ მოხდა, კერძოდ, საინვესტიციო დავა სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ტრიბუნალში მიმდინარეობდა და საქართველოს 112 მილიონი აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.¹⁰¹⁴ დავის საგანი იყო Inter Rao-სა და საქართველოს მთავრობას შორის 2011 წლის 31 მარტს დადებული მემორანდუმის სატარიფო მუხლი, რომლითაც საქართველოს მთავრობა კომპანიას აძლევდა გარანტიას, რომ 15 წლის განმავლობაში ქვეყანაში დენის ტარიფი შემცირებისკენ არ გადაიხედებოდა.¹⁰¹⁵ “Gardabani Holding B.V. and SILK ROAD Holdings B.V. v. Georgia” (ICSID Case No. ARB/17/29) და “Inter RAO UES PJSC, Telasi JSC v. Government of Georgia” (ICSID Case No. ADM/18/1) უკავშირდება საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში არსებულ დავებს. ამ საქმეებში განხილული იყო სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულებების პირობების დარღვევა და ზიანის ანაზღაურების მექანიზმები. ამ გადაწყვეტილებებმა დაადგინეს ვალდებულების დონე, რაც სახელმწიფომ უნდა დაიცვას, მათ შორის ინვესტორთა უფლებების დაცვისა და ენერჯეტიკულ სექტორში სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფის

¹⁰¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის Nბს-33-32(კ-16) განჩინება.

¹⁰¹³ 2013 წელს სახელმწიფოს მიერ გამანაწილებელი კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმებით 5 თეთრით შემცირდა, <<https://www.gogc.ge/ka/article/gogc-reduced-gas-price-at-the-expense-of-its-own-revenues/262>> [08.03.2024]

¹⁰¹⁴ Gardabani Holdings B.V., Inter RAO UES PJSC, Telasi JSC v. Government of Georgia, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, State Service Bureau Ltd. (II), ICSID Case No. ADM/18/1 and SCC Case No. V2018/039

¹⁰¹⁵ Gardabani Holding B.V. and SILK ROAD Holdings B.V. v. Georgia, ICSID Case No. ARB/17/29, 09.09.2022, 12.01.2023, par. 16; Gardabani Holdings B.V., Inter RAO UES PJSC, Telasi JSC v. Government of Georgia, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, State Service Bureau Ltd, SCC Arbitration Case No. V2018/039 and ICSID Case No. ADM/18/1, 09.09.2022, par.125 (c).

კონტექსტში. ICSID არბიტრაჟს მიღებული აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლებიც რელევანტურია სახელმწიფო მოქმედებებისა და ვალდებულებების სტანდარტების განსაზღვრისთვის, კერძოდ, “CMS Gas Transmission Co. v. Argentina (ICSID Case No. ARB/01/8)”, – არგენტინის ეკონომიკური კრიზისის დროს სახელმწიფოს ქმედებებმა პირდაპირი გავლენა მოახდინა გაზის ტრანსპორტირების სექტორზე, მათ შორის, ფასების გაყინვასა და ტარიფების კონვერტაციაზე პესოში. ინვესტორები ამტკიცებდნენ, რომ ეს ღონისძიებები არღვევდა ორ მთავარ სტანდარტს: სამართლიან და თანაბარ მოპყრობას (FET). არბიტრაჟის შეფასებით, არგენტინის მოქმედებები ნამდვილად არღვევდა FET სტანდარტს, ვინაიდან ინვესტორებს არ მიეცათ შესაბამისი გარანტიები და დაცვის შესაძლებლობა, რაც აუცილებელია იყო მათთვის. თუმცა სახელმწიფოს სრულად არ დააკისრეს პასუხისმგებლობა კრიზისის პირობებში, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ სახელმწიფოს შეუძლია მიმართოს გარკვეულ ღონისძიებებს საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად, თუმცა ეს უნდა მოხდეს ინვესტორთა ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნული საქმე აჩვენებს, რომ, მართალია, სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებები, თუმცა მას უნდა ჰქონდეს დაბალანსებული მიდგომა ინვესტორთა უფლებები დარღვევის პრევენციისთვის. რაც შეეხება დავას – “Total S.A. v. Argentina” (ICSID Case No. ARB/04/01), ამ შემთხვევაში “Total S.A.”-მა განახორციელა ინვესტიცია არგენტინის ენერჯეტიკის სექტორში, ხოლო არგენტინის მთავრობის მიერ, მათ შორის, ტარიფების გაყინვამ და კურსის ცვლილებებმა, მძიმე ზიანი მიაყენა “Total S.A.”-ს. ამ შემთხვევაში არბიტრაჟის შეფასებით, არგენტინის მოქმედებებმა დაარღვია სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი და ინვესტორის კანონიერი მოლოდინი, რომ ტარიფები იქნებოდა პროპორციული და თავისუფალი მანიპულაციებისგან. არბიტრაჟის განმარტებით, სახელმწიფოს ეკონომიკური ზომები არ უნდა არღვევდეს ინვესტორის ფინანსურ მდგრადობას. ეს საქმე ნათლად აჩვენებს, რომ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული შეზღუდვები, როცა საქმე ეხება ტარიფების რეგულირებას. სახელმწიფომ უნდა დააბალანსოს საზოგადოებრივი ინტერესები ინვესტორთა ეკონომიკური უფლებების დაცვის საჭიროებასთან.

ტარიფის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სემეკის წლიურ ანგარიშებში, ასევე, სამომხმარებლო ქვითრებზე მოცემულია სრულყოფილი ინფორმაცია, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობას და მომხმარებლის ინფორმირებულობას. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით სახელმწიფოს

ვალდებულებაა, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც მიმართული იქნება ბაზრის მონაწილე მთავარ სუბიექტთა ინტერესების დაბალანსებისაკენ და უზრუნველყოფს მომხმარებელთა მიერ სამართლიან მოპყრობას და მისთვის საჭირო პროდუქტზე თუ მომსახურებაზე წვდომას. სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს იმგვარი დანაწესის დადგენისგან, რომელიც დაარღვევს მენარმესა და მომხმარებელს შორის ურთიერთობაში არსებულ ბალანსს; მისი ვალდებულებაა შექმნას სათანადო სამართლებრივი გარანტიები ბაზრის ეკონომიკური აგენტების მიერ საკუთარი საქმიანობის არაკეთილსინდისიერად წარმართვისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების რისკებისაგან.¹⁰¹⁶

ენერჯეტიკის სფეროში კონკურენციის სავარაუდო დარღვევის ფაქტების შესწავლისა და რეაგირების მიზნით საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და მარეგულირებელ კომისიას შორის მჭიდრო თანამშრომლობა ხელს უწყობს საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობაზე ზრუნვას და კონკურენციის პოლიტიკის გამჭვირვალობასა და მის გაძლიერებას არადისკრიმინაციული წესების შემუშავებით.¹⁰¹⁷ სახელმწიფო ვალდებულია შექმნას სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელს მისთვის საჭირო პროდუქტზე თუ მომსახურებაზე სამართლიანი პირობებით წვდომას. სამართლებრივი სისტემა უნდა იყოს გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი და შეზღუდვის დანესების შემთხვევაში უნდა ემსახურებოდეს ღირებულ საჯარო მიზანს და არ უნდა მიიღწეოდეს ადამიანის უფლების შეზღუდვის ხარჯზე.

5.2. ენერჯეტიკის სექტორის დერეგულირება და მისი თანაზომიერების შეფასების მნიშვნელობა

ენერჯეტიკის სექტორში, რეგულირების მიზნებიდან გამომდინარე, ელექტროენერჯის მწარმოებლების ნაწილი მიეკუთვნება რეგულირებულ სანარმოებს და მათ ტარიფს უდგენს კომისია შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

¹⁰¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის №1/2/1248 გადაწყვეტილება საქმეზე, „ანა ფირცხალაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-39.

¹⁰¹⁷ 2017 წლის 7 ნოემბერს დადებული მემორანდუმი საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და მარეგულირებელ კომისიას შორის. იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2017 წლის ანგარიში, 2017, 43; სემეკ-სა და კონკურენციის სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, <<https://www.interpressnews.ge/ka/article/461657-semek-sa-da-konkurenciis-saagentos-shoris-urtierttanamshromlobis-memorandumi-gapormda/>> [23.05.2024]

ამასთან, 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ელექტროსადგურები და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები 15 მგვტ-მდე საპროექტო სიმძლავით არიან დერეგულირებული ელექტროსადგურები და ისინი საქმიანობენ კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის გარეშე, კერძოდ, მათი ტარიფი დერეგულირებულია და ფასი დგინდება მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.¹⁰¹⁸ ნაწილობრივ დერეგულირებულ ელექტროსადგურებს მიეკუთვნება 2008 წლის 1 აგვისტომდე აშენებული ელექტროსადგურები და კომისია მათ უდგენს ზღვრულ (ზედა ზღვარი) ტარიფებს.¹⁰¹⁹ კომისია გარანტირებული სიმძლავრის საფასურს და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრულ ტარიფს უდგენს გარანტირებული სიმძლავრის წყაროებს (თბოელექტროსადგურებს),¹⁰²⁰ რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული არიან გარანტირებული სიმძლავრის წყაროებად¹⁰²¹. ელექტროენერჯის იმპორტის და ექსპორტის საქმიანობა არ ექვემდებარება ლიცენზირებას და დერეგულირებულია. ელექტროენერჯის ექსპორტიორის საქმიანობა შესაძლებელია თავისუფალი (ტარიფის გარეშე) ფასითაც.

2005 წლიდან სახელმწიფო პოლიტიკა ენერგეტიკის დარგში მიმართული იყო მისი ეტაპობრივი დერეგულირებისკენ და ემსახურებოდა მიწოდების საქმიანობის დერეგულირების გატარებას.¹⁰²² სახელმწიფო ვალდებულია, რეფორმის გატარებისას მინიმუმამდე შეამციროს თანმხლები უარყოფითი ეფექტი, რამდენადაც ენერგეტიკის სრული დერეგულირების პოლიტიკა შეიცავს საბაზრო შოკებისა და მონოპოლიური ფასების წარმოშობის მაღალ რისკს, შესაბამისად, ეტაპობრივი დერეგულირება დიფერენცირების გონივრული მიზანია.¹⁰²³

¹⁰¹⁸ „ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებისა და ნაწილობრივი დერეგულირების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანება.

¹⁰¹⁹ „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბერის №33 დადგენილების პირველი მუხლი.

¹⁰²⁰ იქვე, მე-2 მუხლი.

¹⁰²¹ „ელექტროენერჯის ზოგიერთ მწარმოებელზე (თბოელექტროსადგურებზე) საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბერის №625 დადგენილება.

¹⁰²² „ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებისა და ნაწილობრივი დერეგულირების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანება.

¹⁰²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადა-

გამანაწილებელი და მიმწოდებელი კომპანიების ხარჯები და შემოსავლები ხელმისაწვდომია მარეგულირებელი კომისიისთვის, თუმცა შეზღუდულია წვდომა დერეგულირებულ საქმიანობაზე. კომისიამ უნდა დაიცვას ფასებთან დაკავშირებული და სხვა ინფორმაციის კონფიდენციალობა, თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა და მიმწოდებელი. ელექტროენერჯის ბაზრის წესები არეგულირებს ინფორმაციის კონფიდენციალურობის საკითხებს, რომელთა თანახმადაც, დაუშვებელია კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა,¹⁰²⁴ თუმცა მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, ტარიფთან დაკავშირებული საჯაროობა და გამჭვირვალობა უპირისპირდება საიდუმლოდ გამოცხადებას და ამ შემთხვევაში მოქალაქათა ინტერესი დაცვა პრიორიტეტია,¹⁰²⁵ სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მისი ინტერესი.

კომერციული მომხმარებლის ტარიფი დერეგულირებულია, რაც თავისთავად მეტყველებს თავისუფალ ბაზარსა და შესაძლებლობაზე, თავად აირჩიოს მისთვის სასურველი მიმწოდებელი ხარისხისა და ფასის შესაბამისად, თუმცა ისეთი კონცენტრირებული ბაზრის პირობებში, როდესაც არჩევანი რეალურად არ არის და მენარმე იძულებულია დათანხმდეს მიმწოდებლის პირობებს და ფასს, სახელმწიფოს მხრიდან კომერციული ტარიფის მეთოდოლოგიის არარსებობა შესაძლოა უფრო დიდი ტვირთი აღმოჩნდეს კომერციული სექტორისთვის, ვიდრე ბაზრის დერეგულირება. გასათვალისწინებელია საყოფაცხოვრებო ტარიფის გაზრდის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა და ასევე, ქვეყნის სოციალური ფონი, შესაბამისად, მიმწოდებელი ხშირ შემთხვევაში კომერციული ტარიფის გაზრდით იკომპენსირებს მის ზარალს¹⁰²⁶, რაც არ არის გამართლებული და მი-

წყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-17

¹⁰²⁴ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრების წესების“ მე-10 მუხლი; „ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის“ წესების 55-ე მუხლი; „ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის წესების“ მე-9 და მე-12 მუხლები.

¹⁰²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის Nბს-33-32(კ-16) განჩინება.

¹⁰²⁶ „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2023 წლის 30 ნოემბერი №49 დადგენილება; სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ელექტროენერჯის განაწილების ტარიფები, <<https://www.energo-pro.ge/ka/service/eleqtroenerjiis-tarifi/23>> [11.03.2024]; მონაცემები ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ფასების შესახებ, <[234](https://</p>
</div>
<div data-bbox=)

ზანშენონილი. გაზრდილი კომერციული ტარიფი, ბუნებრივია, აისახება წარმოებული პროდუქტის/მომსახურების ფასზე და შედეგად დგება უფრო ძვირად ღირებული ადგილობრივი პროდუქცია/მომსახურება, იმპორტირებულთან შედარებით, რაც აიხსნება სწორედ მაღალი კომუნალური გადასახადებით.¹⁰²⁷ კომუნალური გადასახადები პროდუქტის/მომსახურების ფასწარმოქმნის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.¹⁰²⁸ შესაბამისად, ბაზრის დერეგულირება სრულად შეესაბამება ევროპულ და ზოგადად თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, თუმცა ქვეყნის შესაძლებლობიდან და ბაზრის კონცენტრირებულობიდან, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მიერ შეფასდეს დერეგულირების მიზანი და შედეგი და თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე იქნეს მიღებული გადაწყვეტილება მისი გამოსადეგობისა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, რამდენადაც თანაზომიერების პრინციპის თანახმად, დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზანი მიიღწეოდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე¹⁰²⁹, ნებისმიერ შემთხვევაში, კანონმდებლის ლეგიტიმური მიზანი ფასეული უნდა იყოს და არა გაუცხოებული ნორმატიული ნებისგან¹⁰³⁰ და ამასთან, გამოსადეგობასთან ერთად შემზღუდველი ღონისძიება უნდა იყოს შეზღუდვის აუცილებელი, ყველაზე ნაკლებდამზღუდველი, საშუალება¹⁰³¹. ბაზრის დერეგულირება სრულად შეესაბამება ევროპულ და თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. თუმცა ქვეყნის შესაძლებლობებისა და ბაზრის კონცენტრაციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მიერ შეფასდეს დერეგულირების მიზანი და შე-

www.geostat.ge/ka/modules/categories/88/monatsemebi-elektroenergiis-da-bunebrivigazis-samomkhmareblo-fasebis-shesakheb-2018-tslis-ianvar-ivnisi > [11.03.2024]

¹⁰²⁷ მონაცემები ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ფასების შესახებ, <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/88/monatsemebi-elektroenergiis-da-bunebrivigazis-samomkhmareblo-fasebis-shesakheb-2018-tslis-ianvar-ivnisi>> [11.03.2024]

¹⁰²⁸ Boulding K.E., Singh P., The Role of the Price Structure in Economic Development. The American Economic Review, Vol. 52, No. 2, 1962, 35; Coady D., Jahan S., Machado F., Gu M., The Distributional and Fiscal Implications of Public Utility Pricing, IMF Working Papers, 2023, 4-5.

¹⁰²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე, „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.

¹⁰³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-9.

¹⁰³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26.

დეგები. თანაზომიერების პრინციპის დაცვა აუცილებელია, რათა ლეგიტიმური მიზნის მიღწევა არ მოხდეს ადამიანის უფლებების გადამეტებული შეზღუდვის ხარჯზე. შესაბამისად, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი საშუალება.

6. ენერგეტიკული სიღარიბე და სოციალური პასუხისმგებლობა (სუბსიდირება)

სახელმწიფო განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა იყოს მოწყვლადი მომხმარებელი და მის დასაცავად შეიმუშავებს სპეციალურ შეღავათებს კომუნალურ მომსახურებაზე, – მოწყვლადი მომხმარებელია საყოფაცხოვრებო მომხმარებელი, რომელსაც მისი სტატუსისა თუ მდგომარეობის გამო შეუძლიათ ისარგებლოს სპეციალური შეღავათიანი პირობებით კომუნალურ მომსახურებებზე.¹⁰³² ენერჯიაზე ხელმისაწვდომობა და ენერგეტიკული სიღარიბე აქტუალურია და მნიშვნელოვანია, რამდენადაც სახელმწიფოს მიერ შეიმუშავებულია ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების ცალკეული ინიციატივები და მოწყვლადი მომხმარებლების დახმარების პროგრამები,¹⁰³³ თუმცა ისინი ძირითადად ემსახურება მოწყვლადი მომხმარებლისთვის ფინანსური ტვირთის შემცირებას და არა ენერგეტიკული სიღარიბის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას. ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია, გრძელვადიანი, შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებების შეიმუშავება, როგორცაა, შენობების ენერგოეფექტურობის ამაღლება, გათბობის სისტემების მონესრიგება, შემის მოხმარების ჩანაცვლება, განახლებადი ენერჯის განვითარებით სუფთა ენერჯიაზე წვდომის გაზრდა და სხვ.¹⁰³⁴ სახელმწიფომ უნდა

¹⁰³² „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „3⁸³“ ქვეპუნქტი და 112-ე მუხლი.

¹⁰³³ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი; „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი; „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი; „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბერის №2711 განკარგულება; საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს №47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ მე-18 მუხლის მე-8 პუნქტი.

¹⁰³⁴ Directive 2009/72/EC of The European Parliament and of The Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Electricity and repealing Directive 2003/54/EC (Text with EEA relevance), par. 53; Directive 2009/73/EC of The

შეიმუშაოს ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს ენერგეტიკულ სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის კატეგორიას, იქნება გრძელვადიან ღონისძიებებზე ორიენტირებული კონკრეტულ სამოქმედო გეგმებისა და სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრით¹⁰³⁵.

ბაზრის გამჭვრვალობა არის მომხმარებელთა დაცვის გარანტი და ევროპული კანონმდებლობა იცავს მას სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ან ირიბი ჩარევისგან¹⁰³⁶, რაც ასევე გასათვალისწინებელია სახელმწიფოს მიერ სუბსიდირების სქემების შემუშავებისას. ევროკავშირის სამართალი ავალდებულებს სახელმწიფოს, დაეხმაროს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას და შეიმუშაოს სოციალური დაცვის მექანიზმები მოწყვლადი მომხმარებლისთვის, რომელიც უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, დასაბუთებული და არადისკრიმინაციული, რაც გულისხმობს რომელიმე კომპანიის ან პროდუქტის სასარგებლოდ ან სანინააღმდეგოდ მოქმედებას.¹⁰³⁷ ევროკავშირის კანონმდებლობა ადგენს მოწყვლადი მომხმარებლის განმარტებას¹⁰³⁸ და ასევე, დირექტივა ავალდებულებს ნევრ სახელმწიფოებს, განსაზღვროს მოწყვლადი მომხმარებლების ცნება, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს ენერგო სიღარიბეზე და *inter alia*, კრიტიკულ მომენტებში ელექტროენერჯის გათიშვის აკრძალვაზე (მაგალითად, ზამთრის პერიოდში)¹⁰³⁹; მოწყვლადი მომხმარებლების მიმართ პოლიტიკა შეიძლება მოიცავდეს როგორც მომხმარებლის შემოსავლის, ისე ერთჯერადი შემოსავლის ენერგოდანახარჯების წილს, სახლების ენერგოეფექტურობას, ელექტრომონწყობილობებზე კრიტიკულ დამოკიდებულებას ჯანმრთელობის მიზეზების, ასაკის ან სხვა გარემოებათა გამო.¹⁰⁴⁰ შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია

European Parliament and of The Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Natural Gas and repealing Directive 2003/55/EC (Text with EEA relevance), par. 50.

¹⁰³⁵ მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., შათირიშვილი ნ., ინაშვილი მ., ურგებაშვილი ი., საქართველოს მზაობის შეფასება ევროპის მწვანე შეთანხმების მიმართ, თბილისი, 2022, 27, 62-63, 90-91.

¹⁰³⁶ Directive 2009/72/EC of The European Parliament and of The Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Electricity and repealing Directive 2003/54/EC (Text with EEA relevance), par. 53; Directive 2009/73/EC of The European Parliament and of The Council of 13 July 2009 concerning Common Rules for the Internal Market in Natural Gas and repealing Directive 2003/55/EC (Text with EEA relevance), par. 50.

¹⁰³⁷ იქვე, Art. 3.

¹⁰³⁸ იქვე.

¹⁰³⁹ იქვე, Art. 28.

¹⁰⁴⁰ Šajin N., Vulnerable consumers, European Parliamentary Research Service, 2021, 5;

განსაზღვროს და შეიმუშაოს ის აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება მონყვლადი მომხმარებლის დაცვისკენ. გასათვალისწინებელია, რომ არასწორმა სუბსიდირებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირებას და საზოგადოებრივი სახსრების არაეფექტურმა ხარჯვამ გაზარდოს ენერჯის მოხმარება, რაც შესაბამისად გაზრდის იმპორტზე დამოკიდებულებას, სათბური გაზების ემისიას და ხელს შეუშლის განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების გავრცელებას.

ევროკავშირის კანონმდებლობა აუცილებლად მიიჩნევს სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების სქემების გამჭვირვალობას, მათ დასაბუთებას და აუცილებლობას, რამდენადაც სახელმწიფო სუბსიდია სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გაიცემა და საჭიროებს საჯაროობას.¹⁰⁴¹ ევროკავშირის დირექტივებით, განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების პოლიტიკა ასევე უნდა იყოს გამჭვირვალე და საჯარო.¹⁰⁴² ევროპაში მოქმედი, სახელმწიფოს მიერ შემუშვებული წამახალისებელი მექანიზმები, როგორცაა, შეღავათიანი ტარიფი (“feed in tariff”), ქსელზე პრიორიტეტული დაშვება და ა.შ. უნდა იყოს გამჭვირვალე. მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მიერ შემუშვებული სუბსიდირების სქემები ემყარებოდეს სახელმწიფოს მიერ შემუშვებულ გრძელვადიან პოლიტიკას და სტრატეგიას, რომელიც მიზნად დაისახავს ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებას, გაითვალისწინებს საქართველოში არსებულ სინამდვილესა და სპეციფიკას. მიზანშეწონილია, შემუშავდეს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მიდგომები.

შენობების დაბალი ენერგოეფექტიანობა და მოსახლეობაში დაბალი შემოსავლები გავლენას ახდენს ენერგეტიკულ სიღარიბეზე. დღეს მოქმედი სოციალური დაცვის პროგრამების მიზანია გარკვეული კატეგორიის მოსახლეობისთვის ყოველთვიური კომუნალური გადასახადების გადახდის შემსუბუქება და არა ენერგეტიკული სიღარიბის გამომწვევი ფაქტორების აღმოფხვრა. სახელმწიფო ენერგეტიკულ სიღარიბეს უმეტესად სოციალური პოლიტიკის ჩრჩილში განიხილავს, როცა ევროპული პოლიტიკა განასხვავებს ენერგეტი-

Kvaratskhelia T., Margvelashvili M., Sinea A., Nazarenko D., Cenusă D., Energy Poverty Guidance for State Policy and Public Discourse in the Time of Reform, Georgia, Moldova, Ukraine, Romania, World Experience for Georgia, Tbilisi, 2019, 26.

¹⁰⁴¹ Regulatory Impact Assessment on High Mountainous Region Designation of Energy Development and Access, USAID, 2020, 19, 48-49.

¹⁰⁴² Guidelines of Good Practice for Trustworthy Information on Green Offers and Consumer Protection Against Misleading Marketing (“Greenwashing”), Customer Empowerment Work Stream of the Customers and Retail Markets Working Group, Council of European Energy Regulators, Brussels, 2023, 11.

კული სიღარიბის გამომწვევი მიზეზების შემცირების ღონისძიებებს ენერჯის ფინანსური ხელმისაწვდომობისგან და უპირატესობას ანიჭებს სწორედ გამომწვევი მიზეზების შემცირების ღონისძიებებს, როგორცაა, შენობების დათბუნება, ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარება და ინტეგრირება და ა.შ.¹⁰⁴³ შესაბამისად, მიზანშეწონილია, საქართველოშიც დაიწყო შესაბამისი პოლიტიკის დანერგვა და განხორციელება თავდაპირველად უფრო მარტივი და ნაკლებ ხარჯიანი ღონისძიებების, შემდეგ უფრო მასშტაბურის. ამასთან, ქვეყანაში სოციალური ფონისა და სიღარიბის მაჩვენებლების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, გაგრძელდეს ის სოციალური ღონისძიებებიც, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან და დამატებით, განსაკუთრებული რისკჯგუფებისთვის სახელმწიფოს მიერ დაინერგოს ენერჯოეფექტურობის დაბალბიუჯეტიანი ღონისძიებები, როგორცაა, ისეთი პროდუქტების უსასყიდლოდ გადაცემა, რომლებიც ოჯახებს ენერჯის მოხმარების და დანახარჯების შემცირებაში დაეხმარება. ამასთან, მნიშვნელოვანია, ენერჯეტიკული სიღარიბის განსაზღვრება დაეყრდნოს მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს და ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებულ გეგმაში (NECP) ყურადღება გამახვილდეს როგორც ენერჯეტიკული სიღარიბის შემცირების არსებულ, ასევე აუცილებელ გრძელვადიან ღონისძიებებზეც. ამასთან, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, მოსახლეობას მიაწოდოს მაქსიმალური ინფორმაცია ენერჯეტიკული სიღარიბის უარყოფით შედეგებზე, შენობების დათბუნების ტექნოლოგიებზე, თუ რა ხელმისაწვდომი ღონისძიებები და რატომ უნდა გაატაროს მოსახლეობამ ენერჯის დასაზოგად.

¹⁰⁴³ კვარაცხელია თ., ენერჯეტიკული სიღარიბის შეფასება და მონიტორინგის პრინციპები საქართველოსთვის, თბილისი, 2023, 37.

VI

დასკვნა

საქართველოს განახლებადი ენერჯის ბაზარი მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდება, ეს კი მოითხოვს მრავალმხრივ და შეჯერებულ მიდგომას, რომელიც დაეფუძნება არსებული სამართლებრივი და საკანონმდებლო ჩარჩოების განვითარებას და უკეთესი მონესრიგების შემუშავების პერსპექტივას. კვლევის მიგნებების შედეგად წარმოდგენილი რეკომენდაციები მიზნად ისახავს განახლებადი ენერჯის განვითარების ხელშეწყობას, ინვესტიციების მოზიდვის სამართლებრივი მონესრიგებისა და განახლებადი ენერჯის ბაზარზე სახელმწიფოს სამართლებრივი ზედამხედველობის გაუმჯობესებას.

1. განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება ხელს უწყობს არა მხოლოდ გარემოს დაცვას და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას. საქართველოს მიზანია ევროინტეგრაცია, განახლებადი ენერჯის ათვისებით საქართველოს ექნება შესაძლებლობა გავიდეს ევროკავშირის ბაზარზე, საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში. საქართველოს მიერ მიღებული ერთიანი პოლიტიკური დოკუმენტი მიმართულია სათბურის გაზების ემისიების შემცირებისკენ, ტექნოლოგიების განვითარებისა და მწვანე პოლიტიკის გატარებისკენ, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ მდგრადობას და გარემოსდაცვას. ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების შესასრულებლად და სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკით დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება. შეუძლებელია კლიმატის ცვლილების გლობალური პოლიტიკის ენერგეტიკის გარეშე დაძლევა და გადაწყვეტა. სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა კლიმატის ცვლილების კუთხით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, რამდენადაც კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის ადამიანის მთელ რიგ ძირითად უფლებებს. საქართველოს აღებული აქვს უპირობო ვალდებულება, 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი შეამციროს 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით 35%-ით, რაც შეუძლებელია განახლე-

ბადი ენერჯის წყაროების განვითარების გარეშე. ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ადამიანის უფლებათა დარღვევას იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სათანადოდ არ დაიცავს მოქალაქეებს კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული გარემოსდაცვითი საფრთხეებისგან და არ გაატარებს ეფექტიან ღონისძიებებს კლიმატის ცვლილების შესარბილებლად ან/და თავიდან ასაცილებლად.

სტრატეგიული ინვესტიორების მოსაზიდად და სამომავლოდ ერთიანი ევროპულ ენერჯეტიკულ ბაზარზე შესვლისთვის საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი, განახლებადი ენერჯორესურსების გამოყენების ყოველმხრივი ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია, განახლდეს კვლევები საქართველოში არსებული განახლებადი ენერჯის წყაროების პოტენციალის და მათი განვითარების შესაძლებლობის შესახებ და ინტეგრირდეს სახელმწიფოს ენერჯეტიკულ პოლიტიკაში. ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება, რადგან ამ ენერჯების განვითარება მძიმე ფინანსური ტვირთია, შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ უნდა დაინერგოს რიგი წამახალისებელი მექანიზმები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და შესაძლებელს გახდის იმპორტირებული ენერჯის საკუთარი, განახლებადი ენერჯით ჩანაცვლებას. თუ განახლებად ენერჯიას არ მიენიჭება პოლიტიკური პრიორიტეტი, მაშინ ინოვაციები შემცირდება არაგანახლებადი შესაძლებლობის სასარგებლოდ.

გრძელვადიანი, შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშავება, როგორცაა, შენობების ენერჯოეფექტურობის ამაღლება, გათბობის სისტემების მონესრიგება, შეშის მოხმარების ჩანაცვლება, განახლებადი ენერჯის განვითარებით სუფთა ენერჯიაზე წვდომის გაზრდა და სხვ. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ენერჯეტიკული სიღარიბის შემცირების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დაადგენს ენერჯეტიკულ სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის კატეგორიას, იქნება გრძელვადიან ღონისძიებებზე ორიენტირებული კონკრეტულ სამოქმედო გეგმებისა და სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრით. მოწყვლადი მომხმარებლების მიმართ პოლიტიკა შეიძლება მოიცავდეს როგორც მომხმარებლის შემოსავლის, ისე ერთჯერადი შემოსავლის ენერჯოდანახარჯების წილს, სახლების ენერჯოეფექტურობას, ელექტრომონოცილობებზე კრიტიკულ დამოკიდებულებას ჯანმრთელობის მიზეზების, ასაკის ან სხვა გარემოებათა გამო. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს და შეიმუშაოს ის აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც მი-

მართული იქნება მოწყვლადი მომხმარებლის დაცვისკენ. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, მოსახლეობას მიაწოდოს მაქსიმალური ინფორმაცია ენერგეტიკული სიღარიბის უარყოფით შედეგებზე, შენობების დათბუნების ტექნოლოგიებზე, თუ რა ხელმისაწვდომი ღონისძიებები და რატომ უნდა გაატაროს მოსახლეობამ ენერჯის დასაზოგად.

სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სუბსიდირების სქემები უნდა ემყარებოდეს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ გრძელვადიან პოლიტიკას და სტრატეგიას. ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების მიზნით, საქართველოში არსებული სინამდვილესა და სპეციფიკის გათვალისწინებით. მიზანშეწონილია, შემუშავდეს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მიდგომები, დაინერგოს და განხორციელდეს თავდაპირველად უფრო მარტივი და ნაკლებ ხარჯიანი ღონისძიებები, ხოლო შემდეგ – უფრო მასშტაბური. ქვეყანაში სოციალური ფონისა და სიღარიბის მაჩვენებლების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, გაგრძელდეს ის სოციალური ღონისძიებებიც, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან და დამატებით, განსაკუთრებული რისკჯგუფებისთვის სახელმწიფომ დაინერგოს ენერგოეფექტურობის დაბალბიუჯეტიანი ღონისძიებები, როგორცაა, ისეთი პროდუქტების უსასყიდლოდ გადაცემა, რომლებიც ოჯახებს ენერჯის მოხმარების და დანახარჯების შემცირებაში დაეხმარება;

2. ეკონომიკური სარგებელი და სოციალური ასპექტები განახლებადი ენერჯის განვითარების პროცესში მოითხოვს საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების გათვალისწინებას და სახელმწიფოს მხრიდან მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვას. განახლებადი წყაროების გამოყენებისა და წახალისების მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს ძლიერი და ქმედითი წახალისების მექანიზმზე, რომელიც განახლებადი ენერჯის განვითარების და ხელშეწყობის მთავარი ინსტრუმენტია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ დაინერგოს საქართველოს სინამდვილეზე მორგებული წამახალისებელი მექანიზმი ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების განხორციელების მოსაზიდად, ასევე, განახლებადი წყაროების გენერაციის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია კოორდინირებული მუშაობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან და დროული და გამჭირვალე გადაწყვეტილებების მიღება.

ნეტო აღრიცხვის დანერგვამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა განახლებადი ენერჯის წყაროს გამოყენების ხელშეწყობაში რამდენადაც ის არის სუფთა ენერჯია და დადებითად აისახება გარემოზე. ნეტო აღრიცხვის დანერგვანინ გადადგმული ნაბიჯია და ინტერესი კომერციული სექტორიდან მზარდია,

თუმცა სახელმწიფოს მიერ გასათვალისწინებელია ის გამოწვევები, რომლებიც სექტორს დაუდგება ენერგეტიკული ბირჟის სრულად ამოქმედებისას. შესაბამისად, შესამუშავებელია სქემა, თუ რა ფორმით მოხდენა ნეტო აღრიცხვაში ჩართული სადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ენერგეტიკულ ბირჟაზე განთავსება.

სპეციალური მწვანე ტარიფი, ფასთა სხვაობის ხელშეკრულება და მწვანე სერტიფიკატი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით უნდა მოწესრიგდეს. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რეალობაში ისინი სრულად ახალი მექანიზმებია, მათი პრაქტიკაში დანერგვისას გასათვალისწინებელია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს ბაზრის თავისებურებანი. საქართველოში მნიშვნელოვანია სხვა მექანიზმების არსებობაც. საჭიროა, კონკურენციის პირობებში ისეთი ფასები განისაზღვროს, რომლებიც სამართლიანი იქნებოდა როგორც ინვესტორებისთვის, ისე სახელმწიფოსთვის, თუმცა ენერგეტიკული თვალსაზრისით, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია რესურსის გონივრული ათვისება და არა მხოლოდ ფასზე ორიენტირება. განახლებადი ენერჯის პროექტების წახალისება სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ პრიორიტეტადაა გამოცხადებული. წარმატებული და ქმედითი ხელშეწყობის მექანიზმი ქვეყანას საშუალებას მისცემს, შეამციროს იმპორტირებულ ენერჯიაზე დამოკიდებულება, შეძლოს გენერაციის გაზრდა, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, დაუახლოვდეს ევროპას და წვლილი შეიტანოს კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ გლობალურ ძალისხმევაში.

ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე ენერგეტიკული ბაზრის რეფორმის პარალელურად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულება, რაც, თავის მხრივ, ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის საფუძველია და მიზნად ისახავს კონკურენციის გაზრდას და მომხმარებლების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიზანშეწონილია სახელმწიფომ გაატაროს ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშემწყობი პოლიტიკა, რამაც საკუთრივ ხელი უნდა შეუშალოს დომინანტი სანარმოების არსებობას, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია კონკურენციის შედეგი, რომელიც ყველა შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ენერგეტიკული ბაზრის ეფექტიანობას;

3. განახლებადი ენერჯის სამართლებრივი რეგულირება უზრუნველყოფს ენერგეტიკული პროექტების მდგრად და გამჭვირვალე განვითარებას. მნიშვნელოვანია განახლებადი ენერჯის პროექტების დასაგეგმად და განხორციელებისთვის შექმნას მტკიცე სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს

სარგებლის სამართლიან განაწილებას და პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. ეს ჩარჩო უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო მოთხოვნებს და ითვალისწინებდეს ადგილობრივ საჭიროებებს, რათა გამოკვეთოს დეველოპერის, ხელისუფლების, და საზოგადოების როლები და პასუხისმგებლობები. აუცილებელია შემუშავდეს და დაინერგოს სარგებლის განაწილების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს ერთიან სახელმძღვანელო პრინციპებს და შესაბამის უწყებებთან კოორდინირებულ ღონისძიებებს. ეს ხელს შეუწყობს, რომ ყველა მხარეს ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული როლი და პასუხისმგებლობა. დეველოპერსა და საზოგადოებას შორის პარტნიორული დამოკიდებულება განაპირობებს სამართლიან მმართველობას და ნდობას, რაც გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის წინაპირობაა.

სარგებლის განაწილების მექანიზმის დანერგვა არის სახელმწიფოს მხრიდან მზაობა განახლებადი ენერჯის განვითარების მხარდაჭერის შესახებ, რამდენადაც განახლებადი ენერჯის სადგურების მიერ გადახდილი ქონების და მიწის გადასახადის ნაწილის სადგურების ზემოქმედების არეალში გადანაწილებასა და შესაბამისად, ადგილობრივი თემებისთვის სარგებლის განაწილების მდგრადი მექანიზმის შექმნა ხელს შეუწყობს განახლებადი ენერჯის ახალი პროექტების წარმატებულ განხორციელებას და გააჩენს ინტერესს მოსახლეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობაში. მოსახლეობის ინტერესის პარალელურად, ენერგეტიკული პროექტები შეუფერხებლად უნდა ხორციელდებოდეს. ადგილობრივ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს განცდა და რწმენა, რომ ეს არის ქართული, სახელმწიფოებრივი პროექტი, რომელიც კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური სიკეთის მომტანია. ადგილობრივ მოსახლეობაში ნდობის გაჩენისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროცესებში იმ ადამიანების მონაწილეობა, ვინც მათთვის ავტორიტეტულია. მოსახლეობამ უნდა იგრძნოს და ირწმუნოს, რომ ეს პროექტები მათთვის კეთდება. დაინტერესებული მხარეების პროაქტიული ჩართულობა უზრუნველყოფს, რომ ყველა მხარეს ჰქონდეს ხმა და მათი ინტერესები გათვალისწინებული იყოს. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მკაფიო პოლიტიკის შემუშავება და გამჭვირვალე კომუნიკაცია, რათა საზოგადოების ჩართულობა და ინფორმირებულობა მაქსიმალურად გაიზარდოს. ეს პროცესი ასევე უნდა მოიცავდეს ქალებისა და მონყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უზრუნველყოფილი იქნეს გენდერული სენსიტიურობა და ინკლუზიური პოლიტიკა. საბოლოო ჯამში, ამით მიიღწევა სახელმწიფოს მიზანი უზრუნველყოს

სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება, საჯარო მმართველობის ღიაობა და გამჭვირვალობა, რაც, ასევე, საჯაროობის აღსრულებას ემსახურება.

სარგებლის განაწილების მექანიზმით გათვალისწინებული სარგებლის მიღება გავრცელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშში განსაზღვრულ, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ მოსახლეობაზე. ამისთვის, გზმ ანგარიშში პროექტის დეველოპერმა კომპანიამ უნდა განსაზღვროს ზემოქმედების არეალში მოქცეული სოფლები და თემები. იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედი კანონმდებლობით გზმ ანგარიშის მომზადება არ არის გათვალისწინებული (500 კვტ – 2 მგვტ დადგმული სიმძლავრის მქონე სადგურები), ზემოქმედების არეალად უნდა ჩაითვალოს სადგურის ინფრასტრუქტურული ნაგებობების მიმდებარე ტერიტორია. თუ პროექტის ზემოქმედების არეალი, გზმ ანგარიშის მიხედვით, დასახლებული არ არის, ქონების გადასახადი მთლიანად მუნიციპალიტეტს მოხმარდება.

ზემოქმედების არეალში გადასანაწილებელი თანხები დაანგარიშებული იქნება სადგურების კატეგორიის მიხედვით და მოხმარდება მოსახლეობის საჭიროებისა და მათ მიერვე განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად სოციალურ პროექტებს (განათლება, ჯანდაცვა, სპორტი, ტურიზმი და სხვ.), ინფრასტრუქტურას ან ეკოლოგიას (გამწვანება, ნარჩენების მართვა და სხვა). კანონპროექტი სადგურების კატეგორიზაციას ორი კრიტერიუმით ახდენს: ექსპლუატაციაში შესვლის ვადა და სიმძლავრე. განსხვავებული მიდგომაა 2010 წლიდან კანონის ძალაში შესვლამდე ექსპლუატაციაში შესული სადგურებისთვის („ძველი სადგურები“) და კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ექსპლუატაციაში შესული სადგურებისთვის. ქონების გადასახადის წილის განსაზღვრად, გათვალისწინებული იქნება კონკრეტული სადგურის სიმძლავრე, რისთვისაც შემოთავაზებულია შემდეგი კატეგორიზაცია: 500 კვტ-15 მგვტ. („მცირე სადგური“) 16 მგვტ-50 მგვტ. („საშუალო სადგური“) 51 მგვტ. და ზემოთ („დიდი სადგური“).

განახლებადი ენერჯის პროექტის განხორციელებისას ძირითად პრობლემას ინვესტორი მოსახლეობასთან კომუნიკაციის დროს აწყდება და ამის გაუმჯობესება არის მთავარი გამოწვევა და ამოცანაც, რომ მოხდეს მეგა თუ სტრატეგიული ენერგოპროექტების განხორციელება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოსახლეობის გრძელვადიანი ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ შექმნის ენერგეტიკის დარგში მეტად პროგნოზირებადი და სტაბილურ საინვესტიციო გარემოს. კანონპროექტი პასუხობს საქართველოს ენერგეტიკის სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც მოსახლეობისა და ბიზნე-

სის მხარდაჭერისკენაა მიმართული. სახელმწიფოს მხრიდან თანმიმდევრული პოლიტიკა, სექტორის მხარდაჭერა და შესაბამისი რეფორმების გატარება ევროკავშირთან ასოცირების და ენერგეტიკული გაერთიანების აუცილებელი წინაპირობაა, რაც, თავის მხრივ, პროგნოზირებადს გახდის საქართველოში ენერგეტიკის სფეროში საინვესტიციო გარემოს და ხელს შეუწყობს მიმდინარე და ახალი პროექტების რეალიზებას. თითოეული მეგავატის მშენებლობა ძალზედ მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სექტორის შემდგომი განვითარებისთვის, რათა შემცირდეს იმპორტდამოკიდებულება და გაიზარდოს ენერგოუსაფრთხოების ხარისხი. განახლებადი ენერჯის მხარდაჭერით შესაძლებელია უფრო მეტი ენერგეტიკული რესურსების ათვისება, რაც, თავის მხრივ, გააძლიერებს ჩვენი ქვეყანის ასევე, რეგიონის და ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. საკანონმდებლო ცვლილება ხელს შეუწყობს განახლებადი ენერჯის პროექტების განხორციელებას, რომელიც არა მხოლოდ ეკონომიკურად მომგებიანი, არამედ სოციალური და ეკოლოგიური თვალსაზრისით მდგრადი იქნება;

4. საჯარო სამართალი მოიცავს ქმედებების კანონიერებისა და სისწორის შეფასებას და გულისხმობს დეტალურად გაანალიზებული გადაწყვეტილებების უზრუნველყოფას, რაც ნიშნავს იმას, რომ არსებობს ვალდებულება ამ გადაწყვეტილებების აღსრულების. ანგარიშვალდებულება მნიშვნელოვანია როგორც კერძო სექტორში, ასევე საჯარო მმართველობისას, რამდენადაც ის პროექტებისა და პოლიტიკის ეფექტიანი და სამართლიანი განხორციელების განუყოფელი ნაწილია, რომელიც ემსახურება საზოგადოებას. საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ჩარჩოები უნდა იყოს კომპლექსური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც საკუთრების უფლების დაცვას, ისე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებას და განვითარებას. მინის მფლობელობა არ არის მხოლოდ კერძო პირის უფლებების განხორციელება, არამედ გულისხმობს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასაც (სოციალურ ფუნქცია). ამისთვის საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოების შექმნა, რომლებიც მფლობელებსა და საზოგადოებას შორის ბალანსს უზრუნველყოფს. მინასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიმართული უნდა იყოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ემსახურებოდეს ინვესტიციების მოზიდვას და ამავდროულად, მდგრად განვითარებას. იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლების გამოყენება, საკმარისი არ არის მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება, მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომე-

ლიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლების შეუფერხებელ გამოყენებას შესაბამისი საკანონმდებლო მონესრიგებით. ქონების მესაკუთრეთა უფლებები დაცული უნდა იყოს და ადეკვატურ კომპენსაციას ითვალისწინებდეს კანონი. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ და შესაბამისმა ორგანოებმა დაიცვან სათანადო პროცესისა და სამართლიანობის პრინციპები საჯარო საჭიროებისთვის ქონების ჩამორთმევის უფლებამოსილების განხორციელებისას. კომპენსაციისა და საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტის მიმართ ევროსასამართლო ცდილობს ჩამოაყალიბოს ერთიანი მიდგომა. საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან დიდ სიფრთხილეს და წინდახედულებას მოითხოვს, რამდენადაც ნებისმიერ ჩარევას უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო საფუძველი და სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილებას ან საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს. დაცული უნდა იყოს მესაკუთრების უფლება სათანადო ანაზღაურების მიღების თაობაზე და დარღვეული უფლების დაცვის შესაძლებლობა სასამართლოს წესით;

5. საქართველო, როგორც ენერგეტიკული ქარტიის ხელშემკვრელი მხარე, იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ენერგეტიკაში უცხოური ინვესტიციების დაცვა, შექმნას ხელსაყრელი პირობები და შეამციროს ინვესტორთა კომერციული და პოლიტიკური რისკები, რაც, თავის მხრივ, ზრდის ენერგოსექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას. აუცილებელია, გაგრძელდეს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმები და კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ქმედითი გახდეს. რეკომენდებულია, სახელმწიფომ ბაზარს შესთავაზოს ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები, რამდენადაც ეს უკანასკნელი იყო განახლებადი ენერჯის განვითარების ხელშეწყობის ერთი-ერთი ყველაზე ეფექტიანი სახელმწიფო მექანიზმი, რამაც დადებითი ასახვა პოვა ენერგეტიკის განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვაზე.

ინვესტიციების დაცვა და სარგებლის განაწილების ინსტიტუციონალიზაცია ენერგეტიკის მიმართულებით მოითხოვს ძლიერ ადმინისტრაციული ორგანოს, რომელიც ორიენტირდება მხოლოდ ენერგეტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე და უშუალო კავშირი ექნება ინვესტორებთან და მოსახლეობასთან. ელექტროენერჯით უზრუნველყოფა თანამედროვე საზოგადოების არსებობისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ელექტროენერჯის გენერაციის გაზრდა ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას და პირ-

დაპირი ინვესტიციის შემოდინებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და ასევე, არა ნაკლებად მნიშვნელოვანია მეზობელ სახელმწიფოებთან ერთობლივი პროექტების განხორციელებით ურთიერთობის გაღრმავების მხრივაც;

6. ენერგოკრიზისი სარისკო პერიოდად იქნა მიჩნეული ენერგეტიკული ბირჟის ასამოქმედებლად. მიზანშეწონილია, რეფორმა სწორად განხორციელდეს, აღნიშნული, ბაზრის შემდგომი განვითარების სანინდარია და საათობრივი ვაჭრობა და ყოველსაათობრივი ფასის ფორმირება სტიმულია ინვესტორებისთვის და წაახალისებს გენერაციის ახალი ობიექტების მშენებლობას, რაც შეამცირებს ელექტროენერჯის დეფიციტს. მნიშვნელოვანია, ენერგეტიკული ბირჟა ამოქმედდეს ევროპული ღირებულებებით, რათა თავსებადი იყოს ევროკავშირის სამართალთან და შეესაბამებოდეს ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნას. რეკომენდებულია, პირველ ეტაპზე სახელმწიფოს მიერ განისაზღვროს საშეღავათო პერიოდი, როდესაც უბალანსობაზე პასუხისმგებელ პირს (როგორც მწარმოებელს, ასევე მომხმარებელს) ფინანსური სანქცია არ დაეკისრება.

დაუშვებელია ბაზრის ნებისმიერი ფორმით მანიპულირება, რამდენადაც ამით ირღვევა ენერგეტიკული ბაზრის მთლიანობა და გამჭვირვალობა. ინფორმაციის ღიაობა და ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაცია მიზნად ისახავს ენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენციის გაზრდას, ხოლო ქმედითი კონკურენციის მომწესრიგებელი კანონმდებლობა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მომხმარებლების კეთილდღეობას. მნიშვნელოვანია, აღნიშნულ ქმედებაზე მონიტორინგის განხორციელება და შედეგის მქონე ქმედებების გამოვლენისას პასუხისმგებლობის დაყენება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო. მონიტორინგის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ანტიკონკურენტული პრაქტიკა, როგორცაა, ფასების მანიპულირება სიმძლავრის მოხსნით, რაც საფრთხეს უქმნის სამართლიან კონკურენციას და მომხმარებელთა კეთილდღეობას. კონკურენციის მკაცრი კანონები აუცილებელია ბაზრის დამახინჯების თავიდან ასაცილებლად და მომხმარებელთა უფლებების დასაცავად. არსებული საკანონმდებლო ბაზა კონკურენტული ბაზრების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, თუმცა გადამწყვეტია კანონების ეფექტიანად აღსრულება და მკაცრი ღონისძიებების გატარება ნებისმიერი იმ სუბიექტის წინააღმდეგ, რომელიც აღმოჩნდება ანტიკონკურენტულ პრაქტიკაში. სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი კონტროლის ფარგლები უნდა გავრცელდეს პროაქტიულ მონიტორინგზე, გამოძიებასა და აღსრულებაზე ბაზრის მთლიანობის შესანარჩუნებლად და მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად. კონკურენციის კანონისა და მომხმარე-

ბელთა უფლებების დაცვით, მარეგულირებლებს შეუძლიათ დაიცვან ბაზრის სამართლიანობა და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ეფექტიანობას;

7. ელექტროენერჯის ბაზრის რეფორმის ძირითადი არსი მონოპოლისტური და კონკურენტული საქმიანობების გამიჯვნაშია. რეფორმამ ხარისხობრივად უნდა შეცვალოს არსებული საბაზრო მოდელი და ჩამოაყალიბოს ბაზრის ისეთი მოდელი, რომელიც გამჭირვალე და კონკურენტულ ფასს დაუდგენს როგორც ინვესტორებს, ასევე მომხმარებლებს და ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკის განვითარებას, მწვანე დაფინანსების ხელმისაწვდომობას. გამჭირვალე ფასი კი ევროპასთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და შესაბამისად, ევროპულ ბაზრებზე ვაჭრობის შესაძლებლობის წინაპირობაა. სახელმწიფოს მიერ განახლებადი ენერჯის ნახალისება შეამცირებს ინვესტორის ეკონომიკურ რისკს და ხელს შეუწყობს კაპიტალური დანახარჯების ეფექტიან ამოღებას, ასევე, გაზრდის განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ელექტროენერჯის მაქსიმალურ გამომუშავებას და მის რეალიზაციას.

ენერგეტიკის სფეროში კონკურენციის სავარაუდო დარღვევის ფაქტების შესწავლისა და რეაგირების მიზნით საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და მარეგულირებელ კომისიას შორის მჭიდრო თანამშრომლობა ხელს უწყობს საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობაზე ზრუნვას და კონკურენციის პოლიტიკის გამჭირვალეობასა და მის გაძლიერებას არადისკრიმინაციული წესების შემუშავებით. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელს მისთვის საჭირო პროდუქტსა თუ მომსახურებაზე სამართლიანი პირობებით წვდომას. სამართლებრივი სისტემა უნდა იყოს გამჭირვალე და ხელმისაწვდომი და შეზღუდვის დანესების შემთხვევაში უნდა ემსახუროდეს ღირებულ საჯარო მიზანს და არ უნდა მიიღწეოდეს ადამიანის უფლების შეზღუდვის ხარჯზე.

ბაზრის დერეგულირება სრულად შეესაბამება ევროპული და თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. თუმცა ქვეყნის შესაძლებლობებისა და ბაზრის კონცენტრაციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ შეაფასოს დერეგულირების მიზანი და შედეგები. თანაზომიერების პრინციპის დაცვა აუცილებელია, რათა ლეგიტიმური მიზნის მიღწევა არ მოხდეს ადამიანის უფლებების გადამეტებული შეზღუდვის ხარჯზე. შესაბამისად, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და ყველაზე ნაკლებად მზლუდავი საშუალება.

ინფორმაციის საჯაროობა აუცილებელია გამჭვირვალეობის ხელშეწყობისა და ენერგეტიკული ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად,

რამდენადაც ინფორმაციის მიწოდებით ბაზრის მონაწილეები ხელს უწყობენ ენერგეტიკული სისტემის მთლიან საიმედოობას, ხელს უწყობენ ბაზრის დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტურ კოორდინაციასა და დაგეგმვას, ენერჯის მიწოდების შეფერხებების თავიდან აცილებას. თუმცა სამართლებრივი მექანიზმების გარდა, შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი საშუალებების განხილვა შიდა ინფორმაციის დაცვის გასაძლიერებლად. ეს შეიძლება მოიცავდეს სპეციფიკური გაიდლაინების ან ქცევის კოდექსების შემუშავებას, ინფორმაციის უსაფრთხოების საუკეთესო პრაქტიკის პოპულარიზაციას ან დამოუკიდებელი ზედამხედველობის მექანიზმების შექმნას მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა აყალიბებს შიდა ინფორმაციის დაცვის საფუძველს ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის აქტივობებში, დამატებითი სამართლებრივი მექანიზმები შეიძლება იყოს არსებითი პოტენციური ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ინფორმაციის დაცვის საერთო ეფექტურობის გასაძლიერებლად.

სახელმწიფო რეგულირება უნდა ხასიათდებოდეს საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებითა და შენარჩუნებით. გამჭვირვალობა და სამართლიანობა ის პრინციპებია, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლიან და ეფექტიან ენერგოპოლიტიკას. ეს გულისხმობს, რომ ყველა რეგულაცია და სუბსიდირება უნდა იყოს გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და გასაგები საზოგადოების ყველა სემენტისთვის. ამ გზით, სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს, რომ ენერგეტიკის სექტორში მოქმედი მონესრიგება იყოს ეფექტიანი, სამართლიანი და მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგებული. ეს მექანიზმები არა მხოლოდ ხელს შეუწყობს საზოგადოების კეთილდღეობას, არამედ შექმნის სტაბილურ და პროგნოზირებად გარემოს, რაც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის;

8. ევროკავშირის სამართალში განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ეკისრება მომხმარებელთა დაცვას და ინფორმაციის ღიაობას, რაც გავლენას ახდენს მომსახურების ხარისხზე და მიმართულია და ორიენტირებულია ადამიანის უფლებებზე. ინფორმაციის თავისუფლებას და გამჭვირვალობას განსაკუთრებული როლი აკისრია ენერგეტიკის სექტორში, რამდენადაც მას გავლენა აქვს ელექტროენერჯის მომხმარებელზე. ევროკავშირის დირექტივებით დიდი როლი ენიჭება მარეგულირებელ ორგანოებს, მონიტორინგი გაუწიონ, თუ რამდენად დაცულია ბაზრის სუბიექტების მიერ გამჭვირვალობისა და კონკუ-

რენციის პრინციპები. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მომხმარებელზე ორიენტირებული შიდა ბაზარის ჩამოყალიბება და ინფორმაციის გამჭვირვალობა.

ელექტროენერჯის გარდა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები (ინტერნეტი, ტელევიზია) ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტებია, რომლებიც ადამიანის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს. ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლებისა და კომუნალური მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტთან. კომუნალური მომსახურებების, განსაკუთრებით, ელექტროენერჯის, ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლების რეალიზაციაში. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი ამტკიცებს, რომ ეს უფლება სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რათა მოქალაქეებმა შეძლონ ღირსეული და განვითარებული ცხოვრება. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები ხელს უწყობს ბაზრის გახსნასა და კონკურენციის ზრდას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება მომხმარებლის ცხოვრებასა და ბედნიერებაზე. სემეკისა და კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლობით შესაძლებელია მიმწოდებლის შეცვლის მარტივი და უფასო პროცედურების დანერგვა, რაც საერთაშორისო პრაქტიკას შეესაბამება და ხელს შეუწყობს მომხმარებელთა უფლებების უკეთეს დაცვას. მომხმარებელზე ორიენტირებული ბაზარი, მარტივი და გამჭვირვალე პროცედურები დამახასიათებელია კონკურენტული საცალო ბაზრისთვის და გულისხმობს, რომ თითოეული მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ შეთავაზებული მომსახურების პირობების გაუმჯობესებაზე, მომსახურების უკეთესი ხარისხით განევასა და მომხმარებლისათვის უფრო ხელსაყრელი მიწოდების ფასის შეთავაზებაზე;

9. ნებისმიერი საკითხი თუ ინფორმაცია, რომელიც რაიმე სახის გავლენას ახდენს გარემოზე, საზოგადოების მომეტებული ინტერესის ობიექტია და კონსტიტუციისთვის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია მოქცეული, შესაბამისად, თავისთავად და ბუნებრივად არსებობს ამ ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის მომეტებული ინტერესი. რეგულირების სფერო შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ უსაფრთხო გარემოსათვის დღეს არსებული მდგომარეობა და საფრთხეები, არამედ სამომავლო გარემოს დაცვითი საფრთხეებისგან თავის დაცვა, რაც მდგრადი განვითარების ამოსავალი პრინციპია. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, მომხმარებელი ვალდებული იყოს მოხმარებულ ელექტროენერჯის სრულ მოცულობაში შესაბამისი პროცენტი

განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ჰქონდეს შესყიდული და აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისროს კანონით გათვალისწინებული სანქცია. სახელმწიფოს ენერგოპოლიტიკა მუდმივად უნდა იყოს მიმართული მომხმარებელთა დაცულობის გაუმჯობესებისა და სრულყოფისაკენ. ამ მხრივ, სახელმწიფოს ჩარევა და სამართლებრივი მონესრიგება უნდა ემყარებოდეს საჯარო მიზანს და გამომდინარეობდეს აუცილებლობიდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული რეგულირებაში უხეში ჩარევა და უფლება-მოსილების ბოროტად გამოყენება;

10. ელექტროენერგეტიკის სექტორში სახელმწიფოს გამონვევაა ენერგეტიკული უსაფრთხოება, რაც ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტობას გულისხმობს და მისი უზრუნველყოფა შესაძლებელია ქვეყანაში ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებით, საკუთარი რესურსების მაქსიმალურად ათვისებით, რაც მოკლევადიან პერიოდში იმპორტზე დამოკიდებულებას გაზრდის, თუმცა გრძელვადიან პერიოდში თბოგენერაციის თანდათანობით ჩანაცვლებას და სუფთა ენერჯიაზე გადასვლას უზრუნველყოფს. განახლებადი ენერჯის გამოყენება და წარმოებული ელექტროენერჯის ევროპულ ბაზარზე გატანა, ქვეყნის უსაფრთხოების წინაპირობაა. საქართველოს მიერ მიღებული კანონმდებლობა, რომლის მიზანია შექმნას განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის ხელშეწყობის, ნახალისებისა და გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები მნიშვნელოვანია, თუმცა საჭიროებს დამატებით მონესრიგებას, რამდენადაც ადგილობრივი რესურსის ათვისებით შემცირდება იმპორტზე დამოკიდებულება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას. საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის სწორი დაგეგმვით, თავისი პოტენციალის გამოყენებით შეუძლია წვლილი შეიტანოს არა მხოლოდ საკუთარი დაბალნახშირბადიანი ეკონომიკის განვითარებაში, არამედ სათბურის გაზების ემისიის შემცირებით ევროკავშირის უსაფრთხოებაშიც.

რეკომენდაციები მიზნად ისახავს საქართველოს განახლებადი ენერჯის ბაზრის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვასა და სამართლებრივი ჩარჩოების გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს ენერგეტიკული უსაფრთხოების, მდგრადობის და ეფექტიანობის გაზრდას. საქართველოს ენერგეტიკის სექტორის განვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და გარემოს დაცვითი სტანდარტების გაუმჯობესებაში. ამის მისაღწევად საჭიროა სტრატეგიული მიდგომა, რომე-

ლიც გაითვალისწინებს როგორც ენერგეტიკის, ისე სოციალური და გარემოს დაცვითი საკითხების თანხვედრას. ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებისა და საზოგადოების ინფორმირების გზით შესაძლებელი იქნება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და ენერჯის უფრო ეფექტიანი მოხმარება. საქართველოსთვის აუცილებელია განახლებადი ენერჯის განვითარების აქტიური ხელშეწყობა, რათა შემცირდეს იმპორტზე დამოკიდებულება და გაიზარდოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. სარგებლის გაზიარების მექანიზმების ფარგლებში ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობის და ინფორმირებულობის ზრდა მნიშვნელოვანია პროექტების წარმატებისთვის. ამისთვის საჭიროა გამჭვირვალობისა და კომუნიკაციის უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებულ მხარესთან. აუცილებელია საკანონმდებლო ჩარჩოების გაუმჯობესება, რაც უცხოელ ინვესტორებს საშუალებას მისცემს, განახორციელოს ინვესტიციები, მაგრამ, ამავე დროს, დაიცავს ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებსა და ინტერესებს. ამიტომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იქნება განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების სტრატეგიის გამყარება, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოების გაუმჯობესება და ინვესტიციების მოზიდვა. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგრადობის ამაღლებას, ნახშირბადნიეტრალური ენერგეტიკული სექტორის მიღწევას.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

- ადამია გ., ეკონომიკური კონკურენციის კონსტიტუციური ასპექტები, წიგნში: კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 2018.
- არცივაძე კ., მაღაშხია ნ., ნიკაგოსიანი ი., კლიმატის ცვლილება გამოწვევები და პრობლემების დაძლევის გზები ფაქტები და ციფრები მედიისთვის, თბილისი, 2021.
- გაბისონია ი., ნარმანია დ., გლოველი ც., ტეტელოშვილი ბ., დარსანია თ., ხარაძე ნ., ენერგეტიკის სამართალი, თბილისი, 2024.
- გაბრიჩიძე გ., ევროპული კავშირის სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2012.
- გაბუნია მ., საკუთრების სოციალური ფუნქცია მინაზე საკუთრების უფლების განხორციელების კონტექსტში, თბილისი, 2016.
- განერელია ა., ელექტროენერჯის ქართული ბაზრის ევროპეიზაციის საკანონმდებლო ტენდენციები, „სამართლის ჟურნალი“ N1, 2020.
- გეგენავა ა., გეგენავა დ., „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და კანონმდებლობის ნორმატიული შიშშილი, წიგნში: ბესარიონ ზოიძე 60, დ. გეგენავასა და ს. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბილისი, 2013.
- გეგენავა დ., სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთრების ჩამორთმევის შედეგად ზიანზე, ჟურნ. „სარჩევი“, N1, 2010.
- გეგენავა დ., სოციალური დაცვის სამართალი, წიგნში: საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო, გ. ხუბუას და კ.-პ. ზომერმანის რედაქტორობით, თბილისი, 2016.
- გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016.
- გოცირიძე ე., მუხლი 16. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისის, 2013.
- დევიძე ა., მირიანაშვილი გ., ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2019.
- დევიძე მ., მზის ენერგეტიკა საქართველოში: პრობლემები, გამოწვევები და საჭირო ღონისძიებები, თბილისი, 2020.
- ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონი საქართველო: საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის დაფინანსების ალტერნატიული ვარიანტები,

the International Bank for Reconstruction and Development/ The World Bank, Washington, DC, 2016.

- ვაჩაძე მ. თოდრია ი., ტურავა პ., წკებლაძე ნ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005.
- ვახანია თ., საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში განვითარების ანალიზი, კვლევითი დოკუმენტი, 2016.
- ზარიძე მ., საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების მიმართულებები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2018.
- თოდუა ა., დარბაიძე ა., ჯეჯელავა ა., ჩადუნელი გ., იაშვილი გ., კვერნაძე მ., ებრაღიძე ნ., ჩხეტიანი ხ., ადგილობრივი განახლებადი ენერგეტიკული რესურსების განვითარების ეკონომიკური გავლენის ანალიზი და მისი როლი ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში, თბილისი, 2020.
- კაპანაძე ს., ევროკომისია, წიგნში: ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები, კ. გოგოლაშვილის და ს. კაპანაძეს რედაქტორობით, თბილისი, 2006.
- კვარაცხელია თ., ენერგოეფექტურობა შენობებში ევროდირექტივების ძირითადი მოთხოვნები და საქართველოში არსებული ვითარება, წიგნში: ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, თბილისი, 2017.
- კვარაცხელია თ., მარგველაშვილი მ., ენერგოეფექტურობა – ევროპული დირექტივები და საქართველოს კანონმდებლობა, წიგნში: საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში, თბილისი, 2015.
- კვარაცხელია თ., მარგველაშვილი მ., შათირიშვილი ნ., ენერგეტიკული სიღარიბე და მონყვლადი მომხმარებლები საქართველოში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, 2018.
- კვაშილავა დ., განახლებადი ენერჯის გამოყენების პოტენციალი საქართველოში და მისი მაკროეკონომიკური შინაარსი, წიგნში: ეკონომიკა XXI საუკუნე, თბილისი, 2017.
- კვარაცხელია თ., ენერგეტიკული სიღარიბის შეფასება და მონიტორინგის პრინციპები საქართველოსთვის, თბილისი, 2023.
- კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, თბილისი, 2012.
- ლოლაძე ბ., სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, წიგნში: კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, ნ. I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2018.
- ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბილისი, 2023.
- მარგველაშვილი მ., გოგსაძე თ., კვარაცხელია თ., მუხიგულიშვილი გ., ნინუა გ., ჩხეიძე დ., ურგებაშვილი ი., ენერგეტიკული ბაზრის რეფორმა და მონყვლადი მომხმარებლების დაცვა, თბილისი, 2020.
- მარგველაშვილი მ., ინაშვილი მ., მაღალაშვილი ა., ჯანელიძე პ., მუხიგულიშვილი გ., ლაზრიევი გ., სიხარულიძე ა., შვანგირაძე მ., ელაშვილი მ., კლი-

მატის ცვლილება და მდგრადი განვითარება, სალექციო მასალების კრებული, ჰაინრიხ ბიოლის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ (WEG), თბილისი, 2016.

- მარგველაშვილი მ., მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., ენერგეტიკის სექტორის რეგულირება საქართველოში – პრობლემები და გამონწვევები, წიგნში: ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბილისი, 2017.
- მარგველაშვილი მ., მუხიგულიშვილი გ., კონკურენცია და მონოპოლია შიდა ენერგეტიკულ ბაზარზე, თბილისი, 2011.
- მარგველაშვილი მ., ნურნუშია თ., თოდრაძე გ., მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., ინფორმაციის მონაცემების გამჭვირვალობა ენერგეტიკაში, წიგნში: ევროპის „ენერგეტიკული გაერთიანება“ და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბილისი, 2017.
- მალრაძე ნ., დირექტივა განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ ძირითადი მოთხოვნები და გამონწვევები საქართველოსთვის, წიგნში: ევროპის „ენერგეტიკული გაერთიანება“ და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბილისი, 2017.
- მაცაბერიძე მ., არჩევნები და საზოგადოება, თბილისი, 2003.
- მაჭავარიანი მ., საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2021.
- მელიქიძე გ., საქართველოს გეოთერმული პოტენციალის ათვისების პერსპექტივები და არსებული პრობლემები, წიგნში: გამონწვევები საქართველოს ენერგო სექტორში და მდგრადი განვითარება, თბილისი, 2014.
- მიქაბერიძე თ., საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში, საადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2016.
- მიქაძე ე., ევროპის მწვანე შეთანხმება და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2021.
- მიქაძე ი., ადამიანი და ეკოლოგია ბუნებრივი რესურსების ეკონომიკა ეკოლოგიის სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2010.
- მირიანაშვილი გ., სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელის საკუთრების უფლების კონსტიტუციური პარადიგმები საქართველოში, ჟურნ. „აკადემიური მაცნე“, სპეციალური გამოცემა, 2017.
- მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., ენერჯის განახლებადი წყაროები და ენერგოეფექტურობა, თბილისი, 2013.
- მუხიგულიშვილი გ., ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის შესახებ საქართველოს ნორმატიული გარემოსა და სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისობა საერთაშორისო მოთხოვნებთან, წიგნში: გამონწვევები საქართველოს ენერგო სექტორში და მდგრადი განვითარება, თბილისი, 2014.

- მუხიგულიშვილი გ., მარგველაშვილი მ., ფიორტფორტი დ., ენერგეტიკული სუბსიდიები საქართველოში, წიგნში: ენერგეტიკული სუბსიდიების ინვენტარიზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საქართველო, თბილისი, 2016.
- მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., შათირიშვილი ნ., ინაშვილი მ., ურგებაშვილი ი., საქართველოს მზაობის შეფასება ევროპის მწვანე შეთანხმების მიმართ, თბილისი, 2022.
- ნარმანია დ., ჩომახიძე დ., საქართველოს ელექტრობალანსი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წლებში (1989-2019), ჟურნ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N9, 2020.
- ნოზაძე ვ., მუსელიანი გ., იარალაშვილი დ., თანამედროვე ტექნიკა და ენერგოეფექტურობა, თბილისი, 2010.
- ნონოევი ი., შატიკიშვილი ლ., ხელიძე გ., მირცხულავა ა., უსაფრთხოება ჰიდროენერგეტიკაში და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი საკითხები, „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, N4(96), 2020.
- ონაშვილი ა., ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნები ენერგეტიკის რეგულირების სფეროში – საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოს როლო და ფუნქციები, წიგნში: ევროპის „ენერგეტიკული გაერთიანება“ და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში, თბილისი, 2017.
- ოპერმანი თ., კლასენი კ. დ., ნეთესჰაიმი მ., ევროპული სამართალი, თამარ ერქვანიას და ირაკლი ჯაფარაშვილის თარგმანი, თბილისი, 2021.
- საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორი 2010-2022 წლებში, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, 2023.
- საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013.
- სამხარაძე ი., ენერგეტიკის სამართალი, როგორც აკადემიური დისციპლინა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(58), 2018.
- სამხარაძე ი., ჭითანავა მ., ჯანაშია ნ., ვარდოსანიძე ქ., კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკის გავლენა შრომის ბაზარზე, კონტექსტი, სამომავლო განვითარების შესაძლო სცენარები და რეკომენდაციები საქართველოს მაგალითი, მოკლე კვლევითი ნაშრომი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი, 2021.
- საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, გ. ხუბუასა და კ. პ. ზომერმანის რედაქტორობით, თბილისი, 2016.
- სოციალური და სამართლიანი ბრძოლა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ არგუმენტების სახელმძღვანელო სამართლიანი და ეკოლოგიური საზოგადოებისთვის, კარლა უელჩის რედაქტორობით, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი, 2020.
- ტურავა პ., ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, როგორც პრივატიზაციის პროცესის ფარგლები, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვის საე-

რთაშორისო სტანდარტები და საქართველო, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2011.

- ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი.
- ტურავა პ., ფირცხალაშვილი ა., ქარდავა ე., ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში, თბილისი, 2020
- ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2013.
- უსტიაშვილი გ., საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები, წიგნი: ლადო ანტურია 55, დ. გეგენევას რედაქტორობით, თბილისი, 2018.
- ფარცვანია მ., გარანტირებული სიმძლავრე, წიგნი: ლადო ჭანტურია 55, დ. გეგენევას რედაქტორობით, თბილისი, 2018.
- ქოჩლაძე მ., გოჩიტაშვილი თ., ჭიაბრიშვილი ი., მალრაძე ნ., კვარაცხელია თ., საქართველო და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება ევროინტეგრაციის გამოწვევები, მწვანე ალტერნატივა, 2015.
- ყალიჩავა კ., გარემოს დაცვის სამართალი, თბილისი, 2018.
- ყიფიანი დ., მონაწილეობითი ბიუჯეტირება საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში დანერგვის პრაქტიკის კვლევა, „ადგილობრივი განვითარების აქტორების მდგრადი კავშირის შექმნა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში „პური სამყაროს“ (Bread for the World) მხარდაჭერით, 2018.
- ყიშვიძე შ., საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის პრინციპი, როგორც კარგი მმართველობის უფლების შემადგენელი ელემენტი, ჟურნ. „ორბელიანი“, N.5, 2022.
- შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, დ. გეგენევას რედაქტორობით, თბილისი, 2021.
- შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, მე-2 გამოცემა, დ. გეგენევას და გ. გორაძის რედაქტორობით, თბილისი, 2021.
- ჩომახიძე დ., მელიქიძე მ., საქართველოს ენერგეტიკის განვითარების მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური საფუძვლები, თბილისი, 2019.
- ჩომახიძე დ., ნარმანია დ., ეკოლოგიური გამოწვევები საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაში, ჟურნ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N5, 2018, 15; საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა, 2022.
- ჩომახიძე დ., ტარიფები ენერგეტიკაში: მოქმედი ფაქტორები და ცვლილების კონცეფცია, „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N11, 2021.
- ჩხაიძე ბ., ენერგეტიკა და ენერგოსაფრთხოება (განახლებადი ენერჯის გამოყენების არსებული დონისა და მისი გაუმჯობესების სტრატეგია), წიგნი: გამოწვევები საქართველოს ენერგო სექტორში და მდგრადი განვითარება, თბილისი, 2014.

- ნურნუმი თ., ჯანელიძე ს., „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების ოქმით განსაზღვრული ვალდებულებები ენერგეტიკის დარგში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, 2019.
- ხადური ნ., მურლულია თ, ნარმანია დ., მურლულია შ., კონკურენციის პოლიტიკა და ბაზრის რეგულირების პრაქტიკა, თბილისი, 2012.
- ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., მაცვალაძე მ., მიკროეკონომიკა, ნაწ. II, თბილისი, 2021.
- ხუბუა გ., სამართლის თეორია, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2015.
- ჯანელიძე პ., მუხიგულიშვილი გ., კლიმატის ცვლილების შერბილება, წიგნში: კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება, თბილისი, 2016.
- ჯერვალიძე ლ. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარების მიმართულებით, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, თბილისი, 2008.
- A Moving Target: Genetic Resources and Options for Tracking and Monitoring their International Flows, Edited by M. Ruiz Muller and I. Lapeña, IUCN, 2007.
- Abbasi K., Ali P., Barbour V., Benfield T., Bibbins-Domingo K., Hancocks S., Horton R., Laybourn-Langton L., Mash R., Sahni P., Sharief W. M., Yonga P., Zielinski C., Time to Treat the Climate and Nature Crisis as One Indivisible Global Health Rmergency, Oxford Open Climate Change, Vol. 3, No. 1, 2023.
- Adamia G., Constitutional Aspects of Economic Competition, Journal of Constitutional Law, Vol. 2, 2020.
- Adapting Market Design to High Shapes of Variable Renewable Energy, International Renewable Energy Agency (IRENA), Abu Dhabi, 2017.
- Advanced Forecasting of Variable Renewable Power Generation Innovation Landscape Brief, IRENA, 2020.
- Algarvio H., Fernando Lopes F., Santana J., Renewable Energy Support Policy Based on Contracts for Difference and Bilateral Negotiation, in: Highlights in Practical Applications of Agents, Multi-Agent Systems, and Trust-worthiness, Springer, 2020.
- Almeida D.V., Kolinjivadi V., Ferrando T., Roy B., Herrera H., Gonçalves M. V., Hecken G. V., The “Greening” of Empire: The European Green Deal as the EU First Agenda, Political Geography, Vol. 105, 2023.
- An Electricity Market for Germany’s Energy Transition, White Paper by the Federal Ministry for Economic Affairs and Energy, Berlin, 2015.
- Anchustegui I.H., Transmission Networks in Electricity Competition: Third-Party Access and Unbundling – A Transatlantic Perspective, in: Competencia en mercados con recursos esenciales compartidos: telecomunicaciones y energía, Edited by J.I. Ruiz Peris , University of Valencia, 2019.
- Annual Energy Outlook 2021 with projections to 2050, U.S. Energy Information Administration, U.S. Department of Energy, 2021.

- Antharvedi U., *Judicial Review of Administrative Actions and Principles*, Osmania University, 2008.
- Arnsperger C., De Villé P., *Can Competition Ever be Fair? Challenging the Standard Prejudice*. *Ethic Theory Moral Practice*, Vol. 7, No. 4, 2004.
- *Assessment of Fiscal Costs and Tariff Impacts of Power Purchase Agreements Final Note*, The World Bank, February 22, 2018.
- Avgouleas E., *The Regulation of Market Abuse, The Mechanics and Regulation of Market Abuse: A Legal and Economic Analysis*, Oxford University Press, 2005.
- Bálint M., *The Effect of Rising Energy and Consumer Prices on Household Finances, Poverty and Social Exclusion in the EU, A Preliminary Empirical Analysis*, European Union, 2022.
- Banet C., *Electricity Network Tariffs Regulation and Distributive Energy Justice: Balancing the Need for New Investments and a Fair Energy Transition*, in: *Energy Justice and Energy Law*, Edited by I. del Guayo, L/ Godden, D. N. Zillman, M. F. Montoya, and J. J. González, Oxford University Press, 2020.
- Barraco J. V., *Distributed Energy and Net Metering: Adopting Rules to Promote a Bright Future*, *Journal of Land Use & Environmental Law*, Vol. 29, No. 2, 2014.
- Behi B., Arefi A., Jennings P., Gorjy A., Pivrikas A., *Advanced Monitoring and Control System for Virtual Power Plants for Enabling Customer Engagement and Market Participation*, *Energies*, Vol. 14, No. 4, 2021.
- *Benefit Sharing at Scale: Good Practices for Results-Based land Use Programs*, World Bank, 2019.
- Benth F.E., Benth J.S., Koekebakker S., *Stochastic Modelling of Electricity and Related Markets*, Vol. II, Singapore, 2008.
- *Best-Practice Guide for a Positive Business and Investment Climate*, OSCE, 2006.
- Bethem J., Frigo G., Biswas S., DesRoches C. T., Pasqualetti M., *Energy Decisions within an Applied Ethics Framework: An Analysis of Five Recent Controversies*, *Energy, Sustainability and Society*, Vol. 10, No. 29, 2020.
- Böckers V., Duso T., Szücs T., *Abuse of Dominance and Antitrust Enforcement in the German Electricity Market*, *Energy Economics*, Elsevier, Vol. 92(C), 2020.
- Bomhoff, *International Journal of Law in Context*, Vol.14, No. 10, 2013.
- Bos R., Brouwer R., Dhillon Sh. S., Rohde J., Slootweg R., *Advisory Review of the Environmental and Social Impact Assessment of the Khudoni Hydropower Project*, Georgia, Netherlands, 2013.
- Boulding K.E., Singh P., *The Role of the Price Structure in Economic Development*. *The American Economic Review*, Vol. 52, No. 2, 1962.
- Boumedhel Z., Donne A., *The Role of Competition in the Construction of the EU Internal Energy Market from the Prism of the Power Exchange*, *International In-House Counsel Journal*, Vol. 12, No. 49, 2019.

- Božić Z., Dobromirov D., Arsić J., Radišić M., Slusarczyk B., Power Exchange Prices: Comparison of Volatility in European Markets, *Journal Energies*, Vol. 13, No. 21, 2020.
- Bröckl M., Pesola A., Vehviläinen L., Tommila P., Guarantees of Origin and Eco-labelling of Electricity in the Nordic Countries, Final report, Gaia Consulting Oy, 2011.
- Brook J., Clark S., Establishing the Social Licence to Operate Large Scale Solar Facilities in Australia: Insights from Social Research for Industry, Arena, 2020.
- Bruck M., Sandborn P., Goudarzi N., A Levelized Cost of Energy (LCOE) Model for Wind Farms That Include Power Purchase Agreements (PPAs), *Renewable Energy*, Vol. 122, 2018.
- Bruns E., Ohlhorst D., Wenzel B., Köppel J., *Renewable Energies in Germany's Electricity Market A Biography of the Innovation Process*, Springer, 2011.
- Butler L., Neuhoff K., Comparison of Feed-in Tariff, Quota and Auction Mechanisms to Support Wind Power Development, *Renewable Energy*, Vol. 33, No. 8, 2008, 1844.
- Buzek J., Boltz W., Borozan V., Ferretti F., Svilanovic G., Makukha, V., An Energy Community for the Future: Report by the High Level Reflection Group of the Energy Community. *European Energy Journal*, Vol. 5, No. 1, 2015.
- Capturing Hydropower's Promise Report Series, A Guide to Local Benefit Sharing in Hydropower Projects, IFC, Washington DC., 2020.
- Casini L., Boncinelli F., Gerini F., Romano C., Scozzafava G., Contini C., Evaluating Rural Viability and Well-being: Evidence from Marginal Areas in Tuscany, *Journal of Rural Studies*, Vol. 82, 2021.
- Chaogang W., A Guide for Local Benefit Sharing in Hydropower Projects, Washington D.C., 2012.
- Chen L., Hu Y., Wang R., Li X., Chen Z., Hua J., Osman A. I., Farghali M., Huang L., Li J., Dong L., Rooney D. W., Yap P. S., Green Building Practices to Integrate Renewable Energy in the Construction Sector: A Review, *Environmental Chemistry Letters*, Vol. 22, 2024.
- Chen W., Alharthi M., Zhang J., Khan I., The need for energy efficiency and economic prosperity in a sustainable environment, *Gondwana Research*, Vol. 127, 2024.
- Chomakhidze, D., Tskhakaia, K., Zivzivadze, L., Moseshvili, T., Shamaevi, D., Electricity Balance of Georgia: Trends and Prospects, *Energy Procedia*, Vol. 147, 2018.
- Climate Change and Health Hazards: Addressing Hazards to Human and Environmental Health from a Changing Climate, edited by Filho W. L., Vidal D. G., Dinis M. A. P., Springer, 2023.
- Coady D., Jahan S., Machado F., Gu M., The Distributional and Fiscal Implications of Public Utility Pricing, *IMF Working Papers*, 2023.
- Cochran J., Bird L. Heeter J., Arent D. J., Integrating Variable Renewable Energy in Electric Power Markets: Best Practices from International Experience, Summary for Policymakers, 2012.

- Community Engagement and Benefit Sharing in Renewable Energy Development, A Guide for Renewable Energy Developers, Melbourne, 2017.
- Consultation on the Implementation of the EU Third Internal Energy Package, Department of Energy and Climate Change, London, 2010.
- Consumer Rights in Electricity and Gas Markets, BEUC Position Paper, Brussels, 2013.
- Consumer Vulnerability Across Key Markets in the European Union, London Economics, VVA Consulting and Ipsos Mori consortium, 2016.
- Cotula L., Investment Contracts and Sustainable Development, How to Make Contracts for Fairer and More Sustainable Natural Resource Investments, Natural Resource Issues, No. 20, 2nd Ed., London, 2010.
- Council of Europe, Manual on Human Rights and the Environment, Strasbourg, 2006. .
- Czuba M., Krasniewski M., Pytkowski M., Security, Regulation and Competition of the Energy Market, Yearbook of Antitrust and Regulatory Studies, N11(18), 2018.
- Dams and Development: A New Framework for Decision-Making, Overview of the report by the World Commission on Dams, London, 2001.
- Danelia I., Main Determinants of Georgia’s Transit Function Development, European Scientific Journal, Vol. 13(31), 2017.
- De Streef A. A., European Agenda for Smart Consumer Protection Rules for Digital Services, Intereconomics, Vol. 52, 2017.
- Decarbonisation of the power sector, House of Commons, Business, Energy and Industrial Strategy Committee, Eleventh Report of Session 2022-23, UK Parliament, 2023.
- Dermawan A., Petkova E., Sinaga A., Muhajir M., Indriatmoko Y., Preventing the Risk of Corruption in REDD+ in Indonesia, Center for International Forestry Research, 2011.
- Dimian G., Barbu A., Public Services – Key Factor to Quality of Life, Management & Marketing Challenges for the Knowledge Society, Vol. 7, No. 1, 2012.
- Du X., Hengming Z., Yawen H., How Does New Infrastructure Investment Affect Economic Growth Quality? Empirical Evidence from China, Sustainability, Vol.14, No. 6, 2022.
- Economic Instruments for Energy Efficiency and the Environment, CCICED Policy Research Report, 2009.
- Eikeland P. O., The Third Internal Energy Market Package: New Power Relations among Member States, EU Institutions and Non-State Actors.” Journal of Common Market Studies, Vol. 49, No. 2, 2011.
- Electricity Market Functions, Short Overview and Description Online Capacity-Building Material, EU4Energy, 2020.

- Electricity Market Reform in Norway, Edited by E. Magnus and A. Mittun, Macmillan Press, 2000.
- Electricity Market Reform: An International Perspective, Edited by F.P. Sioshansi and W. Pfaffenberger, Oxford University Press, 2004.
- Ely J. H., Democracy and Distrust: A Theory of Judicial Review, Harvard University Press, 1980.
- Elzanowki F. M., The Duties of the President of the Polish Energy Regulatory Office in the Context of Implementing the Third Energy Package, Yearbook of Antitrust and Regulatory Studies, Vol. 4, 2011.
- Enabling Foreign Direct Investment in the Renewable Energy Sector Reducing Regulatory Risks and Preventing Investor-State Conflicts, The World Bank, Energy Charter Secretariat, Washington, DC, 2023.
- Energy as a Tool of Foreign Policy of Authoritarian States, in Particular Russia, Policy Department for External Relations Directorate General for External Policies of the Union, 2018.
- Enhancing Development Benefits to Local Communities from Hydropower Projects a Literature Review, Report No. 70281. Washington DC., 2009.
- European Community Law of Competition, 6th Ed., Edited by Peter Roth QC and Vivien Rose, Oxford University Press, 2008.
- Farah P. D., Otvos T., Competition Law and Trade in Energy vs. Sustainable Development: A Clash of Individualism and Cooperative Partnerships?, Arizona State Law Journal, Vol. 50, No. 2, 2018.
- Foley-Fisher N., Gissler S., Verani S., Over-the-Counter Market Liquidity and Securities Lending, Finance and Economics Discussion Series, Divisions of Research & Statistics and Monetary Affairs Federal Reserve Board, Washington, D.C., 2019.
- Foli E.G., Dumenu W.K., Proposal for Vertical and Horizontal Benefit Sharing Options for REDD+ Implementation in Ghana, Synthesis Report, 2011.
- Foreign Direct Investment – Promoting and Protecting a Key Pillar for Sustainable Development and Growth, Prepared by the ICC Commission on Trade and Investment Policy, 2016.
- Fostering Effective Energy Transition 2022 Edition, Insight Report, World Economy Forum, 2022, 12.
- Fripp E., Payments for Ecosystem Services (PES) A practical guide to assessing the feasibility of PES projects, Center for International Forestry Research (CIFOR), Indonesia, 2014.
- Funabashi T., Integration of Distributed Energy Resources in Power Systems: Implementation, Operation and Control, Nagoya, 2016.
- Gegenava D., Changing Constitutional Identity: Constitutional Reform and New Concept of Human Rights in Georgia, Bratislava Law Review, Vol. 3, No. 1, 2019.

- Georgia's Energy Dependency Review, The Economic Policy Research Center (EPRC), USAID, 2023.
- Gielen D., Boshell F., Saygin D., Bazilian M. D., Wagner N., Gorini R., The Role of Renewable Energy in the Global Energy Transformation, *Energy Strategy Reviews*, Vol. 24, 2019.
- Glachant J.-M., Generation Technology Mix in Competitive Electricity Markets, in: *Competitive Electricity Markets and Sustainability*, Edited by F. Lévêque, Edward Elgar Publishing, 2006.
- Goldberg S. M., Security of Supply in the Context of European Energy Market Liberalisation – A Brief Overview, *International Business Law Journal*, Vol. 4, 2011.
- Gunatilleke G., Justifying Limitations on the Freedom of Expression, *Human Rights Review*, Vol. 22, No. 1-18, 2021.
- Hafner M., Raimondi P.P., Energy and the Economy in Europe. In book: *The Palgrave Handbook of International Energy Economics*, edited by Manfred Hafner, Giacomo Luciani, Cham, Switzerland, Springer Link, 2022.
- Handbook on Access to Justice Under the Aarhus Convention, Edited by Stephen Stec, Szentendre, 2003.
- Harris W. F., The Architectonics of a Well-Founded Constitutional Order, in: *The Limits of Constitutional Democracy*, edited by J. K. Tulis, S. Macedo, Princeton University Press, 2010.
- Hasanul B., Alam A., Chen X. H., Alam A. W., Energy security and economic stability: The role of inflation and war, *Energy Economics*, Vol. 126, 2023, 106949. <https://doi.org/10.1016/j.eneco.2023.106949>
- Heffron R.J., *Energy Law: An Introduction*, Springer, 2015.
- Helliwell J. F., Layard R., Sachs J. D., De Neve J.-E., Akin L. B., Wang S., *World Happiness Report 2024*, University of Oxford: Wellbeing Research Centre, 2024.
- Henderson G. E., Rawls & Sustainable Development, *McGill International Journal of Sustainable Development Law and Policy*, Vol. 7, No. 1, 2011.
- Hinrichs-Rahlwes R., Renewable Energy: Paving the Way towards Sustainable Energy Security: Lessons Learnt from Germany, *Renewable Energy*, Vol. 49, 2013.
- Homewood M., Smith, C., *EU Competition Law: Articles 101 and 102 TFEU*, in: *EU Law Concentrate: Law Revision and Study Guide*, 8th edition, Oxford University Press, 2022.
- Houtman A., The Energy Union: A Union in Diversity, *European Energy Journal*, Vol. 5, No. 3, 2015.
- Howells G., Twigg-Flesner Ch., Wilhelmsson Th., *Rethinking EU Consumer Law*, Taylor & Francis Group, 2018.
- Ikejiaku B., Dayao C., Competition Law as an Instrument of Protectionist Policy: Comparative Analysis of the EU and the US., *Utrecht Journal of International and European Law*, Vol. 36, No. 1, 2021.

- Iliopoulos T. G., Fermeglia M., Vanheusden B., The EU's 2030 Climate and Energy Policy Framework: How Net Metering Slips through Its Net, *Review of European Comparative & International Environmental Law*, Vol. 29, No. 2, 2020.
- Isiksel T., *The Trilemma of Constitutional Authority, Europe's Functional Constitution: A Theory of Constitutionalism Beyond the State*, Oxford University Press, 2016.
- Jabłonowska A., *EU Consumer Law and Technology*, in: *Research Handbook on Law and Technology*, Edward Elgar Publishing, 2024.
- Jacob K., *Regulatory Impact Assessment and Sustainable Development: Towards a Common Framework?*, *European Journal of Risk Regulation*, Vol. 1, No. 3, 2010.
- Jacobson D., Ruffer G. B., *Courts across Borders: The Implications of Judicial Agency for Human Rights and Democracy*, *Human Rights Quarterly*, Vol. 25, No. 1, 2003.
- Jaiswal K. K., Chowdhury CH. R., Yadav D., Verma R., Dutta S., Jaiswal K. S., Sangmesh B, Karuppasamy K.S.K.K., *Renewable and Sustainable Clean Energy Development and Impact on Social, Economic, and Environmental Health*, *Energy Nexus*, Vol. 7, 2022.
- Janelidze S., *Opening of the Electricity Markets in Georgia*, OGEL Special Issue on "Energy Market Creation: Liberalisations and Transformations", 2023. <www.ogel.org> [24.06.2024]
- Joode J., Kingma D., Lijesen M., Mulder M., Shestalova V., *Energy Policies and Risks on Energy Markets, A Cost-benefit Analysis*, Netherlands Bureau for Economic Policy Analysis, 2004.
- Joode J., Oostvoorn F., *European Energy Market Liberalisation and Integration: An Assessment of the New EU Energy Package*, Energy Research Centre of the Netherlands ECN, Petten, 2008.
- Karova R., *Energy Community for South East Europe: Rationale Behind and Implementation to Date*, Florence School of Regulation, Energy, Cadmus, EUI Research Repository, 2009.
- Kasmoui O. El., Verbruggen A., Ceulemans, R., *The 2013 reforms of the Flemish Renewable Electricity Support: Missed Opportunities*, *Journal of Renewable Energy*, Vol. 83, 2015.
- Kasperowicz R., Marcin P., *Overview of Electricity Market Monitoring*, *Economics and Sociology*, Vol. 9, No. 4, 2017.
- Kebede A.A., Kalogiannis T., Mierlo J.V., Berecibar M., *A Comprehensive Review of Stationary Energy Storage Devices for Large Scale Renewable Energy Sources Grid Integration*, *Renewable and Sustainable Energy Reviews*, Vol. 159, 2022.
- Kingsbury B., Krisch N., Stewart, R. B., *The Emergence of Global Administrative Law. Law and Contemporary Problems*, Vol. 68, No. 3/4, 2005.
- Kirkegaard A., *Would Power Exchanges Be Exempt from Competition Regulations*, *European Energy Journal*, Vol. 4, No. 2, 2014.

- Koch A., Smith D., Wojczynski E., Better Hydro Better understanding, Better Examples, Better policies, World Bank, 2017.
- Kochenov D. V., Lavranos N., Achmea versus the Rule of Law: CJEU's Dogmatic Dismissal of Investors' Rights in Backsliding Member States of the European Union. *Hague Journal on the Rule of Law*, Vol. 14, 2022.
- Koltay G., Lorincz S., Valletti T., Concentration and Competition: Evidence from Europe and Implications For Policy, *Journal of Competition Law & Economics*, Vol.19, No. 3, 2023.
- Kopsakangas-Savolainen M., Svent R., Modern Energy Markets Real-Time Pricing, *Renewable Resources and Efficient Distribution*, London, 2012.
